



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტი

# აკაკი წერეთელი

თხზულებათა სრული კრებული  
ოც ტომად



თბილისი 2012

# აკაკი წერეთელი

ტომი III

ლექსები

1901 – 1914

უთარილონი და  
ყრმობისდროინდელი ლექსები



თბილისი 2012

**აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის  
სარედაქციო კოლეგია**

**ირმა რატიანი**

მთავარი რედაქტორი

ჭიუზა ევგენიძე

მაკა ელბაქიძე

ნანა ფრუიძე

როსტომ ჩხეიძე

ზურაბ ჭუმბურიძე

თამაზ ჯოლოგუა

**ჯულიეტა გაბოძე**

პასუხისმგებელი მდივანი

ტომის რედაქტორი

**ზურაბ ჭუმბურიძე**

ტომი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები,  
შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო  
**ლამარა შავგულიძემ**

ტომი გამოსაცემად მომზადდა რუსთაველის  
ფონდის ხელშეწყობით

ISBN 978-9941-0-2789-5 (ყველა ტომის)

ISBN 978-9941-0-5351-1 (მესამე ტომის)

უაკ(UDC) 821.353.1+821.353.1-1

წ-395

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ლექსები



## შედარება

ფუტკარმა თქვა: „ჩემი თაფლი  
და სანთელი ყველას უყვარს,  
მაგრამ მე კი მტრულის თვალით  
მიყურებენ!.. მიკეტენ კარს.

„იძახიან: – მაგის ისარს  
ვეკრძალოდეთ უნდა მარად!  
თუმც იციან, რომ ჩემს მახვილს  
მე არ ვხმარობ, თუ არ ფარად.

„უისრო და უნმინდურ ბუზს  
კი არავინ ერიდება!..  
როგორც უნდა, ისე დაფრენს,  
სადაც უნდა, იქ დაჯდება!..“

შენც, პოეტო, კაცთა შორის  
ფუტკარადა ხარ გაჩენილი;  
ენა-ისარ-ნაღვლიანსა  
ნაყოფი გაქვს ნათელ-ტკბილი.

თუ შორსა ხარ, ფუტკარსავით  
შენც გიშვერენ თაფლისთვის ხელს,  
მაგრამ როცა ახლოს გხედვენ –  
გიმნარებენ ნუთისოფელს.

[1901]

## მეგობარს

(ფუძღვნი ბ-ნ გ. სუნდუკიანცს)

გაურჩევლად გვარტომობის,  
ყველასათვის კეთილი მსურს,  
ვინც კი კაცად-კაცადია  
და სიმართლით გული უხურს.

ერთობას და მასთან ძმობას  
არაფერი მირჩევნია!..  
ამ კავშირის ორ-ძალობა  
იმ თავითვე შემიგნია.

მაგრამ რა ვქნა, თუ მოყვასი  
მტრულად კარზე მომდგომია...  
ამბობს: „ჩემი ხომ ჩემია?!  
რაც შენია, სულ ჩემია?!“

რადა, ძმაო, აღარა გრწამს  
არც ქვეყანა, აღარც ზეცა?..  
შენც იცოცხლე! მეც ვიცოცხლო!  
შენ შენთვის და ჩემთვის მეცა.

ჩემ საფლავზე გსურს აიგო  
ციხე-დარბაზ-სარაია?  
მე ეკალი მაგლეჯინო,  
შენ კი ჰკრიფო ვარდი, ია?

დაბრიყვება ჰქვია ამას! –  
უსამართლოდ ფეხქვეშ თელვა!..  
და მიკვირს, რომ გავიწყდება:  
მაღლა ელვა, დაბლა ლელვა!..



ხან დარია, ხან ავდარი...  
დღეს ერთია... მეორე ხვალ,  
და მსოფლიო კანონ-წესრიგს  
ვერ ასცდები... ვერ წაუხვალ.

მეც წამახდენ... შენც ნახდები!  
გავაცინებთ მხოლოდ მტერსა!  
ჩვენ ვიყვირებთ „ვაი დედას“,  
ის კი – „მრავალჟამიერსა“.

[1901]

## კ. უმანეცის ალბომში

მოხუცი და ახალგაზრდა  
როცა ერთად დავრჩით მარტო,  
მითხრა: „ვიცი, აკაკი ხარ!  
მე კატია მქვიან... კატო.

„ამ ალბომში, მინდა რამე  
ჩამინერო, ან დახატო!..  
«კატია» არ ჩამინერო,  
მირჩევნია იყოს «კატო»!“

გამეცინა, ვსთქვი: ალბომში  
რალა უნდა ჩავუმატო?  
ყოველის მხრით, მრავალგვარად,  
შეუმკიათ ცელქი კატო!

შევეკითხე: „მართლა გინდა  
ჩვენებური გახდე, კატო?  
მაშინ უნდა ჩემი რჩევა  
გულფიცარზე დაიხატო:

„გაურჩევლად გვარტომობის,  
გრძნობა უნდა ანდამატო!  
კაცი ყველგან კაცი არის!  
ეს იცოდე, ჩემო კატო!

„სხვა მონები უნდა იყონ,  
ჩვენ ბატონად დავრჩეთ მარტო, –  
ეს უგნური განზრახვაა  
და ნუ გჯერა ეს შენც, კატო!

„დედობა და ცოლობა,  
პოლიტიკა ქალის მარტო!..  
ეს გახსოვდეს და შენც ყველა  
თანაგიგრძნობს, კარგო კატო“!

[1901]

## მგოსანი

ქვეყანამ გული გამიხსნა, –  
 საიდუმლოთა სალარო, –  
 შიგ ჩამახედა, გამაცნო  
 ავის და კარგის სამთავრო.

ბუღბუღმა სტვენა მასწავლა,  
 ყორანმა – მწარე ჩხავილი;  
 ეკალი ჩხვლეტას მასწავლის  
 და დაყვავებს – ყვავილი.

ავი და კარგი, ორივე  
 მეძმენ და მეყმენ თანსწორად  
 და ჩემი სუსტი ბუნება,  
 იმათვე გაჰყვეს თან ორად.

ნიავი მეჩურჩულება:  
 „რაცა ხარ, ნუ დამალამო!  
 ეკალი იყავ წყლულისთვის  
 ზოგჯერ... და ზოგჯერ მალამო!“

ვარსკვლავიც სხივებ-პარპალით,  
 მალლიდან მედასტურება!..  
 და ეს ციური სიმართლე,  
 მხოლოდ კაცს არ ეყურება!..

[1901]

\* \* \*

ერთადერთად, ქვეყნის ღმერთად  
 გაჩენილო... უებარო!..  
 წყლულის გულის, კრულის სულის  
 მალამოვ და მეგობარო!

დასაბამო, დასასრულო  
 ჩემის გრძნობა-გონებისო!  
 ერთადერთო შემაერთო  
 უფლების და მონებისო!

შენგან დაბმულს, შენით სულდგმულს,  
 შენს გარეშე არ მაქვს ძალი!..  
 ჩემ წარსულთან მსურს გამსხვერპლო  
 ანმყოცა და მომავალი.

ნუ გამწირავ, ნუ გამთირავ,  
 შემინირე წველილი მცირე!..  
 გრძნობა თბილი, სიტყვა ტკბილი  
 აიაზმად მომასხურე.

მაშინ მეცა, მაღლით ზეცა,  
 ვარდისფერად გამიღიმებს  
 და შენ საქებ-სადიდებლად  
 ავაჟღერებ გულის სიმებს.

ერთადერთო, ქვეყნის ღმერთო,  
 სწორუბოვარ-უებარო,  
 მიმქრალ სულის, დამჭკნარ გულის  
 გამნედლებელ მეგობარო!

[1901]

## ბულბული

ბულბულს უთხრეს: „რად არ ჰყივი,  
როგორც ჩვენი მამალიო?  
თუ გსურს, ხმა რომ გაგიბობდეს,  
აი, ჩვენი წამალიო:

„დედლებს სდიე, რომ დაღამდეს,  
საქათმეში შეჰყევ თანო;  
ქანდარაზედ გადმომჯდარმა  
დაიყვირე ხანდახანო!

„მაშინ შენ ხმას ქვეყნის თვალში  
მეტი ფასი ექნებაო;  
თვარა ვხედავთ, შენი მღერით  
აღარავინ ეგზნებაო“.

ბულბულმა სთქვა: „ჩემ ხელობას  
არ დავთმოზ და ვერც დავთმეო, –  
სულ სხვადასხვას მოითხოვენ  
მეზალე და მექათმეო.

„მე კი არც ერთს, არც მეორეს,  
ყურს არ ვუგდებ, ჩემთვის ვსტვენო;  
სანამ ვარდი არ დასტკნება,  
ჩემებურად მოვილხენო...“

[1901]

## ჩანგი

ლოცვა და ჩანგის ჟღერა  
 ორივე ტყუპის ცალია!  
 მათი შემქმნელ-მშობელი  
 მხოლოდ ძალთაძალია,

და მათი აკვან-ტახტიც  
 გრძნობაა და გონება,  
 ორივეს წინაუძღვის  
 ზეგარდმო შთაგონება.

არც ბრძანებას, არც თხოვნას  
 არ ემორჩილებიან,  
 ნათლის მფენნი წყვდიადში,  
 მნათობთ ეცილებიან.

მათი ხელის შეხება.  
 უადგილოდ ცოდვია!..  
 ლოცვა ყველგან, უდროოდ,  
 ფარისევლის ბოდვია.

აგრევე ჩანგის ჟღერაც,  
 არ ვარგა წარამარა,  
 მგოსანს თუ ეს არ ესმის,  
 მესტვირეა, მასხარა.

[1901]

## პატარა ამბავი

(ი. მაჩაბლის სახსოვრად)

„გვითხარ, ძიავ: მამაჩვენი  
სად წავიდა და ან როდის,  
რომ არსად სჩანს ამოდენს ხანს,  
დაგვივიწყა და არ მოდის?!“.

„დედა ამბობს: „მაშინ გეტყვით,  
თუ არ გატეხთ მის ანდერძსო,  
და ქვეყნის ვალს აასრულებთ,  
თქვენ წილხვედრს და თქვენ-თქვენ კერძსო“.

„რა ვალია ქვეყნის ვალი  
და ანდერძი ჩვენი მამის?  
ამთავითვე გვსურს შეტყობა  
შენგან, ძიავ, მხოლოდ ამის“.

ასე სთხოვდენ ერთხელ სტუმარს  
ორი და-ძმა პანანინა  
და მათ გამგონ მოხუცებულს,  
თვალთ ცრემლები მოედინა.

ოხვრით უთხრა: „ეჰ, რა გითხრათ!  
ჯერ ადრეა ხომ თქვენთვის ეს,  
მისი ქცევა, მისი ღვაწლი  
დიდებმაც რომ ვერ გაიგეს?!“

„მაგრამ გეტყვით: მუშა იყო,  
ქვეყნის მუშა, სამსხვერპლოთ მზა  
და სინმინდით გაიარა  
ამ ცხოვრების მან მოკლე გზა.“

„მართლის მთქმელი, მართლის მქნელი,  
გულკეთილი, ენამწარე!..  
საპირადოდ არ ჰყოლია  
არც მტერი და არც მოყვარე!..

„საზოგადოს მიმდევარი  
ივინყებდა კერძოს ხშირათ;  
ქვეყნის ღვინი ღვინად უჩნდა,  
ქვეყნის ჭირი სჭირდა ჭირად.

„ერთხელ მითხრა: „ცოლსა და შვილს  
მოვეკიდე იმ განზრახვით,  
რომ გავმაგრდე გასაჭირში  
აღერსით და მათი ნახვით.

„და, ხომ ხედავ, მადლობა ღმერთს,  
ამისრულდა ეს სურვილი,  
რალას მიზამს გარეთ მწარე,  
თუ შინ მელის რამე ტკბილი?“

„ასე გრძნობდა, ვით მოღვაწე  
უძლეველად თავის მგონი,  
მაგრამ ვაი, რომ სულ სხვაა  
ქვეყნის წესი და კანონი!

„უსამართლო, უკულმართი,  
რაც არ სურს, არ გაიგონებს!  
ან სულ გასრესს მის მეურჩეს  
და ან ბოლოს დაიმონებს.

„მამათქვენსაც ეს ხვდა წილათ  
იმ უსწორო ბრძოლა-ომში  
და ნიშანში ამოიღეს  
უსამართლოთ თვისვე ტომში.



„არყოფნა სჯობს მაშინ ყოფნას,  
როცა მეფობს მრუდე ძალა!“–  
ასე სთქვა და ცხოვრებას სულ  
მოეშორა, მოეცალა.

„მაგრამ როგორ, ჯერ არ ვიცით!  
მეტი რომ ვსთქვათ, არ გვაქვს ნება!  
ჯერ ეს იყოს, რაც გითხარით  
და მერე კი სხვაც იქნება“.

[1901 წ. 20 დეკემბრამდე]

## სიბერე

„დავბერდი, დავჩანანაკდი,  
წვერი შემექნა ჭალარა,  
შინ ცოლ-მვილს მოვძულეებივარ,  
ბატონს ვუნდებვარ აღარა!“

ესა სთქვა სიბრძნემ ხალხისამ,  
დრომაც ბეჭედი დაასო  
და ამ სიმართლემ მოხუცის  
გული კი ნაღვლით აავსო.

როგორც ზამთარი უცეცხლოდ,  
სიბერეც უსიყვარულოდ  
რა არის, თუ არ ღვთის რისხვა,  
სიცოცხლე უსიხარულოდ?

რას არგებს მოხუცს, რაც ძველად  
ჩაუნერია დავთრებში,  
რომ არც აქ არის, აღარც იქ, –  
არც ცოცხლებშია, არც მკვდრებში?

მოელის სულთამხუთავის  
საზარელ მოციქულობას,  
მაგრამ ძნელია მიჩვევა:  
გული არ იშლის გულობას!

და როცა ზოგჯერ ჩუმ-ჩუმად  
დაიწყებს ხოლმე ძგერასა,  
მოხუციც ცდილობს, შეჩოჩდეს,  
მოუჯდეს თბილსა კერასა.

მაგრამ ვინ მისცემს იქ ბინას?  
ცეცხლი სხვებისთვის ანთია  
და მოხუცისთვის კი მხოლოდ  
გულის დამწველი შანთია!

გამობრუნდება მოხუცი  
სასომიხდელი, გულმკვდარი,  
თან ელანდება წარსული,  
ვით უნაყოფო სიზმარი.

და უსინათლო ოცნებით  
იმშვიდებს გულის ძგერასა,  
როცა გულსაკლავ ღიმილით  
მოჰყვება ხოლმე მღერასა.

„დავბერდი, დავჩაჩანაკდი,  
წვერი შემექნა ჭალარა,  
შინ ცოლ-შვილს მოვძულეზივარ,  
ბატონს ვუნდებვარ აღარა“.

[1901]

## საპნის ბუშტები

ახალი გოგონა

„ლალი! ლალი!  
 თარი თურა ლალი!“  
 „ცოდვის-ფურცელს“ არევია  
 ცოდვით გზა და კვალი:  
 აშკარაზე გამოსულა,  
 როგორც ბოშა ქალი,  
 გუნიასი ადრინდელი  
 ნაცოლ-ნაქვრივალი;  
 ცემა-ტყეპით გაყიდული,  
 სხვებზედ განაცვალი,  
 თავმოხდილი, უღეჩაქო,  
 სისხლჭარბობით მთვრალი.  
 ბავშვებს ხელში ჩავარდნია,  
 ვაი მისი ბრალი!  
 „ლალი, ლალი:  
 „თარი თურა ლალი!“

მთავარსარდლად თავმომწონედ  
 იყორება „ლალი“,  
 ამფსონებიც შეუყრია,  
 სულ ტოლი და ცალი!  
 ხელში კეტით, თავში რეტით,  
 ზრდილობაზედ მწყრალი!  
 გულმანკიერ, მუცელმშიერ,  
 სურვილდაუმცხრალი!  
 „ლალი! ლალი!  
 თარი თურა ლალი!“

ქეიფს სწევენ, ხელს უმართავთ  
 სხვების ნასუფრალი:  
 „დანირული ხახვის მწვადი  
 და ლანძილი მყრალი“.

ლანძღვისა და ქორის გუდა  
 არის მათი ხმალი.  
 „ლალი! ლალი!  
 თარი თურა ლალი!“

ტოლუმბაშიც მისთანა ჰყავთ,  
 გამძვრალ-გამომძვრალი;  
 ღვინისფერად შეუღებავს  
 ორთაჭალის ნყალი,  
 რომ სულელებს თვალთმაქცობით  
 მოსჭრას ხოლმე თვალი.  
 თითონ კარგად სვამსა და სჭამს,  
 ვაი სხვების ბრალი,  
 დღიურ ლუკმას დაეძებენ,  
 მუცელ-ხახა-მშრალი!  
 „ლალი! ლალი!  
 თარი თურა ლალი!“

„ცოდვის-ფურცელს“ მათის ცოდვით  
 ეკარგება ძალი,  
 დატანტალობს აქეთ-იქით,  
 ძალზე ფერმიმხდალი,  
 მადლი არის, შეიბრაღეთ  
 გზაშემცდარი ქალი!  
 „ლალი! ლალი!  
 თარი თურა ლალი!“

[1901]

## გაოცება

მე რომ ვნახე, იმისთანა  
არ ნახულა სანახავი:  
ადვოკატი ძეხვსა სჭამდა,  
ვერ გააძრო მარჯვეთ ტყავი!

არა გჯერათ? გეფიცებით:  
ღმერთი!.. რჯული! ჯვარი! ხატი!  
სწორედ ჩემის თვალით ვნახე,  
ამისთანა ადვოკატი!

1901

## ჩემ თანამეკალმეს

მეც და შენც ჩვენს სამშობლოს  
ერთად ვემსახურებით.  
მე მიცნობენ წერიტა,  
შენ კი ისეც ყურებით.

. . . . .

[1901]

## ახირებული დასტური

ვაჟი: ქალო, ნეტავ, ჩვენი იყოს  
შენი შავი თვალები!..

ქალი: ბატონი ხართ, დამითმია  
თქვენთვის ჩემი ვალებიო.

ვაჟი: როდის მოგვცემ ნებას, რომ ჩვენ  
ვაკოცოთ მაგ ფართო ხალსო?

ქალი: როცა თვითონ მოგანოდებთ  
ჩემის ხელით ფორთოხალსო.

ვაჟი: ხელზე კოცნა რომ მოგვინდეს,  
რალას ბრძანებთ მაშინაო?

ქალი: ხელს მოგიშვერთ კარებისკენ! –  
ალარ ნახვალთ მაშინაო?!

[1901]



## ხორცი ქართველებს

ხორცი წყლით გაიბანება,  
სული კი მარტო სისხლითა...  
ამას გვიმტკიცებს გოლგოთა:  
ღმერთიც კი აღარ ისხლიტა...

თუკი რამ გამომახსნელად  
თვის სისხლს ანთხევდა ჯვარცმული,  
სამშობლოს სისხლის ნთხევაზე  
მე რაღათ დამწყდეს მამ გული!

ჩვენ ასი წელი გვბურავდა,  
გაგვზარდა კრულვა-წყევლითა,  
და რით გავსწმინდოთ ის ჩირქი,  
თუ არა სისხლის თხევითა.

ნუ ერიდებით სიკვდილსა,  
ყმანვილი, ნურცა მხცოვანი.  
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა  
სიკვდილი სახელოვანი“.

თქვენის სიკვდილით დაიხსნით  
მომმეთა დამონებულთა,  
სულით და ხორციით ას წლობით  
დაჩაგრულ-დაღონებულთა.

თუ არ მოითხოვთ, რას მოგცემთ  
დამმონებელი მონებსა.  
ნუ აჰყოლიხართ თქვენ იმათ,  
ვინც თავს კეთილად ჰგონებსა...

თქვენის სისხლით და ოფლითა  
ნაკვები, კმაყოფილია:  
უმცროს მოძმების სიმწარე  
იმათთვის მხოლოდ ტკბილია...

დასთხიეთ... სისხლი დასთხიეთ...  
ნუ დაუჯერებთ დიდებსა...  
ვერ გაიმაგრებთ უსისხლოდ  
თქვენ გზის გამყვანსა ხიდებსა.

გახსოვდესთ: თავისუფლება  
არ იყიდება ვერცხლითა...  
ხორცი წყლით გაიბანება  
და სული მარტო სისხლითა.

[1901]

## ილია და ელია

ილიამ უთხრა ელიას:  
„ძმები ვართ, ტყუპის ცალიო,  
წარსულიც ერთი გვექონია,  
ერთი გვაქვს მომავალიო.

„ნუ დაუფერებ წვერგრძელებს,  
რომ სხვადასხვა გვაქვს რჯულიო:  
ორივეს ერთი ღმერთი გვენამს  
და ქრისტე მოციქულიო.

„შვილი ვართ ერთის მინა-წყლის,  
ერთი გზით მიმავალიო;  
შენ ჩემი გმართებს, მე შენი,  
საისტორიო ვალიო!“

ელიამ უთხრა: „ეგ მხოლოდ  
სიტყვები არის კარგო,  
თორემ ერთი გზით ვერ ივლის  
ან ჩვენი საგზალ-ბარგო:

„შენა ხარ გულის ამყოლი,  
მე – კუჭის მიმდევარიო;  
არ ვიპატიუებ მტრებს სახლში,  
შენ კი ღია გაქვს კარიო“.

ელიამ უთხრა: „არ სტყუი,  
ჩემო ძმობილო, მაგასო:  
ყველგან შფოთია საქვეყნოდ,  
მშვიდობა – მხოლოდ ჰაგასო<sup>1</sup>

1 ჰაგასო – სადაც დიპლომატები საქვეყნო მშვიდობიანობაზე ბაასობენ (ავტ.)

„მაგრამ ჩვენ მაინც ის გვიჯობს,  
ერთად მოვიდეთ გონსაო,  
თორემ შურით და მტერობით  
ვერსად ვერ გავალთ ფონსაო.

„არ ვარგა გული უკუჭოდ  
და არც უგულოდ კუჭიო!  
უერთმანეთოდ ორივე  
დაღუპულია, ფუჭიო!“

[1902]

## ცოლქმრობა

შეყვარებულმა ლამაზმა  
შესჩივლა შუქურ-ვარსკვლავსა:  
„ალარ ვუნდებვარ ჩემს ქმარსა,  
სასთუმლად უდებს სხვებს მკლავსა“.

მნათობმა უთხრა: „ნუ გჯერა,  
რომ შენ გაგცვალოს სხვაზედა!  
ობოლი მარგალიტი ხარ  
მისთვის მთელს ხმელეთ-ზღვაზედა.“

„მაგრამ ადამის ნაშობი  
თვალხარბი, უმაძლარია;  
რომ მობეზრდება, ხანდახან  
მის პირში თაფლიც მწარია.“

„მე გეტყვი თვითონ ჩემს თავზედ,  
არ ვარ ჩვეული კვეხნისა,  
აქ, ცაში სწორუპოვარი  
სათაყვანო ვარ ქვეყნისა.“

„ჩემი კაშკაში, ციმციმი  
ყველასთვის სანატრელია,  
მაგრამ რომ სულ მე მიცქიროს,  
მინის შვილისთვის ძნელია.“

„და თვალს მარიდებს, შვენებას,  
ცისა და ქვეყნის საქებას,  
რომ გული გადააყოლოს  
მხრჩოლავს ჩირაღდან-ჭრაქებას“.

[1902]

## დედა-შვილი

შვილი შესთხოვდა მშობელსა:

„დედილო, გენაცვალეო,  
ვერ გამიგია ბევრი რამ,  
ამიხსენ... დამავალეო!

„ჩიტი რომ ბუდეს იკეთებს,  
მაშინ ჭიკჭიკობს, გალობსო!  
კაცი კი მაშინ იმღერის,  
როცა ღვინოს სვამს... მთვრალობსო“.

– „ეგ, შვილო, ღვინის ბრალია:  
ფრთებს ასხამს ადამიანსო  
და უგზო-უკვლოდ მიაფრენს  
გრძნობადაკარგულ ჭკვიანსო“.

– „პირუტყვი, როცა საზრდო აქვს,  
დასცხრება უწყინარიო,  
კაცი კი, რამდენს მეტს შოობს,  
მეტს ეძებს, უმადლარიო!“

– „ეგ, შვილო, გულის ბრალია:  
თავზე ადგია კუჭსაო,  
პირს რომ გაულებს უდროვოდ,  
მადასაც მოჰგვრის ფუჭსაო“.

– „ყოველი სული, სულდგმული,  
სჯერდება თვითოს რამესო,  
კაცი კი შურით შეჰყურებს  
სხვების ბედს და სიამესო“.

– „ეგ, შვილო, თვალის ბრალია:  
გულს უჩნიკინებს ხარბიო,  
შვილდ-ისრად მომართული აქვს  
სხვებისთვის წამწამ-წარბიო“.

–თუ მაგრე აცდენს სუყველა,  
კაცს არ ჰქონია ჭკუაო?“  
– „ზოგ-ზოგს აქვს ქვეყნად სამყოფი,  
ზეცასთან ყველა სტყუაო!..“

– „მამ, საბოლოოდ ბუნებამ  
კაცს – მეტყველს რაღა მისცაო!“  
– „გლახაკს და მეფეს თანსწორად  
სულ ერთი ადლი მიწაო!..“

[1902 ]

## ფუტკარი

(ფუძღვნი კნ. ამირეჯიბისას)

სხვებმა უმღერონ ვარდ-ბულბულს,  
ადიდონ ლომი ძლიერი;  
თვალ-მარგალიტით შეამკონ,  
შვენიერება ცბიერი.

სხვა არის ჩემი გალობის  
და ჩემის ჩანგის საგანი:  
პატარა ბუზი... ფუტკარი,  
იობის ჭიათაგანი.

ფუტკარო, ჩემო ფუტკარო,  
ბუზილავ, მოუსვენარო,  
უსამართლობით დევნილო,  
სამართლიანად მკბენარო!..

სიტკბოს რომ ეძებ სათაფლოს,  
მიტომ ხარ მოუსვენარი...  
და ვინც ხელს გიშლის შრომის დროს, –  
მხოლოდ იმისი მკბენარი.

მაგრამ ქვეყანა უძღები,  
განა დაეძებს სიმართლეს?  
ბნელს შენი სანთლით ინათებს  
და ბნელს ჰფენს შენსა სინათლეს.

შენ არ გიკარებს, თაფლს კი სჭამს,  
მშრომელის უმადურია...  
ოღონდ კი დასტკბეს, რას დასდევს,  
თუ სიტკბო სადაურია?!



და შენ კი, ჩემო ფუტკარო,  
არ უსმენ ქვეყნის ჭორებსა,  
ერთი უგნური რომ შეთხზავს  
და ასი იმეორებსა.

მაინც დაბზუი, დაფრინავ,  
არც იშლი დროზე კბენასა,  
ქვეყანას თაფლუჭს უმზადებ  
და სანთელს უნთებ ზენასა...

სარკე და სახე მგოსნობის,  
ემბლემაცა ხარ შრომისა, –  
შენათხზი სიყვარულისა  
და წმინდა გულისწყრომისა.

ფუტკარო, ჩემო ფუტკარო,  
იობის მატლო მცირეო!  
ჩანგი გთხოვს, მგოსნის სიტყვები  
მსხვერპლივით შეინირეო!..

[1902]

## ხალხური

ქრიშობისთვე ქურქს იკერავს,  
 ზედ გამოჭრილს ლარზედაო.  
 იანვარი ეცილება:  
 მეც მომასხი მხარზედაო!  
 თებერვალი თანახმაა,  
 მარტი დგება შარზედაო,  
 აპრილია გულმოსული:  
 მოგადგებით კარზედაო!  
 გაამზევეთ თქვენი ქურქი,  
 გადაჰკიდეთ სარზედაო.  
 მაისი თვალშევიერი  
 კაბას იცვამს ფერად-ფერსო,  
 თიბათვე გულს მოუქარგავს,  
 მკათათვე ღილს დააჭერსო,  
 მარიამობისთვე დასიცხავს,  
 გაუხუნებს ყვითლად ფერსო,  
 ენკენისთვე გააგრილებს,  
 დაუბრუნებს ყოლიფერსო,  
 ღვინობისთვე დააცივებს,  
 რთველში კათხას დაიჭერსო.  
 გიორგობისთვე ქორწილში  
 ეტყვის „მრავალჟამიერსო!“

[1902]

## ჩემს კალამს

კალამო, სანაღველთაფლო,  
ჩემო მახვილო და ფარო!  
სასაიდუმლო გულისა  
ხან სთქვი, ხან უნდა დაფარო

ის, რაც ჩემ გრძნობა-გონებას  
შეუთხზავს, შეუწონია  
და რაც ხანდახან გარეშეს  
ოცობოღია ჰგონია!

კალამო, სხვისგან მოძღვნილო,  
დაძმობის სანინდარი ხარ!  
ბევრს ეუბნები ამ ჩემს გულს,  
თუმც კი უსულო... მკვდარი ხარ.

ოქროს წყალში ხარ ნაბანი,  
შიგ გულად ჩასმულ თვლებითა...  
თილისმურ ძალით გონების  
და გრძნობის ამალღებითა.

ორგულო, მაგრამ ერთგულო,  
კალამო მახვილ-კვერთხოვო!  
თან უნდა ჩამყვე საფლავში,  
სოფელს რომ გამოვეთხოვო!

[1902]

## აღდგომა სოფელში

დიდი ხანია ჩვენს „მაცხოვარზე“  
 აღარ დაბმულა ძველი ფერხული  
 და „ქრისტე აღსდგა-გიხაროდენით“  
 არ გამაძლარა ჩვეულებერ გული.

ვითვალისწინებ ჩემს სიყმანვილეს,  
 ამ საყდრის გვერდით აფრთოვანებულს  
 და რომ ვადარებ იმ დროს და ამ დროს,  
 გადარჯულებულს და გახუნებულს,

გული მიკვდება და მაგონდება,  
 როგორც მხიბლავი ტკბილი სიზმარი,  
 ის წესრიგობა და ყოფაქცევა,  
 რითაც ცხოვრება იყო დამტკბარი.

ყოველ საუფლო დღეებზე ეს დღე  
 უტკბესი იყო!.. უნეტარესი!  
 მაღლი უფლისა სუფევდა ქვეყნად,  
 თვით ქრისტეს მიერ ჩამონაკვესი.

განთიადისას, მიმალვის წინათ,  
 ცისკრის ვარსკვლავი რომ იწყებს ბდლიალს  
 და ძონ-ლაჟვარდით შეფერადებულს  
 ციურ კამარას თვალში უყრის თვალს,

სწორეთ იმავ დროს ყველგან საყდრებზე,  
 სამახარობლო იკვროდა ზარი,  
 რომ აღსდგა მკვდრეთით მაცხოვარიო  
 და ახალ აღთქმას ეღება კარი!..

ამის გამგონეს, ერს თავმომნონეს,  
 ეკკლესიაზე მიეჩქარება,  
 თან მიაქვს რწმენა და სასოება  
 და იქ მოელის მას ნეტარება.

ლიტანიობენ, მხიარულობენ:  
 „ქრისიტი აღსდგაო“ და „ჭეშმარიტად!“  
 ის, ვინც ძველს აღთქმას და ახალსა სჯულს,  
 ციური სისხლი დაუდვა დვრიტად.

ყრმა და მოხუცი, ქალი და კაცი,  
 თვისი და სხვისი, მტერი, მოყვარე,  
 ყველა თანსწორად, გამსჭვალულია  
 ზენა გრძნობებით და მომღიმარე;

არც უფროსობა, არც უმცროსობა!  
 აქ არც მონაა და არც უფალი;  
 გაურჩეველად მაცხოვრის მიერ  
 შეაკავშირებს მათ ძალთაძალი.

ხელიხელ, მკლავზე გადახვეული  
 ქალი და კაცი, კაცი და ქალი,  
 ფერხულს უვლიან საყდრის გარშემო,  
 ხმაშენყობილად, ტკბილად მღერაღი.

ლოცვა, ლოცვა! – ეს როკვა-მღერაც,  
 ანდერძი წმინდა მამა-პაპების!  
 წინდი მომავლის და ქვაკუთხედი  
 თვითარსებობის და უკვდავების.

დღეს ველარ ვხედავთ ამ სანახავეებს,  
 თან წაუღია ჩაილულის წყალს  
 და ქართველობის ნიშანწყალიც კი  
 აღარ ეტყობა არც კაცს და არც ქალს:

ძველი ზრდილობის, დარბაისლობის,  
 გადასცდენია ხალხი გზა და კვალს,  
 ნაცვლად სიბრიყვე დ თავხედობა  
 ეჩხირებიან ეკლად ყურს და თვალს.

ტკბილ ქართულის ნილ „პრიშტი-პრუშტობენ“,  
 ერთიმეორის არა ესმით რა:  
 არც „ქრისტე აღსდგა“, არც „ჭემმარიტად“,  
 სულ სხვაგვარია მათი სიმღერა!..

ჰბედავ და გიკვირს: ეს რა ხალხია?!  
 სიდან მოსულა და სად მიდისო?  
 თუ, არის ბოშა ხალხი მასხარა,  
 ან რას თხოულობს, ან რას ჰყიდისო?!

აჰ, აღარ ეთქმის აქ „ქრისტე აღსდგა“  
 გადარჯულებულ გრძნობა-გულისთქმას  
 და მეც გავურბი ნაძალადევ დროს  
 გულდანყვეტილი!.. აღარ ვიღებ ხმას!

[1902]

თ[ავად] ი ორი დავით როსტომისძე

ერთი ბიძა და ძმისწული,  
ერთად მოვხვდით სამარეში,  
წერეთლები დამარხული.

ცხადი არის, ეს ყოფილა  
ღვთის ნება და ცის განგება,  
და ორივეს ერთად ვუთხრათ:  
“საუკუნო განსვენება.”

[1902]

## ქისა

ფული აჩუქეს ყმანვილებს  
 „საერთოდ მოიხმარეთო!  
 დახარჯეთ ნება-სურვილზედ,  
 გინდ წყალში გადაყარეთო!“

მადლობას სწირვენ უფროსებს  
 ბავშვები წრფელის გულითა,  
 ხტუნავენ, არ აკარებენ  
 ფეხს მიწას სიხარულითა:

„ამდენი ფული საკუთრად  
 ჯერ არ გვექონია ხელშიო,  
 ახლა კი ბევრ ნაკლს შევიმსებთ –  
 გავიმართებით წელშიო“.

შეკრბენ, შეუდგენ არჩევანს:  
 „როგორ დავხარჯოთ ფულიო,  
 რომ არ ეწყინოსთ უფროსებს  
 და ჩვენც ვიჯეროთ გულიო?“

„რადგან გვაკლია ბევრი რამ  
 და ვერ ვახერხებთ შველასო,  
 ამოვირჩიოთ მისთანა  
 ერთი, რომ სჯობდეს ყველასო.“

„ის შევიძინოთ ახლავე  
 საერთოდ, საზიაროდო  
 და დავსდვათ ამიერითგან  
 საშვილიშვილო წყაროდო!“



დასთანხმდნენ, ასასრულებლად  
პირობის ყველა მზად იყო,  
მაგრამ საგანი სურვილის  
კი მრავალგვარად გაიყო:

ერთმა სთქვა: „ბუშტი გავბეროთ,  
ჰაერში ვაფრიალოთ!“  
მეორემ: „ბურთი ვიყიდოთ,  
ვაგოროთ, ვატრიალოთ!“

მესამემ: „კაკლის ხეჭუჭი  
ხრიალა ვახრიალოთ!“  
მეოთხემ: „ნიგნი სჯობია –  
ანბანი შევისწავლოთ!“

ამან ესა სთქვა, იმან ის,  
ზოგს ეს უნდოდა, ზოგს ისა  
და, რომ ჰხედავდა, სიცილით  
იფხრინებოდა კი ქისა.

[1902]

## სიმღერა

მე შენ მიყვარდი ციურის გრძნობით,  
ვით პოეზია, როგორც ღვთაება,  
და შენს თვალებში მეხატებოდა  
სასუფეველი და უკვდავება!

ჭირში თუ ლხინში, ფხიზლად თუ ძილში  
მცველ-ანგელოზად მელანდებოდი,  
და ვით ხატის წინ წმინდა სანთელი,  
უბინო მსხვერპლად შენ წინ ვსდნებოდი.

უხმო-უსიტყვო გრძნობათა ლოცვა,  
საანგელოზოდ რომ ენთებოდა,  
ციურ მანანად, ნუგეშის ცრემლად,  
უჩინრად გულსვე მეწვეთებოდა.

მაგრამ ჯოჯოხეთს და ბოროტ სულებს  
არ ასვენებდა ციური ძალა  
და უკვდავების წმინდა წყაროში  
ჩაანვეთნვეთეს შხამი... სამსალა!

შენც შეგარყიეს... უსამართლობამ  
ულმართოდ გააქრო ტრფობის ლამპარი  
და მაშინ ბნელში დავრჩი მე ობლად,  
უსულ-უგულო და ცოცხალ-მკვდარი.

მაგრამ მიყვარხარ! მაინც მიყვარხარ,  
ვით პოეზია, როგორც ღვთაება,  
თუმც მაგ თვალებში ან სხვისთვის ბრწყინავს  
სასუფეველი და უკვდავება.

[1902]

## გარეწრობა

ნახევარი ღალატია  
 მტრების გამოქომაგება  
 და კერპობა-უსჯულობა  
 – კარგის გმობა, ავის ქება.

ეს არა აქვსთ შეგნებული  
 „კაჭკაჭელა“ ზოგიერთებს!..  
 რა ძნელია, როცა ვინმე  
 გულსა და კუჭს გაიერთებს?!

დღემდის გვარად გამეგონა  
 მეგრელებში დასელია,  
 დღეს კი, სადაც გავიხედე,  
 სუყოველგან დასელია.

სიბერის დროს მათს მოძღვრებას  
 უნებურად მოვჰკარ ყური.  
 ეტყობათ, რომ აღარ მოსწონთ  
 სოფლის პრასა-ნიახური!..

ქალაქ-ქალაქ იძახიან,  
 მარქსის ბუდე ქალაქია!  
 სოფლის მუშას ასს ერთი სჯობს  
 მზარეული, დალაქია.

აღარც ხვნა და აღარაც თესვა,  
 აღარც მკა და არც ყანები!  
 ვითომც ჩვენშიც ინგლისია,  
 ქარხანები!.. ქარხანები!!

მომეწონა მათი აზრი,  
 კარგი არის მათი მცნება!..  
 მაგრამ ჩვენთვის ჯერჯერობით  
 უნდა იყოს კი ოცნება!..

თავ-თავისი დრო აქვს ყველას,  
 ბუნებრივი, შესაფერი  
 და ვინ არევეს ერთმანეთში  
 თუ არ ვინმე თავის მტერი?

შემოდგომას – ხვნა და თესვა,  
 ზაფხულში კი – მკა ქებულა,  
 და თუ მუშას არ სცოდნია,  
 ეს მასხარად აგდებულა!

დედამინა მიტომ ჰქვია  
 ხმელეთს რომ ჰშობს, ქვეყნის ძალას!  
 ვინც გაურბის, ეძახიან  
 ბოგანოს და მანანნალას.

და მეც მიტომ თანავეუგრძნობ  
 იმ შინაკაცს, გურულ სოფლელს,  
 პასუხი რომ მოჭრით უთხრა  
 გადამარქსულ ვითომ დასელს.

„გურულმა სთქვა, სხვა ქვეყნები  
 მოვიარე, მომეწონა,  
 მაგრამ მაინც ჩვენი ქვეყნის  
 მოშორებამ დამალონა!“

გაეცინა დასელს და სთქვა:  
 „ეგ სიტყვაა უთავბოლო!..  
 კაცი სადაც კუჭს გაიძლებს,  
 იქ ექნება მას სამშობლო“.

სოფლელმა რომ ყური მოჰკრა,  
თავის ქნევით უპასუხა:  
„აგრე ფიქრობს თურმე ღორიც  
და სამშობლოდ სწამს მას მუხა.

ველურ ჯიშის ღორი მყავდა,  
ერთხელ ტყეში გამეპარა,  
მუხა ნახა, რკო იგემა  
და შინ აღარ მომეკარა.

დამინუნა, მაგრამ ბედმა  
გარე ლუკმა ჩააშხამა:  
მართალია, მსუქნად იყო,  
მაგრამ მგელმა კი შესჭამა!

ჩემ სახლში რომ ყოფილიყო,  
რა უჭირდა სასიკვდილო?  
და ამას მე მიტომ ვამბობ,  
რომ სხვა მაინც გავაფრთხილო!“

მოდო ახლა და ნუ იტყვი,  
რომ ჭკუაა მასპინძელი...  
და სწავლა კი სტუმარია,  
შინ სამოყვროდ ცოტა ძნელი.

თუ რომ სტუმარს მასპინძელმა  
ვერ გაულო სახლის კარი,  
გაბრუნდება, სხვისას მივა,  
როგორც ძმა და მეგობარი!

[1902]

## ოცნება

ბულბული რომ კოკობ ვარდზე  
დაჭიკჭიკობს და ფრთქიალებს  
და ნამიერ ტრფიალებას  
მთელ სიცოცხლეს ანაცვალებს,

დამინახავს აგზნებული!  
მეც მომიკრავს შორით ყური...  
და იმ ვარდის, უნებურად,  
შემპარვია გულში შური.

მაშინ თურმე ჩემი გულიც  
დაეძებდა სიყვარულსა...  
სიყმანვილის გაზაფხული  
მოელოდა სხვა ბულბულსა.

გაჰქრა ის დრო!.. გადავიდა  
სიყმანვილე!.. მიმეფარა,  
მაგრამ შური ვარდ-ბულბულის  
დღეს ისევ გულს შეეპარა.

ვარდს შევჰყურებ, ბულბულს ვისმენ  
გულნაკლული, ვით ობოლი.  
ბულბულია ბონაჩიჩი  
და ვარდი კი – მისი ცოლი.

[1902]

## შეყვარებული დემონი და მტირალი ანგელოსი

I

თუ არ მაცდუნებს ოცნების სიტკბო  
და რაც მგონია, ის მართალია,  
ვინ არ იწამოს, რომ სიყვარული  
სააღმაფრენო ძალთაძალია!

მე ურჩი ზეცის და ანგელოსთა,  
მეტოქე ალი, შეუპოვარი,  
ვითვალისწინებ მინის შვილს უფლად,  
როგორც მსახური და მათხოვარი.

მისთვის უძღვნია ცა და ქვეყანას,  
რაც საგვირგვინო რამ კი ჰქონია  
და რაც მომაკვდავს სხვას აქამომდე  
მხოლოდ სახელით გაუგონია.

მთიებთა შუქი, ენა ბულბულის,  
ვარდის ელფერი და სუნნელება –  
შეუთხზავს ერთად და მოუქარგავს  
ზედ სიყვარული და განახლება.

ვხედავ და, როგორც ერთხელ პირველქმნილს,  
ისევ მელება სამოთხის კარი!..  
და უცნაური ვინ არს ეს ძალი?  
სიყვარულია წმინდა!.. თამარი!

II

ნათლის სვეტზე, სხივის კიბით,  
ციურ მადლით მომღიმარე,  
გადმოეშვა ანგელოსი  
შუქმომოფენი, ფრთებელვარე.

დაინახა ქვეყნის ტანჯვა,  
მწარე კვნესა მოისმინა;  
თანაგრძნობის სიბრალულმა  
აიტანა... მოიწყინა.

სთქვა: „უფალო! ეს ქვეყანა  
თვით უბინოს წილხვედრია;  
შენს მოსავს და მავედრებელს  
ცრემლიც ბევრი დაუღვრია.

„სასოებად და ნუგეშად  
გულში ედვათ წმინდა მცნება,  
დღეს კი ხელში შერჩენია  
მხოლოდ ლანდი და ოცნება.

„მეუფეო, მე ცრემლებს ვღვრი  
და ხარხარებს ბელზებელი;  
მასთან ერთად მხიარულობს  
თვით იუდა გამცემელი,

„ვინც შენივე სახელითა  
აბნელებს და ჰბილწავს ნათელს,  
სასოებას უკარგავს ერს,  
ტკბილში ურევს შხამს და ნაღველს.

„ორთა ერთა მოლაღატე  
გაიძვერობს ზეცის მტერი!  
ოჰ, უფალო, განსაცდლისგან,  
ვით ქირისგან, იხსენ ერი!..“

[1902]



## ვაჭრული ჭკუა

(ხუმრობა)

ბედმა მისცა ერთ ვაჭარს  
ისეთი კარგი ცოლი,  
რომ სხვა აღარ ყოფილა  
მისი ცალი და ტოლი:

თვალტანადი, ლამაზი,  
ქმარშვილის მოყვარული!..  
როგორც დიასახლისმა,  
ოჯახს ჩაუდგა სული.

სიხარბით შენატროდა  
მის ქმარს მთელი ქვეყანა:  
„ქალი უნდა ოჯახში  
სწორედო ამისთანა!“

ქმარსაც, ამის გამგონეს,  
თავი მოჰქონდა დიდად;  
ცოლი ეგულებოდა  
ცხოვრების გზად და ხიდად.

აფასებდა, ეტრფოდა,  
ია და ვარდს უფენდა,  
დათაფლული სიტყვებით  
ცოცხლად სულში იძვრენდა.

ამბობდა: ერთ რამედ ღირს  
ამის „ყაირათიო“  
და მეც ამისთვის უნდა,  
დღე და ღამე ვათიო.

რომ ჩავაცვა-დავხურო,  
 „კლოკში გამოვახვიო“,  
 კარგადაც ვასვა-ვაჭამო  
 სულ „თალიში ხახვიო“.

ამას კი ვენაცვალე,  
 არ ერგება განაო?  
 ოჯახში შემოვიდა,  
 ფეხიც მომიტანაო!

ერთი სიტყვით, ვაჭარი  
 აღარ ზოგავს არაფერს,  
 სიმართლით „თვალს უყენებს  
 შინ მოყვარეს, გარედ მტერს“.

ყველგან, როგორც ობობას,  
 ქსელები აქვს გაბმული;  
 ხალხს ბუზებივით იჭერს  
 და არ უძლება გული.

სადაც კი ხელს მიანვდენს,  
 ყველგან ეპოტინება,  
 და ქვეყანა რომ სტირის,  
 არ ესმის!.. ეცინება!..

მაგრამ ეს ცრუ სოფელი  
 დიდხანს ვის შერჩენია?  
 ის ტკბილად არ მოიმკის,  
 რაც კი ღვთის სანყენია.

ამ ჩვენ დიდ ვაჟბატონსაც  
 გადაუბრუნდა ფეხი  
 და კინალამ დაატყდა  
 თავზე რისხვა და მეხი.

ერთხელ ველარ აილო  
„პრავიანტის იჯარა“,  
ანგარიშში მოსტყუვდა,  
ენყინა და იჯავრა.

სთქვა: ეს რა მომივიდა?  
აფსუს რუსის ფულეზო!..  
სხვას ამგვარ სახეიროს  
რალას შევიგულეზო?

ცოლმა უთხრა, ნუ ჯავრობ,  
ღმერთი მონყალეაო!“  
ვენაცვალე, ჯერ ჩვენთვის  
არრა დაუკლიაო.

მე წავალ, აღთქმაცა მაქვს,  
მოვილოცავ თელეთსო;  
თუ ღმერთს უნდა, ჩაგიგდებს  
ხელში ზღვა და ხმელეთსო.

ქმარს იამა ეს რჩევა,  
სევდა გადაეყარა..  
ცოლმა კი, ფეხშიშველმა,  
თელეთი მოიარა.

თუმც კი ეს სალოცავი  
იაფად არ დაუჯდა:  
სასიკვდილო ანთება  
შიგ გულ-ბოყვში გაუჯდა.

დაუძახეს ექიმებს,  
მაგრამ მისთანა – თქვენს მტერს!..  
მოსარჩენს, სასიკეთოს  
ვერ ატყობენ ვერაფერს.

დალონდა ამბარცუმა:  
 ეს რა მემართებაო,  
 რომ წყეული ანთება  
 მეც არ მემართებაო!

ეს მოკვდეს და მე დავრჩე,  
 რა სამართალიაო?  
 ვინ სთქვა: კაცის მორჩენა  
 ექიმს შეუძლიაო?

ტყვილად ტყავი გამაძვრეს,  
 სნეულს კი ვერ არგესო  
 და მით ღვთისა და კაცის  
 ნდობა დამიკარგესო.

რათ არ მითხრეს, მორჩენა  
 რომ არ შეიძლებაო?  
 ახლა ვინლა ვიტყვო:  
 ცოლი თუ შეძლებაო?

ორ ცეცხლშუა, საბრალო,  
 უნუგეშოდ ინვოდა;  
 თავს ქვა და ლოდს ახლიდა,  
 რა ექნა, არ იცოდა.

ამ დროს გაჩნდა ტერტერა,  
 უთხრა: რასა სწუხარო?  
 ღმერთს ბევრი შეუძლია,  
 უიმედო ნუ ხარო!

კარგი ცხენი რომა გყავს,  
 „ვალში აღებულო“,  
 გაჰყიდე და, რაც მოგცენ,  
 ღმერთს შესწირე ფულიო.

დაეთანხმა ამბარცუმ,  
 აღთქმა დაუდგა უფალს,  
 და მართლაც, მომაკვდავი  
 გამობრუნდა... ახელს თვალს.

მორჩა ... ფეხზე წამოდგა,  
 რომ არავის ეგონა  
 მაგრამ ქმარი ახლა კი  
 სხვა ჯავრმა დაალონა.

ფიქრობს, ეს რა მივქარე! –  
 რად დავკარგე ცხენიო?  
 თურმე თავისთავადაც  
 გადივლიდა სენიო.

ტერტერამ შემაცდინა,  
 ჭკუა დამიბნიაო,  
 ღმერთს ხომ მარხვა და ლოცვა  
 ყველას ურჩევნიაო?

და მაშ ცხენი რად უნდა?  
 ჩემთვისვე ვიგულებო.  
 ღმერთს კი ლოცვას შევსწირავ,  
 თანაც ვიმარხულებო.

ეს რომ გულში გაივლო,  
 საქმე ისევ ნაუხდა,  
 ხელმეორედ საშიშრად  
 ცოლი ავად გაუხდა.

მაშინ კი სთქვა, გარისხდა  
 ღმერთი, ვენაცვალეო,  
 ნუ მომკითხავს და აღთქმას  
 ავუსრულებ მალეო!

გავყიდი, ფულად ვაქციე  
 იმ ჩემ ბედაურსაო  
 და ღმერთს კი არ დავაკლებ  
 მე არც ერთ შაურსაო.

გადმოიყვანა ცხენი,  
 თუმც ბევრი კი იტირა,  
 და მასთან ერთად კატაც  
 ცალ ხელში დაიჭირა.

გავიდა მოედანზე,  
 შეუდგა ღვთის სამსახურს...  
 მაგრამ აქაც „არა სწავს  
 არც მწვადსა და არც შამფურს“.

რომ ჰკითხეს ცხენის ფასი,  
 დააფასა შაურად.  
 თან კი ერთიც პირობა  
 დაუდვა უცნაურად.

რადგან ცალკე არ ვყიდი  
 უკატოდ ბედაურსო,  
 კატაც იმან იყიდოს,  
 ვისაც ის ცხენი ჰსურსო!

უპასუხა: მაშ კარგი,  
 კატას რას სდებ ფასსაო?  
 –არც მეტსა და არც ნაკლებს,  
 მანეთს ორჯერ ასსაო.

–კაცო, ეი, რას ამბობ?  
 შეშლილი ხარ, მგონიო:  
 კატის მაგდენის ფასის  
 ვინ არის გამგონიო?

– შაურად რომ ცხენს ჰყიდდნენ,  
განა კი გინახავსო?  
თუ ეს ერთი კი მოგწონსთ,  
მეორეს რას მძრახავთო?

კატა თუ გექვირებათ,  
ცხენი იაფიაო,  
„ბარი-ბარში“ გამოოდის,  
ჩემი ქეიფიაო.

გაეცინათ მყიდველებს:  
რა კაცი ყოფილაო?!  
თავისნათქვამი არის,  
ჩვენ კი გაგვანბილაო.

სულ ერთია, ეს ცხენიც  
ოცად განა არ ღირსო?  
მოდის, კატაც ვიყიდოთ,  
ნუ გავუტეხთ ჩვენც პირსო.

ზედ ნადებ კატის ფასად,  
მიცეს ოცი თუმანი  
და ვაჭარს აუსრულეს  
განზრახვა და „გუმანი“.

კატის ფასი თავისსა  
სასარგებლოდ გადასდვა.  
და ცხენში რაც აიღო,  
ის კი უფალს მიართვა.

ამგვარად მან ვითომდა  
პირობა აასრულა.  
და ისიც გაამართლა,  
რაც ხალხში სიტყვა თქმულა:

„ნიჭით თუ მოხერხებით,  
განთქმულია ბერძენი,  
ურიაც ნაქებია,  
როგორც მხნე და შემძენი.

მაგრამ სულ სხვაგვარია  
სომხის ხერხი და ჭკუა:  
დახეთ, გაჭირვების დროს  
ღმერთიც კი მოატყუა!“

[1902]



## გამოსათხოვარი

უანგარო მეგობრობა  
და უბიწო სიყვარული,  
როცა სული სულში ძვრება  
და ერთდება გულთან გული, –

ცის ნიჭია, საამქვეყნოდ  
მონაშუქი წმინდა მცნებად!  
მგოსნის გულის, გამსჭვალულის,  
სამკურნალოდ და ოცნებად.

და ნეტაი იმ მიწის შვილს,  
ვინც შეიგნებს ამ ციურ ძალს  
და დაუდებს თავს სამსხვერპლოდ,  
უკვდავების ვით იდეალს!

მაგრძნობინა მე ეს შენმა  
სულიერმა ნარნარებამ,  
აღმაფრინა ქვეყნით ზეცად  
სასუფევლის ნეტარებამ.

რომ იქ, შენგან შორს, ვილოცო,  
ზეცას მუხლი მოვუყარო,  
და მხოლოდ შენ სანილხვედრო  
მსხვერპლად ცრემლი გადმოვღვარო.

მაშინ ყველა გამოიცნობს  
საიდუმლოს დაფარულსა:  
„უბიწო და უანგარო  
მეგობრობა—სიყვარულსა!“

1902 წ. 4 ნოემბერი, ტფილისი

## ნუ მეტრფი

ნუ მეტრფი ქალწულს, ჭაბუკო,  
ნუ ამბობ „შემიყვარეო“,  
ჯერ შენ მიჩვენე გმირობა,  
ქვეყანა ანეტარეო.

დაჩაგრულ მოძმეთ მიჰხედე,  
სიცოცხლე გამიმწარეო,  
და მერე ჩემი მშვენება  
მალამოდ მოიხმარეო.

[1903 წ. 22 იანვრამდე]

## ღამის თევა

(ფუძღვნი პატარა თამარ-თინას)

მამა-პაპის ჩვეულება:  
„ღამის თევა“ და „მზე შინა“  
მოგვაგონდა და გულს დაგულს,  
ია-ვარდათ მოგვეფინა.

მზის სხივების ანარეკლო,  
შუქმლელვარე თინათინა,  
უსახელო, სასახელო,  
ათინავ და თამარ-თინა!

სად ყოფილხარ? სად მოსულხარ?  
საუკუნო სად გაქვს ბინა,  
თითის სიგრძე მოგზაურო,  
გამოცანავ, პანანინა?

მაგრამ ეს რომ გამოვიცნოთ,  
ან შენ ვინა? ან ჩვენ ვინა?  
მხოლოდ გვრწამს და აღვიარებთ,  
ვინც საჩვენოდ მოგავლინა.

„იყავნ ნება მისი ყველგან,  
ქვეყნადაც და ცათა შინა!“  
მას დიდება ძალთა შორის,  
ჩვენ – „მზე შინა“, შენ – „ნანინა“.

ნუგეშო და სიხარულო  
დედ-მამისავ, პანანინა,  
გაიზარდე, მომავალო,  
ათინავ და თამარ-თინა!

[1903 წ. 1 აგვისტომდე]

## ჩაისა და ღვინის ბაასი

ჩაი და ღვინო გაჯიბრდენ,  
 ზმებით დაიწყეს კამათი:  
 საქვეყნოდ გამოდიოდა  
 სიტყვა-პასუხი ამათი.

ულვაშაპრებილ ნუნუას  
 დოინჯი შემოეყარა;  
 ყურთმაჯებგადაგდებული  
 თავს იწონებდა მკვებარა.

მას გვერდში ამოსდგომოდა  
 მდულარე ჩაი, წყალწყალა.  
 იბერებოდა ტიკივით,  
 არც ღონე ჰქონდა, არც ძალა.

თავი კი მაინც მოჰქონდა:  
 „უნყინარი ვარ, ტკბილიო;  
 თან განათლებას მოვჰყევი,  
 უცხო ქვეყნის ვარ შვილიო“.

ერთმანეთს უკიჟინებდნენ:  
 „ჩამოდექ!.. გზა და განიო!..  
 ჩვენში ვინც სჯობდეს, მას დარჩეს  
 ბურთი და მოედანიო!

გადიხარხარა ნუნუამ,  
 რაები მესმის ესაო?!  
 მისი ოჯახი დაიქცეს,  
 ვინც ჩვენში ჩამოგთესაო!

მოსულხარ ბრიყვი ქვეყნიდან,  
 სიბრიყვე თანვე გდევსაო,  
 ვინ ნახა ნაცარქექია,  
 რომ შეეჭიდა დევსაო?!

„ვინ შენ და ვინ მე? სად ღვინო  
და სად ნადული წყალიო?!  
დიდს და პატარას თანსწორად  
ჩემზედ უჭირავს თვალიო.

არც ლხინი ვარგა უჩემოდ,  
არც ჭირი ითქმის ჭირადო;  
შენ ვინ გახსენებს, არც ერთგან  
არ ღირხარ დამპალ ჩირადო!

„ნოესგან გამოგონებულს,  
ზედაშეს მეძახიანო;  
სუფრაზე ფეხს რომ შემოვდგამ,  
შენ გაგირბიან... ფრთხიანო!..

ვარ ჭირისუფლის ნუგეში,  
დამშუშებელი წყლულისო  
და მკვდრების შესანდობარი,  
მოსახსენებლად სულისო.

„შენ კი არც ღვთის ხარ, არც კაცის,  
უბრალო ჩვეულებაო,  
და შენი თავიც უშაქროდ  
არავის ეტკბილებაო.

„ფეხს ნუ წამოჰყოფ კუსავით,  
ჩემთან ნუ მოგაქვს თავიო!  
საწუნკარი ხარ ბავშვების,  
სნეულის საწრუპავიო!“

პასუხი მისცა ჩაიმაც:  
„გულფიცხო, მეტიჩარაო!  
გაჩუმდი, მეტს ნუ ტრაბახობ!  
რაც გითქვამს, ისიც კმარაო.

„კარგი რაცა გჭირს, რომ ამბობ,  
სიცუდეს რაღად ჰმალამო?  
ხანდახან სანამლავიც ხარ,  
განა ყოველთვის მალამო?

ის აღარა ხარ, რაც იყავ,  
სად გაქვს სინმინდე ძველიო?  
ეშმაკმა, ქვეყნის სავნებლად,  
მაგრად ჩაგკიდა ხელიო.

„არ იცი მოყვრის გატანა:  
– ვაი შენს გადამკიდესო. –  
ვინც მოგენდობა, გასწირავ,  
მიგყავს უფსკრულის კიდესო.

„შეეპარები ნელ-ტკბილად  
ყმანვილებს თავმომწონესო;  
ბრძენს ჭკუას დააკარგვინებ  
და ვაჟკაცს მიხდი ღონესო.

„მჭევრმეტყველს ენას დაუბამ,  
დაანყებინებ ბოდვასო.  
უნყინარსა და ღვთისნიერს,  
ჩაადენინებ ცოდვასო.

„თავდაღერილი დადიხარ,  
ავ-კარგის გაურჩევლადო;  
თან დაგდევს ჭინჭყლი და ჩხუბი,  
სისხლის და ცრემლის მთხველადო.

„მე რაც ვარ, ჰხედავს ქვეყანა...  
ჩუმი და უწყინარიო;  
ჭირში თუ ლხინში, ყოველგან  
ყველასთვის მოსახმარიო.

„თუმც შენოდენი სახელი  
არა მაქვს შენდა სწორადო,  
მაგრამ მე მომკითხავები  
მეტი მყავს ერთიორადო.

„ვერ ატყობ? მრჩება თანდათან  
ბურთი და მოედანიო! –  
დროს შესაფერი აღარ ხარ,  
დამითმე გზა და განიო!“

ამოიოხრა ნუნუამ:  
„მტერს კი დაუდგეს თვალიო!  
გამრუდდა სასწორ-საზომი!  
სადღაა სამართალიო!

„მართლა რომ „დრონი მეფობენ“,  
თორემ სად იყავ ძველადო?  
ვინ გახსენებდა, ნყალწყალავ,  
სარეცხად ან სასმელადო!

„დროს შევესწარით უკუღმართს  
,გვებნევა გზა და კვალიო,  
რაც რომ კარგია, ველარ სჭრის,  
ცუდსა აქვს გასავალიო.

„შებლალეს ყურძნის სინმინდე  
და ჩვეულებაც ძველიო,  
გოგირდით, შაბიამანით  
ინამვლის, როგორც გველიო.

„ნანამლი ღვინო კეთილად  
აბა ვის შეერგებაო?  
მაგრამ ჭკუასაც ახლანდელს  
ბევრი არ გაეგებაო.

„მოუნამლავი არ დარჩათ  
 არც გრძნობა, აღარც ჭკუაო.  
 „ბუზიცა ბზუის – ამბობენ, –  
 მაგრამ ფუტკართან სტყუაო!“

„ვიციტ და არა ვიციტ რა...  
 ვართ და... სულ არაფერიო,  
 მოყვარე მტერი გვგონია,  
 მოყვრად მივიღეთ მტერიო.

„ფერი ფერსა და მადლი ღმერთს“,  
 ხარ შენც დროს შესაფერიო!  
 მაგრამ, მრწამს, ქარი წაგიღებს,  
 ხარ ქარის მონაბერიო“.

ცხენი მზად ჰყავდა კაზმული  
 გაბედვით სიმართლის მთქმელსა,  
 სთქვა და გაშორდა გულცივად  
 გაბატონებულ სასმელსა.

[1903 ]



## შვილის დამკარგავს ორსულ დედას

(ნიცას)

შეგნიშნე ცრემლი ობოლი,  
ნამნამზე გეკიდებოდა;  
გამოქცეოდა სახმილსა,  
გულში რომ გეკიდებოდა.

აშვიდფერებდა მარგალიტს,  
ვით ცისარტყელას მხიბლავსა;  
შიგ იხატავდა აკვანსა  
ახალს... და ძველსა საფლავსა.

მოსწყდა კურცხალი მთრთოლვარე,  
ვერ სძლია გრძნობის გრიგალსა,  
სპეტაკ გულ-მკერდზე დაეცა,  
შეაშრა ბროლის ფიქალსა.

თანაც ღიმილის ჭიატმა  
შენ სახეს უსხივცისკარა  
და მაზედ გრძნობა ორჭოფი  
შუქურად აამლეღვარა.

მაშინ კი მიხვდა მგოსანიც,  
თუ რას ნიშნავდა ღიმილი,  
რა იყო ცრემლი ობოლი  
და ან რად გწვავდა სახმილი?

იგლოვდი სისხლ-ხორცს დაკარგულს,  
შესტროფოდი თანვე მომავალს  
და სავსე სარწმუნოებით,  
იხდიდი სოფლის სესხს და ვალს.

ამბობდი: „ყოვლად ძლიერო,  
ნმინდა არს ნება შენიო!  
სიკვდილით ჰბადებ სიცოცხლეს,  
თვით ბნელზე ნათლის მფენიო“.

[1903]

## ამაოება

შედარებით თუ არა,  
კაცი ყველა ერთია,  
არც დიდი, არც პატარა...  
დიდი მხოლოდ ღმერთია.

შენ მე მჯობნი, მე – იმას  
და მე კიდევ – სხვა ვინმე.  
ის მაღლაა, ეს დაბლა,  
ხან უკან ვარ, ხან წინ მე.

ბრუნავს ჩარხი ცხოვრების  
ხან უკულმა, ხან წალმა;  
დღეს სხვა ვართ და ხვალ სულ სხვა!  
ხან ბატონი და ხან ყმა.

ხან ისე ვართ, ხან ასე!  
ხან კარგად, ხან ავადა,  
ვერც ვტირით, ვერც ვიციანით  
ჩვენით, ჩვენდა თავადა!

მაშ, რაღა გვადიდგულებს,  
თუ არრა გვაბადია?  
გარდა შემოქმედისა,  
ყველა ცვალებადია!

ვსთქვათ, სამსონ ძლიერი ვართ,  
დღეს სიცოცხლით აღვსილი,  
გვიკებენს პატარა მწერი, –  
გავქრებით ვით აჩრდილი!

ან სოლომონ ბრძენი ვართ,  
ქვეყნად სწორუპოვარი, –  
ერთის სულის შებერვით  
ჰქრება ჩვენი ლამპარი.

დღეს რომ მშვენიერებით  
იოსებს ვედარებით,  
ხვალ ეგებ სანახავად  
მტერსაც შევეზარებით.

უცვლელი, საუკუნო  
ქვეყნად არაფერია!  
ბედის წიგნში განგებას  
ასე ჩაუნერია.

[1903]

### გამოთხოვება

ის გიყვარდეს, ვინც რომ გიყვარს!..  
 შეგაბეროს ღმერთმა იმას!..  
 კმარა, დღემდის რაც დასცინე  
 ჩემს სიყვარულს და გულისთქმას..

პოეტურმა აღმაფრენამ,  
 საოცნებოდ გამოგხატა!..  
 რა ვიცოდი, რომ მე – თავგი  
 და შენ იყავ თურმე კატა!

ჩემთვის – კატა და მისთვის კი –  
 საიდუმლო გვრიტ-ბულბული;  
 მისთვის – თაფლი და მალამო,  
 ჩემთვის – ნალველგადასხმული.

არ გამტყუნებ! სად მე? სად ის?  
 ის ღირსია და მე – არა!..  
 მაგრამ მაინც დაცინებამ  
 გულში ცეცხლად დამიარა.

და ცოცხალ-მკვდარს ცხოვრებისთვის  
 ეს ნატვრალა დამრჩენია:  
 თქვენ – სამოთხე ქვეყნიური!..  
 მე – ცეცხლი და გენია!

[1903]

## ვირი და სოფლელი

სოფლის კაცმა ბოსტანი,  
გაიკეთა კარგი რამ;  
ამოვიდა ნათესი,  
გაიხარა კი, მაგრამ

შეეჩვიენ ჩიტები,  
აღარ აძლევდენ საშველს  
და აოხრებდენ ბოსტანს...  
გულს უნუხებდენ სოფლელს.

პატრონმა რომ თავიდან,  
აიციდინოს ეს ქირი,  
დააყენა მეველედ  
ბოსტანში ერთი ვირი.

პატიოსნებით სავსე,  
საიმედო, ერთგული,  
დღე და ღამის გამტეხი,  
შრომაგამალეზული.

არც არას გამოორჩება,  
არც სხვას რასმეს გაატანს!..  
პირსაც ვერავინ ახლებს  
ვერც ფოთოლსა და ვერც კანს.

ხან წაღმა, ხან უკუღმა  
გააქვს ბრიგინ-ბრიგინი:  
დააფრთხო ფრინველები,  
ამოიყარა ჟინი.

შრომა-მეცადინობით  
 გაატარა ზაფხული,  
 მაგრამ ერთგულობით კი  
 პატრონს მოუკლა გული:

დასტკეპნა ყველაფერი,  
 სადღაა მოსავალი?  
 და დარჩა ყველგან მხოლოდ,  
 მარტო იმ ვირის კვალი.

ეს რომ პატრონმა ნახა,  
 მთლად სისხლი აემღვრია  
 და ერთგულ ვირს მან ჟვერი  
 ზურგზე გადაამტვრია.

ახიც იყო იმაზე!..  
 აბა, ხელი რად მიჰყო  
 ბრიყვმა, რაც მისი ჭკუის  
 შესაფერი არ იყო?

მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ:  
 ვირი ხომ მტყუანია!..  
 ისიც კი მოივირებს,  
 ვისაც აუყვანია.

[1903]

\* \* \*

დევთა შორის ჯუჯა დადის,  
ხმას არ იღებს, არ წივისა...  
თქვენ მომკალით, თუ რომ მაგან  
კვერცი დადვას არწივისა!

[1903]

\* \* \*

ერთს გაზეთში კაჩა  
კრიტიკოსად ჩარჩა,  
ჯორი რაც უნდა კრიჭოთ,  
არ გახდება ბაჩა!

[1903]



## პასუხად ბეჟანს

ტყვილა აგდებ სიტყვებს ბანზე!  
ვის წინ გადადიხარ მაღაყს?  
ყველა გიცნობს, რაც შვილი ხარ,  
ქვეყნის ჯოგის ბერ-კვიც უღაყს!..

მამაშენმაც კი იცოდა,  
რაშიც იყო შენი კვალი  
და რძალიც რომ გააფრთხილა,  
მოიხადა მისი ვალი!

ერთხანს ცოლმა შეგაჩერა,  
როგორც იქნა, დაგაკავა,  
მაგრამ ბოლოს მოგაგონდა  
მაინც ძველი ღუმა-გავა.

და ერიჰა! გაიპარე  
სხვის ჯოგებში ხვიხვინითა;  
ვითომ საოჯახო საქმე  
მიგინვევდა დიდი ხნითა!

შინ ლამაზ ცოლს ატყუებდი,  
გარეთ – სხვისას, უფრო მდარეს,  
შენს ცოლს ვარსკვლავს უძახოდი,  
სხვისას ჩუმათ – მზე და მთვარეს,

იძახოდი: „ცოლს ვაფასებ!  
არვინ არის მისი წონა!!“  
მაგრამ აწევ-დასაწევად  
ხელში გეპყრა უფრო სონა.

ლოცვილობდი: „ცოლის ღალატს  
 ნუ მომკითხავ, მაცხოვარო!“  
 მაშინ, როცა შენთან ერთად  
 ...მუხლს იყრიდა ფუნჩა-მარო.

ქუთაისში გაბოდებდა,  
 იძახოდი: „ნიცა! ნიცა!“  
 და მის ნაცვლად ნუგეშს გცემდა  
 ერთი ვიღაც ბულოჩნიცა!

თავს იწონებ, სიბერის დროს  
 რომ გაგიჩნდა სახლში თინა?  
 და გარეთაც მოიკითხე  
 ას-ასობით თამარ-თინა!.

ჰაი! ჰაი! გიცნობ, პლუტო,  
 ქვეშქვეშავე და მუზმუზელა!  
 დღესაც კიდევ კეკლუც ქალებს  
 არ აკლიათ შენგან ზელა!

და შენ კი მე მიკიჟინებ  
 თეორეტიკს უმანკოსა?  
 და რასაც ჩვენ ლექსად ვთესავთ,  
 პროზად ის სხვამ მოიმკოსა?!

არა, ძმაო, სჯობს, გაფრთხილდე!  
 ვერ აგვიხვევ მუდამ თვალსა!  
 ნათქვამია, რომ „ყოველთვის  
 ვერ მოიტანს კოკა წყალსა!“

[1903]

**<წარწერა წიგნზე>**

ცხოვრებაში ყოველთვის  
ყველგან ნამეტანი ვარ!  
არც მტერს და არც მოყვარეს  
მე არ გავუტანივარ!

ბოლოს შეგხვდი ერთადერთს,  
მაგრამ რაღა დროსია?  
სასიკვდილო სუდარა  
კიდევ შემიმოსია!

24 იანვარი, 1904 წ.

### <ტასო მაჩაბლისას>

მთელი ჩემი სიცოცხლე  
ტანჯვაა და ვაება,  
ამირანის ჯაჭვებით  
დაბმული უკვდავება!

ბედმა დამწვა, დამდაგა,  
გადამასხა მდულარე!..  
მაგრამ გაუძლებ ტანჯვას,  
შენ თუ მისხივცისკარე.

1904 წ., იანვრის 25-ს

## ალბომში

მ. თ. დ-ს

აქ შემთხვევით გადმოფრენილს,  
 უცხო ქვეყნის მიწის შვილსა,  
 ვერას გეტყვი საამურსა,  
 ვერც მწარეს და ვერცა ტკბილსა.

სულ სხვა სისხლი, სხვა ბუნება,  
 სხვა ზნე და სხვა ჩვეულება!  
 და რომ სხვისი სხვას მიუდგეს  
 სავსებით, არ შეიძლება.

არის მხოლოდ ერთა შორის  
 ერთი ძალი საკავშირო,  
 ვით ღვთაება მადლმოსილი,  
 უსაზღვარო და უძირო.

ეს ძალაა სიყვარული,  
 სხივოსანი, მოელვარე:  
 ყველასათვის ერთადერთი,  
 როგორც ერთი მზე და მთვარე.

და მეცა მსურს, იმ კავშირით  
 რომ დაებას თქვენი გული: –  
 ჩვენთან ერთად გაგრძნობინოსთ  
 ჩვენი ქვეყნის სიყვარული.

[1904]

## <პეტრე უმიკაშვილის საფლავზე>

იმ თავიდან ამ ბოლომდე  
სულ სწორი გზით მიმავალი...  
გაქრა, ვისაც საამქვეყნო  
მოხდელი აქვს წმინდა ვალი.

თაყვანსა ვსცემ და ვადიდებ!..  
იმას ვეტყვი „მამულიშვილს“,  
საეროვნო ტრაპეზზე ვინც  
უბინოდ სდებს მცირესაც წვლილს.

რაც კი შესძლო, სულით, გულით,  
მოგვანოდა მოძმეთ საზრდო  
და სამშობლოს სიყვარული  
საანდერძოდ ჩვენ წინ დასდო.

ჩვეულებრივ მაღალ სიტყვით  
არ ვადარებთ მზე და მთვარეს!..  
ვერც შევამკობთ ოქრო-ვერცხლით,  
მაგის კუბოს და სამარეს!..

სულ ფუჭია!.. სათვალთმაცო  
გვირგვინები და დიდება.  
ვინც ღირსია, თავისთავად,  
ღვანლი შუქად დაადგება!

და შენც, ჩვენო საყვარელო,  
სახსოვარო, ძმაო პეტრე!  
აქ ყველასთან ვალმოხდილმა,  
იქ წინაპართ შეგვავედრე,

რომ ჩაგვბერონ მაღლით ძალი  
ჩვენ აქ დღეს გულგატეხილებს,  
და გვასწავლონ სამშობლოსთვის  
თავდადება შვილისშვილებს.

[1904]

## ქუთაისი

მშვენიერი ქუთაისი  
 თვით სამოთხის სადარია,  
 მაგრამ მისმა ხასიათმა  
 ჩვენში ყველა გადარია.

ხან ზამთარი გაზაფხულს ჰგავს,  
 ხან ზაფხულში ზამთარია,  
 არც რიგი აქვს, არც კანონი,  
 კეკლუც ქალის სადარია!

მისი დარიც და ავდარიც  
 ბედია და ლატარია:  
 ვერ შეუტყობ, რა დროს რაა, –  
 სწორედ ქალის სადარია!

უმიზეზოდ მოიღრუბლებს,  
 როცა მზეა და დარია!  
 გაგაოცებს ულოდნელად,  
 კეკლუც ქალის სადარია!

მყუდროების დროსაც, როცა  
 არც სიოა, არც ქარია,  
 მტვერს უეცრად შემოგაყრის!  
 ანჩხლი ქალის სადარია!

ეს თვალთმაქცი ქუთაისი,  
 ხან ტკბილია, ხან მწარია,  
 მაგრამ თავისნება კია,  
 რადგან ქალის სადარია!

ვინც მიენდო, ჩაითრია!  
 ყველას ხელი მან დარია,  
 მეც შორიდან მიტომ მიყვარს,  
 რომ ქალებს სადარია!

[1904]

## მოხუცის აღსარება

ჩვენ რომ გვინდა, ის თაობა  
ჯერ ისევე კუკურშია!  
მისი სახე თვალწინ გვიდგას!  
მისი სიტყვა სულ ყურშია!

დღევანდელი ისე ჰგავს მას,  
ვით აჩრდილი მის ნამდვილსა!  
ის რომ მოვა, შევეტკობით,  
როგორც მამა სატრფო შვილსა.

გულწრფელი და სულით წმიდა  
თავს შესწირავს მშობელ მხარეს:  
ხან ოფლს დაღვრის მუშაკისას,  
ხან მეომრის სისხლს მღულარეს.

ჩვენი ქვეყნის მიწის შვილებს,  
ვინც ღირსია შვილობისა,  
თანასწორად შეიყვარებს,  
მგრძნობი სიამტკებლობისა.

ეს დიდია, ის პატარა,  
ეს ჩვენია და ის სხვაო, –  
არ იფიქრებს... წვეთწვეთობით  
რომ ივსება – იცის – ზღვაო.

მამა-პაპის წმინდა ანდერძს  
არ გასტყვის და არ უარჰყოფს.  
ჭირისუფლად დაუჯდება  
ქართველობას, დღეს ავადმყოფს.



თვითონ გაზომს და გადასჭრის,  
 არ აჭყვება ფეხის ხმასა  
 და სამშობლოს, სასარგებლოდ,  
 დაუმონებს გულისთქმასა!

უხეირო თავად ურჩევს:  
 გადადექი გზიდანაო!  
 ჯვარიცა და ბარიც – ვიცი –  
 გამოდის ერთ ხიდანაო.

ეტყვის გლეხსაც უვარგისსა:  
 არ ვარგისარ არაფრადო!  
 შენც იმ მავნე თავადივით  
 ჩაითვლები ქვეყნის მტრადო.

ვინც იყოს და სადაც იყოს,  
 გლახა ყველა ერთიაო!  
 კარგი ყველა თანასწორი  
 და მათთანაც ღმერთიაო!

მოდით ყველა!.. შევკავშირდეთ  
 თანსწორობა-ძმობითაო!..  
 მტერს ვახარებთ ერთმანეთის  
 მტრობითა და გმობითაო!

მოდის... მოდის სხვა თაობა,  
 ჩვენ რომ გვინდა იმისთანა!  
 ვუგალობოთ მას „მზე-შინა“  
 და ძველებს კი ვუთხრათ „ნანა“.

[1904]

## ჩინეთი და იაპონია

თუმცა ჩინეთში არა ვყოფილვარ,  
მაგრამ შორიდან გამიგონია,  
რომ ერთხელ მასაც ქვეყნის საფრთხობი  
მოჩვენებული ძალა ჰქონია!

ეს ხალხმრავალი ბრიყვი ქვეყანა,  
დღესაც მუშტზე სდგას... თავმომწონია!  
და რომ „ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს  
კოკა“ – ეს არც კი გაუგონია.

თავგასულობა, მანდარინობა,  
ძალმომრეობა, – რჯული ჰგონია,  
და ხალხიც რომ არ მიჰყვეს მისს სურვილს,  
მეტი რა გზა აქვს? – რალა ღონეა?

იმათი ანმყო და მომავალი  
მათვე წარსულთან შენანონია!  
და ამის მჭვრეტი, დაფიქრებული,  
სულ სხვა გზით მიდის იაპონია:

არწივს შეება შევარდნის მართვი,  
თუმცა ეს ძნელი დასაჯერია,  
მაგრამ შეცდომა ჭკუას ასწავლის...  
გამოიცდება!.. არაფერია.

და მერე ჩინეთს მოუბრუნდება,  
მასაც ასწავლის, რაც უსწავლია!  
რა უჭირს იმას, ვისაც ჩინეთის  
გარშემო ზღუდე აღარ ავლია.

[1904 წ. 9 ივნისამდე]

## გვაზავური

გაჭქრა ის დრო პოეტების,  
საოცნებო, არკადული,  
ამქვეყნად რომ ჩუხჩუხებდა  
ნეტარების ნაკადული.

მაშინ იყო, ვით სამება,  
ერთმანეთთან შერთმული  
საამქვეყნო სამი ძალა:  
სული, გული, სიყვარული!

დღეს, როდესაც ცოდვამ სძლია  
მადლს და გაჭქრა ძველი ძალა,  
დრო ნეტარი, არკადული.  
არ-კადრულად შეიცვალა:

გული სულსა, სული გულსა,  
ორივ ერთად სიყვარულსა –  
ვეღარ მისდევს, და ცალ-ცალკე  
ყველა დარჩა რითმად ფულსა;

სული – ფული! გული – ფული!  
სიხარული – ფული! ფული!  
თავში ფული, ბოლოს ფული  
და შუაში სიყვარული.

ეჰ, ნავიდა დრო და ჟამი,  
პოეტების სანეტარო,  
და, პოეტო, შენც ან ფული  
უნდა რითმად აღიარო!

უფულოდ კი, შოთაც იყო,  
ვინ გიყიდის ან შაურად?  
და ფულით კი ძვირფასი ხარ,  
გინდა სწერო გვაზავურად.

[1904]

## უიდილო

ოჰ, იდილო!.. ციურო ძალო!  
რად გამიფრინდი, სად მიმეფარე,  
რომ სიჭაბუკის ტკბილ-ნეტარება  
მოხუცობის დროს მინაღველმწარე!..

ძნელი ყოფილა გულის გატეხა  
და უარყოფა მომხიზლავ მცნების,  
როცა გაიგებ, რომ ყოლიფერი  
ნაყოფი იყო თურმე ოცნების!..

მე შენ მიყვარდი უცნაურ გრძნობით,  
მასაც სხვა გრძნობა ვერ ედარება!..  
იქ იყო ჩემი სიკვდილ-სიცოცხლე  
და საორქვეყნო ტკბილ-ნეტარება.

ყველგან, ყოველთვის, შორს მყოფს თუ ახლოს,  
თვალწინ ოცნებით მეხატებოდი  
და აღმაფრენის გრძნობა-გუნებით  
სამსონის ძალად მემატებოდი!

შენი ტკბილი ხმა და მოძრაობა,  
შენი ღიმილი და შემოხედვა,  
გასპეტაკებულს საკურთხევლად გულს  
ცისა და ქვეყნის საკმევლად მეღვა.

ვიყავ ბედნიერ და შევყურებდი  
ჩემთვის გაღებულ სამოთხის კარებს!..  
მაგრამ სოფელი დაუნდობელი  
სამარადისოდ არვის ახარებს.

მიმუხთლა მეცა!.. მეხად დამეცა!  
გულზე დამენთხა მე ნალველ-შხამი  
და მომენამლა არ თუ მყობადი,  
თვით წარსულისაც ყოველი წამი.

და აწ რაღაა უიდილოდ  
ჩემი სიცოცხლე, თუ არ ვაება?  
ვაი მას, ვინც რომ ჩემებრ უმართლოდ  
ცხოვრების ქსელში ობლად გაება!

[1904]

## სიმღერა

ვარსკვლავად, გზის მაჩვენებლად  
 ამომიბრწყინდი, ლამაზო!  
 შენმა კაშკაშმა ნათლისა  
 სხივები გულზე დამასო!

გამისპეტაკა გრძნობა და  
 გამიასკეცა გონება,  
 ციურ უფლებად შესცვალა  
 ამქვეყნიური მონება!

ვით ანგელოსის საყვირი,  
 მალვიძებს შენი ტკბილი ხმა  
 და აიაზმად ცრემლებმა  
 ასხურეს ჩემი გულისთქმა.

მადლი შენს გამჩენს, ლამაზო!  
 დიდება მალლით უფალსა!  
 შენ მომანიჭე ცხოვრება  
 და შენით აღვბეჭდ ზედ კვალსა!..

[1904]

## რჩევა

საიდუმლო ტრფიალება  
ლოცვა და აღსარება,  
ბოროტ სულს სურს მხოლოდ მისი  
ჩაშხამება, ჩამწარება.

და, მაშ, სატროფოვ, იმის რჩევას  
ნუ აყოლებ გულისთქმასა,  
დაუჯერე მხოლოდ ზეცას,  
გაუგონე ციურ ხმასა...

სიყვარული კავშირია  
ამ ქვეყნის და იმ ქვეყნისა;  
იგივეა მაცხოვარი –  
„მადლი“ კაცთა გამოხსნისა.

სიფრთხილით და მოკრძალებით  
სატრფიალოს სდგამდე ბიჯსა...  
ნუ ჩააგდებ ქვეყნის ყბაში  
იმ ზეციურ მაღალ ნიჭსა...

ის, ვით წმიდა საიდუმლო,  
ეკუთვნის მართ სულს და გულსა;  
როგორც ნათელს, ვერც დაიჭერ  
ხორციელად სიყვარულსა.

მხოლოდ გული მიიშუქებს  
სხივებს სულის ანარეკლსა,  
და საგმირო საქმეების  
ის დაუდგამს უკვდავ ძეგლსა!..

[1904]

## უცნაური შემთხვევა

(9 თიბათვეს)

სუფრა არ მდგმია წინ სანოვაგით  
აჭრელებული და მხიარული,  
სადაც ამყოლი მაცდური კუჭის,  
სამხიარულოდ იშლება გული.

წინ მედვა მხოლოდ წმინდა ქალღმერთი,  
იქვე მახლობლად სანერ-კალამი  
და ანდერძს ვწერდი, რომ ცხოვრებისთვის  
უკანასკნელი მეძღვნა სალამი.

ვფიქრობდი: რაა ჩვენი ცხოვრება,  
თუ არ მარადი ტანჯვა-ვაება?  
თურმე სიცოცხლე სიკვდილი არის  
და თვით სიკვდილი კი – უკვდავება!

რა ვარ ამ სოფლად? მწირი, ობოლი...  
ჩემთვის თუ სხვისთვის ცოცხლადვე მკვდარი;  
ჩემთვის არც ცოლი, არც შვილი და არც  
თანამგრძნობელი და მეგობარი!

იმათ სანაცვლოდ მხოლოდ ოცნება  
მე მიხატავდა ციურ იდეალს  
და თურმე მეც იმ მოტყუებაში,  
ვიკრებდი მხოლოდ სასიცოცხლო ძალს.

ისიც გამიქრა და მით ამეგზნა  
გულში სახმილი და გვენია  
და სამკურნალოდ სამარადისოდ  
მხოლოდ სიკვდილი მე დამრჩენია.



ვსთქვი და ავიღე მე სანამლავი,  
რომ დამელია გულგრილად ჭიქით,  
მაგრამ იმავ დროს ჩამესმა ყურში  
მოულოდნელი რალაც ჭიკჭიკი.

თურმე ბულბული მოფრენილიყო,  
თავს მევლებოდა, დამჭიკჭიკობდა;  
თითქო განზრახვა ჩემი შეეტყო  
და სულმოკლობას ჩემსასა ჰგმობდა.

მეუბნებოდა ტკბილად: „მგოსანო,  
შენის ბედის ვარ, ჰხედავ, მეცაო,  
სასიხარულოდ, საბედნიეროდ,  
არც ერთს არ გვგზავნის ქვეყნად ზეცაო.

„ჩვენ ვუგალობებთ გულწრფელად ქვეყნის  
მომხიბლავ ძალს და მშვენიერებას  
და, ვით სასყიდელს, ჩვენსვე ჭიკჭიკში  
ვპოვებთ სიხარულს და ნეტარებას.

„და მიწის შვილთან რა გვაქვს საერთო,  
ერთობის ძაფი რომ გამწყდარია,  
ჩვენს სიტკბობას ვითლა იგრძნობენ!..  
იმათი სიტკბო, – ჩვენთვის მწარია!

„ვარდს რომ ვუგალობ, განა არ ვიცი,  
რომ ჩემი იმას არ ეყურება?  
და მონყვეტილი უგულოს ხელით –  
სხვის ნდომა-სურვილს ემსახურება?

„მაგრამ მე მაინც ჩემსას არ ვიშლი,  
ვემსახურები ძალს შემომქმედსა!..  
არცა ვის ვწყევლი, არც თავს ვიწყევლი  
და არც ვემდური უაზრო ბედსა!“

სთქვა და გაფრინდა ჩემი ჩიტუნა,  
თვალისამხელი, ჩემი დამხსნელი!  
და მეც მას შემდეგ თავს აღარ ვიკლავ  
და არც ქვეყნისგან რასმე მოველი.

[1904]

## პატარა ცემი

თუ სენი ვისმე შემოჰპარვია  
და გულს ნაღველი ისრად სცემია,  
მისტვის სამოთხე-სააგარაკოდ  
და სამკურნალოდ მხოლოდ ცემია!

ჰაერი წმინდა, გრილი და რბილი,  
სუნნელ-კეთილად შეზავებული;  
ირგვლივ ნაძვნარი – ქარბუქის ფარი,  
შუა – მინდორი აყვავებული.

მდინარე წყალი, ჩუხჩუხ-მღერალი,  
ვით უკვდავების წყარო კამკამი,  
და აიაზმად გადმონასხური  
დილა-სალამოს ციური ნამი...

მიველ გაყრის დროს დღე და ღამისა,  
როცა ნათელი ბნელს ეჯიბრება,  
მაგრამ ძლეული ბუნების რიგით,  
რომ შეისვენოს, დროებით ჰქრება.

იქვე მახლობლად მაღალ წვერვალზე  
თავი ამოჰყო, გადმოდგა მთვარე.  
ბურთი ციური სასუფეველისა,  
გულსევედიანი... სხივმოისარე.

სტყორცა ნათელი, გამოაფხიზლა  
ჩაფიქრებული იმ დროს მიდამო  
და თითქოს ტკბილად უმახარობლა:  
მადლი მოგიძღვნა მაღლით ზეცამო.

შეირხენ შტონი ფოთოლთ შრიალით,  
ყვავილოვანი ბიბინებს ველი;  
მიმოჰქრის სიო, ჰგალობს ბულბული,  
ქვეყნად გადმოდის სასუფეველი.

გამმსჭვალა მეც ამ სანახაობამ,  
ბრძმედში გამავლო და გადამცვალა,  
სული ამალღდა რა საზენაოდ,  
ხორცს საამქვეყნოდ ემატა ძალა!

და ვსთქვი: „ბუნებავ, ძლევა მოსილო,  
თვით ჯანიოსი შენ ხარ მკურნალი  
და ხელისშემწყობ მხოლოდ მასალად –  
ექიმები და რეცეპტ-წამალი“.

[1904]

## ეკატერინე სარაჯიშვილისას

თვალხილული ვერ გხედავდი,  
რომ დავბრმავდი, ახლა გხედავ  
და გულში რაც ჩამსახვია,  
იმის თქმასაც უფრო ვბედავ.

შემიყვარდი, როგორც შვილი,  
როგორც და და მეგობარი!  
ვაშა იმას, ვინც პოეტი  
აამღერა ცოცხალმკვდარი.

1904 წ. 1 იანვარს

## ხუმრობა

(ალბომში)

თვალსა სჭრის და გულს იტაცებს  
შენი ჰაეროვანება  
და, მოხიბლულს მაგ ეშხით, მეც  
მავინყდება ხნოვანება.

ვგრძნობ ხელახლად სიჭაბუკეს,  
სულით, გულით, სისხლ-ხორციტა...  
თითქოს მკვდრეთით ხელმეორედ,  
მოვლენილი ვიყო ციტა.

რაც ბუნებამ საამქვეყნოდ  
მაკისრა და დამავალა,  
ხელთ მიპყრია ისევ ისე,  
არც დამჭკნარა, არც გამქრალა:

სინარული, სიყვარული,  
საოცნებო აღმადრენა;  
ხან საჩხვლეტი შხამ-ისარი,  
ხან ბულბულის ტკბილი ენა!

მაგრამ შენ კი მაინც ხობბებს  
უსაკუთრებ სულსა და გულს!  
გადამტანო გულის თვალში,  
სწუნობ ბულბულს გაახლებულს!

ფრთხილად!.. ვაი თუ ხობობი  
უმი შეგხვდეს და განყინოს...  
ენით შენი მეგობრები  
გულში შენზე გააცინოს!

მაშინ ენა ჩავარდება,  
შენის ჯავრით სანყალ ბულბულს,  
და ჩაიტანს სამარეში  
შორიდანაც შენს სიყვარულს.

[1904]

## რაცხა ჩვენებური ლხინი

ცხოვრების სახელმძღვანელოდ  
ჩვენში მტრობა და შურია,  
და სადღეგრძელოს კი მაინც  
ყველა სვამს, როცა სწყურია.

ღვინოში მტერი, მოყვარე,  
შენი თუ სხვისი, ერთია!  
ენა სხვას ამბობს, გული – სხვას,  
გამრჩევი მხოლოდ ღმერთია!

საპირფეროდ ნაქარგი  
აზრები კრიმინალურია  
და მომხიბლავი სიტყვებიც  
უგულოდ დახარჯულია.

ეჯიბრებიან ერთმანერთს  
სიკეთის სურვილ-ნდომითა.  
კოცნა-ალერსით იწყება  
ლხინი, თავდება ომითა.

მეც დავსწრებივარ ამნაირს  
ლხინსა და წვეულებასა,  
მაგრამ ვერ ვაქებ ვერაფრით  
დასაგმობ ჩვეულებასა.

ნეტავ ამდენი სტუმარი  
სად იყო, ან ვინ შეჰყარა?  
სულ დომხალივით ირევა  
ერთად დიდი და პატარა.

სუფრა გაშლილი მზად არის,  
ნუგეშს სცემს მშვიერ კუჭებსა.  
დღეს გამოჩნდება, მასაპინძელს  
ვინც ლხინს არ გაუფუჭებსა.

ვინც უფრო მეტს სვამს და მეტს სჭამს,  
 არ დაივინყებს ზრდილობას  
 და გამოიჩინს საქვეყნოდ  
 მამულის ერთგულ შვილობას!

მოუსხდნენ სუფრას რიგ-რიგად,  
 თავ-თავის შესაფერადა.  
 რას ჰნახავს თვალი უკეთესს?  
 მეც გადავიქეც მზერადა!

თავში ზის დიდი სტუმარი,  
 მის გვერდით მასპინძელია,  
 მახლობლად პატივსაცემნი  
 და შორს – ვინც საეჭველია!

შეიქნა ხრიალ-კიჟინი  
 თამადის ასარჩევად,  
 ის არის ლხინის მშვენება,  
 ვით ოქრო-ვერცხლის სევადა!

ვილაც ერთ ახმახს ირჩევენ,  
 მართლა რომ ტიკის მსგავსია!..  
 გაბერილს თანვე ეტყობა,  
 თავმოყვარებით სავსეა.

ჯერ უარზე დგას!.. ყოყმანობს,  
 ვითომ არ უნდა გულითა,  
 მაგრამ რომ საქრთამოც იყოს,  
 ხელში იგდებდა ფულითა.

სახუმრო არის სახელი  
 განთქმული ტოლუმბაშისა,  
 სუფრაზე გადაბრინჯულის,  
 ლხინის ლენერალ-ფაშისა?



ულოცვენ ახალ ღირსებას,  
 ვით ძლევამოსილობასა.  
 ცხადია, გვირგვინს დაადგამს  
 თამადა მასპინძლობასა!..

ბრძანებს: „მოვითხოვ, რომ იყოს  
 სმენა და გაგონებაო!  
 აავსეთ ყველამ სტაქნები!  
 ასრულდეს ჩემი ნებაო.

„ეს ამის სადღეგრძელოა,  
 ეს იმის სადღეგრძელოო.  
 გამხიარულდით, სტუმრებო!  
 მოლხენით – მასპინძელოო!..“

გადადის ხელში ხელიდან  
 პირნმიდად სავსე სტაქნები,  
 სიტყვებს ამბობენ, დაჰყაჭეს  
 სულ საზენაო საგნები:

იხსენიებენ სამშობლოს,  
 საქებ მამულიშვილებსა  
 და იმავე დრო სამტროდ კი  
 აკრაჭუნებენ კბილებსა.

აი, შეხედეთ ორატორს,  
 რომ გვიტკობს გულსა და ყურსა!  
 იქითაც არის, აქეთაც,  
 „არც მწვადს სწვავს და არც შამფურსა“.

აქ ჩვენთან აქებ-ადიდებს  
 საქებს და სათაყვანოსა,  
 იქ კი გასწირავს და გასცემს,  
 გაუშანშალებს დანოსსა!

აგერ პატარა კაცუნა,  
 ადიდებს ხარისხოვანსა.  
 მოხუცი აქებს ყმანვილებს,  
 ყმანვილი – მოხუც-მხცოვანსა.

ქალები კაცებს შესტრფიან,  
 კაცები – ტურფა ქალებსა,  
 მაგრამ აქეთაც, იქითაც,  
 უპარპალებენ თვალებსა.

სულ ტყუილია ეს ყველა,  
 გამონანვევი ღვინისა...  
 სასმელად ტკბილი ბანგია,  
 დასაძინებლად ტვინისა!..

ჯერი მეც მერგო! გამბერეს  
 ქება-დიდების შესხმითა!..  
 მღერიან „მრავალჟამიერს“  
 საოცარ კილო და ხმითა!..

ტაშს უკვრენ „ვაშას“ ძახილით,  
 ვითამ ჩემს გრძნობა-გონებას!..  
 ზოგი ათასს წელს მინატრის,  
 ზოგიც – უზომო ქონებას.

რა ეხარჯებათ, თქმის მეტი,  
 გლახ გულის მოსაგებადა?  
 მოტყუება და მოხიბვლა,  
 მათ მიაჩნიათ ქებადა.

ვიცი: ვინც ათასს წელიწადს  
 სიტყვით ნატრობდა ჩემთვისა,  
 სიტყვა თუ საქმედ მივარდა,  
 განმძრახველია სულ სხვისა:

არ გაიმეტებს არც ერთ დღეს,  
 თვითონ წაიღებს ყველასა  
 და წყალში რომ ვიღრჩობოდე,  
 არ მოინდომებს შველასა.

და ის, ვინც უხვსა სიმდიდრეს  
 მიქადდა წრფელის გულითა,  
 მილიონებიც რომ ჰქონდეს,  
 არ შემენწევა ფულითა.

და პოეტობით შემკობა  
 სიტყვაა მხოლოდ ლიტონი!..  
 არ წაუკითხავთ ჩემი რამ  
 არც ერთს, არც ერთი სტრიქონი!..

ხმის აყოლაა უბრალო,  
 ვითომ „მეც ნახირ-ნახირო“  
 და სიტყვით ვითომ პატივს ვსცემ,  
 რომ საქმით გავაჯახირო...

დიახ, ესენი სუყველა,  
 შეგნებული მაქვს კარგადა, –  
 ამ სოფლის სიმტყუნ-სიმართლე,  
 საფლავში მიმაქვს ბარგადა!

მაგრამ რას იზამ? ვის ეტყვი,  
 რაც გულში დამარხულია?  
 და მიტომ ლხინი ამგვარი  
 ჩემთვის წყლული და კრულია!

[1904]

## ერისთავის ასულს საპასუხოდ

მეც მახსოვს ცემი!.. არ მავინწყდება  
სალამო მე იქ გატარებული!..  
რომ მაგონდება, ახლაც სიამით  
და სიტკბოებით მიღელავს გული.

შორს, შორს მაღლობზედ დაცემულ მინდორს  
გარს შემორტყმია ხშირი ნაძვნარი,  
რომ გაუგრეილოს ცხელი ზაფხული  
და დაუამოს ცივი ზამთარი.

წმინდა მდინარე, ცელქად მჩქეფარე,  
გარს შემოუვლის იმ არემარეს  
და თელხს უგზავნის, რომ შეარხიოს,  
რულმოკიდებულ ყვავილს, მცენარეს.

სუყველა ერთად იმ ღრმა წყვიდადში  
უცდის... მოელის სულგანაბული:  
მნათობი როდის აღმობრწყინდება?  
და როდის დასტვენს ტკბილად ბულბული?

და აჰა, მართლაც, მაღლა მთის წვერზე  
გადმოჯდა მთვარე სხივმომფინარე,  
მიეაღერსა ცას და ქვეყანას,  
ვით მეგობარი ტკბილ-მომღიმარე.

გამოიღვიძა ცამ და ქვეყანამ,  
ვერ აშორებენ ერთმანეთს თვალსა  
და თანასწორად, თანხმობით გრძნობენ  
შემოქმედების დიადსა ძალსა!

მაღალ ხის ძირში ბროლის ქანდაკად  
იდგა უძრავად ტურფა ასული  
და მთვარის შუქზე მოძრავ სახეში  
გამოხატვოდა გული და სული.

და მიბნედილი მისი თვალებიც  
 ბრწყინავდა როგორც წმინდა ლამპარი!  
 მაგრამ რას გრძნობდა და რას ჰფიქრობდა?  
 ის იყო ჩემთვის გაუგებარი!

ვფიქრობდი გულში: ნეტავ ეს ქალი  
 რაზედა ჰფიქრობს და რა ალონებს?  
 ნუთუ ჩვენს წარსულს, ან დავინწყებულს,  
 გულდანწყვეტილი, ოხვრით იგონებს?

ითვალისწინებს იმ ჩვენ ძველ დედებს,  
 ისე პირნათლად რომ იხდიდენ ვალს:  
 ქმრებს გასაჭირში უღელს უწევდენ  
 და უმზადებდენ გამირებს მომავალს.

ჰფიქრობს და აღთქმას სდებს გამსჭვალული,  
 რომ მათ მიჰბაძოს, მათ მიემსგავსოს  
 და მით თავის მხრით, თავისდა წილადა,  
 დღევანდელ ქალთა ნაკლი შეავსოს?

ნეტავ თუ მართლა? მაშინ ხომ მეცა  
 მის წრფელ განზრახვებს მივსცემდი ბანსა  
 და როგორც სულის, ისე ხორცისაც  
 მშვენიერებას ვსცემდი თაყვანსა.

მაგრამ, ვაი თუ სხვა რამ ალელვებს  
 და სხვაზედ იყოს დაფიქრებული,  
 და დღეს როგორც სხვებს, ისე ამასაც,  
 მხოლოდ სასკვითოდ უცემდეს გული?!

მაშინ შორს ჩემგან! შორს!.. შორს, ოცნებავ!  
 ვერ დამიმონებს მხიბლავი ძალი!..  
 იქ, სადაც ქართველ ქალს ვერა ვხედავ,  
 არ მრწამს მშვენება და იდიალი!

[1904]

## უკანასკნელი

თურმე მყოლია მეც მეგობრები,  
მე კი ვფიქრობდი შეცდომით სულ სხვას!  
სიკვდილის წინათ მათმა მოქცევამ  
ფრთები შეჰკვეცა წინა განზრახვას.

ეს დეპეშები, ეს წერილები,  
გუნდი მნახველთა აღელვებული, –  
ყველა მიმტკიცებს, რომ სასიკვდილოდ  
არ ვარ ჯერ კიდევ გამეტებული...

მაგრამ რაღა დროს?! ძველი ანდაზა  
შეჰფერის მხოლოდ ჩემსა საფლავსა:  
„მოლა შიმშილით მოჰკლეს და შემდეგ  
პირში აყრიდენ მუჭ-მუჭა ფლავსა!“

რაღა ვარ ეხლა! მის მესადედი,  
რაც რომ ვიყავი... მეტი აღარა  
და ძველებურად რომ გამოვბრუნდე –  
მაზედ კი უარს ამბობს ჭაღარა!

ცალთვალი! ცალიც გაფუჭებული,  
რაც არ შეშენის უზიანო თვალს!..  
მაგრამ უთვალოც კარგადა ვხედავ  
როგორც ჩვენს წარსულს, ისე მომავალს...

დიახ, მომავალს, სულ სხვანაირად,  
თავისუფლებით აღყვავებულსა,  
რაც რომ ანმყოში მენატრებოდა  
და ეკლად ესვა ჩემს დამწვარ გულსა...

მე კი... მშვიდობით... ჩვენ წინაპრებთან  
მივდივარ მეცა განსასვენებლად  
და ხინჯად გულში მიმყვება მხოლოდ,  
რომ ვერ გავმხდარვარ სამშობლოს მსხვერპლად...

1904 წ., 7 დეკემბერს, ტფილისი.

## ბეტას ხსოვნას

ანგელოზი ხორცშესხმული  
მოგვევლინა, ვით კამეტა,  
მაგრამ ზეცამ საამქვეყნოდ,  
ბეტა აღარ გაიმეტა:

უკვე იხმო მინით ცაღვე,  
საიდუმლო გამოცანა,  
ანგელოზთა გუნდში, სადაც  
შეჰგალობენ ღმერთს: „ოსანა!“

იქ ნეტარობს წმიდა სული,  
ღვთის მახლობლად მოელვარე,  
მხოლოდ ჩრდილად ეფარება  
მის მშობლების ცრემლი მწარე.

[1904]

## ელას დედოფალა

ამ ჩვენ პატარა ელასა,  
კუდრაჭა ცუგრუმელასა,  
იმის ტოლ-ამხანაგებში,  
მე ვამჯობინებ ყველასა!..

მოთხოვნილება ბავშვის აქვს,  
ყოფა და ქცევა დიდისა!  
ნამდვილ ქართველი გოგონა  
ჩვენ კვალობაზე მიდისა.

მეგობრათ დედოფალა ჰყავს  
ჯერ თვითონც დედოფალასა.  
რაც იცის, მასაც ასწავლის  
წყნარათ, არ ატანს ძალასა.

ხან თამარ მეფეს იგონებს,  
ხან ქეთევანის წამებას,  
ხან ნინოს, მოციქულთა სწორს,  
რომ ადიდებდა სამებას.

ადიდებს ვახტანგ გორგასლანს,  
აღმამენებელს დავითსა,  
გიორგის, ბაგრატს, ერეკლეს!..  
ჰგმობს ბარბაროსებს და სკვითსა!

რაც დედისაგან ხანდახან  
ზღაპრათ ჰსმენია ელასა,  
მას მეგობარსაც ზღაპრადვე  
გადასცემს ხოლმე ყველასა.

„ნანას“ უმღერის, აძინებს,  
არწევს და ატრიალებსა.  
უძიძაგამდლებს და მერე  
თითონაც ხუჭავს თვალებსა.

[1904]



## ნაკადული

სწავლა წყარო არს ცხოვრების,  
სიბრძნე – მისი ნაკადული  
და ნაყოფი მათი ერთად –  
შვება, ლხენა, სიხარული.

დედის რძესთან ვინც შესწოვა  
მისი ქვეყნის სიყვარული,  
მას გაუნმენდს სულსა და გულს  
ეროვნული ნაკადული.

მაგრამ შრატსა დედინაცვლის  
ვინც კი დააჯერა გული,  
იმას უწევს ნაღველ-შხამად  
ცხრა მთას იქით ნაკადული.

და შენც, ყრმაო, თუ გსურს გახდე  
შენი ქვეყნის ძე ერთგული,  
შესვი წყარო ეროვნების!..  
გწამდეს მისი ნაკადული!..

გახსოვდეს, რომ სწავლა არის  
წყარო!.. სიბრძნე – ნაკადული!..  
და ნაყოფი მათი ტკბილი –  
შვება, ლხენა, სიხარული.

[1904]

## გამოცანები

1

ხმას არ იღებს, ლაპარაკობს,  
წინ გვიყენებს ცოცხალ-მკვდრებსა,  
არც იცინის და არც სტირის,  
ჩვენ კი გვაცინ-გვატირებსა.

(წიგნი)

2

არც იცის ფრენა, არც ხტომა,  
დაცოცავს ძალისძობითა,  
ჰაერში სახლ-კარს იკეთებს,  
შიგა ზის წლიდან წლობითა.  
და სტუმარს ელის სიამით,  
ნაძრახი მასპინძლობითა.

(ობობა)

3

დედასაც ვჭამთ, შვილსაცა ვსვამთ,  
ორივე გემრიელია;  
დედა ახალი სჯობია,  
შვილი – რაც უფრო ძველია.

(ყურძენი და ღვინო)

4

არც ფრთები აქვს, არც ფეხები,  
იკლაკნება გველივითა;  
სვამს და არ სჭამს, გზა-გზა დადის  
და მიზუის მგელივითა.

(მატარებელი)

[1904]

## კურდღელი

ერთი შეხედვით კატას ჰგავს:  
ყურები აუცქევეტია;  
მოშიშარია, ცახცახობს,  
მიხტის და მოხტის... ცეტია!

ყანაში მიიპარება,  
ნუნკი, ჯეჯილის მტერია!  
გაძლება, ტუნებს გაინმენდს,  
ვითომდა არაფერია!

მინვება, ხელად იძინებს,  
თვალეები დაუჭყეტია.  
თუ ვინმემ ძილი დაუფრთხო,  
თავბრუ ეხვევა ... რეტია!

[1904]

## მელია

ემმაკია, კუდურია,  
ყურცქვიტინა და კუდგრძელა.  
ყველგან, როგორც შინაური,  
დაცუნცულებს ნელა-ნელა,

დღიურ შრომით დაღალული,  
სოფელი რომ დაიძინებს,  
ის სოროდან გამოძვრება,  
გუნებაში ჩაიძინებს.

აუყვება, დაუყვება,  
სოფელ-სოფელ ქურდ-ბაცაცა,  
მისთვის ბნელიც ნათელია,  
მოიღრუბლოს გინდა ცაცა.

თუ ფრთოსანი სადმე ვისმე  
დაუმწყვრევლად დარჩენია,  
სუნს აიღებს და მიაგნებს...  
არც შიშობს და არც რცხვენია.

უფრო ქათამს ემტერება,  
ჩამოიყვანს მაღლით ხითა,  
გაჰყრონჭავს და იქვე გუდავს,  
რომ არ გასცეს კრიახითა.

მერე იგდებს პირში მის მსხვერპლს,  
სოროსაკენ ეშურება;  
თუ მარტოა – გარეთ შესჭამს,  
თუ ბარტყი ჰყავს – შიგნივ ძვრება.

მეორე დღეს პატარძლები  
იკეთებენ იმითი გულს,  
რომ სწყევლიან და ჟუჟავენ  
იმ ეშმაკს და შერჩვენებულს.

სოფლელებიც ბანს აძლევენ,  
თავს უქნევენ მელას ყველა,  
მაგრამ სოფლის მითქმა-მოთქმას  
რას დაეძებს კუდამელა!

[1904]

## ახალი წელიწადი

პატივხდილი, თოფების სროლით  
გვშორდება, მიდის ჩანჩალით ძველი  
და მის მაგიერ უნდა მოვიდეს  
მისალოცავი ახალი წელი.

ნეტავი ძველმა რა დაგვიშავა?  
და ან ახლისგან რას გამოველით  
მისთანას, რაც რომ ძველმა წაგვართვა?  
სულ არაფერსა!.. და რას ვუშველით?

მაგრამ წინაპართ უანდერძნიათ  
ეს ჩვეულება მამაპაპური  
და ჩვენც მათ უნდა მივბადოთ ხოლმე  
და საგულისხმოს მიეუგდოთ ყური.

თვარა ტყუილი არის მილოცვა  
ნატვრით, სურვილით, რალაც იმედით!  
ეს ნიშნავს მხოლოდ, რომ კმაყოფილი  
არა ვყოფილვართ წარსულის ბედით...

დიახ, ეს არის მხოლოდ მართალი  
და დანარჩენი სულ ტყუილია!  
მაგრამ ხანდახან თავს რომ ვიტყუებთ,  
შიგ რალაც გემო... რალაც ტკბილია...

მეც გამიტაცა ამ სიტკბოებამ,  
მეც მოვინდომე ძველთა მიბაძვა  
და მივაკუთნე ახალთაობას  
ჩემი ალერსი... ჩემი მილოცვა:

ვისურვებ მათთვის სწავლა-გულისყურს,  
შეძლებას, შევებას, ღხენას, სიხარულს,  
რომ მათ სამშობლო ახსოვდეთ მარად  
და არ ჰკარგავდნენ იმის სიყვარულს.

1904 წ., 18 ქრისტეშობისთვის, ტფილისი.

## გლადიატორის სიმღერა

აქ არ შობილა არწივი,  
ნაზარდი მყინვარ მთებისა,  
თავისუფალი, თამამად  
ცაში გამშლელი ფრთებისა;

სიცოცხლით სავსე, ძლიერი,  
შემმართი, შეუპოვარი,  
ვით ლომი არაბეთისა,  
სიმარდით სწორუპოვარი.

ტყვედ ჩაუვარდა უეცრად  
მტრებს, შეუყარეს ბორკილი,  
მოშორდა ტკბილსა სამშობლოს,  
ოხრად დაჰყარა ცოლ-შვილი.

და, აჰა, უცხო მხარესა  
თავსა სდებს სასიკვდილოდა,  
მოსისხარ მტრების გულისთვის  
გასართობ-სასაცილოდა!

არ კვდება ბრძოლის ველზედა,  
ვაჟკაცი მამაცურადა,  
შეურაცხყოფილ სახელსა  
დააგდებს არ-კაცურადა.

[1905]

## ჩვენი ანმყო

ნეტავ რაა ჩვენი ანმყო?  
 ბავშვობა და თამაშობა,  
 მაგრამ კარგი ბავშვობაა:  
 ხარებაა და თან შობა.

ვხედავ ვარსკვლავს შორს, ცის კიდით,  
 ის არს ჩვენი მომავალი!  
 მივეგებოთ მას მუშებად,  
 მოვუმზადოთ გზა და კვალი!

რომ წარსული ჩვენც გვექონია,  
 თავმდებია თვით რუსთველი,  
 მაშ, მომავალს გაბრწყინებულს,  
 ვინ წამართმევს?.. მეც მოველი.

რაც უნდა სთქვან, რაც უნდა ჰქმნან,  
 სულ ჩაივლის უქმად ყველა.  
 სამართალი ბოლოს გასტანს,  
 რა თქმა უნდა, ნელა-ნელა..

მართალია, რომ მათის ცდით  
 გასკვითდება ზედაპირი,  
 მაგრამ ამით გადაივლის  
 მთელი ერის გასაჭირი!..

იმის ნაცვლად ხალხის ძირი  
 ამოიყრის, გაიხარებს  
 და მოძღვრადაც მხოლოდ რუსთველს  
 და სხვას არვის აღიარებს.

ჯერ კი, თუმცა ჩვენი ანმყო  
 ბავშვობაა!.. თამაშობა!..  
 მაგრამ მაინც გულს ნუ ვიტყვით,  
 რადგანც ახლოს არის შობა!..

1905 წ., 1 იანვარი, ტფილისი.



## სიმღერა

რომ დავილაღე, – მეძინა  
და შენ კი მკვდარი გეგონე;  
მაშ თუ არ ძილით, სხვით რითი  
უნდა მეკრიბა ძალ-ღონე?

შენ არ მიტანდი მონდობილს,  
მთითხნიდი ტალახ-მურითა!  
მე თვალით რაღას ვნახავდი?  
ან რას ვისმენდი ყურითა?

ან კმარა ასი წლის ძილი,  
ყურს აღარ ვუგდებ ნანასა!  
არ მინდა, რომ მეც ჩამოვრჩე  
სხვა ხალხსა და ქვეყანასა!

ვიტყვი ძველებურ „მზე-შინას“  
შვილებო, მოდით ბანითა,  
გინდ აგვიჭედონ სარკმელი,  
სინათლე მოდის ბანითა.

გამოიფშვნიტეთ თვალები,  
არ გშვენით ძილი ამიერ:  
იმღერეთ ძველი „მზეშინა“  
და თანაც „მრავალჟამიერ“.

1905 წ., 16 თებერვალი, ტფილისი.

## დათვი და შინდი

(ხალხური თქმულება)

დათვი მიუნვა შინდის ხეს,  
ნადრი ნახა ყვავილი,  
დამწიფდებაო, ეგონა,  
აუტყდა კბილის ქავილი.

სიცილით გულში ამბობდა:  
„მე მოვასწარი ყველასო!  
ჩემია!.. მე გამოვძლები,  
სხვებს კი აუტეხს ხველასო“.

მიეცა ღრმა ძილს დათუნა,  
როგორც რომ მისი წესია,  
ტკბილ სიზმარშია: შინდსა ჰკრეფს...  
ჰკრეფს და არ დაუთესია!

დიდხანს ეძინა დათუნას,  
მაგრამ რა ნახა ბოლოსა?  
„ერიდებოდა ლოლოსა,  
დაუხვდა სოფლის ბოლოსა“.

ჩამოატარა მდინარემ,  
პანტა რომ დამწიფებულია  
და დათვს კი ტყვილად უცდია...  
საბრალო მოტყუებულია.

გაჯავრდა ჩვენი დათუნა...  
გაჯავრდა, იწყო ბურტყული!  
უნდა რომ ვისმეს გაუნყრეს  
და მოიფხანოს მით გული.

ექგერა სანყალ შინდის ხეს,  
შტოების მოსაბელადა,  
ყვავილს რომ იღებს ადრე და  
ნაყოფს ვერ აძლევს ხელადა.

მილენ-მოლენა საბრალო,  
შტოები ჩამომტვრია  
და უთხრა: „გვიან მნიფდები,  
თუმც კი ყვაველი ადრია“.

მასუკან შინდი საბრალო  
აღარც იზრდება დიდადა;  
არც ფიცრად სადმე ვარგია  
და აღარაც ბოგირ-ხიდადა.

საბრალოდ მოხრილ-მოკუნტულს  
დათვის შიში აქვს მარადა,  
ტყეში იმაღვის და ძვირად  
ჩამოდის ხოლმე ბარადა.

1905 წ., 1 მარტი, ტფილისი.

## პასუხად სომხებს

არავის ისე გულით არ ჰსურდა  
 ძმობა, ერთობა და სიყვარული,  
 როგორც ჩვენ თქვენი! ჩვენ იმთავითვე  
 ამ აზრით ვიყავთ ხომ გამსჭვალული?

როცა დაემხო თქვენი სამეფო,  
 მტერმა დაიპყრო რა თქვენი მხარე,  
 ვინ იყო თქვენი თანამგრძნობელი,  
 თუ არ ჩვენ?... ვლვარეთ ცრემლები მწარე.

რაც კი შევსძელით არ დაგვიკლია,  
 გეხმარებოდით ჭირში ძმურადა  
 და მეფეებიც ქართველი ჯარით,  
 თავს სდებდენ „ანში“ ვაჟკაცურადა.

ბოლოს მიგიღეთ სამშობლოშიაც  
 გამოგინოდეთ ძმებს ძმურად ხელი,  
 ტაძრები მოგცათ თვით ეკკლესიამ,  
 ისე მიგიღოთ, ვით საყვარელი.

ჩვენ სისხლს ვანთხევდით თქვენი გულისთვის,  
 თქვენ იმ დროს მხოლოდ თქვენთვის ვაჭრობდით!  
 ჩვენ რომ როგორც ძმებს თავს გეველებოდით,  
 თქვენ თურმე მაშინ სულ სხვას ნატრობდით.

აბა, თუ რამე მიგიძღვისთ ღვანლი  
 საქართველოს წინ, წამოაყენეთ!  
 და თუ ჩვენც შრომა ვერ დაგიფასოთ,  
 უარი გვყავით და შეგვაჩვენეთ!

თითქმის მეტია ათას წელზედაც,  
 საქართველოში მოსახლედ რომ ხართ!  
 აბა, თუ ჩვენგან რამე გკლებიათ?  
 ღმერთმა ხომ იცის, ახლაც გვიყვარხართ.

როგორ არ გახსოვთ, რომ მამა-პაპით  
ჩვენში გაზრდილხართ, ჩვენში შობილხართ,  
და სასომხეთი, როგორც ქვეყანა,  
არც კი გინახავთ..... არც კი ყოფილხართ!

დედა-ენათაც ქართული ენა  
ჰქონიათ შენთა მამა-პაპათა.  
ახლა კი ძმათაც აღარ გვკადრულობთ,  
ავგითვალწუნეთ, ავგილეთ ყბათა.

და აღარც ამხელთ ქართულს!.. გრცხვენიათ!..  
თითქო ის სომხურს უშლიდეს ხელსა...  
და თქვენთან ერთად რომ მოსაქმობდეს,  
გაურბით მტრულად დღეს თქვენ ქართველსა!

ამას ვჩივოდით! ამას ვსტიროდით!  
ეს იყო ჩვენი მოთქმა და ზარი!  
გვსურდა, რომ ჩვენსა და სომხებს შუა  
არ დახშულიყო საერო კარი.

ახლა თქვენ თვითონ მიმხვდარხართ განა,  
რომ მტრობა-შურით ვერას გავხდებით?  
მხოლოდ ერთმანეთს კი გავაფუჭებთ,  
დავგლახავდებით... ორვე ნავხდებით!

თქვენი წერილი დღეს სულ სხვას ამბობს.  
თუ მართალია, ჩვენც ვეტყვით „ვამას“.  
და გაუმარჯოს ძმობას, ერთობას,  
ყოველ მოღვაწეს და ყოველ მუშას!

სომეხი, ფრანგი, თათარი, ოსი –  
ყველა ძმა არის, ვინც კი მოგვცემს ხელს  
და საზიარო ჭირსა და ლხინში  
ინამებს მოძმედ მოკეთე ქართველს!

1905 წ. 2 მარტს. ტფილისი.

## თქვენი ჭირიმიე

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!...  
ვიცინი, აღარ ვსტირი მე!  
ახალგაზრდებო, ან კი თქვენ  
გამოდით, თქვენი ჭირიმიე!..

ბევრი რამ მითქვამს... რომ მეთქვა,  
დავიმახინჯე პირი მე!..  
ახლა არ გვგლეჯენ ენასა,  
–სთქვით რამე, თქვენი ჭირიმიე!

„ასჯერ გაზომეთ და ერთჯერ  
გამოსჭერთ“, ახლაც ვყვირი მე,  
ნუ აჩქარდებით! ნურც შიშობთ,  
გამტკიცდით, თქვენი ჭირიმიე!

ბევრი ვეცადე ძირმწარეს  
ვერ გაუთხარე ძირი მე,  
ახლა კი თქვენი ჯერია,  
დაჰბარეთ, თქვენი ჭირიმიე!

კუბოს კარამდე მისული,  
რალა ვარ, განაწირი მე?  
მაგრამ თან თქვენი იმედი  
მიმყვება, თქვენი ჭირიმიე!

ნუ გამიმტყუნებთ იმედსა,  
ხომ ხედავთ, აღარ ვსტირი მე!  
დრო მოდის – ერთად ვიცინოთ!  
ვიცინოთ, თქვენი ჭირიმიე!

1905 წ., 6 მარტი, ტფილისი.

## გაზაფხული

მესმის, მესმის ჟღერების ხმა,  
შეფრთხილდენ ჩიტუნები  
და გაისმის ყოველის მხრით  
გაზაფხულის ტკბილი ხმები.

გაიღვიძეთ! ნულა გძინავთ!..  
გახილეთ ყველამ თვალი!..  
ვერა ჰხედავთ, რა ჭიკჭიკით  
გვეგებება ჩვენ მერცხალი?

მალლით მთიდან ხმა გაისმის,  
გულს ხვდება და ატკობს ყურსა!..  
აგზნებულა შაშვი, ჰხარობს  
და გაჰკვივის სალამურსა.

დაბლა ბარში ათასს ჰანგზე,  
ვარდის ჩიტი – ბულბული სტვენს;  
ღირსს და უღირსს გაურჩევლად  
ყველას ატკობს, სიამეს ჰფენს.

ეს ხომ ყველა ნიშანია,  
რომ ახლოა გაზაფხული?!  
პირუტყვიც კი იშმუშნება,  
ზამთრისაგან დაჩაგრული.

მაშ, გაზაფხულს ჩვენც ველოდეთ!  
წმინდად მივსცეთ ხელი ხელსა  
და გავჰკაფოთ ახალი გზა!  
აუქციოთ მხარი ძველსა.

გვახსოვდეს, რომ პატიოსანს,  
ოფელს მოითხოვს სამართალი.  
და ტანს გასწმენდს ჩირქიანსა  
მხოლოდ მარტო წმინდა წყალი!..

არც სისხლით და არც ცრემლებით,  
არ იქნება ტანის ბანა!..  
შრომაშია მხოლოდ შვება  
და ცხოვრების გამოცანა.

1905 წ. 24 მარტი, ტფილისი.



## სარაჯიშვილს აზარფეშაზე

სიყვარულის აწონა  
არ იქნება ფასითა,  
და მეც მიტომ „ალლავერდს“  
მოვდივარ ამ თასითა.

1905 წ., 27 მარტს.

**აზარფეშაზედ**

სანამ არ დაგჯეს ეს თასი,  
ნუ დაგაკლდებათ თქვენც ფასი,  
ნუ მოგეშალოსთ სხვადასხვა  
მხიარულება ათასი.

1905 წ. 27 მარტს.

## ნათლიას

დიდი ხანია ქართველი ანგრევს,  
 არ თუ აკეთებს და აგებს რამეს!  
 გამოურკვეველათ, პირდაღებული,  
 ხარბათ შეჰყურებს სხვების სიამეს.

გულსა და თვალს სჭრის მისი მეზობლის  
 კეთილდღეობა და წარმატება  
 და მისი ქნარიც სხვებისათვის ჟღერს:  
 გაისმის სხვების „ქებათა ქება“.

თითქოს ამითი სურს, რომ თავის ერს  
 მოთხოვნილება გააგებინოს  
 და მაგალითიც მეზობლებისგან  
 დაბეჩავებულს აალებინოს.

მაგრამ ამაოდ! მარტო ეს არის  
 განა დღეს ჩვენი გულისტკივილი?  
 ვინც რომ ყველაზე ნამეტანს ჰყვირის,  
 ის არის ჩვენში „მამულისშვილი“.

და ამნაირად გადავიქეცით  
 ჩვენ მხოლოდ სიტყვად და მხოლოდ ენად!  
 ვყვირით იქ, სადაც გადის ყვირილი,  
 ჩვენივე თავის გამოსაჩენად!..

რა გამოვიდა ცარიელ სიტყვით,  
 თუ არ აჯობა, საქმემ არ სძლია?..  
 მაგრამ საქმის კაცს ჩვენში ვერ ვხედავთ!  
 იშვიათია, ჩემო ნათლია!..

და იმათ რიცხვში შენც ურევინარ,  
ჩუმი მომქმედი და უსიტყველი.  
ბუნებას შენში გამოუხატავს  
დარბაისელი ძველი ქართველი!

დღეს ჩვენში ყველა ანგრევს და ჰყიდის,  
რაც დაგვრჩენია ანდერძით ძველით!  
და სასყიდელსაც სამაგიეროს  
ალარას ვეძებთ!.. ალარას ველით!..

შენ კი, ნათლიავ, ართუ არ ჰკარგავ,  
ხარ ძველებურად მხოლოდ შემძენი!  
და სოფლის ბრუნვას შეჰყურებ ისე,  
ვით გამოცდილი მოხუცი ბრძენი...

აი, დღესაცა ამას გვიმტკიცებს  
ამ მშვენიერი სახლის აგება...  
ეს არის ჩვენი მომავალში ხსნა  
და მას ეკუთვნის „ქებათა-ქება“.

რომ ამ მაგალითს სხვებმაც მიჰბადონ,  
ჩაჰკიდონ ხელი თავის მინა-წყალს!..  
მაშინ კი, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ,  
მოიმზადებენ კეთილ მომავალს!

შენი მეუღლეც, უღლის გამწევი,  
თანამშრომელი არის, ნათლია,  
და იმიტომაც, რასაც აკეთებს,  
ყველგან სიმტკიცე, ყველგან მადლია.

იცოცხლეთ დიდხანს, იმხიარულეთ,  
საბედნიეროდ, ჩემო ნათლია!  
ის მოგცესთ ღმერთმა და მით შეგივსოსთ,  
თუ დღეს თქვენს ოჯახს რამე აკლია!

[1905 წ. 27 მარტს].

## დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილს

სიმართლეს ვამბობ, როგორც მგოსანი,  
და თუ ტყუილი ვისმეს ჰგონია,  
სჩანს, რომ პირადად მე ის ვერ მიცნობს  
და სხვისგან რამე გაუგონია.

მდიდარ-ლარიბი, ხარისხოვანი  
და უხარისხოც ჩემთვის ერთია!  
სადიდებელი და სათაყვანო  
რომ განვასხვავო, მხოლოდ ღმერთია!

შენ მე ვერ მიცნობ, მაგრამ მე გიცნობ!..  
დიდი ხანია, რაც გიკვირდები!..  
შენ იმას აძლევ ამ ჩვენს ქვეყანას,  
რასაც არ ამბობ და არ პირდები.

საქმე კეთილი რომ გამომჟღავნდეს,  
შენ ერიდები... ეკრძალვი ქებას,  
და, ვით მორწმუნე, მტკიცედ ასრულებ  
საქრისტიანოს მით სახარებას:

რასაც არ გასცემს შენი მარჯვენა,  
არ ატყობინებ იმას მარცხენას!  
ნებას არ აძლევ, რომ წააცდინოს  
შეკავებულსა სიმდაბლით ენას.

მაგრამ, უნდა ვსთქვათ, არ არის ძნელი,  
რომ შეასრულო შენც შენი ვალი:  
რადგანაც შენთვის ბედს მოუცია  
თანამოაზრედ ქართველი ქალი.

ზოგჯერ ის შენაც არ გატყობინებს,  
 ისე გამოდის ქველისმომქმედად,  
 გაჭირვებულის მომხმარებელად,  
 ქვრივების დათ და ობლების დედათ.

დიდი ხანია ერთათ ეწვეით  
 სიამტკბილობას და მეუღლებას!  
 მართლა რომ ესეც საკვირველია! –  
 დღეს ვინღა დასდევს ცოლ-ქმრის უფლებას?

ცუდი დრო დადგა, ცხოვრება წახდა!  
 ათასში ერთი თუ ინეტარებს!  
 მაგრამ გულწრფელად ისე, როგორც შენ,  
 ის მეთასეც ვერ გაიხარებს...

განგებამ მოგცათ სუყოლიფერი!  
 ნუ სწუხართ იმას, რომ ხართ უშვილო;  
 ნუთუ არ კმარა შვილად და ძირად  
 თქვენთვის სამშობლო და საქართველო!

იცოცხლეთ დიდხანს! იმხიარულეთ!  
 ბედნიერი ხართ ორთავ ცოლ-ქმარი!..  
 ამას გულწრფელად ვამბობ მგოსანი  
 და ამასვე ჟღერს ეს ჩემი ქნარი.

1905 წ., 3 აპრილი.

**დავით, ეკატერინე სარაჯიშვილებს**

სიამით სავსე გულით,  
ამ ძველებურის კულით  
შესვით ორთავ, გაამოსთ,  
იცოცხლეთ სიხარულით!

1905 წ.

## ყანა

(გუძღვნი იაკობ გოგებაშვილს)

ჯერ ამ ჩემ თვალს არ უნახავს  
 მოსავალი ამისთანა,  
 ოქროსფერად რომ ბიბინობს  
 დალოცვილი პურის ყანა!

ცა და მიწა შეთანხმებით  
 შეჰზარის და მას დაჰყურებს,  
 მზე სხივებს ჰფენს მის-მის დროზე  
 და ღრუბელი მოასხურებს!

აგერ მუშა მხიარული  
 ნამგალს ლესავს გუგუნითა,  
 დაბლა მწყერი განაბულა,  
 მტრედი დამზერს ლულუნითა.

თაგვ-ნრუნუნა მრუდე ხვრელში  
 იმალება... იხრუკება,  
 ყველას ალლო აულია:  
 ყანა მალე მოიმკება.

რას ელიან ამ მკისაგან?  
 ანც ერთს მათგანს არ ერგება?  
 – ის მხოლოდ, რაც იმ მომკის დროს  
 დაბლა მარცვლად დავარდება.

მეტი წილი ვის ერგება?  
 – ვის და მხოლოდ ადამიანს,  
 ვინც რომ შრომობს და ვინცა მკის,  
 უფრო მხნეს და უფრო ჭკვიანს!..



მაგრამ იცით, რომ ამ ყანას  
აქვს თავისი ისტორია?  
წინეთ სხვებსაც ამ ადგილზე  
ბევრი ოფლი დაუღვრია.

იქ, სადაც დღეს წმინდა პური  
ამაყოფს და თავს იწონებს,  
ტყე ყოფილა... უტეხი ტყე!..  
მაგრამ ვილა მოიგონებს?

მამას თურმე, მარტოხელსა,  
გაეტეხა ბევრის ცდითა,  
საახოედ რომ აელო  
დიდის წვითა და დაგვითა.

მოეხნა და დაეთესა,  
გადმოეცა შვილისთვისა  
ეს იმისი ნაოფლარი,  
დიდი ხნის და ბევრის თვისა!

დღეს ის თესლი ამოსულა,  
დამწიფებულს ვხედავთ პურსა;  
ნამგალს ითხოვს, სხვას არაფერს  
და სხვანაირ სამსახურსა.

მუშა შედის სიხარულით,  
წმინდა ნამგლის ტრიალითა;  
სხვები კი სმენ სადღეგრძელოს  
მისას სავსე ფიალითა:

„ვაშა!.. ვაშა!.. კეთილ მუშას!..  
მის მარჯვენას და მის ხელსა!..  
ვაშა!.. თუ არ დაივიწყებს  
მამამისის ის სახელსა!“

[1905]

## ნატვრა

ასრულდა თითქმის, რასაც ვნატრობდით  
ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში  
და, როგორც სვიმონ მოხუცებულსა,  
მეც მომეფინა, მოხუცს, ნუგეში.

გამოიღვიდა ხალხმა მძინარმა,  
რომ მოიპოვოს თავისუფლება  
სიტყვის, მწერლობის, კრება-ერთობის  
და აასრულოს საერთო ნება!..

გუშინ არ იყო, რომ აკრძალული  
ძალმომრეობით გვექონდა ეს ყველა?  
ბიუროკრატი, როგორც რომ ჩრჩილი,  
კაცურ ღირსებას ღრღნიდა ნელ-ნელა!

მადლობა უფალს! მოვიდა წარღვნა,  
რომ წაილეკოს უსამართლობა  
და დაემკვიდროს ამიერიდან  
შეება, თანხმობა, ძმობა, ერთობა!..

შრომა ხალხისა შეერთებული  
ძალთაძალია სტიქიონური;  
ვერ შეაჩერებს მას ვერაფერი,  
გინდა ბრძანებაც იყოს მეფური!..

ახლა კი სწორედ შემიძლიან ვსთქვა:  
თუმცა გავლიე ცხოვრების გზანი,  
მაგრამ ნუგეშათ მიმყვება მე თან  
დიდი იმედი, კარგი ნიშანი!..

ეს არის მხოლოდ პირველი ბიჯი  
და თან მოჰყვება მას სიარული!..  
შვილების პირველ ფეხის ადგმაზე  
მისი მშობელი არს მხიარული.

ესეც პირველი ნაბიჯი არის  
ჩვენის ხალხისგან დღეს გადადგმული, –  
ჯერ იბარბაცოს!.. რომ გამაგრდება,  
მაშინ წინ წავა გამხნევებული.

ადრეც მეჯერა და ახლაცა მრწამს:  
სიტყვა თესლია, საქმე – ნაყოფი!  
თუ არ ხანგრძლივის მოვლა-წამლობით,  
არ იკურნება ხომ ავადმყოფი?!

ბედმა გვარგუნა ჩვენ ხვნა და თესვა,  
რაც კი მოითხოვს ხანდახან გასვრას!  
თქვენ მომკლები ხართ! ხელს თუ გაიჭრით,  
ნუ ერიდებით ცოტა სისხლის ღვრას!

თუმცა მოვხუცდი, არ შემიდლია  
დავატრიალო თქვენებრ ნამგალი, –  
მაგრამ მაინც კი გადაბმული ვარ  
და თქვენ შეგყურებსთ სიამით თვალი!

აბა, „ჰოპუნა“ დააგუგუნეთ  
პურის სამკალად, ეკლის საჭრელად  
და მეც შორიდან ბანს გეტყვით ყველას  
სიამოვნებით, უკანასკნელად!

[1905]

## სონა ციციშვილის ქალის სახსოვრათ

ყველა სიკვდილის შვილი ვართ,  
შავი დღე გველის ყველასა!..  
რას ავყოლივართ ამ სოფელს  
და მისსა „ელა-მელასა?“

დღესა ვართ, ხვალ არ ვიქნებით,  
ეს ხომ მსოფლიო წესია?  
სხვა მომკის და სხვა წაიღებს,  
რაც ჩვენთვის დაგვითესია!..

მაგრამ სიცოცხლე ტკბილია,  
ხარბი და გაუმადლარი;  
უკუღმართ ნდომა-სურვილის  
არ გააჩნია საზღვარი.

დღეს ამას მოსდევს, ხვალ იმას  
და თავს ატყუებს ამითა.  
ის აღარ ახსოვს, რომ წლობით  
შეძენილს ჰკარგავს წამითა!..

კაცს იმას ვეტყვი, თავისას  
ვინც არ იწუნებს კერასა  
და ხარბი თვალით არ ჰყვედრის  
უკუღმართ ბედისწერასა,

შეჰყურებს შემოქმედებას,  
სახითა მხიარულითა  
და სიყვარულსა მოძმეთა  
ატარებს სავსე გულითა.

ვიცნობდი ჩვენშიც დობილად  
ამგვარსა ადამიანსა:  
სათნოსა, ქვეყნის მოყვარულს,  
წინდახედულსა, ჭკვიანსა!..

სამშობლოს სამსხვერპლოზედა,  
ტკბილად დამდები წვლილისა,  
ის იყო დაუვინყარი  
სოფიო ციციშვილისა!

[1905]

## რჩევა

(სომეხ-თათართა შეტაკების გამო)

ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის, –  
 ძმა ძმაზედ ლესავს ხანჯალსა?!  
 ილუპებიან ორივე,  
 არც ღონეს ჰზოგვენ, არც ძალსა.

ორივეს მტერი ერთია  
 შორეულ-გადამთიელი;  
 ერთ ტაფაშია ორივე,  
 ერთი ადგიათ უღელი.

ძალმაც კი იცის – პირუტყვმა:  
 შინ ბრძოლა მაშინ ძნელია,  
 როცა იმაზე მიმსვლელად  
 გარეშე მტერი, მგელია.

და კაცს კი, მაღალ ქმნილებას,  
 ძალლისაც არ აქვს შეგნება;  
 დაბრმავებულა ვნებითა!..  
 შური ცეცხლივით ეგზნება!

გააგდეთ ხმალი, ხანჯალი...  
 ხელი მიეცით ძმურადა!..  
 ნუ შესცქერიხართ ერთმანეთს  
 მტრულად და ბატონყმურადა.

ბედნიერება ამ ქვეყნად –  
 შეერთებული შრომაა.  
 რა დროს მტრობაა ძმებისა  
 და რა დროს განზე დგომაა?

შეერთდით, ძმებო! შერიგდით!  
 ხელი ხელს მიეცთ ძმურადა  
 და მტერს დაუხვდით გარეშეს  
 თამამად... ვაჟკაცურადა!

[1905]

## ძირს, მთავრობა!

(სიმღერა)

„ძირს, მთავრობავ უსამართლო!  
ველარ ვიტანთ გასაჭირსო“, –  
ყოველი მხრით გეძახიან:  
„ძირს მთავრობავ!.. ან კი ძირსო!“

კმარა ისიც, რაც ვითმინეთ,  
გვიმატებდი ჭირზე ჭირსო!  
ის აღარ ვართ, რაც ვიყავით,  
გავიღვიძეთ და ან – „ძირსო!“

ჩვენი სისხლით, ჩვენი ოფლით,  
უხვად რწყავდი ქვეყნის პირსო, –  
დღეს ეს აღარ მოხერხდება,  
გეუბნებით მიტომ „ძირსო!“

ბნელს ნათელმა მოაშუქა  
და ერთ რამედ ესეც ღირსო!..  
ძველი წესი-წყობილებაც  
ბნელს გაჰყვება და შენ „ძირსო!“

შენგან, ძალაუნებურად,  
არ მოველით დანაპირსო;  
ჩვენ მოვუვლით ისევ ჩვენს თავს,  
არ გვინდებხარ – „ძირს და ძირსო!“

ძალას ჰკარგავ, ის განუხებს,  
აღარ გიხსნის დანა პირსო,  
მაგრამ რა ვქნათ? ქვეყნის ტანჯვას,  
სჯობს იტანჯო ერთმა – „ძირსო!“

ხალხი იბრძვის!.. ხალხი ჰღელავს!  
ველარ ასდებ ან აღვირსო!..  
ყოველის მხრით შეგძახიან:  
„ძირს, მთავრობავ, ძირს და ძირსო!“

[1905]

## კოჭაობა

„თვალის სისწორე, ხელის სიმარჯვე! –  
 აი, რა უნდა კოჭის თამაშსა!..  
 და შენ, დედილო, რომ გავიმარჯვებ  
 მე ჩემ ტოლებში, არ დაჰკრავ ტაშსა?“

„ვიცი, რომ გიყვარს შენი ბიჭუნა  
 და ამოგიდის იმაზე მთვარე!..  
 კი შემინიშნავს, ჩემი დანახვით  
 რომ გაგბრწყინვია სახე მწუხარე.“

„მეც კი მიყვარხარ, მაგრამ პატარას  
 რით შემიძლია, რომ დაგიმტკიცო?  
 უნდა სურვილი შენი ასრულდეს  
 და დარიგება შენი დავიცო!“

„იმას ნუ ჰფიქრობ, რომ კოჭს გადავჰყვე,  
 ან თამაშობამ წამიტყუილოს,  
 და დამავინყოს მე გაკვეთილი  
 და მით ჩემ საგანს მე მომაცვილოს“.

„არა, დედილო, მხოლოდ იმ დროს კი,  
 როცა გვექნება ჩვენ შესვენება,  
 ამხანაგებთან რომ ვითამაშო  
 ხანდახან ხოლმე, მომეცი ნება.“

„გუშინ ჩემ ტოლებს რომ ვეთამაშე,  
 ყველას მოვუგე... ყველას ვაჯობე!  
 აი, ხომ ხედავ? გამობერილი  
 კოჭებითა მაქვს ორივე ჯიბე!..“



ამგვარად ტკბილად ეუბნებოდა...  
 შვილი დედასა გახარებული  
 და დედამისსაც, ყურს რომ უგდებდა,  
 სიამოვნებით აეცსო გული.

უთხრა: „მამულის ტკბილო იმედო!  
 შენგან კარგის მეტს არრას მოველი...  
 ისე მოიქეც, როგორც რომ გინდა  
 და ღმერთი იყოს შენი მფარველი!“

ნავიდა ბავშვი გახარებული,  
 ზურგზე მოიდვა პატარა ჩანთა  
 და დედამისიც ლოცვა-კურთხევას  
 გულში ამბობდა..... მას თან ატანდა.

თბილი დღე იყო, შემოდგომის მზემ  
 სხივები ქვეყნად მიმოაფინა;  
 ისე ატკბობდა მოსეირნე ხალხს,  
 როგორც ციური ტკბილი „ნანინა“.

ამ დროს, ჩამჯდარმა თოფ-იარაღში,  
 სკვითების ჯარმა ჩამოიარა  
 და დაერია მოულოდნელად!..  
 შეუბრალებლად სისხლი დაჰღვარა.

გავარდა თოფი და მხიარული,  
 მარად ოხუნჯი მოჰკლეს მეხილე,  
 დამფრთხალი ხალხი გარბი-გამორბის,  
 მაგრამ ვერ შველისთ ველარც სიფრთხილე.

გამხეცებული და სისხლმწყურვალი,  
მათ დაერია მრისხანე ჯარი!..  
ალარ ჰზოგავდენ, ვისაც კი მისწვდენ  
და იმათ რიცხვში მოჰყვა ცოლ-ქმარი!

გამხნევედა ჯარი, თითქოს ებრძოდა  
მთელ ევროპიას ანუ აზიას,  
და ნამდვილად კი შემოეხვიენ  
უმნეო ბავშვებს და გიმნაზიას!

იმ დროს ბავშვები დასასვენებლად  
ეზოში იყვნენ თავმოყრილები  
და ყაზახები რომ დაინახეს,  
მათზე მიმსვლელი, როგორც რომ მგლები,

შეჰქნეს ყვირილი!.. დასამალავად  
ოთახებისკენ მათ მიაშურეს,  
მაგრამ იმითაც ველარას გახდენ,  
უმანკო სისხლი მიმოასხურეს.

ერთი პატარა ბავშვი, რვა წლისა,  
კოჭს თამაშობდა ამხანაგთანა;  
რომ დაინახა არეულობა,  
ის შიშის ზარმა თან აიტანა.

დასამალავად ჩაძვრა სარდაფში,  
ხელის კანკალით მოჰხურა კარი,  
მაგრამ, როგორც რომ მოსისხლე მტერსა,  
კარის ჩამმტვრევი თან შეჰყვა ჯარი.

შეკრთა ყმანვილი, რომ დაინახა  
თოფის ტუჩები ზედ მიშვერილი,  
„ვაი, დედაო!“ ამოიკვნესა,  
გულშესაზარად მორთო ტირილი:

„რას მერჩით, აბა? მე არ ვიცოდი,  
თუ კოჭაობა აკრძალულია!  
და უფროსებიც მიტომ მიწყრება!..  
გარისხებული, გულმოსულია!

„აჰა, წაიღეთ ყველა კოჭები!  
ნუ დამიტოვებთ მე სულ ნურც ერთსა  
და რომ დღეიდან არ ვითამაშებ,  
ამის თავდებად გაძლევთ თვით ღმერთსა.

„დღეს დილას დედა მეუბნებოდა:  
ითამაშეო, რომ მოიცალო...“  
აქ მეტი სიტყვა აღარ დასცალდა  
და გააგორეს იქვე საბრალო.

ხელში ეჭირა წითელი კოჭი,  
სისხლიც წითელი მოთქრიალებდა!..  
თავს დაჰყურებდა მას ჯარისკაცი! –  
ძღვევამოსილი დაჰხარხარებდა.

[1905]

## ჩემი რწმენა

რომ მოდიდდება წყალი-მდინარე  
და კალაპოტში ველარ ეტევა,  
აღელვებული, აქაფებული,  
კიდებზედაც გადაენტხევა,

წალეკავს ნაპირს და თან წაიღებს,  
მოპირდაპირედ რაც დაუხვდება,  
სტიქიონურის ძალმოსილობით  
კლდეებს ეხლება და ქვებზე ხტება.

დაქანებული სიმწრით თავდაღმა,  
უსწორმასწოროდ იმღვრევა ხშირად  
და გველ-ბაყაყიც, თევზებთან ერთად,  
გამოჰყავს ხოლმე ძალით ნაპირად.

ხალხიც ასეა: რომ აღელდება  
და თავის ქერქში ველარ ეტევა,  
ვერ შეაჩერებს, როგორც სტიქიონს,  
ველარც ვედრება და ველარც წყევა!..

წალეკავს ყველას, რაც ცხოვრებისთვის  
არ გამოდგება... უქმი ბარგია,  
და გადარეცხავს სისხლით მხოლოდ მას,  
რაც წარსულიდან აღარ არგია!..

და როდესაც ის კალაპოტშივე  
ჩადგება ბოლოს დამშვიდებული, –  
დაინმინდება და იწყებს დენას,  
სხვა ცხოვრებისთვის გაახლებული.

ასე ვფიქრობდი და ამ განძრახვას  
 მოვესწარ კიდეც... განხორციელდა:  
 აქამდე მონა ბიუროკრატის,  
 დღეს გამოფხიზლდა ხალხი, აღელდა.

და აღარ უნდა კიდეც იკისროს  
 ძალმომრეობის ძველი უღელი!..  
 განთიადს ელის აღლოდეებით,  
 ნათელს მოელის... მოსწყინდა ბნელი!..

მოელის, მაგრამ ჯერ კი არა აქვს  
 მას ის ნათელი გამორკვეული,  
 და მრუდსა და სწორს თანსწორად ებრძვის,  
 გაურჩეველად, გზადაბნეული!

აი, ეს არის ის დიდი ძალა,  
 რომელსაც ჰქვია რაღაც სტიქია,  
 და რასაც ხშირად ძველი ტალახი  
 თან წაუღია... წაუღეკია!

სიყმანვილიდან მოხუცებამდე  
 ეს მანვა გულზე, როგორც რომ ლოდი,  
 და ხალხის ჩვენში გამოღვიძებას  
 ერთხელ, ოდესმე, მეც მოველოდი.

მადლობა უფალს, რომ მოვესწარი  
 ჩემი სურვილის ასრულებასა.  
 და, ვით ბუღბული დაბერებული,  
 მეც დროს უგალობ „ქებათ-ქებასა“.

მართალი არის, სისხლი იღვრება,  
 მაგრამ მოითხოვს ამას ბუნება!  
 წყალი ხორცსა ჰბანს და სისხლი სულსა,  
 ამას გვიმონებს თვით ქრისტეს მცნება.

თვითო-ოროლა კარგიც იჭრება,  
 რომ იმარგლება სიმიდის ყანა,  
 მაგრამ ამიტომ მის გათოხნაზე  
 ხელს იღებს ხოლმე ქვეყანა განა?

მყრალ ბალახებთან ზოგჯერ უეცრად  
 იჭრება ხოლმე ვარდი და ია!..  
 საქმე არ არის ერთში და ორში!  
 საქმეა მხოლოდ თვით იდეა!..

ხალხი მღელვარებს, ვაშა მის ღელვას!..  
 ერთხელ ის მღვრიაც გაინმინდება,  
 როცა ცხოვრება გამარჯვებული,  
 კალაპოტშივე წმინდად ჩადგება.

ასე გრძნობს გული, აღელვებული,  
 ხალხის მიბაძვით მოუსვენარი!..  
 ვერ შეაჩერებს ძალათ ზამთარი,  
 როცა გაზაფხულს ეღება კარი...

[1905]

## სიმღერა

(ვუძღვნი ელენე თარხნიშვილის ქალს)

ნეტავი მას,  
ვინც შენს ტკბილ ხმას  
ერთხელ კიდევ გაიგონებს!  
გულის ვნებას  
და გონებას  
ათაყვანებს, დაუმონებს!..

მაგ სიტყვაში,  
გამოთქმაში,  
მომხიბლავი ისმის ძალა,  
სასურველი,  
სანყურველი,  
უკვდავების ვით ფიალა.

ვხედავ!.. მჯერა!..  
მაგრამ მე რა?  
დაუნიშნავს სხვისთვის გულსა!..  
იმას უთმობს,  
იმას უტკობს  
ოცნებას და სიყვარულსა.

მაგრამ მაინც,  
მიყვარს მე ვინც,  
მსხვერპლად ვსწირავ სულს და გულსა!..  
ვით ბუღბუღი,  
გულმოკლეული,  
ვიგონებ ჩემს გაზაფხულსა.

ნეტავი მას,  
ვინც შენს ტკბილ ხმას  
ისაკუთრებს გაუყოფლად!..  
და ვაი მას,  
ვინც გულისთქმას  
ჩემებრ იკლავს გულში ობლად!

[1905]

## გიგო ტარსაიძე

„შეიყვარეო მოყვასი შენი!“  
 ეს იყო ქვეყნად ქრისტეს მოძღვრება  
 და ამანაც ეს შეისისხლხორცა,  
 ვით წმინდა მცნება და ნეტარება.

უყვარდა მოძმე, გაურჩეველად  
 გვარტომობისა, ეჭირა თვალი  
 და ხორციელად თვალის ექიმი,  
 სულიერადაც იყო მკურნალი.

მაგრამ სოფელმა აღარ აცალა,  
 ქვეყნის მუშაკი მოსპო უდროვოდ  
 და უწყინარი, მოსიყვარულე  
 აქ განისვენებს ამიერ მყუდროდ.

„იყო სოფელში და სოფელს არგო“,  
 დასტოვა ქვეყნად წმინდა სახელი!  
 სამაგალითოდ იყოს ამ ქვეყნად  
 მისი ნეტარი სახსენებელი.

[1905]



## გურული ნანინა

ჯერ აკვანში ჩაკრული ხარ,  
გალასტული და ინვალე!  
გაიზდები, სხვა იქნები, –  
ო ი, ა მ ა ს ვენაცვალე!..

მე, მონობის დროს ნაშობი,  
მონობაში დავივალე,  
შენ კი სულ სხვა ბედისა ხარ,  
ო ი, ა მ ა ს ვენაცვალე!..

ის, რაც იყო, აღარ არის,  
შეიცვლება დღეს თუ ხვალე:  
გზატკეცილი დაგიხვდება,  
ო ი, ა მ ა ს ვენაცვალე!..

„ნანას“ გეტყვი სხვანაირსა,  
მარცვლა-მარცვლა დაისწავლე,  
მხსნელს, დახსნილი მიეგებე!..  
ო ი, ა მ ა ს ვენაცვალე!..

რაც მე მტანჯავს, ნულარ მკითხავ,  
ის ოდესმე შენ დასთვალე,  
და პასუხიც აგებიე!..  
ო ი, ა მ ა ს ვენაცვალე!..

მაგრამ ჯერ კი აკვანში ხარ, –  
გაიზარდე მალე, მალე!  
რომ შენს შვილებს შენც მოუთხრა:  
ო ი, ი მ ა ს ვენაცვალე!..

[1905]

\* \* \*

კარგო სტუმარო,  
დაუვიწყარო,  
შესვი, გაამოს  
ეს წმინდა წყარო.

[1905 წ.]

## გაზაფხული

გამხიარულდი, ბუხარო,  
გულჩახვეული ნუ ხარო!  
ზაფხული მოდის, ზამთარი  
მიდის და რაღას სწუხარო?!

მეც აბუზული ვიყავი,  
ვერიდებოდი ქარბუქსა,  
მაგრამ მოვესწარ გაზაფხულს...  
სხვა ხმაზე უკვრენ სხვა ბუქსა.

მთელი სოფელი შეჰყურებს,  
მოელის მზისა სხივებსა, –  
ვინ იარაღს სწმენდს, ვინ ლესავს  
და ვინ ამზადებს ტივებსა.

ერთმანეთს ეუბნებიან:  
„შევერთდეთ ძმურად ყველაო,“  
„ნანინა“ ვუთხრათ ზამთარსა,  
გაზაფხულს „დელა-დელაო“.

სოფლის მუშურის ჭირიმე,  
სოფლელთა ჩახმატკბილების!  
მეც მათი სიყვარული მაქვს,  
როგორც რომ მამას შვილების.

მეც იმათ მღერას ყურს ვუგდებ,  
ბანს ვაძლევ შორით მკვდრულადა!..  
მადლობა უფალს, რომ მესმის  
„ოდილა“ კრიმანჭულადა.

გამხიარულდი, ბუხარო,  
გულჩახვეული ნუ ხარო!  
ზაფხული მოდის, ზამთარი  
მიდის და რაღას სწუხარო?

1905 წ., ტფილისი.

## მგელი

მელაზედ ბევრად დიდია,  
 არა ჰგავს ნუჰაკ ტურასა;  
 შორიდან ვერც კი გაარჩევთ,  
 მგელს ხედავთ თუ რუხს მელასა.

კისერი გაშეშებია  
 პირლია მანანნალასა;  
 ნუთში გადირბენს მთას და ველს,  
 არ ატანს მუხლებს ძალასა.

მაგრამ თუ ალლო აილო,  
 შენიშნა სადმე ცხვრის ფარა,  
 სულს იცემს, შორიახლოსა  
 მიიმალება ის ჩქარა.

და უცდის ღამეს... ბნელს ღამეს,  
 რომ მიეპაროს ქურდულად  
 და დაეძგეროს არჩეულს  
 მისგანვე მსხვერპლად, შურდულად.

მარჯვედ მოიგდებს კისერზედ  
 უცბად გაგუდულ ბატკანსა,  
 არც ეპუება ყეფასა  
 და არც მეცხვარის ქაქანსა.

მირბის და მიაქვს ნადავლი,  
 ძუნძულ-ძუნძულით მსვლელია!..  
 კიდევ კარგი, რომ არ არის  
 ეშმაკი, როგორც მელია.

[1905]

## მოთქმა

ნუ ეხუმრებით ქართულ მიწა-წყალს  
და ნუ ადგამთ ბიჯს ზედ წარამარად!  
ის არის ჩვენთვის „წმინდა-წმინდათა“,  
უნდა გვახსოვდეს მარად და მარად.

აბა, ერთ გოჯას თუ სადმე ნახავთ,  
რომ ის არ იყოს სისხლით მორწყული!  
იმის სიღრმეში ჩამარხულია  
ჩვენი წინაპრის სული და გული!..

დიახ!.. თავს სდებდენ სამშობლოს მსხვერპლად,  
ვერ აშინებდათ მათ ცეცხლის ალი,  
ოღონდ კი ჩვენთვის მით გადმოეცათ  
ეროვნებასთან მიწა და წყალი.

გადმოგვცეს კიდევც; კურთხეულ იყოს  
სამარადისოდ მათი ხსენება!  
და ვინც უმტყუნებს მათ წმინდა ანდერძს,  
იმათ კი – წყევლა და შეჩვენება!

რა უფლება აქვს ვისმეს გაჰყიდოს,  
სისხლი და ძვალი მამაპაპური,  
და მით პირადად რომ მოიპოვოს,  
უძღებ შვილივით დღიური პური?

მაგრამ უფლებას დღეს ვინლა დასდევს?  
განა „კაცობა“ ეთქმის დღეს ქართველს,  
ნახევრად მძინარს, ყოვლად უგულოს  
და ცხოვრებაში გამოურკვეველს?

ვაი, რომ არა! დიდი ხანია,  
რაც გაარისხეს იმათ უფალი  
და გაატანეს მტერსა და ორგულს  
მამაპაპური მიწა და წყალი!..

ზოგი გაყიდვით, ზოგი წართმევით,  
ზოგიც უფლების ჩამორთმევითა  
და ყველამ კლიტე დაადვა ენას,  
საუკუღმართო აღმა კმევითა!

ამას მოვსთქვამდი! ამას ვსტიროდი!..  
ცრემლებმა სახე დანვა-დალარა,  
და დღესაც მასვე ვსტირი და მოვსთქვამ...  
ცრემლით სველდება ჩემი ჭალარა.

[1905]

## ვარონცოვის ძეგლი

თითქოს ლოცვილობს ის ჩვენთვის,  
რომ მოუხდია ქუდიო...  
ნაბადი კი წამოუსხამს,  
რომ დაიმალოს კუდიო.

ასე ჰფიქრობენ, მაგრამ მე  
არა ვარ მათი თანახმა...  
ბრალი არა აქვს, სხვის ხელში  
მისი ნამყენი თუ გახმა...

ის იყო ადამიანი  
ნამდვილი სულით, გულითა,  
მდიდარი... მისი მოყიდვა  
არვის შეეძლო ფულითა.

და აი რისთვის უყვარდა  
მამა-შვილურად მას ერი  
და შერჩენოდა უნდოდა  
მას ძველებური ელფერი.

სწამდა, რომ ძმობა-ერთობის  
კავშირი სიყვარულია  
და ძალადობა ყოვლგვარი  
უნაყოფო და კრულია...

სული ვიბრუნეთ იმის დროს,  
მივენდვეთ სიხარულითა...  
ვინამეთ ძმობა-ერთობა  
წრფელის სულით და გულითა...

მაგრამ წავიდა და წაჰყვა  
მისი მაღალი აზრები,  
ციხე-დარბაზი დაეცა,  
დამცირდა ჩვენი ტაძრები.

ძალმომრეობა გამეფდა,  
ველარ ვანძრევდით ენასა  
და თვალცრემლმორეულები  
ჩვენ შევყურებდით ზენასა.

გამოგვიდარა დღეს ისევ,  
ვარონცოვის დრო ბრუნდება:  
ძალმომრეობა ველარ სჭრის,  
უსამართლობა ხუნდება.

და მეც მოხუცი ქუდმოხდით,  
სიამით ვინერ პირჯვარსა,  
შევჰყურებ ძეგლსა დიადსა  
და დავტრიალებ მას გარსა.

თესლი კეთილი არ ჰკარგავს  
თურმე აროდეს მომავალს  
და „ვაშა“ იმას, ვინც მისის  
არც დაჰკარგავს გზა და კვალსა.

[1905]



## კომპოზიტორის ალბომში

სიყვარულის ნაშობია  
მუზიკა და პოეზია;  
ცხოვრებაში ორივე ერთად  
გაუყრელად მთვარე-მზეა!..

მე ორივე სწორად მიყვარს,  
დღისით მზე და ღამე მთვარე!..  
მაშ, მოდი და შევხმატკბილდეთ:  
მიმიხმარე... მომეხმარე!..

[1905–1906]

## იონა ბრიხნიჩოვს

ცოლიც რუსი მყავს, შვილიც რუსი მყავს  
და მეც რუსეთში დავჭალარავდი,  
მიყვარდა რუსი, მაგრამ მის ნაკლს კი  
აღვიარებდი... ვერა ვფარავდი!..

ვგმობდი მისს წარსულს, ვსწყევლიდი ანმყოს,  
მძულდა მთავრობა – ბიურაკრატი...  
და მე რომ რუსად წარმოვიდგენდი,  
სხვაგვარი იყო იმისი ხატი!

ქრისტეს მოყვარე, სულით მაღალი,  
გაჭირვებულთა ხელის შემწყობი,  
უსამართლოთა და უკუღმართთა  
აღვირ-ამხსნელი და დამამხობი!

ვით ჩვენ წინაპრებს, მეც ისე მყავდა  
მაშინ რუსობა გამოსახული –  
მთელ საქართველოს დამხსნელ-მფარველად,  
და სასოებით მიცემდა გული.

მაგრამ რა ვნახე, ჩემ სამშობლოში,  
როცა დავბრუნდი, ღმერთო ძლიერო.  
ერთგულობის და სიყვარულისთვის  
გადასახადი... სამაგიერო?

ზიზღი და მტრობა!.. სხვა არაფერი!...  
დევნა სასტიკი ხორცის და სულის,  
ვითომც მტყუანი იყოს ქართველი  
და მართალი კი სულ ის და სულ ის.

მათ ხელში იყო სუყოველგვარი  
ჩვენი ცხოვრების ასპარეზები,  
გვაჯდენ კისერზე, როგორც სახედრებს,  
და გვერდებს გვეჭრიდა მათი დეზები.

გარეგნად მღვდლები, შინაგნად მგლები  
სუსტობდენ ცოტა ქრისტეს მცნებაზე  
და გამაძღრები, როგორც ჯანდმები  
ჰფიქრობდენ მხოლოდ გარუსებაზე.

აღარსად იყო სამსჯავროებში  
აღარც კანონი, არც სამართალი  
და უცხოქვეყნელ მსაჯულთაგანსაც  
გარუსებისკენ ეჭირა თვალი!

და აღმზრდელებიც ჩვენი შვილების  
მხოლოდ ჰფიქრობდენ გარუსებაზე  
და არა მათის მონაფეების  
გრძნობა-გონების ამალლებაზე!..

მე კი ვამბობდი, რომ მოვლინება  
ეს – დროებითი მხოლოდ მეხია...  
მომავლისაგან ველოდი სულ სხვას  
და მაინც გული არ გამტეხია.

მადლობა უფალს! თუმცა კი შორით,  
მაგრამ მოადგა ნათელი ამ ბნელს  
და შენც გიყურებ, ვით გაზაფხულის  
წინამორბედსა და მახარობელს.

ცოლიც რუსი მყავს, შვილიც რუსი მყავს  
და მეც რუსეთმა დამაჭალარა,  
მაგრამ სწორე გზით მინდა წავიდე  
ჩემი დაფი და ჩემი ნალარა!

საჩხერე, 1906 წ. ივნისი 8.

## ოცნება

(ჩახრუხაული)

მონმენდილ ცაზე, ლაჟვარდოვანზე,  
გამოჩნდა მთვარე, პირმომლიმარე,  
მას თან მოჰყვება ორი ვარსკვლავი,  
პატარა, მაგრამ მოსხივცისკარე.

არ სწვდება ხელი, გზა უძევს გძელი  
აღმოსავლეთით დასავლეთამდე,  
დახეთ გულცივისა, გარს იხვევს სხივისა  
მნათობი მარად უკუნისამდე.

მკრთალი, ნარნარად მისცურავს წყნარად,  
არგადამხვევი პირდაპირი გზის!  
ან რა ნება აქვს, რომ გადუხვიოს?  
მოადგილეა ის ხომ მზის!

პირდაპირ მიდის, თითქოს ბედსა სცდის,  
მაგრამ ღრუბელი გადაელობა.  
არც ეს და არც ის, გზას არ უთმობენ,  
თანასწორი აქვსთ მათ ამაყობა.

ექგერა მთვარე, დაბნელდა არე  
და ნუთიერად გაქრა ნათელი,  
მაგრამ მნათობმა, ცის შემამკობმა,  
შეუპოვრობით გააპო ბნელი!

და ისევ ახლად გაბრწყინდა ნათლად,  
თანმსრბოლ ვარსკვლავებს ღიმილით უთხრა:  
„ხომ არ შეშინდით წამიერ ბინდით?  
სანამ ჩემთან ხართ, არა გიჭირსთ რა!“

სთქვა და გაუდგა ისევ სწორ გზასა,  
 შეუპოვარი ღამის ლამპარი!..  
 თან ვარსკვლავებით, ქება-დიდებით,  
 გადაიარა მან მთა და ბარი.

დიდხანს და დიდხანს იმ ციურ საგანს,  
 გულდანყვეტილი ვადევნებდი თვალს,  
 და ვიგონებდი, ჭირსა ვმონებდი,  
 ჩემთვის დაკარგულ მარად იდეალს.

იყო დრო ერთი, როგორც რომ ღმერთი  
 მწამდა ქვეყანად რა იდეალი,  
 შინა თუ გარედ მეხატა მთვარედ,  
 მზეთუნახავი, ამაყი ქალი.

მას ორი შვილი, და და-ძმა წყვილი,  
 ჰყავდა და წინა უძლოდა იმათ.  
 მათით ხარობდა, მათზე ფიქრობდა,  
 გადაქცეული სრულად გულისთქმად.

მათაც ღრუბელი, ცხოვრების ბნელი,  
 ერთხნობით თუმცა გადაეფარა,  
 მაგრამ მშობელმა, როგორც ნათელმა,  
 გააპო ბნელი, ისხივცისკარა.

და ისევ სწორ გზას დაადგა ზეცას,  
 რომ ის შვილები გამოეზარდა,  
 და მხოლოდ შემდეგ მას ჩამოეშვა  
 სამარადისო ცხოვრების ფარდა.

მეც, ქვეყნიერი ჭია და მტვერი,  
არ ვაშორებდი ამომავალს თვალს,  
და ვით მგოსანი, მონმედ მყავს ცანი,  
თაყვანსა ვსცემდი, როგორც ძალთაძალს!

და ახლაც კიდე, მის გადამკიდე,  
თაყვანს ვსცემ იმის მოვანებასა,  
შორიდან ვგალობ, შორით ვტრფიალობ  
და არც ვსთხოვ ვისმეს ამის ნებასა!

1906 წ., 28 ივნისი, საჩხერე.

## „დიდება მაღალთა შინა“

არც მყვარებია, არც მიყვარს,  
 არც მდომებია, არც მინდა,  
 არც მნამებია, არცა მრწამს  
 შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა!

რომ გკოცნი, დედა მგონიხარ...  
 გეხვევი – შვილი უმანკო,  
 „დიდება მაღალთა შინა“...  
 დიდება, ვინც შენ შეგამკო!

მე შენი მსგავსის ამ ქვეყნად –  
 დავბერდი – არ ვარ მნახველი!..  
 გამიძირტკბილე სიმწარე...  
 თაფლად მიქციე ნალველი!

შენი ღიმილის ჭირიმე  
 და შენი ამოოხვრისა,  
 მაღლიდან ჩამოტანილის  
 ციური მიხვრა-მოხვრისა!

დედა ხარ!.. დედა ობოლი,  
 ქართველად მზდელი შვილისა,  
 სამშობლოსათვის სამსხვერპლოდ  
 შემომწირველი წვლილისა!

ამან გამსჭვალა მგოსნისაც  
 უბინო გრძნობა-გონება  
 და მარად გულში ჩაუდგა,  
 თაყვანისცემით მონება.

მაღლი შენს გამჩენს, ლამაზო!  
 „დიდება მაღალთა შინა“,  
 ვინც შენსა გრძნობა-გონებას  
 ქვეყნად ნათელი მოჰფინა!..

1906 წ., 10 ივლისი, საჩხერე.

## კალმახელიძე

ჩემისთანა უბედური  
ვის სმენია, ვის უნახავს?  
მე რომ საქმე მომივიდა,  
იმისთანა თქვენს მტერს და ავს!..

ვვაჭრობდი და ოთხმოც წლამდი  
ვიყავ სრული ბედნიერი  
და, ჩემს ყოფა—ცხოვრებასაც  
შეჰნატვრიდა მთელი ერი...

სადაც მდიდრებს ახსენებდნენ,  
მეც ვიყავი მათში... რალა!..  
ქუდს მიხდიდნენ, თავს მიკრავდნენ,  
დავდიოდი როგორც ალა.

გამოვჭედე სახლი, კარი...  
ავიშენე სარაია;  
საეზოვედ მივეც ბალჩა,  
შიგ ჰყვავოდა ვარდი, ია.

მაგრამ ერთხელ უმიზეზოდ  
კარს მომადგა ვილაც მტერი,  
ნაცარტუტი ამიღინა,  
გადამინვა ყოლიფერი!

ალარც სახლი, ალარც კარი,  
ალარც რამე სხვა ქონება!..  
მაგრამ ამას რალას დაესდევ?  
გამეფანტა მით გონება,



რომ შვილიც კი ერთადერთი  
დამიხვრიტეს თვალისწინა!..  
დავრჩი ოხრად, ასე მარტო,  
აღარსად მაქვს აღარც ბინა!..

მთას შევსტირი, კლდეს შევბლავი,  
დამიბნელდა ეს ქვეყანა.  
ღმერთო, ჰკითხე, ამ ყოფაში  
ვინც მოხუცი მიმიყვანა!

[1906]

## თომა მოციქული

უარჰყო თომამ მკვდრეთით აღდგომა,  
ველარ მოეგო მოწაფე მცნებას  
და, როგორც სხვებმა მოციქულებმა,  
ვერ დაუმონა გონება გრძნობას:

„არ მრწამს, რაც ყურით არა მსმენია  
და არ უნახავს ამ ჩემს ორ თვალსა!  
მაშინ ვინამებ ქრისტეს აღდგომას,  
რომ ხელს შევახებ მე მის სამსჭვალსა!“

ეს რომ წარმოსთქვა, ასტყდა მიწისძვრა  
და დაკეტილი გაილო კარი  
და შიშით დამფრთხალ მოციქულების  
წინაშე წარსდგა თვით მაცხოვარი.

„ურწმუნო თომავ! – სთქვა გულდანყვევით, –  
ნუთუ უარჰყოფ შენ ძალთაძალსა?  
ხომ მხედავ ჯვარცმულს? მოიგა ხელი!  
აბა, შეახე ამ ჩემს სამსჭვალსა!“

ზარდაცემული, შეწუხებული,  
ბრძანებისამებრ მივიდა თომა,  
შეახო ხელი და მხოლოდ მაშინ  
ინამა მკვდრეთით ქრისტეს აღდგომა.

არიან ჩვენშიც თომასთანები,  
რომ არ სწამთ ქვეყნის მათ მომავალი;  
დღევანდელ ჯვარცმით გულგატეხილებს,  
საშორსმხედველოდ არ უჭრისთ თვალი.

მაგრამ როდესაც თვით მომავალი  
მათ წარუდგება, ვით ქრისტე თომას,  
დაიჯერებენ, რაც დღეს არა სწამთ,  
და დაიტკობენ მწარე გულისთქმას.

მანამდე კი ჩვენ ვიტყვით და ვამბობთ  
(თუმც დასაჯერი ჯერ კი ძნელია),  
რომ სდგება ქრისტე – ის, ვინც სიკვდილით  
სიკვდილისავე დამთრგუნველია!

[1906]

## გარეული ღორი

ექებს და არ დაუკარგავს,  
კენესის და არა სტიკვა რა;  
უმაძლარია, მსუნაგი,  
ტალახში ჰგორავს ჩქარ-ჩქარა.

კორტ-კორტად მოსიარულეს  
ტახი ჰყავს წინამძღვარადა;  
ნათესის ამოსაგდებად  
ჩამოდის ხოლმე ბარადა.

და შემოდგომა რომ მოვა,  
მთას შეუდგება ნელ-ნელა;  
ხშირ ტყეში მოიბუნაგებს.  
უყვარს რკო, ნაბლი, ნიფელა.

მტერი თუ შეხვდა, შემკრთალი  
მოჰყვება „ვეხა-ვეხასა!“  
წინ წადგებიან ტახები...  
უყურეთ თავის ტეხასა!..

გაჰკვრენ, გამოჰკვრენ ეშვებით,  
ძვალს და რბილს გაასწორებენ;  
მოიგერებენ მომსვლელ მტერს  
და ისევ ერთად სცხოვრობენ.

მართებს სიფრთხილით მივიდეს  
იმათზე მონადირესა,  
თვარა ბევრს მათგანს, მოსვლის დროს,  
მათ დედა აუტირესა.

დათვიც ვერ ჰბედავს მათ რჩოლას,  
თუმც გულითადი მტერია!..  
ბევრჯელ უგდიათ ის ხელში,  
აუდენიათ მტვერია!..

ამბობენ, ვინც რომ წასულან  
ხანდახან სანადიროდა,  
რომ დათვი ხეზე გასული  
შეშინებული ჰყვიროდა.

ქვეშ შედგომოდნენ ტახები,  
დაბლა უცდიდენ ხის ძირად;  
უცდიდნენ მხოლოდ ჩამოსვლას,  
შელრუჩუნობდნენ ხშირ-ხშირად.

მაგრამ რომ ნახეს შორიდგან  
მომსვლელად ადამიანი,  
დაფრთხნენ და გადაირბინეს  
მთები მაღალი, ტყიანი.

[1906]

## ეიფელის კოშკზე

მაღალ კოშკზე, ცის მახლობლად,  
 ეიფელის მწვერვალზედა,  
 როცა ყველა დამავინწყდა:  
 ცოლი, შვილი, მამა, დედა, –

ატანილი შიშისაგან,  
 მხოლოდ პარიზს დავჰყურებდი,  
 მაგრამ იმ დროს მე იქიდან  
 ველარაფერს კი ვერ ვკრებდი.

სახლები ჩნდენ სოკოებად, –  
 არშიებად ქუჩა ყველა  
 და ზედ ხალხი დადიოდა  
 ისე, როგორც ჭიანჭველა!

რალაც ლანდად წარმომიდგა  
 ქალაქი და ტურფა მხარე,  
 ველარაფინ გავარჩიე, –  
 ვერც მტერი და ვერც მოყვარე!

და მაშინ ვსთქვი: ნუთუ ისიც,  
 ვინც ხანდახან ხალხს შორდება  
 და სულ მაღლა, მაღლა მიდის,  
 ორთა შუა გახირდება?

რა თქმა უნდა, რომ დაჰკარგავს  
 ხალხზე ის სწორ მხედველობას  
 და სიმართლით ვერ გაარჩევს  
 სიკარგეს და საძაგლობას!..

[1906]

## მე მას ვიცნობდი

მე მას ვიცნობდი სიყრმიდგანავე,  
თითქმის ჩემ ხელში გამოზდილია,  
ხან პირდაპირი, როგორც რომ ვეფხი,  
ხან, ვით კურდღელი, ისე ფრთხილია.

სხვა ქალებს ჩვენში ისე ჰგავს, როგორც  
დღე ღამესა ჰგავს და ნათელს ბნელი.  
ინვის და დნება ამ ცხოვრებაში,  
როგორც ხატის წინ წმინდა სანთელი.

და მეც შორიდან მის წმინდა პარპალს  
თვალს ვადევნებდი სასოებითა  
და ორჭოფობდა სისხლმორეული,  
აღელვებული გული ვნებითა.

დიდხანს და დიდხანს ვიტანჯებოდი,  
შორით დაბმული, შორით დაგული  
და, როგორც სასო, წმინდა იდეალს  
კიდევ შევსწირე სული და გული.

შემნიშნა მანცა და მეგობრულად  
გამომიწოდა სიამით ხელი  
და მაშინ ვიგრძენ, რომ ამ სოფლადვე  
ყოფილა თურმე სასუფეველი.

ნათელმოსილი და აღმამფრენი,  
ის იდგა ჩემ წინ, ვითა ღვთაება,  
და მის თვალებში ამოვიკითხე  
თანაგრძნობასთან თვით უკვდაება!

მის წინ დავემხვე მაშინ მტრთოლვარე,  
 ნიშნად მონების, მუხლთ მოვიყარე  
 და მის უბინო უბე-კალთაში  
 ნეტარებისა ცრემლევი ვღვარე.

მითხრა: „მიყვარხარ, მაგრამ მომშორდი!“  
 და ნიშნად წმინდა სიყვარულისა  
 მისაგზლა კოცნა გამოსათხოვი  
 და თან წამტანი წრფელი გულისა.

გამოვეთხოვე, ნაველ უცხოეთს,  
 მაგრამ ვერ ვნახე იქ მოსვენება:  
 ყოველთვის, ყველგან ის მედგა თვალწინ,  
 როგორც აჩრდილი და მოჩვენება.

ველარ გავძელი, დავბრუნდი მალე...  
 მისი დანახვა მიღირდა ქვეყნად!..  
 სულით და გულით შეკავშირებულს  
 მხოლოდ ის დამრჩა ცხოვრების საგნად.

მოველ და ვნახე ედემის კარზე,  
 ვით ანგელოსი მოსხივცისკარე  
 და მეც მაშინვე იმის თვალეში  
 ამოვიკითხე ჩემი სამარე.

მის სიტყვა-პასუხს, მის მიხვრა-მოხრას  
 შევატყე, ჩემზე აყროდა გული  
 და ქარს წაელო დავინყებისას,  
 მე რომ მეგონა, ის სიყვარული.



მას აქეთ აგერ დიდი ხანია,  
რაც რომ მე მისგან განაძევი ვარ!..  
ორთა შუა ვარ: ვგმობ მწარ სიცოცხლეს,  
მაგრამ სიკვდილსაც ველარ ვწევივარ!!

და ან მშვიდობით ყოველიფერი,  
რაც სიცოცხლეში მენატრებოდა!  
ეჰ, რა ვიცოდი, რომ სიყვარულთან  
ერთად სუყველა გამიქრებოდა?!

[1906]

## ჯიხვი

კლდის შვილი ღრუბელს იმოსავს,  
დიდი და მალალრქიანი;  
ნაპრალზე გადაეშვება,  
უყვარს კლდეებზე ქიანი.

მალლობზე სცხოვრობს, იქ, სადაც  
ვერავინ გასდებს ღირესა:  
არავის ებრძვის, თვითონ კი  
გაურბის მონადირესა.

არ მიიკარებს, წმინდაა,  
არც მტვერსა და არც ტალახსა.  
ამბობენ: შურთხი უმზადებს  
ხანდახან რალაც ბალახსა.

სამაგიეროდ თვითონაც  
მოელის მისგან ნავალსა  
და მიტომ დასდევს კვალდაკვალ,  
ალარ აშორებს მას თვალსა.

რომ დაიძინებს, მახლობლად  
შურთხი დადგება მცველადა,  
და მონადირე თუ ნახა,  
კივილს დაიწყებს ხელადა.

მონადირისგან ეს სიტყვა,  
მე ბევრჯელ გამიგონია  
და კიდევ მჯერა!.. ბუნების  
მოთხოვნილება მგონია.

სცხოვრობს ამგვარად მაღლობზე,  
 ლალი და შეუპოვარი;  
 კლდეებზე კლდიდან მხტომარე,  
 ბალახ-ბუღახის მოვარი...

მაგრამ ხანდახან სიფრთხილედ  
 ვერ შევლის ფრთხილად მყოფელსა  
 და მონადირე მიპარვით  
 გამოათხოვებს სოფელსა!..

ხელში ჩაიგდებს ნუკრებსაც,  
 მთიდან ჩამოჰყავს ბარადა,  
 და გასაყიდად საბრალოს  
 დაათრევს კარისკარადა.

ერთი მეც მყავდა ამგვარად  
 ნაყიდი, მოპოვებული;  
 მოშინაურდა, მაგრამ კი  
 სხვაგვარ უცემდა მას გული;

სულ სახლის თავზე დახტოდა,  
 ეტანებოდა მაღლობსა,  
 ძირს ძვირად ჩამოდიოდა,  
 არ მიეკარა დაბლობსა.

არ მიყენებდა სახურავს,  
 სულ ამიყარა ყავარი.  
 ის იყო მისი ხელობა...  
 მისი სიმართლის ჯავარი!..

მთასვე წაგვვარე მთის შვილი,  
 შეუდგა კლდესა მაღალსა  
 და მე მარტოკა დავბრუნდი,  
 მაღლი შევწირე უფალსა.

[1906]

## ანგელოზის ნანინა

უცხო სტუმარი, მოულოდნელი,  
დედის ნუგეში, ცუცუნ პატარა,  
ტიტინებს, პირზე რაც მოადგება;  
ტრიალობს მთელს დღეს, როგორც რომ ჯარა!

ვითა პეპელა, ცელქობს ნელ-ნელა,  
მომართული აქვს გული, ვით ქნარი,  
თავისნებაა, ისრულებს სურვილს  
თვალცრემლიანი, ხან მომლიმარი.

მისი ტირილი, მისი სიცილი,  
ორივე ერთად სჭრის თანასწორად;  
მტყუანი იყოს, გინდა მართალი,  
გააქვს თავისი მით ერთიორად.

ადრე დილიდან დაღამებამდე  
მოუსვენარი ამ ყოფაშია!..  
სხვები ჰფიქრობენ იმაზე და მას  
არცა სწყურია და არცა ჰშია!

რომ დაღამდება, აჭუჭყუნდება,  
თვალი ეხუჭვის, ძილი ერევა  
და მაშინ მასზე, ვით ანგელოსზე,  
გადმოდის მალლით ლოცვა-კურთხევა.

დაეძინება და სიზმარს ნახავს,  
რომ ანგელოზი ჩამოფრინდება  
ელვარე ფრთებით და სიყვარულით  
პატარა მძინარს გვერდს მოუჯდება.

აღერსით ეტყვის: „დიდ არს უფალი!..  
დიდ არს!.. ოსსანა მაღალთა შინა!..  
შეგერგოს მაღლით ლოცვა-კურთხევა,  
როგორც დედის რძე, როგორც ნანინა!

„მე ვარ დაიკო... პატარა ლიტა,  
ანგელოზთ გუნდში მოსხივცისკარე.  
მე რომ მიმიხმეს, ჩემ მაგიერად  
შენ ამოზრუნინდი, როგორც რომ მთვარე!

„ჩემმა სიკვდილმა მწუხარე დედას  
ბნელი უკუნი გულს მიაფინა.  
ის ბნელი უნდა შენ გაუქარვო! –  
მაგრამ იძინე ჯერ კი, ნანინა!

„რადგანც მე შენში გავხორციელდი  
და შენ ხარ ჩემი ან მოადგილე!..  
იყავ დედ-მამის მანუგეშებლად  
და ცხოვრების გზა გაუადვილე!..

„შენ აქ იხარე, მე იქ ვილოცავ,  
ვით ანგელოზი მაღალთა შინა!  
ეს არის, დაო, ჩემი სურვილი  
და ესვე იყოს შენი ნანინა“.

გამოიღვიძებს დილას პატარა  
კარგ გუნებაზე, პირმომლიმარი,  
თუმც არ ახსოვს კი იმ წინა ღამის  
არც ანგელოზი და არც სიზმარი!

შესცინებს დედას და იმ ტკბილ სიცილს  
დედისთვის სხვა რამ არ შეედრება!..  
გულში ჩაიკრავს პატარა გოგოს  
და მწარე სევდაც გადაეყრება!

[1906]

## მოხუცის აღსარება

დღეიდან ჩემი სტუმარი  
სულთამხუთავი იქნება.  
უნდა ვუკმეო საკმელი,  
სანთელიც მისთვის იქნება.

მომიახლოვდა სიბერე...  
ვაი, რა მძიმე სენია...  
სიბნელით მინაზლაურებს,  
აქ რაც ნათელი მფენია.

მივალ, სად მივალ, არ ვიცი!..  
საიდან მოვალ, – არც ისა!..  
მინისაცა ვარ, ცისაცა;  
არც მინისა ვარ, არც ცისა!

ამიყოლია, ავყევი  
ამ სოფლის „ელა-მელასა“,  
თავი ამირან მეგონა  
უღონო ჭიანჭველასა!

დღეს მივხვდი, – მაგრამ რაღა დროს? –  
სოფელი მატყუარია!..  
იმისმა ფერადოვნებამ  
ჩემი გონება არია.

ყველა ტყუილი ყოფილა,  
რაც კი კაცს მოუგონია.  
ამ სოფელს მხოლოდ უტყუვრად  
თვისი კანონი ჰქონია?

ჯერ აღმა-აღმა ამსვლელი,  
უნდა დაუყვე დაღმართსა  
და უკუღმართი სიბერე  
სცვლის სიჭაბუკეს წაღმართსა!..

რომ სიყმანვილემ იცოდეს,  
სიბერე თუ რა ძნელია,  
არ გაუშვებდა, რასაც კი  
მიუნვდებოდა ხელია!

ახლა მეც მივხვდი, მაგრამ რა?!  
ვინ დამიბრუნებს წარსულსა?  
დამაუძღურა სიბერემ,  
არც ხორცს ვარგივარ, არც სულსა!..

და ვუცდი სულთამხუთავსა,  
შიშით და გულისძგერითა  
და ჩემგან გაუგებარსა  
სოფელს ვათავებ მღერითა!

[1906]

## ზოგი რამ

(ვუძღვნი ს. დ—ს)

ზოგი არ მომწონს რამ შენში,  
მაგრამ საერთოდ კარგი ხარ!.  
ერთ დროს მეც გამომადგები,  
თუმც ჯერ კი სხვისი ბარგი ხარ!

ახლა იღვიძებ, ჯერ კიდევ  
თვალი არ მოგიფშვნეგია  
და შენს სიცოცხლე-ფართხალში  
ბევრი უდროო... მეტია!..

მაგრამ ეს არის კანონი  
ბუნების უტყუარისა!..  
ცხადია, როგორც სინათლე  
დღისით მზის, ღამით მთვარისა.

პირველად ფეხის ამდგმელი  
ცოტა ხნით მობარბაცეა!..  
ვინც არ ინძრევა და სულ ნევს,  
აბა, ის რაღა კაცია!..

შენი შეცდომა სჯობია  
მძინარის შეუცდენასა,  
მინუნებ, მაგრამ შენს ძვირს კი  
ვერ ვათქმევინებ ენასა!

სადაც გულწრფელი შრომაა,  
იქ ნულარაფრის გრცხვენია!  
შეცდომა წარმავალია,  
ქერწლივით გასაცვენია!..



მოვა დრო, შენც გასწორდები,  
დადგები შენს დონეზედა,  
და ბაიათებს დასძახებ,  
სხვა კილო და სხვა ხმაზედა...

მეც იმ დროს ველი, მანამდე  
შორიდან გიგდებ რა ყურსა,  
შენ საქებ-სადიდებელად  
ვერ ავაჟღერებ ჩანგურსა!

[1906]

## ირემი

ძროხის გვარია, ლამაზი,  
 დანმენდილ-დახვეწილია;  
 მტერზედ არ მიდის სარჩოლად,  
 მომსვლელზედ თვითონ ფრთხილია!

უწყინარია, ფეხმარდი,  
 სხვა ნადირთ შედარებითა;  
 ყურმახვილს უჭრის თვალები,  
 თავს იმკობს ბორჯა რქებითა.

მოუდის „მყვირალობის“ თვე  
 მას შემოდგომის პირზედა;  
 ბარად ჩამოდის მთის შვილი,  
 ხშირად ლხინს იცვლის ჭირზედა:

მოსისხლე ადამიანი  
 გულში აიძრავს მტრობასა  
 და შეუდგება კვალდაკვალ  
 სასისხლო ნადირობასა.

ერთხელ მეც ნავყევ ბიძაჩემს  
 ყმანვილი სანადიროდა,  
 ჩამოვარდნილი ბარადა,  
 როცა ირემი სტიროდა.

პირდაპირ მიველთ ლაშეზედ,  
 აქ ჩაესაფრა ბიძია,  
 მეც გვერდში ამოვუდექი...  
 ნამხედულობამ მიწია...

სულგანაბული ველოდით  
 ნადირის გამოჩენასა;  
 გული გვიცემდა არევით,  
 ვევედრებოდით ზენასა!..

უეცრად ჯოგი გამოჩნდა,  
 წინ მოუძლოდა რქიანი;  
 ყელმოღერებით მოხტოდა,  
 თამამად ის შავდლიანი.

იჭექა თოფმა, იხუვლა  
 რალაც საოცარ ძალითა.  
 რომ გადიყარა კვამლმა კი,  
 ეს დავინახე თვალითა:

საბრალო ხარი-ირემი  
 მინაზედ კოტრიალობდა,  
 სიკვდილ-სიცოცხლეს ებრძოდა,  
 უკანასკნელად წვალობდა!..

სხვები კი დაფრთხენ!.. ბიძია  
 მივარდა გახარებული,  
 მეც თანვე მივყევი, სხვაგვარად  
 მიძგერდა მაშინ მეც გული!

უკანასკნელად მოგვაპყრო  
 ჩვენ მომაკვდავმა თვალები,  
 თითქოს ამბობდა: „ხომ ჰხედავთ,  
 რომ ვკვდები განანვალები:

„მითხარით მაინც, ღვთის მადლსა,  
 რა მქონდა დანაშაული?“  
 იმ სანახავმა შემცვალა,  
 გადამიბრუნდა მე გული.

და დავუდევი ჩემს თავსა  
 ხელშეუშლელი პირობა,  
 რომ არ ვიკისრო ჩემს დღეში  
 ცხოველზედ მონადირობა!..

## დაცდა

„ჩიტმა დამძახა დილაზე,  
ვერ მოვასწარი თოფიო,  
გავხელდი, გავბრაზიანდი  
და მომერია ცოფიო!

„სახლში დავბრუნდი საჩქაროდ,  
მთა გადვიარე ნამ-ერთო,  
გზა გადამიჭრა კურდღელმა,  
ვაიზე უი დამერთო.

„კარგად არა მაქვს დაცდილი  
არც ჩიტი, არც კურდღელიო;  
შინ ვზივარ ყურჩამოყრილი,  
რალაცას სანყენს ველიო.

აჰა, გავიდა სამი დღე  
და ცუდს ვერასა ვხედავო;  
მაგრამ რომ კარზე გავიდე,  
ჯერ მაინც ვერა ვბედავო“.

ასე ჰბორგავდა პაპია...  
და რაც კი გულნადებია,  
ველარ დაჰფარა! – წარმოსთქვა  
და ყურს უგდებდა ბებია.

პატარა შვილისშვილები  
ნიგნს კითხულობდნენ იმ დროსა.  
ყური რომ მოჰკრა საჩივარს,  
ლიმი მოადგა უფროსსა.

და უთხრა: „პაპავ, ეგ არის  
ამაო მორწმუნებაო!  
მართალი მხოლოდ ის არის,  
ჭკუა რომ გვეუბნებაო“.

[1906]

## გამოთხოვნა

ჩემი სცენაზე გამოსვლის,  
ღმერთმანი, დრო აღარ არი!..  
ზეთი რომ გამოელევა,  
რას გაანათებს ლამპარი?

სიყმანვილეა ლამპარი  
და ზეთი სიყვარულია,  
მე კი ორივე დავკარგე,  
და მით სიცოცხლე კრულია!

ახლა სცენაზე გამოსვლის  
დრო აღარ არის, აღარა!  
და გეთხოვებათ ამიერ  
ჩემი საბრალო ჭალარა!

[1906 წ. 3 დეკემბრამდე]

## გლახის საჩივარი

დიდება შენდა, უფალო!  
რასა გვთხოვს, რა მოუცია,  
რომ ჩამოგვიდგა ქირივით  
სოფელში ეკზეკუცია?

სადღაც ვილაცას რაღაცა  
ვითომდა ჩაუდენია,  
ახლა ჩვენ გვახდევინებენ!..  
მოგვდეს ცეცხლი და გენია!..

კომლზე სამ-სამი თუმანი  
ადვილად გაუნერია!..  
თითქოს ეს გადასახადი  
გლახისთვის არაფერია!..

სად შეგვიძლია ამდენი,  
რომ მოვაგროვოთ ხელადა?  
უნდა შორს სადმე წავიდეთ  
ფულების საძებნელადა.

რომ დავბრუნდებით, დაგვხვდება  
სოფელი აოხრებული;  
ცოლ-შვილი ნამუსახდილი,  
ოჯახი ატირებული.

რომელ ერთს უნდა გავუძლოთ:  
სირცხვილს თუ აოხრებასა?  
რად არ მოჰხედავ, უფალო,  
გლახკაცის გაჭირვებასა?

[1906]

## თავგადასავალი

მურვან-ყრუ, ჩინგის-ყაენი,  
 ლანგ-თემურ, ჯალალ მძვინვარე,  
 სუყველა წამკიდებია,  
 სისხლი მიღვრია მდინარე.

თამაზ-ხანი და შაჰ-აბაზ,  
 ხოჯა-ხან გამხეცებული –  
 თავზე მესხმოდენ, მაგრამ მით,  
 არ გამტეხია მე გული!

გაძლებით მაინც გავძელი,  
 ვერვინ ამომფხვრა ძირადა,  
 მოლალატე და ორგული  
 ჩვენში ყოფილა ძვირადა.

და ვინც კი გამოჩენილა,  
 აყროლებულა ვით ხახვი;  
 ის წაღებულა წყალწყალად  
 [და ვით] ვა[კეზე ლი]ახვი.

[1906 წლამდე]

## ილიას მოკვლის გამო

1

ნუ მინამლავთ მოხუცს გრძნობას  
და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა!..  
ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა  
საქართველოს ბედისწერა?

არა, არა!.. მითქმა-მოთქმა –  
ეს მშიშარა ტყუილია...  
ის მშობელი არ მოჰკვდება,  
წარმოშობა ვინც ილია!

გრძნობა კვდება, გონება კი  
ეკუთვნის წინ მომავალსა...  
გაჰყავს ხიდი ცხოვრებისთვის  
და უკაფავს გზა და კვალსა.

და მიტომაც, ვინც მოკვდება,  
განა ყველა ითქმება მკვდრად?  
ზოგი ჩადის ბნელ საფლავეში,  
ზოგი აქვე რჩება ლამპრად.

და ილიაც არ მომკვდარა...  
მამულისთვის რჩება ლამპრად,  
მაშინ როცა მისი გვამი  
გადიქცევა მინად და მტვრად.

რაც კი ჰქონდა მალლით ნიჭი  
ბუნებისგან მოცემული,  
მთლად მიუძღვნა მისს სამშობლოს,  
ფიანდაზად დასდვა გული!..



თავი დასდვა ქვეყნისათვის,  
 მიჰბაძა ძმებს თავდადებულთ:  
 მეფესა და ყიფიანსა...  
 იმ ორ ქართველს, განდიდებულთ!

მაგრამ ამათ სიკვდილშიაც  
 განსხვავება არის დიდი:  
 უფრო მწარე და მწვავია,  
 როცა შინ გკლავს შენივ ფლიდი!..

მეფე მოჰკლეს მონღოლებმა,  
 დიმიტრიც მტრის მოკლულია!..  
 მაგრამ ნუთუ შინ ჩვენმავე  
 გამოგვტაცა ჩვენ ილია?!

ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!  
 ის ქართველად არა მჯერა,  
 ვინც გაბედა და ილიას  
 დაუმოკლა ბედისწერა!..

თვით იესო მაცხოვარმა,  
 ვის ხელთ ეპყრა ქვეყნის გული,  
 თანაშემწედ აირჩია  
 ათორმეტი მოციქული,

და მათშიაც გაერია  
 გამცემელი ის იუდა,  
 შურმა, მტრობამ, ბოროტებამ  
 ვისაც გულში დაიბუდა!..

მაგრამ რჯული რჯულად დარჩა  
და იუდა მხოლოდ კრულად,  
ამას საღმრთო ისტორია  
საუკუნოდ ამბობს სრულად!..

და მთელ ქართლში რომ გამოჩნდეს  
მოლალატე ერთი-ორი,  
მსგავსი ისკარიოტელის  
და იუდას თანასწორი,

ამით ჩირქი მთელ ქვეყანას  
გაურჩევლად არ ედება!  
მხოლოდ ხალხს კი, ჭირისუფალს,  
გულში ცეცხლი ეკიდება!..

## 2

ახლა შენთან მაქვს საქმე, იუდავ,  
ნინ წამოდექი! ნუ იმალები!  
და ვერაგობით ძლევამოსილი  
გამოაჩინე შენი თვალები!

ღრმა მოხუცებულს და ნაამაგარს  
რომ ჰკლავდი, მაშინ არ გითხრა გულმა,  
გარეშე მტრების სასიხარულოდ  
ისევ მათგანვე მოტყუებულმა, –

რომ მაგ სიკვდილით იმასთან ერთად  
შენ გულს უკლავდი თვით ქართველობას  
და, შემბლალავი წმინდა-წმინდათა,  
იორკეცებდი თვით საძაგლობას?

მაგრამ შენ ვინ ხარ? ვინ მოგცა გრძნობა?  
ვით ჰეროსტრატემ დასწვი ტაძარი  
და გეგონა, რომ ორივე მხარეს  
საშვილიშვილო დაეც თავზარი?

რა შემცდარი ხარ!.. თვით ილიასთვის  
მაგგვარ სიკვდილში არის სიცოცხლე  
და საქართველოს კი ძველი აღთქმა  
ისტორიული მით გაუახლე.

დროებით დალღილს და მიძინებულს  
ის გამოახელს მაგითი თვალებს  
და შეაჩვენებს საშვილიშვილოდ  
შენებრ მეთაურს და ნაძირალებს.

1907 წ. 7 სექტემბერი.

## დამარხვა

სიცოცხლეში რა ვიცით?  
 მტრობა, გმობა, ყვედრება!  
 მაგრამ დამარხვაში კი  
 ვერავინ შეგვედრება:

გავიგონებთ თუ არა,  
 მოკვდა ესე და ესო,  
 ცოცხლებში ველარ ვხედავთ  
 იმაზე უკეთესსო!

ვეპოტინებით ზეცას,  
 გაბნელებთ მზეს და მთვარეს  
 და შავ სუდარში ვახვევთ  
 მთელ საქართველოს მხარეს!

დეპეში დეპეშებზე  
 მოდის გახურებული!  
 ხორა-ხორა ეგება  
 გვირგვინების კრებული!

გადაქცეული სიტყვად,  
 ვასაქსაქებთ ენასა  
 და მით ვცდილობთ ჩვენივე  
 თავის გამოჩენასა!

მაგრამ რომ გავათავებთ,  
 დავმარხავთ მიცვალებულს,  
 მივსდგებით ისევ ცოცხლებს  
 და მით ვიოხებთ ჩვენ გულს.

არ ვზოგავთ მოღვაწეებს,  
აბურჩად აგდებულსა,  
და თუ მოკვდენ, გავმართავთ  
დამარხვას დიდებულსა!

დიახ! ქართველ მოღვაწეს  
ყველას თვალში ვამცირებთ:  
სიცოცხლეში ვატირებთ!  
რომ მოკვდება – ვიტირებთ!

1907 წ., 21 სექტემბერი, ქუთაისი.

## ნადირობა

გლეხი შეუყვავა წყლის პირსა  
 თევზების დასაჭერადა,  
 ბადე რამდენიც ესროლა,  
 ერთიც არ მოხვდა ღერადა!

იფიქრა: სწორედ თვალი მკრეს!  
 ვინ შემხვდა? ვინ გამლალაო,  
 რომ დრო ამდენი დავკარგე,  
 დავსველდი ალა-ალაო...

დღეს აღარ მომდის დუშაში,  
 იყავნ მაცხოვრის ნებაო –  
 და მიჯობს ტყვილა მოცდენას,  
 უკანვე დაბრუნებაო.

სხვა მონადირე წინ შეხვდა,  
 შინისკენ დაბრუნებული;  
 მთელი ხირხალი მოჰქონდა  
 ასხმული, აკიდებული.

უთხრა: „მომცდარხარ, ძმობილო,  
 მე გაგისწარი ფეხადო;  
 რაც დავიჭირე, მეყოფა  
 საქებრად... დასაკვებადო.

„და ახალ ნანადირევზე  
 შენ რალას დაიჭერდიო,  
 რაც ტყვილად არ იტყაპუნე  
 და დაისველე გვერდიო.

„მაგრამ ნუ სწუხარ მაგაზე  
და ნურც ჩაიგდებ ნურადო.  
ნანადირევი ღვთისაა,  
მოდი, გავიყოთ ძმურადო!“

დაჯდენ აქავე წყლის პირად,  
ცეცხლი დაანთეს კვესითა;  
შამფურზე თევზებს აგებდენ  
რიგ-რიგადა და წესითა.

თან წამოეღოთ საგზალი;  
გახსნეს მათ გუდა ხელადა, –  
ამოალაგეს პურები  
და ღვინით სავსე ხელადა.

თავზე წაადგათ თავადი,  
უთხრა: – „რას შვრებით მაგასო?  
ხვალვე გიჩვილებთ ორივეს,  
გიჩვენებთ ვირის ბაგასო!“

„ეგ საკალმახე ჩემია  
და მე მეკუთვნის ერთსაო...  
რომ შემოსულხართ ქურდულად  
აღარ უყურებთ ღმერთსაო?“

„ნუთუ ახალმა თაობამ  
ეგეც კი დაგინესათო,  
რომ, სადაც ნახოთ, იქ მომკოთ  
სხვისი... სხვის დასაკვნესადო?“

გლახებმა უთხრეს სიცილით:  
 „რას ამბობ საეჭველადო?  
 ის დრო ნავიდა! – ვერ ნახავ  
 მას, რაც გინახავს ძველადო.

„მინა და წყალი ღვთისაა,  
 უფლისგან გაჩენილიო;  
 რად ისაკუთრებს მათ მარტო  
 ვინმე ადამის შვილიო?

„რაც თეგზი წყალში ყოფილა,  
 დღემდი შენ დაგიჭერია;  
 დღეს კი ჩვენც ვისვრით ბადესა,  
 ახლა კი ჩვენი ჯერია.

„იკურთხოს მუშის მარჯვენა! –  
 ქვეყნად არსებობს შრომაო!  
 პურს ველარ აჭმევს ვერავის  
 უსაქმოდ სახლში ჯდომაო.

„გვერდში მოგვიჯექ, ღვთის მადლსა,  
 სჯობს, ერთად ვსჭამოთ პურიო!  
 ან ერთმანეთში შეგვშვენის  
 ჩვენ სამსახური ძმურიო“.

ჩაფიქრდა გულში ბატონი,  
 სთქვა: რას მოვესწარ ამასო?  
 საუკადრისოდ აღარ ვსთვლი  
 გლახებთან პურის ჭამასო!

გვერდში მოუჯდა ნაყმევებს.  
 პირი რომ ჩაიტკბარუნა,  
 ხელი გადისვა უღვაშზე,  
 წვერები გააცმაცურა



და დაიძახა: – „აღარ მრწამს  
აღარც მე ბატონყმოზაო!..  
მას თურმე კი სჯობნებია  
თანასწორობა-ძმოზაო!“

დასძახეს „მრავალჟამიერ“  
გლეხებმა მაშინ გულითა  
და სადღეგრძელოს თავადის  
არაკრაკებდენ კულითა.

აღარც ბატონი!.. აღარც ყმა! –  
თავადს ეს ეცინებოდა  
და გლეხურ „მრავალჟამიერს“  
ტკბილად ბანს ეუბნებოდა.

[1907]

## ბაასი

გული და კუჭი შეიბნენ,  
შეექნათ დიდი ბაასი;  
გულმა რომ უთხრა ასისა,  
კუჭმა მიუგო ათასი.

გულმა სთქვა: „წმინდა ბროლი ვარ,  
ბუდე ვარ სიყვარულისა,  
კაცის ამყვანი ზეცამდი  
და მნათე მისი სულისა!

„წარმომშობი ვარ სიცილის,  
ტირილიც ჩემი მონაა;  
ჩვენი ცხოვრების მწარ-ტკბილიც  
ჩემი ზომა და წონაა.

„რუსთველმა მაქო და მისი  
ნათქვამი ყველა დიდია:  
„უგულო კაცი ვერ კაცობს,  
კაცთაგან განაკიდა!“

კუჭმა მიუგო სიცილით:  
„რაც სთქვი, სულ მართალიაო,  
მაგრამ უჩემოდ კი ყველა,  
გარწმუნებ, ტყუილიაო.

„ჩვენი ცხოვრების ჭახრაკი  
არის პირველად პურიო  
და მიუპყრია ქვეყანას  
მისკენ თვალი და ყურიო!“

„თუ ჩემში არა ყრია რა  
და მშიერი ვარ მეცაო,  
მაშინ ვის გაახსენდება  
მაღალ-საგნებად ზეცაო?“

„შენ ზეცის მოციქული ხარ,  
მე ჭახრაკი ვარ ქვეყნისო,  
ყველა პურს ეძებს! ეს ძებნა  
კაცს აბეჩავებს და რყვნისო.

„გამრყენელი, მაგრამ ძალა ვარ,  
უთვალავი მყავს მონაო,  
და მაშინ შენც გაიხარებ,  
თუ რომ მე მომეფონაო!“

გული აშფოთდა, პასუხი  
მიუგო მედიდურადა:  
„დრონი მეფობენ“, მაგ ძალას  
ნულარ ჩააგდებ ნურადა.

„მოვა დრო, როცა შეგზლუდვენ,  
ეგ ძალა გაგიხუნდება  
და კაცი უფრო სპეტაკი,  
ისევ გულს დაუბრუნდება“.

[1907]

\* \* \*

დიდყურაანთ ყროყინას  
ჩვენები ეჯავრება,  
საიდანაც მოსულა,  
იქით მიეჩქარება.

და ნიშადურს ულესავს  
გულმოსული მარშალი,  
რომ აქ აღარსად დარჩეს  
იმ ვირის გზა და კვალი.

კინტო კი გაოცებით  
შესცქერია ამ ამბავს  
და ხმამალლა იძახის:  
ამოუსვით რ ა უ შ ა ვ ს!

[1907]

\* \* \*

ჩვენი მარშალი არის გამწყრალი  
რალაცა ჭოროზე გუბერნატოროზე.  
ნიშადურს ლესავს და სხვაგან მიჰყავს,  
ზე შეასკუბა დიდყურა ჯოროზე.  
ვაი! ვაი! და სხვანი.

[1907]

## აღდგომის განთიადი

ერთობა და თანსწორობა,  
გულით ძმობა, სიყვარული –  
ყველა ერთად ჯერჯერობით  
ციხეშია დამწყვედული.

მშიერს, მწყურვალს, შიშველს, ტიტველს  
ინახავენ, როგორც მხეცსა,  
განსაცდელსა და სატანჯველს  
უმზადებენ მრავალკეცსა.

სხვათა შორის გალიაში  
ჰყავთ მოხუცი დამწყვედული;  
ის არ ზრუნავს თავის თავზე...  
სხვებისათვის უძგერს გული!..

ჰფიქრობს: ღმერთო, რა შეგცოდეს,  
რომ აწვალე ამდენს სულსა?  
და რად აძლეე გამარჯვებას  
მას, ვინც სდევნის სიყვარულსა?

ყური მოჰკრა, საპასუხოდ  
რომ ჩამოჰკრეს სადღაც ზარებს,  
და ის რეკა დაჩაგრულებს  
გამარჯვებას მიახარებს:

„ქრისტე აღსდგა!“ აღსდგა მკვდრეთით,  
ის ნაგვემი!.. და ჯვარცმული!..  
და ამიერ ქვეყანაზედ  
გამტკიცდება სიყვარული!

„ჭეშმარიტად!“ – სთქვა მოხუცმა, –  
ნუგეშს გვაძლევს მაცხოვარი  
და დღევანდელ ჩვენ ტანჯვასაც  
გაეღება შვების კარი!

[1907]

## დედ-მამა

ღარიბ დედ-მამამ სკოლაში  
შვილი რომ მიაბარესა,  
ცას მისწვდნენ სიხარულითა,  
მოეველენ მზე და მთვარესა.

ჭამა-სმას უკლეს სანყლებმა,  
ტანზე იცვამდენ ძველასა,  
და იშოვნიდნენ რასაც კი,  
შვილს ახმარებდნენ ყველასა.

ფიქრობდენ: გამოიზდება,  
გაიკვლევს გზას და კვალსაო;  
ჩვენ სიბერესაც მოხედავს,  
არ დაივინყებს ვალსაო.

მაგრამ დაბერა გრიგალმა,  
გზა დაუბნია ყველასა!..  
თავისთვის არვინ ფიქრობდა,  
სხვებს უპირებდა შველასა!

შვილიც გავიდა სკოლიდან,  
წავიდა სოფლით-სოფლადა,  
თვალცრემლიანი დედ-მამა  
მარტო დააგდო ობლადა.

მაგრამ დედ-მამა მაინც კი  
ევედრებოდა უფალსა:  
„შენ შეეწიე, უფალო!  
ნუ გაამტყუნებ მართალსა!“

[1907–1908]

## სოფიო ამირეჯიბის სახსოვრად

(ჩახრუხაული)

იყო სალამო  
ტკბილი, საამო,  
საგრძნობი, ჭკუით მიუნდომელი.  
გამოჩნდა მთვარე,  
სხივმომფინარე,  
და მიმოფანტა უეცრად ბნელი.

აღარ სჩანს ბუნდი,  
ვარსკვლავთა გუნდი  
ადევნებია მცურავ მთვარესა;  
თითქოს ღიმილით,  
კავშირით ტკბილით,  
ზე დაჰქათქათებს არემარესა.  
და გამსჭვალული  
მით ქვეყნის გული,  
ზეციურ ძალებს თანა მიჰყვება;  
ქვეყანა ზეცას,  
ზეცა ქვეყანას  
ეკავშირება, ეთანახმება!

შეიძრა მინა,  
გამოელვიძა,  
იგრძნო თვითონაც დიადი ძალა  
და სიტკბოების,  
ლხენის და შვების  
სავსე ფიალა სრულად დასცალა!  
ყვავილთა ფშვენა,  
ბულბულთა სტვენა  
მოედვა ყველგან, ირგვლივ გარემო,  
თითქოს მძინარე,  
ის არემარე,  
გამოაფხიზლა შუქით მთვარემო.



ამისთანა დროს,  
 ტკბილსა და მყუდროს,  
 სასაფლაოზე გაველ დიდუბედ:  
 ვნახე საფლავი,  
 გულმოსაკლავი  
 და ფერმიხდილი ცრემლს ვღვრიდი გუბედ.  
 შემთხვევით, მარცხად,  
 იქ დაემარხათ,  
 ვის ქალობასაც ვსცემდი თაყვანსა  
 და ვადიდებდი,  
 გულში ვაქებდი,  
 მისს შემქმნელ-მშობელს და მისს აკვანსა,

იყო მგოსანი,  
 მანდილოსანი  
 სულით და გულით, თანასწორ სრული,  
 მაგრამ იმასაც,  
 როგორც რომ სხვასაც,  
 ჰფარავს საფლავი ბნელი... უფსკრული.

და ველარას გრძნობს!..  
 მიტომ ვერა ჰგრზნობს  
 ამ ტკბილ საღამოს სულის ჩამდგმელსა  
 და, როგორც სხვებრივ,  
 ანგელოსებრივ,  
 განშორებია წუთის სოფელსა.

მშვიდობით დაო,  
 მკვდარო, უკვდაო! –  
 კურთხეულ იყოს შენი ხსენება  
 და მოგენიჭოს,  
 როგორც უბინოს,  
 ან საუკუნო აქ განსვენება!..

[1907]

## საუნჯე

ერთი „მაქვს“ სჯობს ათასს „მქონდას“ –  
 ჭკუას უთქვამს, გულს უგრძვნია,  
 მაგრამ ეს თქმა მოხუცებას  
 სანუგეშოდ ვერ უცვნია:

ჩხირკედლობს,  
 თავს იტყუებს,  
 ჰზრუნავს, შფოთავს, ჰკვნესის, ოხრავს,  
 მაგრამ ამით რას გაიტანს?  
 ის უკბილო რაღას მოჰხრავს?

რაც სახორცო სიყმანვილით  
 შეძენილი მას ჰქონია,  
 საიქიოს ვერ წაიღებს  
 და თავისი ნუ ჰგონია!

მხოლოდ რაც კი შრომა-ცოდნას  
 შეაქვს ჭკუის სალაროში,  
 თან ეხლება განუყრელად,  
 ვერ დაჰკარგავს ვერას დროში!

ის წარსულიც აწმყოშია  
 და ნუგეშს სცემს მოხუცებულს,  
 მოიმედეს მომავლისას,  
 როგორც თავლი დაუტკბობს გულს.

მაგრამ მაინც ერთი „მაქვს“ სჯობს,  
 ათასს „მქონდას“ გადასულსა;  
 რაც გამქრალა, ველარ არგებს  
 ველარც ხორცს და ველარც სულსა!

[1907]

## სიბერე და სიყმანვილე

გულგატეხილო სიბერევე!  
სხვაა ყმანვილის ბუნება:  
იმას ადვილი ჰგონია  
ხმელეთის გადაბრუნება.

სხვების საგმირო ამბავი  
თუ სადმე გაუგონია,  
ჩალადაც არ მიაჩნია!..  
თავი კი გმირი ჰგონია!

რა ჰქნას? ძვალ-რბილში გამჯდარსა  
ვერ გადუდგება რწმენასა.  
ნუ ჰფიქრობ გადააჯერო!..  
ტყვილა დაჰლაღავ ენასა!..

მხოლოდ ზამთარი გააქრობს,  
დაზრავს ზაფხულის წვანილსა!  
მხოლოდ ისევ დრო შეზღუდავს  
ოცნებას, დროს მოტანილსა!..

დრო სიზმარივით გაირბენს,  
შემოეპარვის ჭალარა  
და რაც მას წინეთ ეგონა,  
ის არ იქნება, აღარა!

ტვირთს დასჯერდება ნაკლებსა,  
დიდს აღარ შეეცილება,  
რადგან გვირგვინად დაედგმის  
მას თავზე გამოცდილება.

და, ბევრნახულო სიბერევე,  
რად სძრახავ სიყმანვილესა?  
დღეს იმას ხმარობ შენც მკაში,  
რაც სიყმანვილემ გილესა!

[1907]

## მობუცი და ახალგაზრდა

მობუცი, რად ჰქეე ნაცარსა?  
ცივი და დაფერფლილია!  
მაგრამ გეტყობა, წარსულსაც  
რომ მოიგონებ, ტკბილია?!

მაგ უნაყოფოს, უსაქმოდ,  
რად მოჯდომიხარ კერასა?  
ლამის გადაჰყვე ოცნებით  
გატეხილ გულის ძგერასა.

გვიჯობს, წავიდეთ სხვის სახლში,  
მიეუჯდეთ სხვების კერასა!..  
იქ შევეურთებთ ჩვენსასაც  
იმათ ტკბილ ბედისწერასა!..

– შვილო, მაგგვარად ვინცა სჯის,  
გამოუცდელი... ხამია!  
არ მოსცხებია ტალახი,  
ჯერ მწარე არ უჭამია.

სხვაგან რომ მიხვალ, სად მიხვალ  
უგნურის სიხარულითა?  
ვინ ნახა დედინაცვალი  
მშობლიურ სიყვარულითა?

თავ-თავისი ჰყავს სუყველას;  
შენთვის კი შენიანია.  
ამას გვიმტკიცებს ცხოვრება...  
გვიმტკიცებს დიდი ხანია.

რას გარგებს, სხვისას გადაჰყვე  
შორეულ ბედისწერასა?  
სჯობს დაუბრუნდე ისევე  
შენს მირულებულ კერასა!

ძველ ნაცეცხურზე მივიდეთ,  
ერთად გავქექოთ ნაცარი,  
მე საიმედოდ მომავლის  
აქ მეგულება, რაც არი.

მერწმუნე, გული ამ ნაცრის  
ჯერ თბილად შენახულია  
და ნაკვერცხალი ობოლი  
აქ კიდევ დამალულია.

ის გამოვილოთ, დავბეროთ,  
ცეცხლი დავანთოთ ახალი,  
რომ ნაკვერცხლები გვათბობდენ  
და გვინათებდეს ჩვენ ალი!..

[1907–1908]

## რამ გამოიწვია „ვეფხისტყაოსანი“

(ლეგენდა)

შუქურ-ვარსკვლავის ჭირიმე,  
რა მოკიაფე რამ არი?!  
თურმე მის შუქზე რუსთაველს  
წერილებს სწერდა თამარი.

ერთხელ მისწერა: „მგოსანო,  
შენ იცი გულში ნადები,  
ერთხელ ვშობილვარ, მეორედ  
ან ველარ დავიბადები.

„შემყვარებიხარ ერთხელ და  
ხომ სიყვარულიც ერთია?  
და სადაც სიყვარულია,  
იქ სინმინდია!.. ღმერთია!..

„ნუ ჰფიქრობ დავმონებოდე  
ქვეყნიურ ქვენა ვნებასა!  
რაც არ შემფერის გავსტეხო,  
მე თავს არ მივსცემ ნებასა.

„მიყვარხარ, გრძნობით მაღალო,  
მიყვარხარ აღმაფრენითა,  
მიყვარხარ იმ სიყვარულით,  
რომ აღარ ითქმის ენითა.

„მინდა გიჭვრეტდე, გისმენდე,  
ვგრძნობდე: ხარ ჩემთან მახლობლად,  
სულით და გულით მსხვერპლი ვარ,  
სხვა რაღა მრჩება ამ სოფლად?

„მეფე ვარ, ვინ არა ჰფიქრობს  
ჩემსა მონება-ხლებასა  
და ჩემი გულის მოგებით  
პირადად ამალლებასა?

„ერთადერთი ხარ მხოლოდ შენ,  
არ მისდევ სოფლის ძრახვასა,  
განძრახ გაურბი სასახლეს  
და მიგვიანებ ნახვასა.

„მგოსანო, თუმცა მეფე ვარ,  
გრძნობა კი პოეტურია  
და მეც შენსავით ქვეყნისთვის  
მხოლოდ სიკეთე მწყურია!

„მარტო ვზი, ველარ გავეუძელ  
უნწყალო გულის ძგერასა;  
წარმოგიდგინე ოცნებით  
და ხელი მივჰყავ წერასა.

„მინდა, რომ გაგიზიარო  
საქვეყნო ჩემი ძრახვები  
და ის აჯობებს საქმისთვის,  
რაც ხშირად დამენახვები!

„არ მინდა ისე გიბრძანო,  
როგორც მსახურს და მონასა!  
როცა გიყურებ და გისმენ,  
თითქოს ვკრეფ ვარდის კონასა!

„თუმც შენი სიტყვა-პასუხი  
ფარ-გვარად დაფარულია!..  
მაგრამ იქ, გატყობ, მგოსანო,  
სამშობლოს სიყვარულია!..

„და სადაც სიყვარულია,  
იქ უეჭველად ღმერთია...  
და, როგორც ღმერთი, სამშობლოც  
ერთია... ერთადერთია.

„მაშ, მოდი, ჩემო მგოსანო,  
ხელი ხელს მივსცეთ, გულს – გული,  
ვარდი დავთესოთ ქვეყნისთვის  
და ზედ ვამღეროთ ბულბული!“

რუსთველმა გაოცებულმა  
გულში ჩაიკრა წერილი  
და გადაჰკოცნა ხელი მან,  
ოცნებით გამოშვერილი.

მერე მიუჯდა მაგიდას,  
ხელჰყო პასუხის წერასა  
და უთანხმებდა სიტყვებსაც  
გულის უმანკო ძგერასა:

„ვარსკვლავსა მოსხივცისკარეს  
სხივები მოუფენია!..  
თუ არ თაყვანი ღვთიური,  
მაშ, მე სხვა რალა მრჩენია?

„მეფეო, მიწვევ სათქმელად,  
რაც დღემდე გულში მდებია  
და საიდუმლოდ შორს, ბნედით,  
ცეცხლივით წამკიდებია!

როგორც მზე, მაღლით ბრწყინვალე,  
შუქს აძლევს ღამით მთვარესა  
და ასულდგმულებს, ათბობს რა  
ცოცხალ-მკვდარ არემარესა,



„ისე შენც მაღლით უნათებ  
ჩემ სანყალ გრძნობა-გონებას  
და მგოსანს, აღფრთოვანებულს,  
ავიწყებინებ მონებას.

„და საბასუხოდ სამეფოდ,  
რა შეუძლია სხვა მგოსანს?  
აღეგორულად, გადაკვრით  
დაგინერს „ვეფხისტყაოსანს“.

„გაშორებული სასახლეს,  
ველად გაჭრილი ხელადა,  
დაგსახავს ნესტან-დარეჯნად  
და შენს ღირსს – ტარიელადა.

„მე მაშინ კარისკაცები,  
დამსახვენ ეშმაკ-ვნებურად,  
მაგრამ რა მგამა, თუკი შენ,  
მიწოდებ ზეაგზნებულად“.

სთქვა და დასწერა კიდევაც,  
თამარ შეამყო ხელადა.  
თავი უმიროსს ამზგავსა  
და საქართველოს – ელლადა.

[1907–1908]

## ურიული მოთქმითი ტირილი საქართველოში<sup>1</sup>

ახა, ნარინჯო, ნარინჯო,  
 შე ბრონეულო, იაო,  
 პირი ზურგისკენ გიქნია,  
 კისერი მოგგრეხიაო!..  
 აღარა ჰყვავი ვარდივით,  
 რა ფერი დაგდებიაო?  
 დაგიკრეფია ხელები,  
 თვალეები დაგხუჭვიაო;  
 მოგელის ბნელი სამარე,  
 საფლავის კარი ღიაო.  
 საიდან მოხველ? სად მიხვალ?  
 ჯერეც ვერ გაგვიგიაო!  
 ახა, ნარინჯო, ნარინჯო,  
 შე ბრონეულო, იაო!

მიდიხარ, თუ არ დაგიხვდეს  
 სამოთხის კარი ღიაო,  
 დაქრთამე, ფული მიეცი,  
 თანვე რომ წაგიღიაო,  
 და თუ არ გასჭრას, მაშინ კი  
 ეს ცული აგიღიაო,  
 ორივე ერთად კუბოში  
 შენთვის რომ ჩაგვიწყვიაო:  
 ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს,  
 ცულს ყველა შეუძლიაო!  
 – ახა, ნარინჯო, ნარინჯო,  
 შე ბრონეულო, იაო!

იქ ნახავ იერემიას,  
 გადაეც გულში ნადები:  
 ჯერ არ სრულდება არც ერთი  
 იმისი დანაქადები.

<sup>1</sup> ებრაელები მკვდარს კისერს უგრეხენ ზურგისკენ და ნაჯახსა და ფულს თან ჩაატანებენ (ავტორის შენიშვნა).

ველით და ველით მესიას,  
 გვიგვიანდება ვადები,  
 ორივე ხელით ჯერ ტკბილად  
 არ გვიჭამია ქადები!..  
 ნურას დაჰფარავ! მეორედ  
 ხომ აღარ დაიბადები?  
 იქაურებსაც გადაეც,  
 რაც რომ აქ გაგიგიაო!  
 ახა, ნარინჯო, ნარინჯო,  
 შე ბრონეულო, იაო!  
 შეხვდები მოსეს, აარონს,  
 ილიას, ელისესაო –  
 უთხარი: არ ვსტეხთ „ძველ ალთქმას“,  
 რაც რჯულმა დაგვიწესაო;  
 ვერ ვხედავთ ახალ რჯულებში  
 იმ ძველზე უკეთესსაო!  
 გადაგვემტერა ქვეყანა  
 იმან და დაგვაკენესაო.  
 რაც ურიებმა დასთესეს,  
 ქრისტიანებმა მკესაო  
 და დაგვრჩენია ნუგეშად  
 მხოლოდ ქურდული ქესაო.  
 უთხარი, ნურას დაფარავ,  
 რაც ტანჯვა მიგვიღიაო.  
 ახა, ნარინჯო, ნარინჯო,  
 შე ბრონეულო, იაო!

გაბნეული ვართ ყოველგან  
 სხვადასხვა უცხო მხარესა,  
 ვერ ვხედავთ იერუსალიმს,  
 იმის მზეს, მისსა მთავარესა,  
 ველარც ვსჭვრეტთ სოლომონისა  
 დიდ ტაძარს მოელვარესა,  
 რჯული გვედება მაღამოდ  
 გულდამწვარ-სისხლმდულარესა;

უცხო ვართ ყველა ხალხებთან,  
 ცრემლს ვაქცევთ მუდამ მწარესა!  
 შეჰვედრე: ტანჯვა გვაკმარონ,  
 მეტი არ შეგვიძლიაო!  
 ახა, ნარინჯო, ნარინჯო,  
 შე ბრონეულო, იაო!

დაგიკრეფია ხელები,  
 თვალები დაგხუჭვიაო,  
 აქ დაგრჩენია, რაც გქონდა,  
 თან ველარ წაგიღიაო,  
 ნაცვლად დაგხვდება იმ ქვეყნად  
 სამოთხის კარი ღიაო  
 და ათასკეცად ის კარგი,  
 რაც აქ ვერ მიგიღიაო.  
 ჩვენ კი მაგ შენმა დაკარგვამ  
 გულები დაგვისიაო!  
 მშვიდობით, ახა, ნარინჯო,  
 შე ბრონეულო, იაო!

[1907–1908]

## ჩაფიქრება

მეც მივდივარ, შენც მიდიხარ,  
 გეთხოვები, საქართველო! –  
 მეც ვსჭკნები და შენცა სჭკნები,  
 როგორც ზამთრის პირად მდელი!

თვით ბუნების კანონია,  
 მე რომ დავსჭკნე ვით ფოთოლი,  
 სამერმისოდ სხვა გამოვა  
 ჩემი სწორი, ჩემი ტოლი!

მაგრამ შენ, ხევ ცხოვრებისა  
 და აკვანო მთელი ერის,  
 მომავალი შავბუდითი  
 სიკვდილის ზარს რად გიმღერის?!

რაც კი გქონდა სისხლად, ხორცად,  
 შენაძენი ათასწლობით, –  
 მთლად მოგიკლა ასმა წელმა  
 თვალთმაქცურის საძაგლობით.

მოგიხიბლა თვალი, გული,  
 გიქარგავდა ზედაპირსა,  
 მაგრამ მითი, იმავე დროს,  
 როგორც ჩრჩილი, ხრწნიდა ძირსა!

და აღარ ხარ, რაც იყავი:  
 ჰხმები, სჭკნები ნელა-ნელა.  
 ათასის წლის ქირნახული,  
 ასმა წელმა მოგინელა.

რაც რომ მტრობამ ვერ დაგაკლო,  
 ის მოყვარემ აგისრულა:  
 სულ ხელის სმით და „ნანინით“,  
 შენი ძირი გამოხრულა.

შენს წაქცევას და დამხობას,  
 „ასი წელი“ შემოჰყურებს.  
 შენ ნახვალ და სხვა შემოვა,  
 შენს ნადგომზე ისადგურებს.

მე ის მტანჯავს, ის მანუხებს  
 და ის მიხეთქს ასე გულსა,  
 რომ აღარვინ არ გიყურებს,  
 მოსარჩენსა ვით სნეულსა!

და, პირიქით, ხელს უწყობენ,  
 მაგ შენს მალე წამოქცევას,  
 ჰგმობენ წარსულს და ერთპირად  
 უგზავნიან კრულვა-წყევას.

ამნაირად ჩაიდენენ  
 მხოლოდ მტრების ხელსაყრელსა,  
 თავი მოაქვსთ მშრომელ მუშად,  
 სამშობლოს რომ სჭრიან ყელსა!

რალა გვეთქმის? რომ კიდეც ვსთქვათ,  
 სადლა არის, ვინ, გამგონე?  
 ბრძოლა! ბრძოლა! მაგრამ, ვაი,  
 მიხდილი მაქვს დამტყნარს ღონე.

და მიტომაც გეთხოვები,  
შავბედითო საქართველო!..  
მაგრამ შენ კი მაინც სინჯე,  
ეგებ მითი თავს უშველო!

გახილუ თვალი! ნუ გრწამს  
გარეშემო ვარდი, ია!..  
სანამ გულში უჩინარად  
ჩაგჯდომია ჩრჩილი... ჭია!

[1907–1908]

## ამოუსვი ნიშადური

ლესე, ლესე ნიშადური!..  
 ვხედავ, გობი აგივსია,  
 მოსცხე ყველას გაბედულად,  
 ამოუსვი, ვინც ღირსია!..

საქართველოს მიწა-წყალი  
 ჩვენი სისხლით მორწყულია,  
 და ზედ ჩვენი წინაპრები  
 მტრისგან მსხვერპლად დაკლულია.

დღეს კი უნდა ვიღაც მოსულს,  
 რომ ჩაიგდოს მუქთად ხელში!  
 სისხლსა გვწოვს და სასიკვდილოდ  
 დანას გვაჭერს ცხადად ყელში.

ამას უნდა ნიშადური,  
 რომ აენვას კუდის რიკი;  
 შვილად რას გამოადგება  
 ჩვენს ქვეყანას ბუში-ტ...

ჩვენშიც გაჩნდენ აქა-იქა  
 თვისი ქვეყნის უმაღური;  
 იძახიან: – „სულ ერთია  
 გარეშე და შინაური!“

გზადაბნეულთ ღმერთადა სწამთ  
 მხოლოდ კუჭი, მხოლოდ პური!  
 და, აბა, მათ მოუხდებათ  
 ამთავითვე ნიშადური.



ადრე მტრების მომგერებლად,  
ჩვენი დედა ზრდიდა შვილებს,  
დღეს კი ყველა მტერს შეჰხარის,  
უცინის და უღრეჭს კბილებს.

აბა, იმათ ამოუსვი...  
მოუხდებათ ნიშადური,  
რომ მით მაინც იგრძნონ რამე  
და აენვასთ... ვითომ ყური!

გასანყლდა და გაღარიბდა  
ჩვენი ხალხი უბედური;  
სანუგეშოდ დარჩენია  
ერთი მხოლოდ – ნიშადური.

და შენც, ჩვენო რედაქტორო,  
გაუწიე სამსახური:  
ლესე! ლესე გულმოდგინედ!..  
მოსცხე ყველას ნიშადური!..

1908 წ., იანვ.

ს. პეტერბურდი.

## ვინ ვარ?

გუშინ ყმანვილი ვიყავ  
და დღეს კი ბებერი ვარ,  
ბევრი არც მაშინ ვიყავ,  
დღესაც არაფერი ვარ.

მაგრამ, წარმოიდგინეთ,  
რომ მოღვაწედ ვსწერივარ,  
ზოგს ზეკაციც ვგონივარ,  
მაგრამ მე კი მწერი ვარ!

ვებრძვი ყველას, ქვეყანას,  
ცოტასაც არ ვჯერივარ,  
მაგრამ რა გამოვიდა,  
თურმე თავის მტერი ვარ!..

სიტყვით, აბა, რა არ ვარ?  
თითქმის ყველაფერი ვერ!  
მაგრამ საქმით კი ყველგან  
ვიღაცა ოხერი ვარ!..

სადღეგრძელოს ჩემსას სმენ  
და მე კი მშიერი ვარ!  
ყველას გულში ვუზივარ,  
სატრფოს ფეხთა მტვერი ვარ!

ამისთანა ყოფაში  
გინდ ვიყო და გინდ არა!..  
ნურც არავინ რამეს მთხოვს  
და არც სხვისი მინდა რა!

ს. პეტერბურლი, იანვ[არი], [1].908 წ.

## მოლექსე

ვინ არა სწერს ჩვენში ლექსებს?  
ვის არ უნდა მოლექსობა?!  
მაგრამ ლექსი რა ლექსია,  
თუ რომ გულს არ დაესობა?

ლექსს აქვს თავის კანონები  
და თავისი საიდუმლო,  
იმას კაცი ვერ მისწვდება,  
ღორმეუცვლა და უგულო!

მაგრამ ჩვენში ეს არ ესმით,  
მიაჩნიათ საადვილოდ,  
ქართულს ლექვენ... ნაცოხრობენ  
უენოთა და უკბილოდ.

გადაკვეცენ თავს და ბოლოს,  
ამღვრევენ წმინდა ქართულს.  
„აბდაუბდა, გადასკუპდა“,  
ყვავი ჰბაძავს ვითომ ბულბულს...

ახლანდელი მოძრაობა  
ვერ ირჯება პატიოსნად,  
ემმაკი და კუდიანი  
რომ გამოჰყავს ვითომ მგოსნად.

თუ არ რამე საემმაკოს,  
სხვას ემმაკი რალას აქებს?  
სადაც ნახავს უწმინდურსა,  
გაისწორებს კუდსა და რქებს.

მოსატყუარ-სათვალთმაქცოდ  
ხელს მოავლებს წმინდა ჩანგსა,  
მაგრამ მისი ნამღერალი  
გულზე მოსდებს ყველას ჟანგსა.

ვინ მგოსანი? ვინ ეშმაკი?  
სად ვერცხლი და ან სად ტყვია?  
მაგრამ ჯერ ეს უბრალოც კი  
ჩვენში ზოგს არ შეუტყვია!

[1908 წ.] მარტი, პეტერბურგი.

## ყვავი და ბულბული

ყვავმა-ყვანჩალამ ზამთარში  
ბულბული აითვალწუნა,  
„რა საცოდავი ყოფილა –  
სთქვა – ეს საბრალო ჩიტუნა!

„არც თვალად ვარგა, არც ტანად,  
არც ხმა აქვს მაგალობლისაო,  
ენაჩავარდნილს, ნეტავი,  
პირი ვინ დაუგლისაო?

„მე ერთი-ოცად მეტი ვარ  
და ხმაც მეტი მაქვს, დიდო,  
ვერ შემაშინებს ზამთარი,  
არც ვისიმე მაქვს რიდო.

„სად მე და სად ეს? მაგრამ, ეჰ,  
სად არის სამართალიო?  
ქვეყნიურ მტრობასა და შურს  
დაუდგეს ორიგ თვალიო!

„ნალმა-უკულმა ტრიალებს  
ჩვენი ცხოვრების ჯვარაო:  
ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს,  
ზოგის კაკალიც არაო“.

ბულბულმა უთხრა პასუხად:  
„რაცა სთქვი, მართალიაო.  
ხმა, რაც ზაფხულში გქონია,  
ზამთარშიც არ გაკლიაო;

„შეუცვლელი ხარ ყოველ დროს,  
საგულესა გაქვს გულიო!..  
მაგრამ მე სხვა ვარ.....სულ სხვა ვარ,  
რომ მოვა გაზაფხულიო:

„მივეგებები ყვავილებს,  
მოვყვები ვარდს და იასო  
და ათას ჰანგზე დავსძახებ  
ჩემებურ „ტია-ტიასო“.

„და შენ კი ისევ ისა ხარ,  
ვერას ახერხებ სხვასაო;  
როგორც ზამთარში, ზაფხულშიც  
ჩხავი სულ „ყვას“ და „ყვასაო“!

[1908]

## ბრძენი

ძველად ერთი ვინმე ბრძენი  
ვირზე მჯდარი, მარტო, ობლად,  
მოძღვრადა და მქადაგებლად  
დადიოდა სოფლით-სოფლად.

დღეს აქ იყო, ხვალ იქ იყო,  
ვერ ჰხედავდა ვერსად უფროსს.  
თაყვანს სცემდნენ მონინებით  
ყველგან, როგორც ფილოსოფოსს!

ერთხელ ლხინში მიინვიეს,  
მოუღბინეს, მოალხინეს;  
ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა,  
იცინეს და გააცინეს.

ბოლოს ადგა მასპინძელი  
და მიართვა სავსე თასი:  
„რადგან დღეს ჩვენ არავინ გვყავს  
შენი ტოლი, შენი მსგავსი,

დაგვლოცე და გვადღეგრძელე  
აქ სუყველა ერთიანა  
და ეს თასი გამოსცალე,  
ან გამირჭვე ყელში დანა!“...

ბრძენმა ბრძანა: „მეყო, რაც ვსვი!  
მეტი აღარ შემიძლია!..  
მანვე შესვას, ვინც რომ მე ეს  
„ალავერდი“ დამილია!“.....

მისი მწარე სიტყვის კილო  
სავსე იყო ყვედრებითა,  
მაგრამ მაინც არ მოეშვენ  
ხვეწნითა და ვედრებითა.

„დალიეო“ – აძალებდნენ,  
ეხვეოდნენ ირგვლივ ყველა,  
და იმანაც სავსე თასი  
გამონრუპა ნელა-ნელა.

მაგრამ ღვინო მოეკიდა  
და მკვდარივით გააგორა,  
მთელი ღამე ისე ეგდო,  
რომ ველარა გაიგო რა.

რომ გათენდა, გამოერკვა,  
შერცხვა და სთქვა: „ვაიმეო!  
სხვების ხვეწნას და სხვების ჯინს  
ჩემი რწმენა დავუთმეო!..“

შეჯდა ვირზე და მასპინძელს  
გაეპარა მძინარესა  
და, გულმკვდარი, მგზავრობის დროს  
მიადგა ერთ მდინარესა.

ვირი თურმე უწყლოდ დარჩა,  
მთელი ღამე ის სანყალი,  
და სიამით დაენაფა,  
როცა ნახა ცივი წყალი.

რომ მოიკლა მან წყურვილი,  
თავი მაღლა ააღირა,  
გაიბერტყა, დაიფრთქვინა  
და ყროყინი გაახშირა.



ძირს ჩამოხტა მაშინ ბრძენი,  
სთქვა: „გამოვსცდი ამ ვირსაო!“  
შეეხვენა: „კიდევ შესვი,  
ნუ გამიტეხ, გთხოვ, პირსაო!“

ხან იქიდან, ხან აქედან,...  
რა არ უთხრა და ევაჭრა!  
მაგრამ მისმა ვერც მუქარამ,  
ვერც ვედრებამ ვერრა გასჭრა!..

ბრძენმა მუხლი მოიყარა  
თავმდაბლობით ვირის წინა,  
თაყვანი სცა მოწინებით,  
ნალვლიანად გაიცინა:

„თურმე ვირი მე ვყოფილვარ  
და შენ დიდი რამ ბრძენიო:  
მე სხვის სურვილს გადავყევი  
და შენ კი ეს არ ჰქმენიო“.

[1908]

## ბედნიერი მოხუცი

„გულის სიმდიდრე, სულის სიმაღლე,  
სულ ტყუილია... სიტყვის მასალა!“  
ნურავინ ამბობს! ვერ დამაჯერებს,  
რომ კუჭსა ჰქონდეს, ერთადერთს, ძალა.

ვნახე მოხუცი, მადლშემოსილი,  
რომ გლახაკივით დაჩანჩალობდა;  
მშვიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი,  
გამორეული სხვებში, ნვალობდა.

მაგრამ მის სახეს, ნათელმოსილსა,  
ტკბილი ღიმილი არ შორდებოდა!  
იმისი სიტყვა, მისი პასუხი  
ყველას როგორღაც გულში ხვდებოდა.

ვერავინ ვნახე მისი უცნობი,  
ახდილი ჰქონდა ყველასთან ფარდა;  
პირში აქებდენ, ზურგს უკან ჰგმობდენ,  
სუყველას სძულდა და თან უყვარდა.

გაკვირდი, ცნობისმოყვარეობამ  
გამომაფხიზლა და ამიტანა:  
თუ სძულთ, რად უყვართ? თუ უყვართ, რად სძულთ?  
მსურდა შემეტყო ეს გამოცანა.

ვკითხე: „მოხუცო, ვინ ხარ, მითხარი!  
მე გზა და კვალი შენი ვერ ვსცანი“.  
მან შემომხედა, ღიმილით მითხრა:  
„ვინ უნდა ვიყო? მე ვარ მგოსანი.

„არაფრად მიჩანს ქვეყნის დიდება,  
 კუჭს არ ვაღმერთებ! თაყვანს ვცემ გულსა  
 და ვუგალობებ მე „თანსწორობას“,  
 „ძმობას“, „ერთობას“ და „სიყვარულსა“.

„თუმც ვერჯერობით, ამ ჩემ გალობას  
 არ ეთანხმება უმეტესობა  
 და ზოგს იმათგანს, კუჭის მიმდევარს,  
 სიტყვები გულზე ეკლად ესობა, –

„მაგრამ მოვა დრო, ის სანეტარო,  
 როცა გაიგებს სუყველა მართალს  
 და მაშინ მხოლოდ ლოცვა-კურთხევით,  
 მოიგონებენ ჩემს გზასა და კვალს“.

– კი, მაგრამ როდის? რომ არ იქნება  
 შენი არც ძვალი და აღარც რბილი?  
 – „მე ანმყოში ვგრძნობ იმ მომავალსა  
 და მით მექმნება სიკვდილი ტკბილი!“

ეს მიპასუხა აქვე დამტკბარმა  
 წმინდა, უბინო მისის ოცნებით  
 და მაშინ მეც ვსთქვი: ნეტავი იმას,  
 ვინც სცხოვრობს ქვეყნად პატიოსნებით.

[1908]

## გიჟი დრო

მზეო, ამოდი, ამოდი  
 ნუ ეფარები გორასა!..  
 ქართველს ქართველი მოუკლავს  
 და უპატრონოდ გორავსა.

ნაშობს აღარ სწამს მშობელი,  
 ძმა ძმაზე ახრჭენს კბილებსა...  
 ნეტავი რა აქვსთ სამტერო  
 ერთი დედ-მამის შვილებსა?

ვისაც კი ნახავ ამ დროში,  
 ცხოვრების უმადურია  
 და ჯავრის ამოსაყრელად  
 სუყველას სისხლი სწყურია!

მაგრამ ვერ არჩევს, მზებნელი,  
 ვერც მტერს და ვერც მოყვარესა  
 და ვის მიენდოს, არ იცის,  
 რომელ ხალხს და რა მხარესა?

ველარა ჰხედვენ, დაებნათ  
 საერო გზა და კვალიცა,  
 რომ აღარა სწამთ წარსული,  
 არ სჯერათ მომავალიცა.

მეტყვიან: დროებითია  
 ეს ყველა, წარმავალიო?  
 კი, მაგრამ მაშინ რალა ვქნათ,  
 რომ წაგვიხდინოს კვალიო?

რაც ათასწლობით აღვნიშნეთ,  
 ის ამოვიფხროთ სუყველა  
 და ველარ მივსწვდეთ მომავალს,  
 გავქრეთ... გავქარწყლდეთ ნელ-ნელა?

აღარვინ ფიქრობს ამაზე,  
 შორს საკითხია ესაო...  
 ჩვენ მხოლოდ უნდა ვიზრუნოთ,  
 რაც ჰშვენიის დღეისდღესაო!..

ასე იძახის სუყველა,  
 კაჭკაჭად გადაქცეული,  
 გულის მაგიერ რომ მხოლოდ  
 კუჭი ჰყავთ გაღმერთებული.

მზეო, ამოდი, ამოდი!  
 ნუ ეფარები გორასა!  
 თორემ სიბნელემ დაგვძლია,  
 ვსდგამთ უგნურების ხორასა!

დრო არის, სწორ გზას დავადგეთ,  
 გამოვახილოთ თვალები,  
 რომ მოყვრებს მაინც გადავრჩეთ,  
 მტრისაგან განაწვალეები!

მზეო, ამოდი, ამოდი!  
 ნუ ეფარები გორასა!  
 ქართველს ქართველი მოუკლავს  
 და ჯერაც აგერ ჰგორავსა!...

[1908]

## მერცხალი და ბავშვები

„მერცხალო! შენმა ჭიკჭიკმა  
მთელი ზაფხული გვახარა!..  
ახლა რომ მიჰფერენ, სად მიხვალ  
და ჩვენთან რჩები აღარა?“ –

ეუბნებოდნენ ბავშვები  
შემოდგომისას მერცხალსა  
და გულდანყვევით უმზერდნენ,  
არ აშორებდნენ მას თვალსა.

მათ საპასუხოდ მერცხალმაც  
ჩაიჭიკჭიკა კვნესითა:  
„თქვენს მოშორებას მეც ვსწუხვარ  
ჩემ შესაფერის წესითა.

„ვსტოვებ სამშობლო ქვეყანას,  
მაგრამ რა ჩემი ბრალია,  
როცა სიცივე მაშინებს,  
ზამთარი მომავალია!

„თანდათანა ვგრძნობ სიგრილეს,  
ძალ-ლონე შემომეღია,  
გადავფრინდები ინდოეთს,  
სადაც ბუნება ცხელია.

„იქ დავიზამთრებ და როცა  
დავსტკბები გაზაფხულითა,  
აქ მოვფრინდები თქვენთანვე,  
ბუდეზე, სიხარულითა.

„ახლა კი მეც გუნდს მივყვები,  
შორი გზით მიმავალიო,  
და დამილოცეთ, მაშ, ყველამ  
მიმავალს გზა და კვალიო!“

ეს თქვა და შეინავარდა,  
ფრთები გაშალა მალეზი  
და გულდანყვეტილ ბავშვებმაც  
თან გააყოლეს თვალები.

[1908]

## გლების ჩივილი

კითხვა

ვინა სთქვა საქართველოზე:  
 ღვთისმშობლის ნიღბვედრიაო?  
 ნუ შეშინდები, ქართველო,  
 თავი ნუ დაგინრიაო?!

მისი რომ ვიყოთ, მაშინ ჩვენ  
 ასე რად მოგვიძულებდა?  
 რად გაგვაძრობდა ხორცზე ტყავს  
 და სულს რად დაგვინყლულებდა?

ცოცხლადვე ჯოჯოხეთში ვართ,  
 ვემორჩილებით ყველასა;  
 მარჯვნივ მივდივართ თუ მარცხნივ,  
 ვერსად ვპოულობთ შეელასა!

გვითხრეს: მოვიდა, ეს არის,  
 „ახალი მეგობრობა“,  
 უნდა დამტკიცდეს „ერთობა“,  
 „თანასწორობა“, „ძმობა“.

რასაც იშრომებთ, თქვენია...  
 რას ჰქვიან მინის ღალაო?!  
 ვინც არ იწამებს ამ მცნებას,  
 იხმარეთ მასზე ძალაო!

რაც გვითხრეს მქადაგებლებმა,  
 სუყველა დავიჯერეთო;  
 გვეგონა მათი ნათქვამი  
 და გულზე დავინერეთო.



შინ დავერიეთ ერთმანეთს,  
 ნოდება – ნოდებასაო;  
 გვეგონა გადავრჩებოდით  
 მითი ძველ გოდებასაო.

გაგწირეთ თავი... გაგბედეთ...  
 ცოდვაც კი ჩავიდინეთო;  
 ზოგან და ზოგან უსჯულოდ  
 სისხლებიც დავადინეთო.

აღარ ვზოგავდით ერთმანეთს,  
 ვიკლებდით შინაურებსა,  
 და, თურმე ვახარებდით მტრებს!..  
 ჩვენზე აცქვეტდნენ ყურებსა!

მოგვანყდა მტერი ხმალ-ცეცხლით,  
 როცა ეს ყველა ნახაო,  
 და მიიმაღნენ ისინიც,  
 ვინც კი ჩვენ გაგვაძრახაო.

ზოგს გვაგზავნიდნენ, ზოგს სწავდნენ,  
 ზოგს შინვე სჭრიდნენ ყელსაო,  
 და ჩვენი ცოდვა საერთოდ  
 მოედვა მთა და ველსაო.

ვინა სთქვა საქართველოზე:  
 ღვთისმშობლის წილხვედრიაო?  
 მისი რომ ვიყოთ, მაშ, მტერმა  
 როგორღა ჩაგვითრიაო?

### პასუხი

ვინ შიში და ვინ ქართველი,  
 რომ შეუკრთეს ერთსა ჭირსა, –  
 „ჭირსა შინა გამაგრება  
 ისე უნდა, ვით ქვითკირსა“.

რომ წარსული შეგესწავლოს  
და იცოდე ისტორია,  
გაიგებდი, ჩვენს წინაპრებს  
თუ რა სისხლი დაუღვრია.

ეროვნება-რჯულისათვის  
იგერებდნენ ქვეყნის პირსა, –  
„ჭირსა შინა გამაგრება  
ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“.

მათ სატანჯველს, მათ განსაცდელს  
ვერ გამოსთქვამს კაცის ენა,  
მაგრამ მაინც არ იტეხდენ  
გულს... ახსოვდათ ღმერთი ზენა.

შედარებით მაშინდელთან  
დღევანდელი არად ღირსა, –  
„ჭირსა შინა გამაგრება  
ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“.

მართალია, მოგატყუესთ,  
აგიბნიეს გზა და კვალი,  
მაგრამ მაინც თქვენი არის  
სანუგეშო მომავალი.

თუ რომ გულში არ ჩაიდებთ  
ერთმანეთის მტრობა-ძვირსა, –  
„ჭირსა შინა გამაგრება,  
ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“.

ვინც ამბობს, რომ სულ ერთია  
გარეშე და შინაური,  
ის მტერია, ან შეშლილი!..  
რად მიუვგდოთ იმას ყური?..

რა ფასი აქვს იმათ სიტყვას,  
 ანუ იმათ დანაპირსა? –  
 „ჭირსა შინა გამაგრება  
 ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“.

ერთადერთი სწავლა არის,  
 საშველი და შენი მხსნელი,  
 სანუგეშოს მომავალში  
 მისგან, მხოლოდ მისგან ველი...

ის ასწორებს და აერთებს  
 გვარიშვილსა და უგვაროს;  
 დავეწაფოთ ყველა იმას,  
 ვით ზაფხულში ცივსა წყაროს.

ტყვილა ვსცდებით და ძმა ძმასვე  
 უსაფუძვლოდ უთხრის ძირსა, –  
 „ჭირსა შინა გამაგრება  
 ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“.

რკინას ცეცხლი აფოლადებს,  
 ადამიანს – განსაცდელი,  
 ერთი წავა და სხვა მოვა,  
 ასე გვიწერს ეს სოფელი.

და, მაშ, ჭირი დღევანდელი  
 ნუ გაშინებს, ნურც გიკვირსა...  
 „ჭირსა შინა გამაგრება  
 ისე უნდა, ვით ქვიტკირსა!“

[1908]

## გაუყრელი მეგობარი

ახალგაზრდა ბიჭი ვიყავ,  
რომ მენვია სილარიბე;  
მოვეწონე მეც მასპინძლად  
და მიმაჭრა უცბად ჯიბე.

მითხრა: „კუჭზე არ იფიქრო!..  
სიმდიდრეა მხოლოდ გული...  
ფულის ნაცვლად შიგ ჩაიდევ  
შენი ქვეყნის სიყვარული.

„და იფიქრე მხოლოდ სხვებზე...  
იფიქრებენ შენზე სხვები!..  
ვინ არის, რომ არ უნდოდეს  
გადიხადოს ნასესხები?“

მომეწონა მისი სიტყვა;  
რაც მირჩია, გავუგონე,  
დავანებე ჩემსას თავი,  
შევაღიე სხვისას ღონე.

მაგრამ ახლა, რომ დავბერდი,  
აღარ ველი დანაპირსა;  
შიმშილისგან კბილებშეკრულს,  
ველარ მიხსნის დანა პირსა.

სილარიბე მაინც კიდევ  
სანუგეშოდ მეუბნება:  
„თან ჩაგყვები სამარეში,  
იქ მოგველის განსვენება“.

აბა, ამისთანა უნდა  
გაუყრელი მეგობარი,  
სხვა, ჩემს მეტი, ვერვინ ნახავს,  
გინდ გადავლოს მთა და ბარი.

[1908]

## ჩემს მეგობარს

დამატკბო შენმა წერილმა,  
როგორც ფუტკარმა თაფლითა,  
გულში რაც სევდა მეზადა,  
სულ გამიქარწყლა... დაფლითა.

მეც საპასუხოდ ავიძერ,  
მელნად ვიხმარე მალამო!  
გულმა, დადგმულმა სანერლად,  
მირჩია: ნურას მალამო.

და სულაც მიტომ გიმღერის:  
„დღისით მზევ, ღამით მთვარეო,  
მოსხივცისკარე მნათობო,  
მოციმციმ-მოელვარეო,

მნათეო ჩემის სიბნელის,  
სხივები მომაყარეო!..  
შენ გამაცოცხლე, შენ მომკალ,  
მეაკვან-მესამარეო!..

მუზა მაყვედრის: „საჩემო  
აგებნა გზა და კვალიო!..  
მე აღარა ვარ, ის არის  
ან შენი იდეალიო!“

მართალი არის!.. შენა ხარ  
ჩემს სიცოცხლეში ყოველი;  
შენით ვიგრძენი სიცოცხლე,  
სიკვდილსაც შენგან მოველი!

მაგრამ რომ მოვკვდე, გახსოვდეს,  
ფეხი დამადგი გულზედა  
და ის მეყოფა მე ძეგლად,  
დადგმული სიყვარულზედა.

[1908]

## ალთა-ბალთა

(ვუძღვნი გ. გვაზავას)

ნუ აიღებ სხვაზე მახვილს,  
 ნურც უარჰყოფ შენსა ფარსა.  
 „ნუ დააგდებ ძველსა გზასა,  
 ნურცა ძველსა მეგობარსა“.

ეს ანდაზა საგულისხმოდ  
 დაუგდია ჩვენს წინაპრებს,  
 მაგრამ ცოცხლის რომ არ სჯერათ,  
 დაუჯერებს ვინლა ან მკვდრებს?

რას შვრებიან? რას ჩადიან?  
 რას ეძებენ... ნეტავ რასა?  
 დარევიან ერთმანეთსა,  
 უპირებენ გამოხვრასა!..

გლეს თავადი, თავადს გლესი,  
 ერს მღვდელი და მღვდელსაც ერი,  
 სულ ერთმანეთს გადაჰკიდეს  
 მოსისხლარად, როგორც მტერი.

გამსჭვალული გულწრფელობით,  
 სასიკვდილოდ თავსა სდებენ,  
 მაგრამ რისთვის? ან თავისთვის,  
 ან ქვეყნისთვის რას ეძებენ?

„ზოგი ალთას, ზოგი ბალთას!“  
 არევიათ გზა და კვალი!..  
 ავინყდებათ ახალი გზა,  
 ძველი გზისკენ მიმავალი!

მართალია, შინ ბევრი გვაქვს  
დასაქოლი და წამხდარი,  
მაგრამ მათზე ჯერ ადრეა  
წუნუნი და საუბარი!..

სანამ მტერი ჩვენ გარეშე  
სასიკვდილოდ გვემუქრება,  
შინაური ბრძოლა არის  
უსუსური უგნურება.

ძალლი რაა? – პირუტყვია!..  
ოთხფეხი რამ მოკლე ჭკუის,  
მაგრამ ისიც არა სცდება  
ცხოვრებაში, არა სტყუის:

როცა ძალებს ერთმანეთში  
ჩხუბი მოსდით ყეფა-ლრენით,  
კბენენ, ჰგლეჯენ ერთმანეთსა,  
სიმწრითა და სისხლთა დენით,

იმ დროს, თუკი თვალი მოჰკრეს  
მიმავალსა მათკენ მგელსა,  
იმავე წამს ყველა ერთად  
აიღებენ ჩხუბზე ხელსა.

და მისდევენ ერთად ყველა  
იმ გარეშე, საერთო მტერს!..  
ყველას ერთის მისწრაფებით,  
შეთანხმებით გული უძგერს.

და დღევანდელ ქართველებს კი  
აღარა აქვსთ ეს შეგნება,  
და სასკვითოდ გადაქმნიათ  
მათი გრძნობა და გონება.

[1908]

## ლორი

ექებს და არ დაუკარგავს,  
კვნესის და არა სტკივა რა;  
აღლოს აიღებს, სუნს იცემს,  
ნუნკად საკვებზე მივა რა!

ყველას დასუნავს, რასაც კი  
ის დაინახავს თვალითა;  
გაძღება, გაიგრილებს გულს  
ნუმპეში კოტრიალითა!

გაძღება – ბედნიერია,  
მეტი არც უნდა ამ ქვეყნად,  
„ცა ქუდად არ მიაჩნია  
და დედამინა ქალამნად“.

[1908]



## „ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“

მსურს, რომ ქვეყანა გულში მივიკრა  
და გახსნილი მაქვს ყველასთვის გული!..  
დაბადებიდან თან ჩამესახა:  
„ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“.

მაგრამ მერე რა? ვილასლა უნდა  
„ძმობა“, „ერთობა“ და სიყვარული“?  
დღეს სუყველგანა და ყველასათვის  
კუჭია მხოლოდ გამეფებული.

ძალმომრეობა და მტაცებლობა  
კანონი არის და სამართალი.  
ვინც დამარცხდება – ის მტყუანია,  
ვინც გაიმარჯვებს – ის კი მართალი!

აი, ხომ ხედავთ, ჩემზე რომ მოდის?  
სახლიკაცია და მეზობელი...  
უნდა ჩემ სახლ-კარს დაეპატრონოს  
და ზედ დამაკლას ჩემი მშობელი.

ნუთუ სკვითი კი არ მეყოფოდა,  
ახლა რომ მოდის კიდეც სხვა მენი?  
ჩემს მინა-წყალზე ჰსურს დაესახლოს  
და მოიმაგროს სამკვიდროდ ფეხი!

ვხედავ, ვუყურებ, მაგრამ მე მარტოს  
არ მაქვს საბრძოლი ძალი და ღონე...  
ვინვევ მოძმეებს დაუფარავად  
და არვინ არის მათშიც გამგონე.

მაშ, რას მიშველის გულგახსნილობა,  
დამშვიდებული რომ არ მაქვს სული  
და რად ვატარო, ვისთვის და რისთვის –  
„ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“?

[1908]

## ჩემი სახე

ვარდზე დაემღერდი, მძორზე ვჩხაოდი;  
ხან ყვავი ვიყავ და ხან ბულბული,  
ხან ნალვლით მქონდა გამოყლენთილი  
და ხან კი თაფლით მე სავსე გული.

სულ გაზაფხული სად გაგონილა?  
განა იშლება ყოველთვის ვარდი?  
ცხოვრებაშიაც ერთს ჩვენ სიხარულს  
თან მოსდევს ხოლმე ათასი დარდი.

და მეც იმიტომ უფრო ვჩხაოდი!..  
ათასში ერთხელ თუ მისტვენია!  
მაგრამ იმ დროს კი მსმენელებისთვის  
ია და ვარდი დამიფენია!

გამიქრა ის დრო და მას თან გაჰყვა  
გაზაფხულიცა ჩემი ნარნარი.  
სიბერემ თავში ჩამიკაკუნა,  
დამიდგა ბედკრულს ცივი ზამთარი:

არც გაზაფხული! აღარც ბულბული!..  
ჩემ თავზე ვჩხავი!.. მცივა და მშია!  
მხოლოდ წარსული კი დამრჩენია,  
მაგრამ აწმყოში რა ნუგეშია?

[1908]

<პეტრიაშვილის გარდაცვალებაზე>

ჩუმი მოღვაწე,  
ნამდვილ ქართველი!..  
სიკვდილით ქართველთ  
გულის მომწყვლელი.

[1908]

## ბორჯომი

ქალაქიდან მეც ბორჯომში  
ჩამოვედი საზაფხულოდ,  
წარამარა ვეხეტები  
უსულოთა და უგულოდ.

ჩემი გასართობი მხოლოდ  
არის შავი ბორჯომელია,  
მის ჩუხჩუხზე ნაპირ-ნაპირ,  
რომ ავჰყვები ნელა-ნელა.

მივალ, სადაც მას შეერთვის  
ჩაქუხა და ჩახრიალა,  
თითქოს ციდან გადმონაქანს,  
თან მოჰქონდესთ შნო და ძალა.

საგულისხმო შვენებაა  
და დიადი აქ ბუნება!..  
მაგრამ ჩემს გულს, დაწყლულეზულს,  
სულ სხვა რამეს ეუბნება:

ძირს რომ შავი ქვა აგდია  
და მალლიდან სცემს ჩანჩქერი,  
სწორედ ისე თავს ესხმოდა  
საქართველოს გარე მტერი.

მაგრამ იდგა შეუცვლელად,  
შეურყევლად, ვითა სალი,  
მრავალტანჯულს ეხატვოდა  
თვალწინ წმინდა მომავალი.

და ამბობდა: „სჯობს გავუძლოთ  
ამ უსხლეტელ გასაჭირსა!..  
„ჭირსა შინა გამაგრება  
ისე უნდა, ვით ქვითკირსა!“

ათასის წლის თავზე დასხმამ  
ბევრი რამე ვერ დააკლო,  
სანამ შინვე მოყვარემან  
მწარე მუსრი არ გაავლო!

უალერსა, ანუგეშა,  
საოცნებო სთქვა „ნანინა“  
და ტკბილ ხმაზე, მატყუარზე,  
საუკუნოდ დააძინა!..

აი, იმ ქვას, განიდან რომ  
მოდგომია ბორჯომელა,  
ვითომ ჰკოცნის, ფეხს ულოკავს!..  
ძირს კი უთხრის ნელა-ნელა!..

როგორც იმ ქვას საფეხურად,  
სალი კლდე აქვს დადებული,  
ისე ჩვენს ერს დედაბოძად  
რჯული ჰქონდა აგებული!

მაშინ ჰქუხდა ქართველის თოფი,  
ჰფეთქდა კვესი და ფალია,  
და კურთხევით ბანს აძლევდა,  
წმინდა ავტოკეფალია...

დღეს კი, ყველას მოკლებული,  
საცოდვავად ჰკვნესის, ჰგმინავს  
და მით უფრო საბრალოა,  
რომ ჩვეულებრ აღარ სძინავს!..

გაიღვიძა და ვერ ჰხედავს  
ახალგამოღვიძებული,  
თუ რა უნდა გზას დაადგეს...  
თვისიანზე მოსდის გული!..

ახლა უნდა მიშველება,  
ეჭირვება ხსნა და შველა!..  
აი, რას მღერს მოჩუხჩუხე  
შავი წყალი, ბორჯომელა!

[1908]

## ოცნება

გული გამიტყდა ამ სიბერის დროს,  
რომ ვერ მოვესწარ, რასაც ველოდი!  
სოფლიურ ძრახვებს და ჩემ გულისთქმას  
მალე დაჰფარავს საფლავის ლოდი.

ოხ, სიყმაწვილევ, იმედით სავსეე!  
რისთვის გამიქერ თვალს და ხელს შუა,  
რომ ხელმეორედ მანუგეშებლად  
ველარ გაბრუნებს გრძნობა და ჭკუა?

სად არის ის დრო, უწვერულვაშო,  
როცა სახლის წინ ვიჯექ მდუმარე?  
მთის წვერვალს თითქოს ცეცხლი მოედო  
და ამოზრწყინდა გავსილი მთვარე!

ინყო ქათქათი, გაფანტა ბნელი,  
სხივები ისრად ქვეყანას სტყორცა  
და ნეტარება ცისა და ქვეყნის  
შეათანსნორა... შეასისხლხორცა!..

მეც გავიმსჭვალე მაშინ, უეცრად,  
რალაც ციური ვიგრძენი ძალი  
და ჩემ გაუყრელ თანამავალად  
გამოვისახე თვით იდეალი.

მაშინ ავიღე კალამი ხელში,  
გაისმა ჟღერა და მწარე ჰანგი  
და, გაჟინთული ცრემლით და ნალვლით,  
ავაქვითინე მკვნესარი ჩანგი.

თან გადავჰყევი მე მის სამსახურს,  
 არ ვაფასებდი ჩემს თავს არც ფარად,  
 და რაც ვიყავი მე იმთავიდან,  
 ის ვიქნებოდი, ვფიქრობდი, მარად.

მაგრამ ამაოდ!.. ახლა სიბერე  
 სულ სხვანაირად მეჩურჩულება  
 და რომ ეს გული კვლავ გამიმთელოს,  
 ქვეყნად არავინ არ მეგულება!

ასე ვფიქრობდი გუშინ სალამოს,  
 ჩემს ჰაივანზე მე გადამდგარი,  
 ორთა შუა რამ გამომწყვდეული,  
 აღარც ცოცხალი და აღარც მკვდარი.

ჩვეულ ადგილზე, მაღალ წვერვალზე,  
 ჩვეულებრივად გამოჩნდა მთვარე  
 და, მიყრუებულ-მიბნელებული,  
 გამოაღვიძა მან არემარე.

მეც გამოვფხიზლდი და შემოვავლე,  
 გრძნობაშეცვლილმა, გარშემო თვალი;  
 ჩემს გვერდით იდგა გაქვავებული,  
 რომ ვინატავდი, ის იდეალი:

იმას შეესხა ადამის ხორცი,  
 ჩამოსულიყო ქვეყნიურ ქალად;  
 მიუწდომელი... მიუდგომელი,  
 ჩემს სათაყვანოს წაჰგავდა თვალად!..

მითხრა ხმატკბილად, ციურ ღიმილით:  
 „რამ გაგიტეხა მაგრე გულიო?  
 ამიერიდან უკუნისამდე  
 არ ჰკვდება მხოლოდ სიყვარულიო.



და თუ მოკვდება, ის მარტოოდენ  
ჩაიქარგება სულს და გულშიო!..  
გაერთხორცდება, გაერთსულდება  
სხვის სიყვარულში სიყვარულიო!

„აქ თუ სურვილი არ აგისრულდა,  
თანვე წაიღე საიქაოსო,  
რომ ის ოცნება შენს სამარეზე  
ია და ვარდად აეყვავოსო“!..

მე ამ სიტყვებმა გამომაბრუნეს,  
დამატკბეს კიდევ უკანასკნელად  
და სამარისკენ თან მიმყვებიან  
ჩემს შესანდობარ საკმელ-სანთელად.

[1908]

## მამალი

ფეხებზე იკრავს დეზებსა  
და თავზე იდგამს ჯილასა,  
გარს ეხვევიან ფრთოსნები  
და რაღას ჰკითხავს ვილასა?

ბატონკაცურად, ყოყორად  
დადის და დაიარება;  
თვალი თუ სადმე შეასწრო,  
ტოლი ნუ მიეკარება!

თუ გათენდება როდისმე  
უმისოდ, არა ჰგონია,  
და მისი მკვახე „ყიყლიყო“  
სუყველას გაუგონია.

[1908]

## კამბეჩი

დადის და დაიხლახნება,  
გადაჭრილ სიარულითა;  
არ აჩქარდება არც წყენით  
და არც რამ სიხარულითა.

ადამიანის მორჩილი,  
ნამლები მძიმე ტვირთისა,  
ახირებული მცურავი  
შეუპოვარი ზვირთისა.

სქელკანიანი, შავია  
და აბრიალებს თვალებსა;  
რომ მოინდომოს, სანყალ მწყემსს  
დასტანჯავს, გაანვალებსა.

მაგრამ რამდენიც ღონე აქვს,  
იმდენად უწყინარია!..  
ტალახში სადმე თუ ჩანვა,  
ცოხნის და ის უხარია.

ზაფხულში ეძებს სიგრილეს,  
ზამთარში აბუზულია;  
ჩვენ მხარეს შეჭიზნებია,  
თბილ ქვეყნით გამოსულია.

[1908]

## თიკანი

„წუხელი ჩვენს თხას, დედილო,  
თიკანი მოუგიაო!  
შუაგულ ძილში ვიყავი  
და მე არ გამიგიაო.

დღეს გამახარა გამდელმა,  
მითხრა: „ადექი, ნახეო,  
რომ თხები ჯერ არ გარეკონ,  
მწყემსები გავაძრახეო!“

ეხვეწებოდა დედამისს  
ოთხის წლის ბავშვი დათიკო  
და, პირდაბანილ-ჩაცმული,  
რომ წასულიყო, მზად იყო.

დედამ დაჰკოცნა ალერსით,  
უთხრა: „კი, შვილო, წადიო!  
ნახე პატარა ბეკეკა,  
ახალი დანაბადიო!“

ბტუნვით წავიდა დათიკო,  
ლილინით მიფრიალობდა  
და უკან მისი გამდელი  
კვალდაკვალ მიჩანჩალობდა.

მივიდნენ, ნახეს, დედა-შვილს  
კუთხეში მოეკალათა.  
ახალნაყოლი ბეკეკა  
ჯეირანს ჰგავდა თვალადა.

კუდის ქიციინით პატარა  
 ტურებსაც აცმაცუნებდა,  
 „მეო“-კნაოდა წვრილის ხმით,  
 დედამისს რომ შეჰყურებდა.

დედა უვლიდა გარშემო  
 და თავზე დასტრიალებდა;  
 ლანდიც კი მტერი ეგონა  
 და თვალებს უბრიალებდა.

დათიკომ ხელი მოჰკიდა,  
 კოცნა დაუნყო თიკანსა,  
 როგორც ერთ რამეს ტიკინას  
 და სათამაშო საგანსა.

დედა გადმოხტა საჩქაროდ,  
 უნდოდა რქებზე აგება,  
 მაგრამ გამდელმა უშველა...  
 ბავშვს არც კი ჰქონდა გაგება,

რომ მის სიყვარულს, მის ალერსს  
 შემოჰყურებდნენ მტრულადა,  
 და იხუტებდა ისევე  
 ბეკეკას მეგობრულადა.

[1908]

## შოშია

პატარა ჩიტი გავზარდე,  
პირდაღებული შოშია.  
ისე გავწრთვენი, როგორც დღეს  
ყმანვილებს წრთვნიან ჩვენშია:

ჩავჩინებდი ყოველდღე  
ადამიანის ენასა.  
დილიდან დაღამებამდი,  
მით ვუყრუვებდი სმენასა.

ვასწავლე: „შია შოშიას!“  
„წყალ-ტაშტი შოშიასაო!“  
„კატა მოვიდა! კატაო!“ –  
ამბობდა ბევრსაც სხვასაო.

ამბობდა, მაგრამ არევით!  
თავ-თავის დროზე ვერ სთქვა რა,  
და მეცა იმის ცოდნაზე  
იჭვები შემომეპარა.

ვსთქვი: „რასაც ამბობს, არ ესმის,  
ზეპირად დაუსწავლია!“  
და ისევ ისე გავუშვი,  
დავაცლევინე გალია!

[1908]

## გამოტენილი სიტყვა

ყველაზე პირველ მე ქართველი ვარ,  
მერე, თუ გინდა, სხვაგვარი ისტი.  
სხვისი თვალითაც არ ვიყურები,  
არ გადამკვრია ჩემსაზე ბისტი.

ვხედავ და ვიცი, რაც გვეჭირვება  
წყლულზე მალამოდ, მოსაშუშებლად.  
არ მრწამს შელოცვა მე შორეული...  
რომ ჩემიანი გაესწირო მსხვერპლად.

მთელ საუკუნის ბატონ-მონებამ,  
დაგვიბორკილა ხელი და ფეხი  
და რჯულთან ერთად ეროვნებასაც  
საშვილიშვილოდ თავს დასცა მეხი.

აიმღვრა ჩვენი ცხოვრების წყარო  
და აირია მით მონასტერი!..  
ესწყველი და ვჟუჟავ ავსულსა ბატონს  
და იმავე დროს მიწასაც ვსტირი.

გზადაბნეული, როგორც რომ ცხვრები,  
მივდივართ, მივხტით, არა გვყავს მწყემსი;  
დუდგულას თოფი ზარბაზნად მიგვაჩნს  
და დიდ მახვილად პატარა ნემსი.

აღარ დავეძებთ შინაურობას,  
სხვებისგან ველით საიმედოს შორს...  
ერთმანეთს ვხოცავთ, ერთმანეთს ვიკლებთ,  
დავემსგავსენით „ოთოთაანთ ქორს“.

მტერსაც ეს უნდა! ეს არის მხოლოდ  
ბანზე ხელმარჯვედ ბურთის აგდება.  
ჩვენ რომ ერთმანეთს ყველა შევანყდეთ,  
ამითი იმას რა დააკლდება?!

არა, ჩვენ უნდა ჩვენი ბორკილი,  
შეერთებულად ჯერ ავიყაროთ  
და მერე უნდა „ძმობა-ერთობით“  
და თანსწორობით ჩვენც გავიხაროთ.

ამას მოითხოვს ჩვენი ცხოვრების  
შეუცდომელი გრძნობა-გონება  
და ჯერ-ჯერობით ამას სჯერდება,  
ვისაც რწმენა აქვს და გაგონება.

[1908]



## იუბილეი

ეს ჩემ თავზე რა მოსულა? სადა ვარ?  
 სიზმარია, თუ სასიზმრო ზღაპარი?  
 ლარიბ-ლატაკს და ბნელში მყოფს აქამდე,  
 ვინ ამინთო ამ ბოლოს დროს ლამპარი?

ყენივით შემასკუპეს მალლობზე,  
 ჩემ წინ დადგა თითქმის მთელი ქვეყანა;  
 მილოცვენ და მაძლს მიხდიან... და რისთვის?  
 რა მიმიძღვის სამსახური მისთანა?

ქალი, კაცი, ერი, ბერი, ბავშვები,  
 გაურჩევლად ტომისა და წოდების,  
 აქ არიან, რომ გამიქრონ მიზეზი  
 ჩემი ტანჯვის და ჩემი ცეცხლმოდების!..

მაგრამ მე კი, რომ გგონივართ, ის არ ვარ!..  
 სხვა იქნება მომავალი ის გმირი!..  
 მე უბრალო მიზეზი ვარ დღეისდღის,  
 იმ მომავლის აჩრდილი რამ და პირი!

ჩემ სუსტ შრომას ეს აჭარბებს ყოველი!..  
 საამისო, აბა, რა მომიცია?  
 ეს ეკუთვნის ყოლიფერი მომავალს  
 და იმისი არის რეპეტიცია!

მაშ, ამნაირ ხალხის აღფრთოვანებას  
 შეუერთებ დღეს ჩემ სურვილს, გულისთქმას:  
 „ვაშა! ვაშა სათაყვანო მომავალს!“  
 ამთავითვე ნავუგზავნი ჩემ სუსტ ხმას!..

[1908]

## გულს

საათს გული ჩამოვჰკიდე,  
ჩემ გულშივე ჩასახული,  
რომ ოცნებით გავიხსენო  
გაგონილი და ნახული!

ვიცი, რომ დღეს სხვას ეკუთვნის,  
ჩემთვის ზედ არ-რა სწერია!  
მაგრამ ჩემს ჩანგს მასზე მაინც  
საოცნებოდ უყლერია!

მიყვარს, მიყვარს მე ეს გული,  
ჩემთვის სრულად დაკარგული,  
და იმისთვის შემინირავს  
საოცნებო სიყვარული!..

[1908]

## ძმური სიტყვა

მიუნდომელსა და უხილავსა  
ყოვლის შემომქმედ ბუნების ძალას,  
ჩვენ, ქრისტიანნი, ვუნოდებთ ღმერთად!..  
მაჰმადიანნი უხმობენ ალლაჰს!..

თუმც ნარმოდგენა იდეალური  
ორივესათვის იგივე ერთია,  
მაგრამ ჰგონია უგნურებას კი,  
რომ სულ სხვადასხვა ორი ღმერთია.

ერთიმეორის მოშურნე მტერი,  
მათ-მათ მმოსავის მტრად გადამკიდე  
და იმთავითვე მოძმების სისხლით  
მორწყული იყო კიდითიკიდე.

თათარი ქართველს, ქართველი თათარს,  
ერთმანეთს ველარ ურიგდებოდენ,  
გამოურკვეველ რჯულის შეცდომით  
ერთიმეორეს ემტერებოდენ.

მაგრამ ახლა კი ახალი მცნებით  
გამოეცვალათ ორივეს გული  
და ზედ დასწერეს ერთაშორისი:  
„ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“.

რა მცნება არის ნეტავ ეს მცნება,  
რომ ძველ სიბნელეს გაუღო კარი  
და მთელ აზიას გამოუბრწყინა,  
წინამორბედად მზისა, ცისკარი?

ეს მცნება არის „კონსტიტუცია“,  
 მალლით ხალხისთვის მინიჭებული,  
 და ყველას გულზე მან დააბეჭდა:  
 „ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“.

მოულოდნელად, მტრის საგულისხმოდ,  
 თვით ფადიშახმა ასე იწება!..  
 ან აღარც რჯულის სხვადასხვაობა  
 და არც სხვადასხვა გვარ-ეროვნება!

სუყველა ერთად, ერთ დიდ სამეფოდ,  
 შეკავშირებულ-შემტკიცებული!  
 და ყველას გულზე ზე წარწერილა:  
 „ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“.

ამ სამმა ძალმა შეერთებულმა  
 უნდა მოგვხოცოს ჩვენ ძველი ჟანგი  
 და ამ დღეიდან თავისუფლებას  
 უგალობს, უჟღერს ეს ჩემი ჩანგი:

ვაშა, თურქებო! ვაშა, სტამბულო!  
 კანგამოცვლილო, გახარებულო,  
 დროს საკადრისად ამიერიდან  
 აზიის მხსნელად მოვლინებულო“.

12 ნიფობისთვე, 1908 წელი.

## ჩემი ჭმუნვა

ის არ მაშინებს და არც მატირებს,  
რომ ირგვლივ მტერი შემოგვხვევია!..  
გარეშე მტერთან დავა და ბრძოლა  
იმავე თავითვე ქართველს სჩვევია...

და ჭირში შინა გამაგრებული –  
როგორც ქვითკირი, ისე ყოფილა,  
აუტანია მას განსაცდელი,  
მაგრამ დამხოვით არ დამხოვილა!

მე ის მალონებს, დღევანდელ ქართველს  
ძველი ანდერძი რომ ავინყდება,  
და ეროვნობის მაგარი ციხე  
შეუგნებლობით შიგნიდან სტყდება.

მტერი იძახის: ვინ გაიგონა  
ახლანდელ დროში ეროვნებაო?  
მხოლოდ ერთია „მუშათ საკითხი“,  
გულს დაიბეჭდეთ მარქსის მცნებაო!

ამას ჩვენ გვირჩევს და თავისათვის  
სულ სხვანაირად გაიყურება,  
სცდილობს კისერი მოგვატეხინოს!..  
და მით თავისს ერს ემსახურება.

ჩვენს ქართველებს კი „მეცნიერების  
უკანასკნელი სიტყვა“ ჰგონიათ  
და მიაჩნიათ ჭეშმარიტებად,  
რაც კაჭკაჭივით გაუგონიათ.

მტერსაც ის უნდა! მოტყუებულ ერს  
უფრო ადვილად ჩაიგდება ხელში,  
და ღონემიხდილს შინაურ ბრძოლით,  
ადვილად, მაგრად ნაუჭერს ყელში.

სულს მოიბრუნებს ჩვენს ნაოხარზე...  
ჩვენი დაჩაგვრა მისთვის ლხინია!  
ყველა მათგანი, სიტყვით ბულბული,  
საქმით იგივე „ტიმოშკინია!“

სიტყვა სხვა არის, საქმე სულ სხვაა...  
სულ სხვა აქვსთ გულში მათ დაფარული!  
ხრიკია მხოლოდ პოლიტიკური:  
„ძმობა, ერთობა და სიყვარული!“

მაგრამ არ სჯერათ ეს უბრალო რამ  
დღეს მეთაურად გამოსულებსა,  
წარსულსა ჰგმობენ და მოელიან  
მომავლისაგან სასწაულებსა!

და არ ჰფიქრობენ: ერს თუ წარსულში  
ვერ აღუნიშნავს ცხოვრების კვალი  
და მისი ანმყოც უვარგისია, –  
რაზედ ააგოს მან მომავალი?

მწარე ოცნებით გატაცებულსა  
და ჩქარ სურვილით გაკერპებულებს, –  
ცარიელ სიტყვით, გინდ ქეშმარიტად,  
ვინ დააჯერებს? ვინ მოარჯულებს?

ბავშვი თუ ჰხედავს მახლობლად თაფლსა,  
შეჭმის სურვილით სულწასულია  
და არაფრისთვის არ დაგიჯერებს,  
რომ ის მტრისაგან მოწამლულია!

და ვაჟკაცი კი წმინდა თაფლს ეძებს  
წინდახედულად, წონით და ზომით,  
და ერთხელც არის, ხელში ჩაიგდება,  
შინაურულად ან ცხარე ომით!

ისვე თაფლია ცხოვრებისათვის  
„ძმობა, ერთობა და სიყვარული“,  
და ღირს დალიოს იმის ძებნაში  
ადამიანმა სული და გული.

დალიოს, მაგრამ წინდახედულად,  
აუჩქარებლად, ღირსად და ფრთხილად,  
რომ მისი შრომა და მისი ღვაწლი  
მის მოძმეებსაც შეერგოს ტკბილად.

იმას არ ეთქმის „ადამიანი“,  
ვინც აღიარებს მარტო თავისს ერს,  
და სხვა ტომებს კი ისე შეჰყურებს  
ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტერს.

დეე, სუყველამ იბედნიეროს  
თვისს სამშობლოში, თავისს მხარეში,  
რომ მოძმე იყონ ერთიმეორის  
და არა მონა, ყმა და ფარეში!

ვისაც არ ესმის ეს წმინდა მცნება  
და სხვის დაჩაგვრა გულში აქვს მარად,  
უნდა ავილოთ მასზე მახვილი  
და მოვიხმაროთ... მაგრამ კი ფარად!

ვაი!.. ეს რჩევა დღევანდელ ქართველს  
ვერ შეუგნია... არ ეყურება,  
ჰგონია თავს სდებს სამშობლოსათვის  
და მისვე მტერს კი ემსახურება.

აი ეს არის, მე რომ მალონებს!..  
ძველი ანდერძი რად გვაგინყდება?  
და ეროვნული, ქართული ციხე  
შეუგნებლობით შიგნიდან სტყდება.

[1908]

## პეტერბურგი

ზაფხულში სულ დღე, ზამთარში – ღამე,  
გარეთ სიცივე, სახლში უგარი!..  
ველარც შინ რჩები, ვერც სად მიდინარ!..  
ქუჩებში თოვლი, ბუქი და ქარი!

ღვინო არ მოდის, წყალს სვამ ნადულარს,  
ხორცი და პური გაყვივნილია,  
მაგრამ ესეც რომ მამასისხლად ღირს?..  
სიცოცხლე სწორედ მონამლულია!

სხვა უკეთესი მხარე ვერ ნახეს,  
ამდენი ხალხი რომ აქ შეყრილა?  
რას დაეძებენ? რას აკეთებენ?  
სჩანს, „გასცვეთია სუყველას ლილა“.

როგორც ჭინჭვლები დაფუსფუსებენ,  
სუყველა ტკბილად მოუბარია,  
მაგრამ მართალი ერთიც არ არის,  
ერთიმეორის მატყუარია!

მიხვალ ბირჟაზე, ხრიალი გააქვთ,  
ა ეს აქცია! ა ის აქცია!..  
თუ გაგაბრიყვეს და გაყიდვის  
მაშინ იქნება, აბა, „აქცია“!

თუ რამ საქმე გაქვს სამჯავროებში  
და კანონიერ სამართალს ელი,  
ტყვილად მოსცდები, ვერრას გახდები,  
თუ თან არ მიგყვა პორტმანე სქელი.



და მინისტრებიც, ეს ხალხის მტრებიც,  
 წვრილ ჩინოვნიკებს ემყარებიან! –  
 ჰსურთ გარეგნობით გაგაყეყეჩონ,  
 ინდაურივით იბერებიან!..

წახვალ „დუმაში“, მაგრამ რას ხედავ!  
 მართლა რომ დუმა – საკვურვლეთია!..  
 უსამართლობას აქაც სიმართლე  
 დაუგლეჯია... დაუფლეთია!

ერთი სხვას ამბობს, მეორე სულ სხვას,  
 აქ ბაბილონის გოდოლს აგებენ!..  
 ძირს!.. – ძირს ჭკვიანო!.. ტყულა ნუ სცდები,  
 პურიშკევიჩებს მხოლოდ აქებენ! –

გულდანყვეტილი, გულგახეთქილი  
 გამობრუნდები, არ იცი რა ქმნა?  
 და მიაშურებ საითმე თეატრს,  
 ჰფიქრობ, იქ არის ერთადერთი ხსნა.

დროს გაატარებ, აქ დაგიხვდება  
 გოტე, შილერი, ანუ შექსპირი,  
 მაგრამ გამოდის ვილაც ახმახი...  
 ისე ღრიალებს, როგორც რომ ვირი.

როგორც ეტყობათ, აქ ხელოვნებაც  
 სხვაგვარად ესმისთ.....თავისებურად!..  
 რა ენაღვლებათ, ფულებს იღებენ  
 და მოთამაში სცხოვრობს მეფურად.

რომ აღარ იცი, სადღა წახვიდე!..  
 გინდა თუ არა, ჩადგები ვალში,  
 და ფაცაფუცით, ფეხის აყოლით,  
 შენც მიაშურებ სადითმე ბალში.

დაგხვდება ბალი გაჩაღებული,  
ხალხი მრავალი... უთვალავადა,  
კაცი ქალისთვის, ქალი კაცისთვის  
სახუნტრუცოდ და სანახავადა.

კაცებს ფრაკიანს, ქალებს სრაკიანს  
ხედავ, არ მოგწონს მათში არც ერთი,  
თითქოს მიდიან აბანოშიო,  
მოუტვლებიათ ქალებს გულ-მკერდი.

დეკოლტე მათი იქ გათავდება,  
სადაც იწყება მეორე ზურგი.  
ოხრად აყრიათ ბრილიანტები,  
მაგრამ რად გინდათ? სუყველა ურგი!..

ცხვირით ცას ჰყნოსვენ, თვალები ჩიჩხი,  
თმა ნასესხები, უნარბნამნამო!..  
რომ რამე უთხრათ, არ დაგაცლიან,  
მოგაძახებენ: „ნამო და ნამო!“

აი დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა  
მათი ალერსი რალაც ქაჯური  
და მათთან ერთად სუყოლიფერი,  
რაც კი მინახავს მე აქაური.

ბუნებით მდიდარს, ცხოვრებით ღარიბს,  
სხვა მხარე ვერ სჯობს ჩვენ საქართველოს.  
და მიტომაც ვსვამ მე წრფელის გულით  
საშვილიშვილო მის სადღეგრძელოს.

იცი – რასაც სვამ, იცი – რასაც სჭამ,  
ბუნებრივია იქ ყოლიფერი,  
ცოტას სჯერდება, კმაყოფილი ხარ  
და არაოდეს არ ხარ მშვიერი.

წყალი წყაროსი, ნუნუა ტკბილი,  
 კარგი ლობიო და ცხელი მჭადი,  
 ბეჭი სანებლით, ჩახოხბილები,  
 ზუთხი, კალმახი და სუკის მწვადი.

იქ თვითეული ამათაგანი,  
 კუჭისთვის მარგი, გემრიელია,  
 იყოს წყეული!.. რათ გინდა ფული?  
 თუ ეს ყველა არ შემოგელია!

ნახავ ქართველ ქალს, ვერ ამორებ თვალს,  
 ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ლამაზია!..  
 იმის ერთ კოცნას შესწირავ სრულად,  
 შენი რომ იყოს, მთელი აზია!

არც დეკოლტები, არც ბრილიანტი  
 და არც მაცდური რამ ხელოვნება,  
 ყოველთვის, ყველგან, ყოველ ადგილზე  
 მარტივობაა მხოლოდ ბუნება.

იქ ქალი ქალს ჰგავს და კაცი – კაცსა,  
 აქ კი ორივე არეულია,  
 და საზომათაც გრძნობა-გონების  
 მხოლოდ ფულია!.. – ყველგან ფულია!..

და რალა ვაქო, ამ ცივ ქვეყანას  
 რომ ვერ ვნახე რა მე აქ საქები?  
 ვირი ყოველთვის ვირად დარჩება,  
 გინდ გაუკეთო მას ირმის რქები.

[1908]

## ამაოება

ეს ქვეყანა არაფრად ღირს,  
 მისი ფასი ბზეა... ჩალა!  
 და კაცებიც, ჩვენ, რალა ვართ?  
 არაფერი!.. მაჩანჩალა!

მაშ, რა იყო, მთელმა ერმა  
 რომ მომიძღვნა „ქებათ-ქება“?  
 თამაშობა და შექცევა...  
 მხოლოდ თავის მოტყუება!..

მე შენ გჯობვარ, შენ მე მჯობხარ!  
 შედარებით ეს ასეა,  
 მაგრამ მჯობნი ორივესი  
 სხვა ასი და ათასია.

სულ რომ ერთში მოათავსო  
 ქვეყანაზე რაც ნიჭია,  
 კაცი მაინც თავისთავად,  
 არის მხოლოდ მატლი... ჭია!

და ჭკვიანად იმას ვსახავ,  
 იმას ვეტყვი კაცად სრულსა,  
 ვინც ამიხსნის მე ამ ქვეყნის  
 დასაბამს და დასასრულსა.

[1908]

## პარიზი

რომ შევადარე პარიზი  
იმ ჩემ სამშობლო მხარესა,  
კინალამ გული გამისქდა...  
ფიქრებს მივეცი მწარესა!

აქ ყოლიფერი თვალსა სჭრის,  
იტაცებს გრძნობა-გონებას!  
კაცი ვერ ასწონს სიმდიდრეს  
და ვერ დაითვლის ქონებას.

და შესაფერად ამისა  
ცხოვრებაც სხვანაირია!  
თუ თვით სამოთხე არ არის,  
მანც სამოთხის პირია!

სულო და გულო, რაც გინდა,  
უცბად იშოვნე ყველასა,  
მაგრამ სულ თავისთავად კი...  
სხვისგან ნუ ელი შევლასა.

აქ უნდა იმან იცხოვროს,  
ვინც ჩვეულია ლხინისა;  
ვისაც ჯიბე აქვს ოქროსი  
და ხასიათი რკინისა!

მაშ, მე რაღაზე მოვსულვარ  
ამ საოცნებო მხარესა,  
სადაც ცხოვრებას მივსწვდები,  
ვით მალლა ცაში მთვარესა?!

პირდაღებული შევჰყურებ  
მე სხვების ნეტარებასა,  
და შევბუტბუტებ ჩემს თავსვე  
ნაღვლიან აღსარებასა!

ვითომ კაცი ვარ მეც რაღა?!  
ნაციით ივერიელი...  
ვცხოვრობ, დავდივარ, დავბზუი,  
ბუზივით, ოხერ-ტიელი.

1909 წ. აპრილის 2.

## სალომე იონას ასულს მეუნარგიას

როცა გათხოვდე, უთხარი შენს ქმარს,  
რომ ბავშვიც იყავ შენ საყვარელი  
და სამეგობროდ მხცოვან მგოსანმა  
გამოგინოდა შენ ტკბილად ხელი.

1909 წ., აპრილის 27.

## ანდერძი ჩემს შვილს

გულს ნუ გაიტყებ, იყავ მხნე,  
რაც უნდა ჭირში ჩავარდე,  
ცხოვრების დახლართული გზა  
უშიშრად გაინავარდე!

ყველა გიყვარდეს და ცოდვაც  
შეუნდვე წრფელის გულითა!  
მით ამალღდება მდაბალი  
სხვებისგანც სიყვარულითა.

მარტო შენს თავზე ნუ ზრუნავ,  
სხვებიც გახსოვდეს მარადა.  
შრომა აილე მახვილად  
და მოთმინება ფარადა!

აი, ეს არის ამქვეყნად  
შვება და ბედნიერება  
და უკვდავების მარადი,  
უჭკნობი მშვენიერება!

1909-სა წ., 1 ივნისი.



ელისაბედ წერეთლისაგან  
ბეჟან წერეთელს

შენმა გმირობის სახელმა  
ქალები გაგვაოცაო,  
გვიკვირს, ეს სიმხნე ბეჟანმა  
როდიდგან დაიმტკიცაო.

მეც ამეშალა ვნებები,  
შენთან ველარა ვფიცამო.  
აკაკი ნატრობს შენობას,  
მე კი მსურს ვიყო ნიცაო.

1909 წლის 5 ნოემბერს.

## ტყვეს

შენ ბორკილში ხარ, ჩემო ძმობილო,  
 მე თავისუფლად დავიარები,  
 მაგრამ ორივეს თანსწორად გვტანჯავს  
 ნაბორკილევი და იარები!

შენ საკანში ხარ, მე კი მაგ საკანს  
 გულით ვატარებ დიდი ხანია  
 და ვინ დაითვლის, რაც იმისაგან  
 ტანჯვა-წვალება ამიტანია?

შენ ნუ გგონია, რომ საპყრობილე  
 მარტო მაგ ციხის კარდახშულშია!  
 საპყრობილე ის უფრო მწვავია,  
 რაც ჩაკირული სულს და გულშია!

რასაც შენ ეძებ, მეც მას ვეძებდი,  
 მისკენ მეჭირა ყური და თვალი  
 და დაქანცულმა ამაო ძებნით  
 ვერსად ვიპოვე მე იდეალი...

ყველგან სიცრუე და თვალთმაქცობა,  
 ყველგან გაცემა და მოტყუება!  
 უსამართლობა სჩაგრავს სიმართლეს...  
 ბოროტი კეთილს არ ეპუება!..

მაგრამ სულ ასე ხომ არ იქნება?!  
 ერთხელც, ის არის, გასჭრის სიმართლე,  
 წარხოცს დღევანდელ უსამართლობას,  
 შემოაშუქებს ბნელში სინათლე.

და იმ სინათლის ვინც რომ არ არის  
თავდადებული მაძიებარი,  
რა სიცოცხლეა მისი სიცოცხლე?  
ის აქავეა ხომ ცოცხალ-მკვდარი?

და ცოცხალმკვდრობას განა არა სჯობს  
ცოტა იცოცხლო, მაგრამ კაცურად,  
და უსამართლო განსჯა-გაკითხვას  
დაუხვდე ხოლმე კაცი კაცურად?

არა, ნუ გასცვლი მაგ შენს განსაცდელს  
საუკუღმართო ნეტარებაში!..  
და ნუ წაიციდენ ბედის სამდურავს  
ნურც შენს მოძღვართან აღსარებაში!

ნეტავი იმას, ვინც წრფელ განზრახვებს  
თან ჩაიყოლებს სამარეშია!..  
გრძნობა სინმინდის, გრძნობა სიმართლის,  
მომაკვდავისთვის ტკბილ-ნუგეშია!

გაუძელ, ძმაო, მაშ, შენც შავ საკანს!..  
კიდევ ეგა სჯობს სარაიასა,  
თუმც მანდ ამოდის მხოლოდ ეკალი  
და აქ კი კრეფენ ვარდს და იასა.

ჯერ ყმანვილი ხარ, ეგებ მოესწრო,  
იმ იდეალის აღყვავებასა,  
რომ გამოხსნილი შენგან ქვეყანა  
შენ გიგალობდეს „ქებათ-ქებასა“.

მე კი, მოხუცი, ვერ მოვესწრები!..  
მაგრამ მით მაინც არ ვიტყვ გულსა  
და შიგ კუბოში ჩავდებ იმედად  
„ძმობას“, „ერთობას“ და „სიყვარულსა“.

პარიზი, 1909 წ.

**ალბომში**

მარი ტუკას-მასილიონს

ნეტავ იმას,  
ვინც შენ ტკბილ ხმას  
სანუგეშოდ ისმენს მარად.  
ნეტავ იმას,  
ბედნიერ ყმას,  
ვისაც ირჩევ შენდა ქმარად!  
ცით მოსულო,  
ქვეყნად სრულო,  
გმონებს გრძნობა და გონება,  
და პოეტის,  
შენი მჭვრეტის,  
ზეგარდამო შთაგონება!

[1909]

## ელისაბედ ორბელიანისას

ფრანციზულად გიყვარს წერა,  
რუსულს თარგმნი, ქართულს ვერა,  
მაგრამ მაინც ქართველობა,  
გეფიცები, შენი მჯერა!

[1909]

## სურათზე ბატონიშვილს ოლგას

უცხო ენით მოსაუბრემ,  
აღარ იცი შენ ქართული.  
მაგრამ მაინც შეგჩენია  
ჩვენებური სული... გული!

შენს ნაწერში ორივე სჩანს,  
ჩაქსოვილი, ჩაქარგული...  
მადლობა ღმერთს, რომ შენ მაინც  
არ ხარ ჩვენთვის დაკარგული!

[1909]

## უცნაური ამბავი

ერთხელ ანგელოზთა გუნდმა  
ბოიკოტი გააკეთა:  
სასუფევლის ნეტარება  
გაუმწარდა... არ ეკეთა.

გამოფრინდა სამოთხიდან,  
მწუხარებით თავსა ჰხრიდა.  
დამკარგავი წარსულისა,  
მომავალზე ცრემლსა ღვრიდა.

ეს რომ ღმერთმა დაინახა,  
ბრძანა: რა ამბავიაო?!  
აღბათ წმინდა იმ სადგურში  
რალაც ცუდი... ავიაო!

და მაშინვე დაიბარა  
მიქელ მთავარანგელოზი,  
ანგელოზთა წინამძღვარი,  
მეთაური და უფროსი!

ჰკითხა: „წვრილ-წვრილ ანგელოზებს  
რად არ მოსწონთ სამოთხეო,  
რომელიც მე მათ სადგურად  
დავაშვენე, ვაკურთხეო?“

მოახსენა: „ძალთაძალო!  
აბა, რა მაქვს საეჭველად!  
ყოლიფერი თვითონ იცი,  
რალა მრჩება მე სათქმელად!

„პოლიციის პასპორტითა  
იქ შემოძვრა ერთი სული  
და ისეთი დააყენა  
უჩვეულო, მყრალი სული,

„რომ ის ველარ ავიტანეთ  
და გავედით სასუფევლით.  
დაბრუნებას მისას მხოლოდ,  
მონყალეო, შენგან ველით.

„ვერ გავიგეთ, ის მოსული  
მოყვარეა თუ მტერია?!  
პასპორტში რომ ჩავუხედდე,  
ვოსტორგოვი უნერია“.

ბრძანა ღმერთმა: „ეგ ის არის,  
ქვეყანა რომ აამყრალა,  
რადგანც ჰქონდა მიცემული  
ემმაკისგან დიდი ძალა!

„რა თქმა უნდა, რომ ის აქაც  
ააყროლებს ამა სოფელს!  
სტაცეთ ხელი და წაგვარეთ  
სატანასა და სამოელს.

„ჯოჯოხეთში უნდა დარჩეს  
საუკუნოდ მათთან ერთად.  
ვინც მის მცნების მიმყოლია,  
იმას არ სწამს ღმერთი ღმერთად!..“

[1909]



## ვაშა! დეპუტატს!

ნეტავ დარჩა ჩვენში კიდევ  
იმისთანა ერთი-ორი,  
როგორც არის დალოცვილი  
დეპუტატი გეგეჭკორი?

ნამდვილ რუსის შოვინისტი,  
მტკიცე ისე, ვით მარკოვი,  
არა-რუსთა მოძულარი,  
სხვა ხალხების სისხლის მწოვი!

ტრაბახობს მით, ვითომც იყოს  
ის სოციალ-დემოკრატი,  
და კუჭზე კი გასაძლომად  
მას ჰკიდია რუსის ხატი!

ისე, როგორც სირაქლემი,  
თავს მალავს და იჩენს ბოლოს!  
რომ აამოს პურიშკევიჩს,  
დაეტაკა რისხვით „კოლოს“.

ეუბნება: „რალათ ეძებთ  
ან უფლებას დაკარგულსო?  
მონას რასაც მოგანვდენენ,  
არ აჯერებთ მასზე გულსო?“

მე და ჩემი ამხანაგი  
ვართ ორივე ქართველიო,  
მაგრამ მისთვის არას ვითხოვ  
და არც არას მოველიო!

რას მიქვიან ეროვნება?  
 სჯობს მოისპოს ნაციოაო  
 და დამყარდეს ქვეყნად მხოლოდ  
 პროლეტარიზაციო!

მემარჯვენებს გაეხარდათ,  
 ეს სიტყვა რომ გაიგონეს...  
 რომ სოციალ-დემოკრატი  
 უმატებდა იმათ ღონეს!

და გულში სთქვეს: ჩვენც ის გვინდა,  
 ხმა გაკმინდოს ყველამაო,  
 რომ ჩვენ მოვმწყსოთ სხვა ერები,  
 ვით საქათმო მელამაო!

ქართველი კი ამბიონზე  
 შემდგარიყო, ვითომც გმირი,  
 და სხვებისგან ჩანაბერსა  
 გაკიოდა, როგორც სტვირი!

პურიშკევიჩ და მარკოვის  
 მოაზრე და თანასწორი.  
 ხომ ხედავთ, თუ რა კაცია  
 დეპუტატი გეგეჭკორი?

[1909]

## მოლალურის ბუდე

მაღალ ხეზე, მუხის ნვერზე,  
სამი ძაფით, ეშმაკურად,  
მოლალურმა მისი ბუდე  
გადმოჰკიდა საცეცხლურად.

როგორც კარგმა მოსაქნარემ,  
შეჰკერა და გააკეთა,  
აკვანივით დაარწია,  
ხან იქით და ხან აქეთა.

მერე გულში გაიძრახა:  
„რალა მაქვს თავსატეხიო?  
იქ დაბლიდან ვერ მომწვდება  
ქვემძრომი, ვერც ოთხფეხიო!

„ვერც ქორი და ვერც მიმინო  
ვერ მომავლებს ვერსად თვალსო:  
დანლართული ხის ტოტები  
დაუბნევენ გზას და კვალსო.

„ალარაფრის მეშინია,  
თუმც მტერი სხვაც ზოგიაო!“  
და დასძახა შეუპოვრად,  
ტკბილად: „შვილო, გოგიაო!“

[1909].

## ცის მახლობლად

ცის მახლობლად, მიწიდან შორს,  
 ეიფელდის მწვერვალზედა,  
 როცა ყველა დამავინწყდა:  
 ცოლი, შვილი, მამა, დედა, –

მარტო მხოლოდ შენ მახსოვდი,  
 საოცნებოდ დახატული,  
 და იქაც კი, იმ მაღლობზე,  
 მხოლოდ შენთვის სძგერდა გული.

წარმომიდგა, რომ ზეცისკენ,  
 მიჰფრინავდა ორი სული.  
 ქვეყნიურის სიყვარულით,  
 ერთმანეთზე გადაბმული.

გულმა მითხრა, საკადრისი  
 რა მივუძღნათ ჩვენ უფალსო?  
 ანგელოზმა წამჩურჩულა:  
 „რაც რომ გიყვარს, ის!. უფასო!..“

„არა, ღმერთსაც ვერ დავუთმობ!  
 – მივაყვირე – მაგ შესაწირს,  
 და ისევე იდეალით  
 გადმოვეშვი მაღლიდან ძირს.

[1909-1910].

## ქართველი ძეგლის წინ

გონება-ნათელს, გრძნობა-ბრწყინვალეს  
უნდა შევესჩივლო მოხუც ვარანცოვს,  
რომ, როგორც მის დროს ჩემ სამშობლოში,  
„მგელი და კრავი ერთად ველარ სძოვს“.

რაც მის დროს იყო წაღმა დახვნული,  
დღეს უგნურება უკუღმა ჰფარცხავს  
და შუამდგომლად ან საქართველოს,  
როგორც მოსარჩლე, აღარავინ ჰყავს.

ცილსა სწამებენ... შეურაცხყოფენ,  
უზღუდვენ ყოვლგვარ კაცურ უფლებას,  
ფარისევლობით უკვლენ მას გულში  
თანამერჯულის ძმურ ერთგულებას.

რათა და რისთვის? ალლაჰმა უწყის!..  
ანგარიში აქვსთ რამ საპირადო:  
წმინდას ამღვრევენ, რომ ამღვრეულში  
მათ ინადირონ უფრო ხშირადო.

ასე ჰფიქრობენ სუყველა ერთად,  
მოძღვარ-მსაჯული, ერი და ბერი.  
ბედის საძებრად გადმოხვენილნი  
ჩვენში... გრიგალით გადმონაბერი.

სამღვდელოება იმას არ ჰფიქრობს,  
რომ გაამტკიცოს რჯული ქრისტესი...  
პირიქით! სცდილობს რომ ამოიფხვრას,  
საქრისტიანო რიგი და წესი.

გვიქადაგებენ, რომ ქართველები  
საქრისტიანოს არ ხართ შვილიო,  
და სახარება თქვენი თურმეა,  
„ძალის ენაზე დანერილიო“.

არც ხატი ვარგა თქვენი, არც ჯვარი!  
ვინ მოგცათ წმინდა მოწამენიო?  
უარჰყავთ თქვენი ყოველიფერი,  
წირვაც და ლოცვაც!.. იყოს ჩვენიო!

დედა ენაზე... საღმრთო ენაზე  
ალარ გვაძლევენ ჩვენ ლოცვის ნებას,  
მათგან გამოზდილ მოზარდ თაობას  
თვითვე უკარგვენ სარწმუნოებას.

და როცა მათი განვრთნილ-გაზრდილნი  
შეურაცხყოფენ ხატსა და ჯვარსა,  
მაშინ ქართველებს მიზეზს გვიკრეფენ  
და ცილს გვწამებენ სხვადასხვაგვარსა.

სად გაგონილა ან თათრობის დროს,  
რომ ხატებს ჰგმობდენ ჩვენი შვილები,  
დღეს კი შკოლებში შეურაცჰყოფენ,  
ვასტორგოვების გამოზდილები.

და რაც ვერ შესძლო ჩვენში თათრობამ,  
ის მოახდინა თანარჯულობამ:  
დასცა ზნეობით საქრისტიანო  
გაუტანლობამ და უგულობამ.

შენ რომ გვიქადადი და გვპირდებოდი,  
აბა, სად არი ის დაპირება?  
ძველი წაგვართვით! ახალს არ გვაძლევთ!  
გასწყდა კავშირი!.. ერთობაც ქრება!

ამას შენც ჰხედავ და ეგებ მიტომ  
გაქვავებულხარ თავქუდმობდილი,  
რომ უსამართლოდ, ტანჯული ერის  
გაიზიარო გულისტკივილი?

კურთხეულ იყოს საქართველოში  
შენი სახელი!.. შენი ხსენება!  
და მათ, ვინც შენს გზას გადაუხვია,  
რისხვა ქრისტესი და შეჩვენება.

[1909–1910]

## კნ. ელისაბედ ორბელიანისას

(ალბომში)

თვალად, ტანად, მიხრა-მოხვრით  
პოეტურად შემკობილო!  
მომლიმარო უებარო,  
მოსაუბრევე ენატკბილო!

ვით ცის მნათობს, გულის გამთბობს,  
ვერ გაშორებ შორით თვალსა,  
სანამ შენგან გამოველი  
სანუგეშო მომავალსა.

გახსოვდეს, რომ ქართველი ხარ,  
იმის ნიადაგზე მდგარი,  
და მხოლოდ ის აგამალლებს,  
ვით გამზდელი მეგობარი!

1910 წ., 17 მაისი.



## მამა და შვილები

თვალი დაუდგეს ამ ყოფას!..  
 ძნელი ყოფილა ქალარა!..  
 კისერში ჩამიკაკუნა  
 სიბერემ, წელში გამხარა.

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,  
 მოვძულეებივარ შვილებსა;  
 შინაური და გარეშე  
 ჩემზედ ილესენ კბილებსა.

შვილები გოდორს მიწნიან,  
 ჰფიქრობენ დაგორებასა,  
 ნუთუ ამაში ჰპოებენ  
 ისინი ნეტარებასა?

რა დროსი არის? მე ისეც  
 თავდაღმა მიმავალი ვარ!..  
 მხოლოდ შევჰყურებ ახალ დროს  
 და მისის ეშხით მთვრალი ვარ!

ნუ სწნავთ გოდორსა საჩემოს!  
 თავს ნუ ინუხებთ ზართა!..  
 სჯობს მიეგებოთ გაზაფხულს  
 ჭიანურით და თართა.

სხვა სუნი უდის, ხომ თქვენც გრძნობთ?  
 მოაჯირითებს ჰუნესა;  
 ყველა თან მოაქვს, რასაც ჩვენ  
 ვფიქრობდით საუკუნესა.

სულ ჩვენთან მოაქვს და – ვაშა! –  
რა კარგი... დიდი ძღვენია!  
ვერ ჩამოვართვათ ვაი თუ,  
ცოტა ამისი მრცხვენია.

რა დროს შულღია, ღვთის მაღლსა,  
და შინაური ატეხა?  
მტერი ჯერ კარზედ გვადგია  
და უნდა ჩვენი გატეხა!

არა, ნუ ვიზამთ საქმესა –  
გარეშეთ სასაცინოსა!  
დეე, ძველსაც და ახალსაც  
ნათელი მოეფინოსა!

[1910]

## თანამედროვე ქალი

მდიდრულად მორთულ ოთახში,  
ზის ახალმოდის კნეინა.  
დიდება შენდა, უფალო!..  
რამ გააჩერა დღეს შინა?

მისი ტოლ-ამხანაგები  
ერთად ნასულან სუყველა:  
ნინა, თამრიკა, ქეთუმა,  
ანუშკა, ლიზა, კეკელა!

იქ ჯირითია ცხენების,  
აქ კრება ლაუნტენისა!..  
ამას კი პირი შეუკრავს!..  
ნეტავი რას იტენისა?

ეგებოს ფული დააკლდა  
და ის უცვლიდეს დღეს ფერსა?  
– არა! ამისი სიმდიდრე  
გააძლებს ათასს მშიერსა!

ან საყვარელი მოუკვდა  
და იმას იგლოვს გულითა?  
– მაგას რას დასდევს, ცოცხლებში  
ცოტას იშოვნის ფულითა?

აბა, სამშობლოს დაცემულს  
თუ იგლოვს, როგორც ვალია?  
– არც ის! სამშობლო ვინ მისცა?  
თანამედროვე ქალია!..

მაშ, აგრე მაგის მონყენა  
მხოლოდ უბრალო ჟინია?  
– რა ბრძანებაა? ავად ჰყავს  
მისი პატარა ფინია!

დღეს ექიმები შეჰყარა, –  
კონსილიუმი ჰქონია.  
ერთპირად უთქვამს სუყველას:  
„არ მორჩებაო, მგონია!“

მაშ კი ჰქონია მიზეზი...  
მართლა რომ შესაბრალია!  
რა ქნას, რომ უყვარს ძაღლები?  
თანამედროვე ქალია!..

[1910]

## ქართველ ქალს

(ვუძღვნი ელენე მაჩაბელს)

თქმულა – „ელენეს მშვენებამ  
ტროადი დაარღვიაო,  
ისე, რომ ნამოსახლარის  
ნიშანი არ ატყვიანო“.

ამას ჰუმიროს მოგვითხრობს,  
გადასულ ამბებს ზღაპრულად,  
და ჩვენც ბერძნების ცხოვრებას  
ვითვალისწინებთ მით სრულად.

აქილეს, ჰექტორ, აიაქს,  
აგამემნონი, ულისა  
და სხვა გმირები ამ ამბის  
ჩამდგმელი იყვენ სულისა.

ისე აგვიწერს მგოსანი,  
თითქოს ვხედავდეთ თვალითა  
და მათთან ერთად დამტკბარი  
ვხარობდეთ მომავალითა.

ის, რაც ყოფილა, წასულა,  
მეორედ აღარ იქნება  
და ამ ჩვენ დროსთვის დარჩება  
როგორც ზღაპარი... ოცნება.

მაგრამ სხვაგვარი გმირობა,  
ჩვენ დროს რომ შეეფერება,  
ააფრთოვანებს მგოსანსა  
და კიდევ დაიმღერება!

ელენე გქვია შენც, ქალო,  
ბერძნების ქალის სახელი,  
მაგრამ შობილხარ სხვა დროში  
და სულ სხვების ხარ მზრახველი.

სამშობლო შენი ქართლია,  
დღეს თითქმის მიძინებული,  
და იმის სასიყვარულოდ  
თუ კიდევ გიძგერს შენ გული, –

გამოაღვიძე სამშობლო,  
მიჰყევი „ელენობასა“!  
თუ სილამაზემ არ გასჭრას,  
მიენდევ ჭკუა-გრძნობასა.

და მოძრაობის მიზეზად  
შენც აირჩიე „პარისი“!  
მაგრამ ის იყოს უნდა კი  
სულის ჩამდგმელი პარიზი.

იქ მოიკრიბე ძალ-ლონე,  
იქვე ამაღლდი სწავლითა,  
რომ ინუგეშო აწმყოში  
უკეთეს მომავალითა.

ნუ აჰყოლიხარ, ნუ მისდევ  
იმ ჩვენ დღევანდელ ქალებსა,  
რომ დაეძებენ სულ სხვაგან  
საქვეყნო იდეალებსა!

სჯობს დაემსგავსო გადასულ  
ძველებურ ქართველ დედებსა,  
შვილებს რომ ზრდიდენ არწივად,  
თვითონ ჰბაძავდენ მტრედებსა.

მაგრამ სხვა იყო ძველი დრო,  
მტკიცე სისხლით და ომითა, –  
დღეისდღე გაიწონება  
მხოლოდ ოფლით და შრომითა.

და შენც ეცადე, შვილები  
გახდენ გამირულად მშრომელი,  
მოჭირნახულე თავისის  
და სხვების არას მდომელი!

მაშინ „ტროადად“ გაჰქრება,  
ყოველი სისხლის მთხეველი  
და ამაღლდება სანაცვლოდ  
მსოფლიო საკურთხეველი.

[1910]

## ზარი

დავბერდი, სახე დამეჭვნო,  
 ჯან-ლონე გამომელია;  
 გრძნობა—გონება დამაკლდა,  
 სიცოცხლე საეჭველია!

შავი სამარე მიმელის,  
 გაუხაროდეს ჭიასა!  
 საფლავზე ააყვავებენ  
 სხვებისთვის ვარდს და იასა.

ეს წუთიერი ცხოვრება  
 მოტყუებაა თვალისა!  
 დღეისდღის ტანჯვის ატანა  
 ცრუ იმედია ხვალისა!

სამოთხე, სასუფეველი  
 სატკბილოცნებო, გულშია  
 და უკვდავება მარადი  
 მხოლოდღა სიყვარულშია!

ეს ვიცი, მაგრამ დავბერდი,  
 ამებნა გზა და კვალი მე  
 და სიყვარულიც გამიქრა...  
 დავჰკარგე იდეალი მე.

[1910]



## სიყვარული

პოეტები ერთნაირად  
 აგვიწერენ სიყვარულსა:  
 მის სადგურად და ადგილად  
 გვიხატავენ მხოლოდ გულსა.

მაშინ, როცა სიყვარული  
 სამია და სამგვარია  
 და მათ შუა მეტად დიდი  
 განსხვავება... საზღვარია!

პირველია გულის ფხანვა:  
 ცეცხლმოდებით უყვარს გულსა,  
 და ნათლადაც გამოაჩენს  
 საიდუმლოდ დაფარულსა!

ამნაირი სიყვარული  
 იფეთქებს და მალე ჰქრება.  
 რომ დაინვის, თან გაჰყვება  
 მომხიბლავი ნეტარება!

მეორეა, როცა მხოლოდ  
 გულს არ უყვარს, უყვარს თავსა!..  
 არ დაეძებს გარეგნობას  
 და მშვენიერ სანახავსა!

შორით უყვარს... ნარმოდგენით  
 და, თუ იცნო ხორციელად,  
 მაშინ თავიც დაივინყებს...  
 სიყვარული ჰქრება ხელად.

მესამე კი სულ სხვა არის!  
მხოლოდ იგრძნობს მას რჩეული,  
თანასწორად როცა შესტრფის  
როგორც თავი, ისე გული.

მეც ამგვარად შენ მიყვარხარ  
თავითაც და გულითაცა!  
და მიტომაც შემინირავს  
დაბლა მინა და მაღლა ცა!

მაგრამ შენ კი არ უჯერი  
არც ამ თავს და არც ამ გულსა!  
და ჩავიტან სამარეში  
მეც შორეულ სიყვარულსა.

[1910]

## ორი ძაღლი

იმერელი აზნაური,  
 უღვაშაპინკინებული.  
 ჯიბეში რომ თავგი უხტის  
 და აქვს მილიონის გული,

ერთხელ ჩემსა გამობრძანდა...  
 გაანათლა ჩემი სახლი  
 და ტრაბახით ძღვნად მომგვარა  
 (ვითომ ლეკვი) ორი ძაღლი.

გამაყრუა ბაქიბუქით!  
 – ქებით ცამდი აიყვანა.  
 მარწმუნებდა: „ეზოს ძაღლი  
 არ ნახულა ამათანა!..“

„მტერსაცა და მოყვარესაც  
 გაარჩევენ სუნითაო!  
 ცოტა... ახლა შეილახენ  
 ვითომ... რალაც მუნითაო“.

„ქართლიდან მყავს მოყვანილი...  
 არა ვსტყუვი ამასაო.  
 მხოლოდ თქვენთვის მემეტება,  
 არ მივცემდი მამასაო!“

„იმერეთში ვერ იშოვნო,  
 ამისთანა ეზოს ძაღლსო.  
 ორგულისა და მტრისაგან  
 შეგინახვენ კარგად სახლსო“.

ვიცოდი, რომ მატყუებდა,  
მაგრამ მაინც გავუგონე  
და ან კი რა უნდა მექმნა,  
რომ არ მექონდა მეტი ღონე?

დავუმაღლე საჩუქარი,  
თუმც არ ღირდა, რომ ვსთქვათ, მადლად!  
მაგრამ მალე მე ის „მადლი“  
გადამექცა სხვაგვარ მატლად.

მითხრა: „ცხენი აღარა მყავს,  
დავეთრევი ასე მეო!..  
ეგებ ერთი ჯოგის კვიცი  
მითავაზო როგორმეო?!“

რას ვეტყოდი? გადავეცი...  
გამომტყუა ბედაური  
და გაუდგა თავისთვის გზას,  
როგორც დიდი ნამსახური.

სად ის ცხენი? სად ეს ძღვენი,  
ეს ძაღლები საცოდვათი?  
უჭმელობით შიმშილისგან  
გადაკვროდათ ძვალზე ტყავი.

წუნკუნობდენ, კუდს ჰლოკავდენ,  
ფანფალობდენ ცოცხალ-მკვდარი.  
საქმე იყო მისწრებაზე  
და მეც იქვე ბიჭს ვუთხარი:

„თუ ღმერთი გნამს, სანყალ ძაღლებს  
ერთი მალე მიეშველე...  
შიმშილისგან სული ხდებათ,  
ყელი რითმე ჩაუსველე!“

მოიტანა, რაც ეშოვნა:  
ნახარში და თანაც ძვალი  
და მისცვინდენ ზედ ძაღლებიც,  
სანუნკარს რომ მოჰკრეს თვალი.

გამოდღენ და გასისინდენ,  
აინიეს მალლა თავი,  
და ერთმანეთს რომ შეხედეს,  
არ იამათ სანახავი:

„შხედავთ? ისიც გამაძლარა...  
უშოვნია საჭმელიო.  
მაგას მჭადიც ეყოფოდა,  
ობიანი და ხმელიო!“

ეს რომ ვნახე, მივხვდი: ქართლით  
რომ არ იყვენ მოყვანილი!..  
ჩვენებური ძაღლებია,  
იმერეთში გამოზრდილი.

[1910]

## გული

გულის მსგავსი პანანინა,  
 ნივთი რამე ერთ კაცს ჰქონდა.  
 სადაც მიდი-მოდიოდა,  
 ის საუნჯეც თან დაჰქონდა.

ნაძლევს სდებდა, მაგრამ მაინც  
 იმისთანა ვერვინ ნახა,  
 რომ საუნჯე, ის მსუბუქი,  
 მძიმე ტვირთქვეშ დაემარხა!

თავზე რა არ დააყარეს?..  
 ოქრო, ვერცხლი, ხე თუ რკინა!  
 მაგრამ თავზე დაასკუპდა,  
 მაინც ყველას „პანანინა“.

გაუკვირდა მეფეს და სთქვა:  
 „ვინც რომ მაგ ცელქს შეაჩერებს,  
 იმდენს მივცემ ოქროს და ვერცხლს,  
 სანამ გულს არ გაიჯერებს“.

წინ წამოდგა თვით პატრონი,  
 მეფეს მდაბლა თაყვანი სცა;  
 მოთხარა და მოიტანა  
 ერთი პეშვი შავი მინა.

დააყარა თავზე ამ ნივთს,  
 მოამწყვდია მინის ქვეშა!  
 თითქო რალაც ჯადოსნობით,  
 გააქვავა... გააშეშა...

და მერე სთქვა: თქვენც ხომ ჰხედავთ,  
რომ ეს არის კაცის გული?  
ამას ვერრა გააჯერებს,  
ვერც ქონება და ვერც ფული!

„გაუმადლარ ხარბისათვის,  
ტყუილია ყოლიფერი!  
როგორც მინას, მოასვენებს  
მხოლოდ ერთი მუჭა მტვერი!..“

[1910]

## გ. ნ. სუნდუკიანცს

შენ სომეხი ხარ, და მე ქართველი,  
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა;  
ორივე შვილი ერთი მინა-წყლის,  
ერთ მიდამოსი და ერთი მთისა!

კავკასმა დიდმა და ქედმაღალმა,  
გაადიადა შენი ბუნება.  
და ამ მიდამომ, ყვავილოვანმა,  
აგიფერადა საამოდ ვნება.

ფერად-ფერადი ვნებათა ღელვა,  
შენს ნაწერებში უხვად ჩაქსოვე  
და უკვდაება საშვილიშვილო  
შეისისხლხორცე და მოიპოვე!

ჩვენ ქვეყნის შვილთა გრძნობას და სურვილს  
მეც შევუერთებ ამ ჩემს გულისთქმას  
და თაყვანსა გცემ, დიდო მოღვაწევ,  
ვით მეგობარი მის საყვარელ ძმას.

[1910]



## გლოვა

სად არის კუბო თამარის,  
ქვეყნისგან ნაამბორისა?  
ვის ხელში არის საფლავი  
ნინო მოციქულთ სწორისა?

სადღაა ჯვარი ვაზისა,  
შეკრული წმინდის თმებითა?  
დასდუმდა მისი ტროპარიც  
ქართულის კილო-ხმებითა!

ქრისტეს სახელით ქრისტეს რჯულს  
წვალემა შემოერია  
და ჩვენ ეროვნულ შტოებზე,  
„ქართველი“ აღარ სწერია.

ვიტიროთ? არა! ვაჟკაცსა  
არ ჰშვენის ცრემლით გლოვანი!..  
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა  
სიკვდილი სახელოვანი“.

[1910]

## გადარჯულებული

ნეტავ ეს ქალი ვინ არის  
და რომელ ეროვნებისა,  
სამშობლოს დამნუნებელი,  
მორწმუნე სხვების მცნებისა?

ამბობენ: ქართველი იყო  
მაგისი დედაც, მამაცა,  
მაგრამ არ მჯერა! – ღვთის მადლსა,  
ნუ მეუბნები, დამაცა!..

სად გამოზდილა, რომ ჰფიქრობს  
ია და ვარდის ფენასა  
მით, რომ უარჰყოფს სამშობლოს,  
ივინყებს დედაენასა!

სკვითია და სკვითს გაჰყვება,  
რალა თქმა უნდ მაგასა?!  
და ბედაურის სანაცვლოდ  
ჯორს დასვამს ვირის ბაგასა!..

აი, რა უთხრა მე მაგისს  
უკუღმართ შემქნელ-მშობელსა,  
ჩვენი სამშობლოს გამომხვრელს  
და სკვითის მახარობელსა!..

[1910]

## ახალგაზრდებს

ნუ გენყინებათ მოხუცისაგან  
 ნურცა ვედრება და ნურც ყვედრება,  
 ვისიც ხანმოკლე წუთისოფელი  
 თვალდახელშეუ თანდათან ჰქრება.

ენა რომ გყვედრისთ, გული სხვასა გრძნობს,  
 მამობრივი რამ დაფარულია!  
 და ვინ გამოსცნოს, თუ აქ თქვენდამი  
 რა უსაზომო სიყვარულია?!

პირმოთნეობა და მლიქვნელობა,  
 სასმენლად ტკბილი, თქმად ადვილია,  
 მაგრამ ვინც გიყვარს, მასთან ტყუილი  
 რა საკადრისი და რა შვილია?!

გული მიდნება!.. მომეცით ნება,  
 გამხილოთ ყველას თქვენ-თქვენი ნაკლი  
 და მერე, გინდა კიდეც დამქოლოთ,  
 აღარ დავეძებ... არას ვინაღვლი!

რა ხარ, ქართველო, შენ დღევანდელი,  
 რომ ძლივს დალოდავ, ვით ცოცხალ-მკვდარი?  
 სამონწყალოზე გაგიშვერია  
 ხელი და დახვალ, სხვის მათხოვარი!..

ის მინა-წყალი და ის სიმდიდრე,  
 რომ გიანდერძეს შენ წინაპრებმა  
 და ის, რომელიც ძალმომრეობით  
 ვერ ჩამოგართვეს გარეშე მტრებმა,

დღეს სადღა არის? ასე ადვილად,  
რისთვის ჩაუგდეთ უცხოელს ხელში?!  
უბოდიშოდ და შეუბრალებლად,  
რომ ხელს გიჭერენ უშიშრად ყელში?..

აღარც ნუგეში! აღარც იმედი!..  
სულის და ხორცის გამქრალა ძალა,  
და რალა არის ახლა ქართველი?  
– მონა საბრალო და მანანნალა!

განვრთნილი სხვების ნება-სურვილზე,  
როგორც პირუტყვი რამე ოთხფეხი,  
დამვინყებელი თვისი წარსულის,  
მხოლოდ მონობით თავისა მკვები!

აბა, სადღაა დღეს ის ქართველი,  
სამშობლოსათვის რომ თავსა სდებდა,  
და, სულთამბრძოლი, უკანასკნელად  
საშვილიშვილოს ღმერთს ავედრებდა?

ან ის დედები, სულით მტრედები,  
შვილებს რომ ზრდიდენ მსხვერპლად, ზვარაკად,  
და დღეს, მხოლოდ კი მათი სახელი  
ჩვენ დაგვრჩენია ზღაპრად, არაკად?..

სჩანს, სიზარმაცე და გულგრილობა  
შავ ბედს ქართველზე დაუკვესია,  
და აღარ დგება იმისთვის ქრისტე,  
არ მოვლენილა მისთვის მესია!..

კმარა ამდენი პირმოთნეობა!..  
თავისი თავის მხოლოდ ფრთხილება!..  
და, მაშ, ნულა გწყინსთ მოხუცისაგან  
დაუფარავად ნაკლის მხილება.

[1910]

## ლოლო ნიკოლაძისას

ნაპერწკლის მსროლელ თვალებით  
ცეცხლს უჩენ სულსა და გულსა  
და წარბ-წამწამთა მარაოთ  
აგრილებ შენვე დაგულსა!

მაგრამ სანამდი? ერთხელ შენც  
ეგ ცეცხლი წაგეკიდება  
და ცრემლად გრძნობა დამდნარი  
წამწამზე დაგეკიდება.

[1910]

## პასუხი მაცდურს

ვიცი, სხვისთვის რომ იშლები  
შენ, ცბიერო, სუნნელ-ვარდად  
და მე მხოლოდ მიახლოებ,  
სხვის ხიდად და სხვისგან ფარად!..

მაგრამ გრძნობა ჩემი ზღვაა  
და სურვილი – ცეცხლის ალი:  
ან დაგწვავს და ან დაგალრჩობს  
უნებურად მათი ძალი.

გირჩევ, ისევ სხვა მოხიბლო,  
სუსტი გრძნობა-გონებითა  
და ისინი აკამათო  
შენებრ თავმომწონებითა.

[1911 წლამდე]

## ლამაზ ქალის ალბომში

თვალად, ტანად, მიხვრა-მოხვრით  
 გაჩენილხარ შემკობილად.  
 და ცხოვრებაც შეგიგნია:  
 სცხოვრობ შენთვის თბილად... ტკბილად!

ყვავილიდან ყვავილებზე  
 გადადიხარ, ვით პეპელა,  
 და სათაფლო სიტკბოებას  
 სწუნნი ხოლმე, ნელა-ნელა.

ქმარს უყვარხარ, ყველა გეტრფის,  
 არ შეგყურებს მტრული თვალი  
 და საამო აწმყოს გიმკობს  
 საიმედო მომავალი!

არც ქართველი!.. არც სომეხი,  
 არც რუსი ხარ და არც ფრანგი!  
 მაგრამ ხარ კი ყველას ერთად  
 შემაერთი, ტკბილი ჰანგი!

დიახ! ჰანგი მომხიბლავი,  
 სანამდი ხარ ჯერ ყმანვილი...  
 მაგრამ, როცა დაბერდები,  
 შეგეცვლება მწარედ ტკბილი.

მაშინ, ქალო, რაღას იზამ?  
 რით დაიტკბო მომავალი,  
 თუ ახლავე კარგი რამე  
 არ აღნიშნე, წმინდა კვალი?

[1911]

## რჩევა

სიყმაწვილემ რომ იცოდეს  
და სიბერეს რომ შეეძლოს,  
მაშინ კაცი სულ სხვაგვარად  
გაივლიდა ქვეყნის ლელოს.

სანამდი ვართ ახალგაზდა,  
ლონეც გვაქვს და შეძლებაცა,  
ვზარმაცობთ და გავიძახით:  
„მოვესწრები! მაცა! მაცა!“

მაგრამ თვალსა და ხელს შუა  
მოგვადგება რა სიბერე,  
არ მართლდება ადრინდელი,  
წინეთ თქმული: „მერე! მერე!“

ეს სუყველა, სამწუხაროდ,  
მე ჩემ თავზე გამოვსცადე,  
სიბერემ რომ მომახვია,  
დასუსტებულს „ჭირთა ბადე“.

და მიტომაც, ყმაწვილებო,  
შემთხვევას თქვენ ნუ დაჰკარგავთ.  
საიქაოს ის წაგყვებათ,  
რასაც მხოლოდ აქ მოჰქარგავთ.

სადღეისოდ სახვალიოდ  
ნუ გადასდებთ, დამიჯერეთ.  
თავის დრო აქვს სუყველაფერს  
და მის-მისად შეიფერეთ!

[1911]



## ბულბულის აღსარება

ბულბულმა სთქვა: როცა ტბაში  
ყიყინობენ ბაყაყები,  
მაშინ ენა მიქვავდება,  
მათ სიმღერას ვერ ავყვები!

მაგრამ როცა მიწყნარდება  
მინაბული არემარე,  
ვარსკვლავები ჰკიაფობენ  
და ჰქათქათებს მალლით მთვარე.

იღვიძებს და იშმუშნება  
გრძნებით სავსე ტყე და ველი  
და სიოსაც სუნნელება  
მოაქვს, ვითა საკმეველი,

და ან ვარდი, გულის დარდი,  
ჩემ წინ ტურფად გაიშლება, –  
მაშინ ჭმუნვა უცნაური  
მომანვება... ამეშლება.

ვიტანჯები... იმ ტანჯვაში  
არის რალაც ნეტარება!..  
მაშინ ჩემი ჭიკჭიკ-კვნესა  
მე თვით აღარ მეყურება.

მაგრამ იმ დროს ცა და მიწა  
ჩემ აგზნებას უგდებს ყურსა  
და აფასებს იმ ჩემს ტანჯვას,  
ვით მსოფლიო სამსახურსა!..

და შემდეგ კი ბაყაყები  
ჩვეულებრივ ყიყინობენ  
და, თავის ხმით თავმომწონე,  
საბულბულოს ვერას გრძნობენ.

[1911]

## ტ . . . ს

უცხოეთს მყოფსა, შენს გამო  
 გულში რომ ცეცხლი მეკიდა,  
 დრო გადასული კურცხალად  
 წამნამზე გადმომეკიდა.

გამოგისახე თვალის წინ,  
 ვით უკვდავება – ღვთაება,  
 და გული, დამონებული,  
 უფრო ძლიერად დაება.

მაშინ ვსთქვი: ან აღარ არის  
 ჩემი საშველი არსადა!..  
 რა მკვდარი!.. რაღა მოხუცი?!  
 ვინღა ჩამაგდებს არსადა?

ჩამომწყდა ცრემლი ობოლი  
 და გაიყოლა თან გული,  
 ან მხოლოდ ნაცარმიყრილი,  
 ერთხელ დამწვარი... დაგული.

[1911]

## ჩემი გრძნობა

მიყვარს საერთოდ ბავშვები,  
ანგელოზთ დანადარები,  
მათთვის ყოველთვის, ყოველგან  
ღია მაქვს გულის კარები.

მათი ტიკტიკის ჭირიმე,  
მათი უმანკო ზრახვისა!..  
არ მოჰყირჭდება ყურს სმენა  
და თვალს – სურვილი ნახვისა.

მაგრამ მაშინ კი, როდესაც  
დაიზდებიან ბალები  
და ცხოვრებაში მოხვდებათ  
საუკუღმართო ტალღები.

მაშინ აღარ მრწამს მე მათი  
არც სიტყვა, აღარც სიცილი!..  
საჯოჯოხეთოდ გასულა  
სამოთხით მეტი ნაწილი!..

შეჰრიგებია გულგრილად  
ცხოვრების საძაგლობასა  
და მიტომ კვნესით ვიგონებ  
მეც იმათ ყმანვილობასა!

და ვამბობ: „რად იზრდებიან,  
სწორი გზით ვინც ვერ მიდიან  
და თავის წილხვედრ შევენებას  
უშვერებაზე ჰყიდიან?“

ნუთუ არა სჯობს კაცისთვის,  
სანამდი გაფუჭდებოდეს,  
რომ ისევ ბავშვობაშივე  
მას სული ამოხდებოდეს?

[1911]

## ძმობა, ერთობა და სიყვარული

მთელ ქვეყანაზე და კაცთა შორის  
იყოს წყეული... ის იყოს კრული,  
ვისაც არ სწამდეს და არ უნდოდეს  
„ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

საერთშორისო მტკიცე კავშირი,  
ეს არის ქრისტეს სწავლა და მცნება,  
საყოველთაო, სამარადისო, –  
და არ სანუთო სიზმარ-ოცნება.

ვისაც ესა სწამს წრფელის განძრახვით  
და ჭეშმარიტად არს გამსჭვალული,  
მას შეერგება ციურ მანანად  
„ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

ვინც გაიძახის ცარიელ სიტყვებს  
და გულში სულ სხვა აქვს დამარხული,  
ამაო არის მისი ნათქვამი:  
„ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

მთელ ქვეყანაზე და კაცთა შორის  
იყოს წყეული... ის იყოს კრული,  
ვინც მხოლოდ სიტყვით გაიძახოდეს:  
„ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

[1911]

## წერილი პატარა მეგობრებს

დათუნია, კაკურა,  
მაიავ და ელენე!  
მე თქვენი სახე ხატად  
ჩემს გულში ჩავისვენე.

მე რომ თქვენს მშობლებს ვიცნობ,  
ვით ქართველსა ქართველი,  
იმიტომაც მე თქვენგან  
ბევრ კეთილს გამოველი.

ღმერთმა ნუ დაგამზგავსოთ  
დღევანდელ ჩვენ თაობას,  
ეროვნულ სამოსელში,  
რომ ახვევენ „ავობას“.

და ქვემ-ქვემა მტრებისგან  
იმოდენად ძლეულან,  
რომ უსულგულოდ მხოლოდ  
ენად გადაქცეულან.

თქვენ სულ სხვა დრო მოგელისთ,  
სხვაგვარი გზა და კვალი  
და თუ სწორა გაივლით,  
იხარებს მომავალი!

საჭიროა ამისთვის  
მხოლოდ კეთილი გული,  
საეროვნო ჰანგებით  
გავსილი... გამსჭვალული.

სტყუის დედინაცვალი!..  
დედის ძუძუ ტკბილია!  
ვისაც დედა არ უყვარს,  
აბა, ის რა შვილია?

სამშობლოც ხომ დედაა,  
ჩვენი ტკბილი აღმზდელი,  
და რად უნდა ავილოთ,  
მაშ, ჩვენ იმაზე ხელი?

მისი ჭირიც და ლხინიც  
უნდა გავიზიაროთ  
და, როგორც ერთადერთი,  
ღვთაებად აღვიაროთ!

იმას უნდა შევსწიროთ  
ჩვენი გრძნობა... გონება,  
რომ თავიდან აგვცილდეს  
პირუტყვული მონება.

მაშ, გიყვარდესთ სამშობლო!  
სხვისიც ნუ შეგძულდებათ!  
იყავით მოთმინებით,  
ნატვრა აგისრულდებათ.

წინაპრებსაც სამშობლო  
ჰყვარებიათ გმირულად,  
და სისხლი უქცევიათ  
მისთვის კოკისპირულად.

ჭირში გულგაუტეხლად  
შენირულან ზვარაკად  
და „საქმენი საგმირო“  
დაუგდიათ არაკად.

აი, იმათ მიბაძეთ  
ქვეყნის ერთგულებაში  
და სიამეს იპოვით  
ქართლის გაახლებაში.

ნუ გადასცვლით უცხოზე  
ქართულ დედაენასა,  
თორემ საცვალ ზედმეტად  
მომკით ცრემლთა დენასა.

ენაში არის ძალაც  
საიდუმლო გონების!  
ვინც დაჰკარგავს, გახდება  
წერა სხვისი მონების.

და ვინც შეინარჩუნებს,  
არ უმტყუნებს თავისს ერს,  
ყოველი მხრით მოისმენს,  
ხმატკბილ „მრავალჟამიერს“.

ვიცი, ვერ მოვესწრები  
ამ ერთადერთ ნატვრასა,  
მაგრამ მაინც საფლავში  
არ ჩავიტან ოხვრასა,

რადგანც ვიცი, რომ ნატვრა  
ოდესმე ასრულდება  
და რუსთველის მშობელ ერს  
ენა არ შესძულდება.

თავგასულ ძალადობას  
უნდა მოეღოს ბოლო  
და ხელახლად აჰყვავდეს  
გაცრცვნილი საქართველო.

მაშინ, ახალგაზდებო,  
ნახეთ ჩემი საფლავი!  
(მეც იქ თქვენთან გავჩნდები,  
თანმგრძნობი უხილავი).

სიცილით ჩამომძახეთ:  
„აგისრულდა ახლა კი,  
რასაც რომ მოელოდი,  
მეგობარო აკაკი!“

[1911]



## მომაკვდავის ფიქრები

თუ ჩემ სამშობლოს გამოაღვიძებს  
ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ!..  
მოდ, ჯალათო, შენი მახვილი  
შეუბრალებლად ზედ გულზე დამჰკარ!

ყოველი წვეთი ჩემი სისხლისა  
თუკი გამოზდის მამულიშვილსა,  
ცოდვა არ არის, რომ მოვერიდო  
მაშინ მე ტანჯვას და თვით სიკვდილსა?

არა! სიკვდილი ვერ შემაშინებს  
მომზადებულსა მამულის მსხვერპლსა!  
მზად ვარ შევსწირო სული და ხორცი  
და სამშობლოზე ვყრიდე ჩემს ფერფლსა!

თუმცა პირადი ჩემი ცხოვრება,  
ყოველთვის იყო ტანჯვა-ვაება,  
მაგრამ სიკვდილში ვპოებ სიცოცხლეს  
და ის იქნება თვით უკვდავება.

თუკი იმედი მე საიქიოს  
გამყვა უკეთეს მომავალისა,  
რომ ჩემს შემდეგი შთამომავლობა  
იქნება შემძლე თვისის ვალისა!

დიალ! თუ მოძმეთ გამოადგება,  
ჩემი სიკვდილი, მზადა ვარ მეცა...  
გამოაღვიძებულს სურვილს ქვეყნისას  
ხელს მოუმართავს, მრწამს მე, თვით ზეცა!..

[1911]

## ჩემი სურვილი

დღიური საზრდოც მეყოფა,  
 ღმერთმა მაშოროს სიმდიდრე!  
 მდიდარი მისის ქონებით,  
 ეშმაკის არის მემკვიდრე.

ღარიბი ლუკმა, ნაოფლი,  
 ყველასთვის მარგი, ტკბილია.  
 არ მინდა ქურქი ძვირფასი, –  
 ზამთარ ტყაპუჭაც თბილია.

მდიდარი ღელავს და შფოთავს,  
 გული აქვს მოუსვენარი;  
 ძილითაც ტკბილად არ სძინავს,  
 ფულია მისი მკბენარი.

არც სმა უვარგა, არც ჭამა, –  
 ფიქრებით წალეებულია,  
 აღარც ჯვარი სწამს, არც ხატი,  
 იმისი ღმერთი ფულია.

სულ იმას ეძებს, ოფლსა ღვრის,  
 თანდათან სტენის ქისასა  
 და, თუ მოასწრო, ქორივით  
 იტაცებს ხოლმე სხვისასა.

დადის ზვიადი... უკადრი, –  
 ტიკივით გაბერილია!  
 სხვის სიღარიბე იმისთვის,  
 საამური და ტკბილია!

მაგრამ როდემდის? მოვა დრო,  
დაჰკარგავს გრძნობა-გონებას.  
გადაბრუნდება, მოკვდება,  
ოხრად დასტოვებს ქონებას.

სული მიუვა ეშმაკებს,  
ხორცი დარჩება მატლებსა  
და მის ქონებას მემკვიდრეც  
ბევრად არ მიიმაღლებსა!

ღმერთმა მაშოროს სიმდიდრე,  
ლუკმა კი მომცეს დღიური!  
მისთანა რამე არ მინდა,  
რაც არ იქნება ღვთიური.

[1911]

## ოცნება

კახეთი შემოვიარე,  
 ალაზნის პირი სრულადა,  
 ხალხი მოყვრულად დამიხვდა  
 და მიწა-წყალი – მტრულადა.

საამო ედემ-ქვეყანას  
 და მის ატეხილ ქალებსა,  
 სიამოვნებით ავსილი,  
 მიმოვაკლებდი თვალებსა.

ვამბობდი: ჰა, სად ყოფილა  
 სწორუპოვარი ქვეყანა,  
 ბევრგან ვყოფილვარ, მაგრამ ჯერ  
 სხვა არ მინახავს მისთანა.

ეს დაცემული ვაკე რამ,  
 რომ მიბჯენია მაღალ მთებს!..  
 დღისით მზე, ღამით მთვარეც კი  
 ზედ თავმომწონედ დანათებს!

ყვავილოვანი ტყე-ველი  
 ბალებით, ვენახებითა.  
 თვალი ვერ ძლება ყურებით  
 და ენა მათის ქებითა.

ალაზანი და იორი  
 ერთმანეთს შეთანხმებთან,  
 დედის რძესავით მაღამოდ  
 კიდევებს შეერგებთან.

კეთილად შეზავებულსა,  
სულის ჩამდგმელსა ჰაერსა,  
სად ნახავ, კახელების მეტს,  
მინიჭებოდეს სხვა ერსა?

მაგრამ ამდენი სიკეთე,  
რითაც ცხოვრება ტკბილია,  
ველარ ახარებს დღეს კახეთს  
და რალაც მონყენილია.

ალაზანს ვკითხე, მთის ცრემლებს:  
ხომ საქართველოს შვილი ხარ?  
გულჩათხრობილი დუდუნში  
რად მაგრე მონყენილი ხარ?

შენასისხლხორცი კახეთის,  
რამ გაგიტეხა ეგ გული?  
აკი თავს სდებდა ის შენთვის  
და შენც იყავი ერთგული?

უტყუვრად შენაკავშირი  
ერთად ქირით და ლხინითა,  
ხან თავს იბანდით სისხლითა,  
ხან იღებავდით ინითა?..

და ორივ არად მიგაჩნდათ,  
ამბობდით: ნამავალია!  
გვირგვინი ეროვნობისა  
კეთილი მომავალია!

სადღაა ახლა ეს თქვენი  
გმირული აღთქმა და მცნება?  
და ასე სათვალდათვალათ  
რამ შეგიცვალათ გუნება?

მდინარეს, მთასა და ველსა  
გატყვიათ მონყენილობა  
და ნუთუ არ გრძნობთ, რომ ერის  
ცუდია დაღრეჯილობა?

მდინარემ მითხრა ქვითინით:  
სხვისა ჭირი – ლობეს ჩხირი,  
შენ რა იცი, მომავალში  
რა მოგველის გასაჭირი?

შენ რომ გვხედავ აღტაცებით  
და მოგწონვართ ერთად ყველა,  
საპატრონოდ სულ სხვის ხელში  
გადავდივართ ნელა-ნელა.

ჩვენ პატრონად და მპყრობელად  
ველარ ვხედავთ ქართველ კაცებს.  
„ძე“ და „შვილი“ განახევრდა,  
ვრჩებით „ოვებს“ და „იანცებს“.

რა გვექნება ჩვენ საერთო  
მათთან ლხინში ანუ ჭირში?  
ერთმანეთისათვის უცხო,  
ჩავარდებით გასაჭირში!

მაგრამ უცხო რას დაეძებს  
ან სიავეს, ან სიკარგეს?!  
ვაი იმათ, ვინც ჩვენ მხოლოდ  
მოგვიძულეს და დაგვკარგეს!

უცხოელი კი, მის რჯულზე  
 მოსაპნულ თავს სხვა მხრით გვიკრავს,  
 სისხლს გამოგვწოვს წვეთა-წვეთად,  
 რბილს გაგვაცლის, ძვალს გამოგვხრავს, –

და მშვიდობით, მინა-წყალო,  
 მასთან ერთად ქართლის ერო,  
 გულუხვო და ენატკბილო,  
 ჩვენო „მრავალჟამიერო“!

სულ უსისხლოდ მოვისპობით,  
 აღარც კვლა და აღარც ჟლეტა,  
 საკლავ იარაღად მხოლოდ  
 გამოდგება „მნოგი ლეტა“!

აი, თუ რამ დაგვადონა,  
 აგვირია გზა და კვალი.  
 სასიკეთოს ქართველისთვის,  
 ვერ ამზადებს მომავალი!

ეს მითხრა და დაექანა  
 ცრემლით ზღვაში ჩასანთქმელად,  
 და ოცნება მეც ნათელი,  
 გადამექნა უფსკრულ-ბნედად!

როგორც დედა ვერ იმეტებს,  
 სასიკვდილოდ ვერც ერთ შვილსა  
 და ოცნებას საიმედოს,  
 მიეცემა რაღაც ტკბილსა.

ისე მეცა, რომ ქართველი  
 გადარჯულდეს, არა მჯერა!  
 სულ სხვაგვარად მეხატება  
 მომავალი ბედისწერა.

გადამთიელს აქ რა უნდა?  
 რას მოიხმარს ჩვენს მიწა – წყალს?  
 ნახდება და ჩვენც წაგვახდენს,  
 შეგვიფოროხებს მით მომავალს!

მაგრამ მაინც საბოლოოდ  
 ის ჩვენსკენვე დაბრუნდება,  
 წინააღმდეგ ბუნებისა  
 არაფერი არ მოხდება!

ხეს ვერ დამყნი ისე ხეზე,  
 თუ არ არის მისი გვარის;  
 შეიძლება განა სადმე  
 გასწორება „მთა და ბარის“?

არა! და შენც, ალაზანო,  
 ცრემლით ნუ რწყავ შენს ნაპირსა!  
 „ჭირსა შიგან გამაგრება  
 ასე უნდა, ვით ქვითკირსა“.

რაც რომ უნდა ჭირი ნახოს,  
 საქართველო არ გაქრება!  
 მოსული და მონაბერი  
 მას პატივად დაედება!

გაეხარდა ალაზანსა,  
 სანუგეშოდ ჩემგან თქმული,  
 გადიყარა სევდის ქაფი,  
 მოიბრუნა ისევ გული.

და მიმართა ისევ კახეთს,  
 მშვენიერმა მშვენიერსა!  
 ჩვეულებრივ ამღერებდა  
 კახურ „მრავალჟამიერსა“!

[1911]



## კუდური დედინაცვალი

რომ შემეძლოს, არ დავზოგავ  
ამ ჩემს კუდურ დედინაცვალს,  
გულში ვარტყამ მუგუზალს და  
ცხელი ნაცრით დავუვსებ თვალს.

ვძულვარ!.. ვძულვარ უმიზეზოდ,  
ვეჯავრები, როგორც ძირი!..  
ფიცისა და აღთქმის გამტეხს,  
თეთრად მოაქვს შავი პირი.

რაც კი ნახა ჩემში კარგი,  
შებლალა და გააფუჭა!..  
მე გამცარცვა!.. გამატყავა!..  
თვითონ ჩაჯიბ-ჩაიმიუჭა!..

სათვალთმაქცო სესხადა აქვს  
სიყვარული... ერთგულება!..  
ჩემს სახლში, ჩემს მოადგილედ  
სხვა უნდა... სხვა ეგულება.

მეუბნება: „თუ რომ გინდა,  
როგორც შვილი შეგიყვარო,  
ეცადე, რომ ჩემს ნამდვილ შვილს  
ყოველიფრით დაეგვარო.

ნეტა მაინც კაცსა გავდეს,  
ყოვლად გონჯი მისი შვილი!..  
არა, იმის დამზგავსებას  
მირჩევნია მე სიკვდილი.

აჰა, ღმერთო! სიდან გაჩნდა  
უგვარო და უთვისტომო?  
მშობელ დედის მაგიერად  
ეს ვინამო, ეს ვინდომო?!

შეცთა მამა, რომ შეირთო...  
 სურვილს მიყვა წამიერსა,  
 დღეს იძახის „ვაი, ვაის...“,  
 გმობს ძველ „მრავალუამიერსა“.

გვიან ჩახვდა გონებაში  
 მოხიბლული ადრე ჭკუა!..  
 მოქარგულმა ცბიერობამ  
 შეაცთინა, მოატყუა.

ხედავს, მაგრამ რაღას იზამს?  
 გვიანლაა სინანული! –  
 კუბოს გვიდგამს გლოვის ზარით  
 საპატარძლოდ შემოსილი.

ღმერთო, ამ ჩემს შემწუხებელს,  
 დაუბნე გზა და კვალი,  
 რომ უკანვე გაბრუნებულს,  
 მივაყოლო მეგუზალი!

[1911]

## ახალმოდური ლექსი

ცრემლის ზღვაში სევდის ნავი  
შევაცურე... ავაქანე.  
შენ გეძებდი! სულ მარტო შენ!  
გენაცვალე, გაიანე!

ჩანგით ხელში, ჭმუნვის ტყეში  
მყოფი, ცისკენ გავექანე,  
რომ მენახე ანგელოზად,  
საოცნებო გაიანე!

სხივმოსილი მინის შვილი,  
აიაზმით გავიბანე,  
რომ მეც გავხდე შენი ღირსი,  
გულის სიმო, გაიანე.

გთხოვ მეაჯო, აღარ მტანჯო!  
გულის ნყლული გადამბანე!..  
შენ ჩემი ხარ!.. მე შენი ვარ!  
ერთად მოგკვდეთ, გაიანე!..

[1911]

\* \* \*

აღსდევ, გმირთგმირო, ნუ გძინავს,  
 მტრები გეხვევა გარსაო,  
 რბილად გითხრიან სამარეს,  
 ტკბილად გიმღერენ ზარსაო.

და შენ კი გძინავს! – ვერ ხედავ  
 ტკბილად ბანგშენასვამიო,  
 ველარც გულს ხმარობ, ველარც სულს,  
 ლეში გამხდარხარ, გვამიო.

მაგრამ გულს მაინც არ ვიტყვხ,  
 მას ვანაცვალეზ ყველასო,  
 სანამდი ვხედავ შორიდან  
 იმედის ცისარტყელასო.

გამოიღვიძებს ისევე  
 ფხიზელად, ძველებურადო,  
 და მეც ჩემ ჩანგურს ჩამოვჰკრავ,  
 დავმღერებ ჩემებურადო:

აღსდევ, გმირთგმირო, ნუ გძინავს,  
 გამოახილე თვალიო,  
 შეისისხლხორცეთ – რაც გაკლდესთ,  
 მოგელისთ მომავალიო!

[1912 წლამდე]

\* \* \*

სტუმართმოყვარეობა  
რაჭველთა განთქმულია,  
მაგრამ სტუმრის გულშიაც  
მათი სიყვარულია.

29 ივლისი [1912]

## მილოცვა

ყმანვილებო, მოგილოცავთ  
 წრფელის გულით ახალსა წელს,  
 გისურვებთ, რომ ასცდენოდეთ  
 ყოველს ჭირსა და განსაცდელს.

არ ივიწყებდეთ მამების  
 ნათქვამს და განაგონებსა:  
 „ხერხი სჯობია ღონესა,  
 თუ კაცი მოიგონებსა!“

ეს ხერხი მხოლოდ სწავლაა,  
 მომავლის გზა და ხიდია!  
 არც მოიშლება ბრძანებით,  
 არც ფულად გასაყიდია!

და გვირგვინი კი სწავლისა  
 უფროსად დედა-ენაა,  
 მაღლიდან მომადლებული,  
 კაცთ ზეამყვანი ზენაა.

დღეს, თუმცა ფერი ეცვალა,  
 ძველი სინმინდე იმღვრევა,  
 მამა-პაპისგან ნაშენი  
 ტაძარი მტრისგან ინგრევა;

მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,  
 მოდის ნუგეშისმცემლადო,  
 ღიმილით ამბობს: ნუ სტირით...  
 ნუ სდნებით ტყვილა ცრემლადო!..

ხანდახან კერა მქრალია,  
 ნაცარიც გაცივებული,  
 მაგრამ თუ იმ ცივ ნაცარსა  
 გამოუჩხრიკე შიგ გული,

იქ ნახავ ობოლ ნაკვერცხალს  
 ძველებურ მხურვალეებითა,  
 და ის აანთებს ხელახლა,  
 ცივ კერას ბრწყინვალეებითა.

ახალგაზდებო! ნუ მისდევთ  
 უბრალო გულისძგერასა,  
 გზას უკუღმართად ნუ უქცევთ  
 მომავალ ბედისწერასა!

ძველ დროს მიმართეთ გარკვევით:  
 იქაც იპოვით ნაკვერცხალს;  
 აანთებთ ისევ კერასა  
 და გაიბრწყინებთ მომავალს!

[1912 ]

## გაბრიელ სუნდუკიანცის დამარხვის დღეს

დღეს მარხავენ ადამიანს  
გრძნობიერს და გონიერსა.  
ვინც რომ ჰფენდა ციურ ნათელს  
განურჩევლად ყოველ ერსა.

გულში ჰქონდა ჩასახული  
სიდიადე და შვენება;  
სწამდა კაცი ყოველ ერში!..  
ამაღლებდა ქრისტეს მცნება!

ოღონდ კაცი ყოფილიყო,  
მისთვის იყო ყველა ერთი!  
სიმართლე და თანსწორობა  
იყო მისი რწმენა, ღმერთი!

სიყვარულით მან მოიმკო,  
საზოგადო სიყვარული  
და უბინოდ მოიმზადა,  
საუკუნო ტკბილი რული.

[1912]



## ბაქო

გურგენის ზღვის სიახლოვეს  
ქალაქია დიდი – ბაქო.  
ვნახე, მაგრამ ვერ ვახერხებ,  
რომ შევამკო და შევაქო.

ჯერ ქალაქი იმისთანა  
არ მინახავს ჩვენში მე სხვა:  
ნაცრისფერი, უწყლო მხარე,  
თუმც კი იქვე ახლოს აქვს ზღვა.

ქარი უქრის დღე და ღამე,  
ახმაურებს ყველგან ქუჩებს,  
გამვლელს აყრის მტვერს თვალეებში,  
ქვიმას ურევს, უწვავს ტუჩებს.

ჰაერი ჰყარს, არემარეს  
ირგვლივ უდის ნავთის სული,  
სასმელი ჰყარს, საჭმელი ჰყარს!  
არ ჰყარს მხოლოდ მარტო ფული.

მაგრამ მასაც სათავეში  
ვინ უდგას და ვის ხელშია?  
ვილაც ერთი-ორიოდე,  
მაშინ როცა ათასს ჰშია.

თაგიევი, ნაგიევი,  
მუხთარი და მუსა-ალი,  
ვინ არიან ეს გმირები? –  
სულ უბრალო რამ „ამბალი“!

ზოგი თურმე ქვას ჰკოდავდა,  
 ზოგი იყო მიწის მუშა.  
 ბედმა, შრომა ეს დღიური  
 ყველას ერთად ჩაუფუშა.

და სანაცვლოდ მიანიჭა  
 მილიონი... ნავთის წყარო...  
 და იმითი ააშენა...  
 აამალლა, ვით სამყარო.

ვინც რომ თავსაც არ უკრავდა,  
 დღეს თავვანს სცემს მონიწებით  
 და შეჰყურებს, როგორც ბრძენსა,  
 სიხარბით და გაოცებით.

აგერ, ხედავთ, მოაქანებს  
 ავტომობილს ვიღაც ქალი,  
 ახალგაზდა, თვალ-ტანადი,  
 მაყურებელს მოსჭრა თვალი.

ნასწავლსა და განათლებულს  
 არავინ ჰყავს, ჰფიქრობს, ტოლი,  
 და ვინ არის? – ვინ იქნება,  
 თუ არ ამბალთაგნის ცოლი?!

მილიონრის ცოლობაზე  
 ვინ გაბედავს, – რომ სთქვას – უარს,  
 და ლამაზი სხვისი ჩიტი –  
 გალიაშიც ქმარსაც უყვარს.

ამ მეოცე საუკუნის  
ძალა არის მხოლოდ ერთი –  
მილიონი!... მილიონი!..  
მილიონი – ქვეყნის ღმერთი!

მაგრამ მაინც, ჩემო ბაქო,  
ვერ ვახერხებ, რომ შენ გაქო,  
მით უფრო, რომ ზნეობითი  
არაფერი არა გაქო.

[1912]

## ალბომში

თვალად, ტანად, სულით, გულით  
თანასწორად შემკობილო,  
ზოგჯერ ცხარევე, ზოგჯერ მწარევე,  
მაგრამ სუყოველთვის ტკბილო...

ერთადერთი, როგორც ღმერთი,  
იყავ ქვეყნად იდეალი...  
შენ დაატკბე ჩემი ანწყო,  
ნარსული და მომავალი.

თავს ვგონებდი პირველ კაცად,  
სამოთხედ მჩნდა ეს ქვეყანა,  
მაგრამ ჩემმა ნეტარებამ  
დიდი ხანი ვერ გასტანა:

მომაშორე იმ სამოთხეს,  
გამომადგე, ვით ადამი,  
და მით გულსა, დაჩაგრულსა,  
სასიკვდილო მოსცხე შხამი.

მაგრამ მაინც, მიყვარს მე ვინც,  
შენ იქნები ერთადერთი:  
სწორუპოვარ-მიუნდომელ-  
სათაყვანო, როგორც ღმერთი...

[1912]

## მარჟორი უორდროპის სახსოვრად

სახელგანთქმულ ინგლისიდან  
შემოფრინდა ჩვენში ობლად,  
ვით მერცხალი მოჭიკჭიკე,  
გაზაფხულის მახარობლად!

აჭიკჭიკდა და აგვისსნა  
წინაპრების გზა და კვალი!..  
შეუნონა ანწყო წარსულს  
და გვიქადა მომავალი...

გვითხრა: „ტყვილა გულს ნუ იტეხთ!..  
თქვენგან მე ბევრს გამოველი:  
არ მოკვდება ის ერი, ვინც  
წარმოშობა რუსთაველი!..“

ეს გვითხრა და სხვაც რამ კიდევ,  
ბევრი დარჩა მას სათქმელი,  
ვისაც ასე ჯერ უდროოდ,  
საუკუნოდ ჰფარავს ბნელი.

მაგრამ მაინც იმ ბნელიდან  
მზის ციაგად მოგვფენს ნათელს  
და მიტომაც საქართველო  
არ ივინყებს იმის სახელს...

[1912]

\* \* \*

„კუხ! კუხ! კუხ! შორს არ წახვიდეთ!“ –  
 კრუხი უძახის წინილებს.  
 იქვე წევს ძალლი მურია  
 და მტრებზე ილესავს კბილებს!

მალლიდან ქორი დასცქერის,  
 ხის ტოტზე გადმომჯდარია,  
 დროს ეძებს – წინილს დაეცეს,  
 წაილოს – ის უხარია.

უცბად დაეშვა კრუხისკენ  
 აჩქარებული ფრენითა,  
 მაგრამ მას ძალლი მივარდა,  
 გამწარებული ღრენითა.

სტაცა ქორს ბასრი კბილები,  
 დაგლიჯა, სისხლი ადინა  
 და კრუხი წინილებითა  
 მით ხიფათს გადაარჩინა.

ზე დაჰყურებდა ამ სურათს  
 მგოსანი დაფიქრებული  
 და უცნაურის ნატვრითა,  
 მაშინ აევსო მას გული:

თუ ჩემ სამშობლოს მოუხტეს  
 ქორი და შექმნას ავობა,  
 ღმერთო, ძალლებად აქციე  
 ერთთავად ახალთაობა!

[1912]

## მშვიდობით

მშვიდობით, შრომავ და ღვანლო  
ნახევარ საუკუნისა,  
იუბილეს სანაცვლოდ  
მომნიჭებელი წუნისა.

მშვიდობით, ინტელიგენტო!  
თავი აღარ მაქვს ბრძოლისა,  
თქვენ რომ განრვთნილხართ, არა ვარ  
მიმყოლი მე იმ შკოლისა.

ვერ გამოვდგები მე, სადაც  
თურმე სუყველა ფუჭია!..  
ცხოვრების სახელმძღვანელოც  
ყოველგან მარტო კუჭია!..

სადაც ზეკაცად ითვლება  
მხოლოდ თვალთმაქცი, გზნეული  
და სადაც გრძნობა-გონება  
ენად არს გადაქცეული!

რა გაარიგოს მგოსანმა  
მისის გულუბრყვილობითა,  
გინდა დაედვას მსხვერპლადაც  
ორმოცდაათის წლობითა?

სჯობს, რომ მოშორდეს... წავიდეს!  
მშვიდობით, ჩემო სამშობლო!  
მე საპირადოდ ის მიჯობს,  
რომ სხვაგან სადმე ვიობლო.

მშვიდობით, შრომავ და ღვანლო  
ნახევარ საუკუნისა,  
იუბილეს სანაცვლოდ  
მომნიჭებელი წუნისა!

## საკვირველებას

ჯერ ყმანვილმა, ახალგაზდამ  
 საოცარი ვინმე ვნახე!  
 ცით მოვლენილ ანგელოზად  
 მინიერმა დავისახე.

ავეგ ზენი, ავფრთოვანდი,  
 სადიდებლად მოვრთე ქნარი,  
 მაგრამ მალე მიმეფარა,  
 ვით ოცნება და სიზმარი.

ნახევარი საუკუნე  
 ის ველარსად ველარ ვნახე,  
 მაგრამ გულში მისი სახე  
 სიკვდილამდე დავისახე.

რომ დავბერდი, დავუძღურდი,  
 ისევ ვნახე უცაბედად;  
 ხსოვნა კვესად გადამექცა  
 და ეს გული კი აბედად!

ისევ ისე ახალგაზდა...  
 მშვენიერი, როგორც დილა!  
 და, სჩანს, თურმე არ ბერდება,  
 ვინც ღმერთქალად გაჩენილა!

1913 წელსა, იანვრის 12-ს.



## თანამედროვე

დედას, სნეულს და ავადმყოფს,  
ერიდები, აშორებ თვალს!  
მონინებით თაყვანსა სცემ  
გადამთიელ დედინაცვალს!..

თვალტანადად ქართველი ხარ,  
მაგრამ გულით კი სხვა სჯულის;  
ღმერთად არ გნამს არავინ სხვა,  
გარდა კუჭის, გარდა ფულის!..

თეთრი კბილი, შავი გული,  
აი, შენი პოლიტიკა!  
საქმით მგელო, ხაშმით გველო,  
კუდამელის კუდის რიკა!

მოდის ის დრო, რომ დაჰგმოზენ  
შენისთანა ფარისევლებს!..  
შეგეცვლება ღვინი ჭირად  
და მოიმკი კვნესით ცრემლებს.

ჯერჯერობით კმაყოფილი,  
რალას ეტყვი მაშინ შვილებს,  
გულდასმით რომ გაგისინჯვენ  
შავს ენას და მაგ თეთრ კბილებს?

ველარც კუჭი, ვერც ფულები  
მაშინ ველარ გიშველიან!  
ნახვალ იქით, სადაც წყევლით  
და ბარ-ნიჩბით მიგელიან!

[1913]

## ვაჟა-ფშაველას

ენას გინუნებ, ფშაველო,  
 მგოსანო მაღალ მთისაო,  
 თუმც კი გვითესავ მარგალიტს!..  
 მკითხველიც იმას მკისაო!

ჯერ არ ვყოფილვარ ფშავეთში,  
 მაგრამ კი ვიცნობ ცნობითა;  
 შენ დამიხატე ის მხარე  
 ფშაურის ჭკუა-გრძნობითა.

და რაც არ გადმოგიცია  
 მისს შვენებაზე ენითა,  
 მე თვითონ მივხთი ყოლიფერს,  
 შენთანვე აღმაფრენითა.

ვიცი, რომ ფშაველის სული  
 წმინდაა, მაღალ მთისაო,  
 ენა – მეტყველი სიმართლის,  
 გულ-მკერდი – ფოლადისაო.

წინეთ რომ ხმალი უჭრიდათ,  
 სადღეისოდ სჭრის კალამი...  
 გადაეც ბარის მგოსნისგან  
 მთიულეებს ძმური სალამი.

[1913]

## ბავშვებისადმი

პატარა რომ ვიყავი,  
 პატარა ბიჭუკეულა,  
 არც მეტი, არც ნაკლები,  
 აგრე, მხოლოდ თქვენსებლა, –  
 დიდი რამე მეგონა  
 ჩემზე უფროსი ყველა.  
 მაგრამ, რომ გავიზარდე,  
 ცოტა რამ შევისწავლე  
 და შეგნებით ცხოვრებას  
 თვალ-ყური მიმოვაფლე,  
 მივხვდი, რომ ასში მხოლოდ  
 ორი-სამი კარგია  
 და დანარჩენი სხვები,  
 ქვეყნისთვის არ ვარგია.  
 მათი მცნება ძალაა,  
 მომრეობა – მუჭია  
 და ქვეყნად სათაყვანოდ  
 უსულგულო კუჭია.  
 და თქვენ კი არ მიბაძოთ  
 იმ კუჭია-მუჭიას,  
 და მით არ მიემგზავსოთ,  
 უმნიშვნელო რამ ჭიას.  
 გიყვარდესთ სამშობლოსთან  
 ერთად ქვეყნიერება,  
 მხოლოდ სიყვარულშია  
 კაცის ბედნიერება.

[1913]

## ფული

ფულო, ეშმაკის ნაჭედო,  
 მადანო ჯოჯოხეთისო!  
 განვედი ჩემგან!.. კრულ იყავ!  
 არ მსურს გემონო... გეთვისო.

ქვეყნიერება თაყვანს გცემს  
 და შენი მაძებარია;  
 უშენოდ ჩვენი ცხოვრება  
 მართლა რომ ნაღველ-ძმარია.

მაგრამ მე მაინც არ ვეძებ  
 შენს თანამეგობრობასა!  
 ღარიბი ღარიბს ვადიდებ...  
 არ მოვშლი შენთან მტრობასა!..

ვიცი, ვინც ხარ და რა ძალაც,  
 ცხოვრებად გადაქცეული,  
 სწორი გზის ამრევ-დამრევი,  
 ეშმაკის მახე, წყეული.

ჯიბიდან შეეპარები  
 წმინდა გულს გასახრწნელადა,  
 სწორ მხედველობას წაართმევ,  
 ნათელს უჩვენებ ბნელადა.

მაგრამ სანამდი! და რისთვის,  
 განა ეს არის ცხოვრება?  
 რალად ღირს მაშინ სინათლე,  
 თუ ისევ მალე გაქრება?

სამარადისო არც შენ ხარ,  
გაქრები, როგორც სიზმარი.  
მოვა, შენს ადგილს დაიჭერს  
მოთხოვნილება სხვაგვარი:

შრომა და პატიოსანი  
ოფლის ღვრა სწორის-სწორისო,  
თავისუფლება, ერთობა  
და ძმობა ერთა შორისო.

[1913]

## ქრისტე აღდგა

ხელში მიჭირავს ტალ-კვესი...  
 ის ამირანის ძღვენია,  
 ზეციდან ჩამონატანი...  
 ბნელში ნათელის მფენია.

და რომ დავაკვეს აბედსა,  
 ცეცხლი გაჩნდება სწრაფადა,  
 ხეს დასწვავს, წყალს აადულებს,  
 ააჩუხჩუხებს ქაფადა.

გულში ჩავიდევ ტალ-კვესად  
 ჭეშმარიტება ციური,  
 და მიტომც გულს ვერ მიბნელებს  
 მე ტანჯვა ყოველდღიური!

ჭეშმარიტება ღმერთია,  
 უგნურებისგან ჯვარცმული!..  
 თვით მაცხოვარი, იესო,  
 ავაზაკებთან გართხმული!

ის მოკვდა, მაგრამ დროებით!  
 აღსდგა ისევე მკვდრეთითა  
 და გამოიხსნა მარადის  
 ტანჯული ჯოჯოხეთითა!

„ტვირთმძიმეთა“ და „მაშვრალთა“,  
 ამოისუნთქეს შვებითა!..  
 ვინც ქრისტე შეიმოსია,  
 ის სცხოვრებს ნეტარებითა!

სისხლი და ხორცი დაუდვა  
ახალ ცხოვრებას დვრიტადა.  
მაშ „ქრისტე აღდგა“, ჩაგრულნო,  
მითხარით: „ჭემმარიტადა!“

[1913]

## მუშა-გლეხის იობა ისაკაძის ხსოვნას

პატარა კაცი ვიყავი,  
 უბრალო პურისმცხობელი;  
 ყოველგვარ კარგის მოყვარე,  
 უკუღმართობის მგმობელი.

მიყვარდა ღმერთი მოწყალე,  
 მრწამდა მოძღვრება ქრისტესი!  
 ამ ქვეყნად არარა მქონდა  
 იმაზე უფრო უტკბესი.

მის თანასწორად მიყვარდა  
 ჩვენი სამშობლო ქვეყანა,  
 სადაც უწყალო სიკვდილმა  
 ცხოვრება აღარ მახანა.

მშვიდობით, ნუთისოფელო!  
 მშვიდობით, ძმებო და დებო!  
 მშვიდობით, ცოლო და შვილო,  
 მარადის გულში ნადებო!

წავდგები წინაპართ გუნდში,  
 სადაც კი განისვენებენ,  
 თუ იმათ რიცხვში მეც, მცირეს,  
 ამ ქვეყნად მომიხსენებენ!..

შემავედრებენ „მამასა,  
 სულსა წმინდასა და ძესა“,  
 შრომის შვილს, უბრალო მუშას,  
 მე იობ ისაკაძესა...

[1913]



## კახელებს

ორჯელ ვყოფილვარ კახეთში  
 ორჯელვე ცოტა ხნობითა!  
 და ისევ დავბრუნებულვარ  
 სხვადასხვაგვარის გრძნობითა.

პირველად ვნახე კახეთი  
 კახელებისვე ხელშია;  
 უცხოს, მოსულსა ონავრად,  
 დანას ურჭობდნენ ყელშია!

მაშინ მე, როგორც ქართველი,  
 ვგრძნობდი სრულს ნეტარებასა  
 და საქართველოს ტკბილ კუთხეს  
 ვუძღვნიდი ქებათქებასა.

მეორედ ვნახე, – მეოცა:  
 ვერ ვნახე, რაც ნახულიყო!  
 ეს საქართველოს ედემი  
 სხვის ხელში გადასულიყო!

თითო-ოროლა ოჯახი  
 აქა-იქ დარჩენილიყო!..  
 მემწარა მაშინ ყოველი,  
 რაც კი პირველად ტკბილ იყო.

ვიკითხე: „სადლა არიან  
 შვილები დიდი ოჯახის?  
 კახეთი მომვლელ-პატრონად  
 ვისა სთვლის და ვის ეძახის?“

„არიან, მაგრამ სულ ცოტა,  
მათ რიცხვში ჯანდიერიო,  
ჯერ კიდევ კახეთს ქართული  
არ შეუცვლია ფერიო“.

შევკრთი და გულმაც ეს მითხრა:  
ნუთუ არ დარჩა მეტიო?  
ვერ გაამაგრებს დიდ ოჯახს  
მარტოკა ერთი სვეტიო!

კახეთის მემამულეებმა  
ვერ მოიხადეს ვალიო  
და გაატანეს სულ სხვებსა,  
თავისი მიწა-წყალიო!

გულმა გონება მომიკლა  
ამ ამბის გაგონებითა!  
მით უფრო, რომ მოტყუებულს,  
გვგლეჯენ ჩვენისვე ნებითა.

დღეს კი მომესმა ნუგეში  
მომავლის უკეთესისა!..  
და ამ ტკბილ ნუგეშს იძლევა  
გაზეთი „ხმა კახეთისა“.

[1913]

## მოხუცის სიყვარული

შორის ოხვრით, შორის ბნედით  
მიყვარს, მიყვარს სულით, გულით!  
სამარეში თანჩამყოლის  
აღმამფრენელ სიყვარულით!

არ მგონია, რომ იმაზე  
იყოს ვინმე უკეთესი!  
ტკბილად მდაგავს სიყვარული,  
მისგან გულზე დანაკვესი!

როცა სოფლად მე, დამამერალს,  
დამეხმება ტანჯვით ენა,  
საკმაოა ჩემთვის მხოლოდ  
ერთი მისი წარმოდგენა.

სევდა, გულში ჩაკირული,  
გზას დაუთმობს სიხარულსა  
და ვადიდებ მაშინ, ვით ღმერთს,  
ამ უცნაურ სიყვარულსა!

1913 წ., 15 ივნ[ისი]

## ქრისტე აღდგა

(პასუხად „სიტყვას“)

„ქრისტე აღდგა!“ გვეუბნები?  
 გიპასუხებთ: „ჭეშმარიტად!“  
 ახალ მცნებას და ახალ რჯულს  
 ის დაედგა წმინდა დვრიტად.

თაღლით წინასწარმეტყველთა  
 შორის, გაჩნდა მარგალიტად.  
 მალლით იყო მდაბალთათვის  
 და ამალღდა „ჭეშმარიტად“.

ჩვენც გვიმოძღვრა: მოძმეთათვის  
 „თავი ჭირსა არ დამრიდად“  
 და იმითიც დაიმტკიცა  
 კაც-ღმერთობა ჭეშმარიტად.

ჭეშმარიტად შეგნებულად  
 დღეს ქართველსაც უხარია  
 და სწამს, ვისაც გოლგოთაზე  
 მისთვის სისხლი დაუღვრია.

ყველას გვმართებს ლიტანია,  
 „ქრისტე აღდგა!“ ... „ჭეშმარიტად!“  
 გაუმარჯოს, მოძმეთათვის  
 ვინც თავსა სდებს მტლად და დვრიტად!

[1913]

**ჩემს პატარა მეგობარს,  
თინა ჯაფარიძის ქალს**

ჯერ პატარა ვარ, რომ გავიზდები  
და შევიქმნები გასათხოვარი,  
თქვენთან მექმნება მაშინ ყველასთან  
ერთი გულწრფელი რამ სათხოვარი:

მოძებნეთ სადმე და გამაცანით  
მე იმისთანა ვინმე ქართველი,  
რომ ის „მტრედივით იყოს უმანკო“  
და „მეცნიერი, ვითარცა გველი!“

უყვარდეს მთელი კაცობრიობა,  
მაგრამ უფრო კი თავისი ერი;  
მას მსახურებდეს თავდადებულად  
და მას შესწიროს სუყველაფერი!

სძულდეს მონობაც და ბატონობაც,  
მუდამ თანსწორად უცემდეს გული  
და შიგ ჩაჰხატოს მაღალი მცნება:  
„ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“!

მაშინ მეც, მასთან შეერთებულად,  
გიჩვენებთ ყველას ქართველსა ქალსა,  
რომ მის სამშობლოს თავს ევლებოდეს  
და მსხვერპლს სწირავდეს მის მომავალსა.

[1913]

\* \* \*

ობობამ ქსელი გააბა,  
ბუზების დასაჭერადა;  
რომ მოატყუოს ფრინველები,  
მელია შედგა ბერადა.

ბოროტმა კაცმა, ორივეს  
ნასაქმსა ახედ-დახედა,  
იმათი ნამოქმედარი  
გამოიყენა მახედა.

და მოძმეს უგებს, საკუჭო  
თუ ცოტა შემოელია.  
ობობასავით ქსელს აბამს  
ფარისეველობით მელია.

[1914]

უთარილონი

ლექსები, გამოცანები,  
ეპიტაფიები





---

## ალბომში

გ[იორგის] მაგიერ

სულით და გულით მოძღვნილსა,  
ვითა წვლილს, ამა ალბომსა,  
ნუ დაუნუნებ შენს ერთგულს  
და მარად კეთილის მდომსა!

დე, ამან გითხრას ყოველი,  
რაც ვერ გამოსთქვა ენამა!..  
თვით იგულისხმოს ოცნებამ  
და შენმა აღმაფრენამა.

და როცა ნაზის ხელებით  
ამ ალბომს სინჯვას დაუნყებ,  
შენს ერთგულს, შენსა მოკეთეს  
გიორგის ნუ დაივიწყებ.

---

## ალბომში

მსურდა შენი აღმა ფრენით  
ამაღლება, ზე ატანა,  
რომ დაგვეგდო ორთავ ერთად  
უკუღმართი ეს ქვეყანა.

ჯერ ამყევი, მაგრამ როცა  
ისრად მოგხვდა სხივი მზისა,  
შენ ისევე უკუიქეც,  
მონატრული ძველი გზისა.

მაშინ მივხვდი, – არ ვყოფილვართ  
ერთმანეთის ჩვენ წილხვედრი...  
მე აქ დავრჩი შენს მლოცველად  
და შენც, ტურფავ, მანდ ნუ მჰყვედრი!

---

## ალბომში

ნინოს, თამარს თუ ქეთევანს,  
არ ვიცი, ვის შეგამსგავსო,  
საოცნებო, საარაკო,  
დედოფალო ქალთა!.. ტასო!

ყველას ერთად, თუ გულწრფელად  
აგწონო და დაგაფასო!..  
სამთავ ტოლო, სამის სწორო,  
სამებრ მნათო, სასო!.. ტასო!..

მეუბნები: „შემცდარი ხარ!  
ნუ აჰყვები გულისთქმასო!..  
მაგრამ ვკითხე გონებასაც  
და მან მითხრა „მხოლოდ ტასო!..“

მირისხდები: „როგორ ჰბედავ  
ჩემზე მაგგვარ სიტყვის თქმასო!“  
მე კი ვცდილობ, მაგრამ რა ვქნა,  
რომ წასცდება ენას „ტასო!“

გინდ დამარჩვე, გინდა დამწვი,  
გინდ ამკეპე ასო-ასო! –  
თუ არ ცხადად, ძილში მაინც  
წამომცდება: „ტასო!“ „ტასო!..“

---

## ალბომში

რომ გამწირე, შემდეგ მისსა  
ამერია გზა და კვალი,  
ალარა მრწამს არც წარსული,  
არც აწმყო, არც მომავალი.

რა შეგცოდე, რომ არ ვიცი!..  
აიყარე რისთვის გული?  
დანაშაულს რომ არა ვგრძნობ,  
არ ხერხდება სინანული!..

მაგრამ არა! მილალატე  
ჩვეულებრივ, როგორც ქალმა!..  
გადაგქმნა და გადაგადნო  
სხვანაირმა გულის ალმა.

რალა მეთქმის ცოცხალ-მკვდარსა?  
რაც რომ მითქვამს, ისიც კმარა!  
ღმერთმა ჰკითხოს, ვინც ერთმანეთს  
შეგვაძულა და გაგვყარა!

---

## ალბომში

როცა შევჰყურებთ მაღალ მთებს,  
მიუდგომ-მიუნდომელსა,  
თვალგადუნვდენელ მინდვრებსა,  
ზღვის უფსკრულს განუზომელსა,

სუყველას, რაც კი ამ ქვეყნად  
დიდი და მშვენიერია, –  
მაშინ ვიგონებთ შემოქმედს  
და ვგრძნობთ, რომ თვით ძლიერია.

მაგრამ ქალს როცა შევხვდებით,  
მაღლით ცით მომადლებულსა,  
შემქმნელის და შემოქმედის  
ტრფობით ვაძგერებთ ჩვენ გულსა.

---

## ალბომში

(რუსის ქალს)

ერთხელ თითქოს მოჩვენებამ  
წალკოტს შუა გაიარა;  
შურით აღძრა არემარე,  
ყვავილთ გული შემოჰყარა.

მათ შეჰვედრეს შემოქმედსა:  
„მოგვანიჭე დღეს სიამე  
და იმ ტურფას შვენებიდან  
ჩვენც მოგვეცი თვითო რამე!“

ვარდმა სთხოვა ფეროვნება,  
იამ – წყნარი მის სინაზე,  
(იასამან სუნნელებას  
შენატრის და ცრემლს ჰღვრის განზე).

კვიპაროზმა – ტანადობა,  
თვარემ – მისი მოვანება,  
და ბულბულმაც მოინდომა  
მისი ტკბილი ხმოვანება.

მებაღემ კი ეს ინატრა:  
„დეე, ყველა მასვე ჰქონდეს,  
მხოლოდ ერთხელ კიდევ მოსვლა  
ამ ჩვენ ბაღში მოაგონდეს!“

ის ჩვენება ცხადად შენ ხარ,  
ჩრდილოეთით მონაფრენი;  
წალკოტია საქართველო  
და მებაღე – მონა თქვენი.

---

## არშიყის ეპიტაფია

მინის შვილმა ზეციური  
სიყვარული განვიძრახე,  
მაგრამ ნაცვლად უკვდავების,  
სიცოცხლითვე დავიმარხე.

ქალს არა სწამს თურმე წმინდა,  
პოეტური აღმაფრენა.  
ჰხიბლამს მხოლოდ სილამაზე  
და მაცდური კაცის ენა.

შენც, მკითხველო, გაუფრთხილდი.  
ქალის გრძნობა ნუ, ნუ გჯერა,  
თუ არ გინდა, რომ ჩემსავით  
დაინყველო ბედისწერა!..

---

## აღსარება

როგორც ბავშვი ბუშტის ბურთსა  
ხან გაჰბერავს, ხან დაჩუტავს,  
ისე სწორედ მეც შენს ხელში  
სათამაშოდ ვგრძნობდი ჩემს თავს.

ხან სასურველ თანაგრძნობით  
ჩამბერავდი მაღალ ძალსა,  
ხან ულოდნელ გულგრილობით  
მიკიდებდი ცეცხლის აღსა!

ვიყავ ტანჯულ! ორჭოფობა  
ველარ შესძლო ჩემმა გულმა!..  
სიყვარულით სულჩადგმული  
მომკლა ისევ სიყვარულმა!

მომკლა, მაგრამ ეს სიკვდილი  
მაინც არის ნეტარება,  
თუ სიცოცხლე იმ ქვეყნადაც  
არსებობს და აქ არ ჰქრება!..



---

## ბაბილინას

(ბერიძის მაგიერ)

მშვენიერო ბაბილინა!  
ვინც რომ ქვეყნად გაგაჩინა,  
რატომ მანვე არ დანიშნა:  
შენ ვისი და შენი ვინა?

რომ საქიშპოდ და საცილოდ,  
საარჩევნოდ და სანილოდ  
არავისთვის გამხდარიყო...  
არ აგეგდო სასაცილოდ?!

შენი ცეცხლი მეცა მეცა,  
სიყვარული მეორეცა:  
დედამინას ცრემლით ვალბობ,  
ცეცხლის ოხვრით შევსძარ მე ცა.

და შევსთხოვე გამჩენელსა,  
რომ მინათდეს შენით ბნელსა  
და მეც მხოლოდ შენ გწირავდე  
ამ სოფელს და იმ სოფელსა.

რომ დაჰკარგონ სხვათ იმედი,  
შეეხარბოსთ ჩემი ბედი  
და საბრალოდ, საიდუმლოდ  
იდაგოდენ, ვით აბედი.

მაგრამ, კარგო ბაბილინა!  
მე ვინა და ბედი ვინა?  
ეს ხუმრობა მე მატირებს  
და შენ, ვგონებ, გაგეცინა!..

ზეცამ მე სხვა დამიწესა...  
განსხვავება დიდი ძვესა:  
შენისთანას ვინ აღირსებს  
საწყალ ბეჟან ბერიძესა?

---

## ბერიკაცის სიმღერა

ერთხელ მეც ვიყავ! ჩემმა მზემ,  
მეც მაფასებდენ კაცადა!  
თვალი დაუდგეს სიბერეს,  
რომ დიდხანს აღარ მაცადა.

ვარდს ვკრეფდი, იას ვკონავდი,  
ჭიკჭიკს ვბაძავდი ბულბულსა  
და ნუთისოფლის ნალველ-შხამს  
არ ვაკარებდი ჩემ გულსა.

ცა ქუდად აღარ მიმაჩნდა...  
ქალამნად დედამინა მე!  
ფუი შენ, ბედო, შავ-ბედო,  
რომ არ გამიტან-მინამე!

და ასე მალე ამხადე  
ახალგაზდობის სიამე!..  
ხელში ჩამიდევე სიბერის  
საუკუღმართო სია მე.

გული ისევ მაქვს საგულეს,  
გრძნობაც არ გამომლევიან,  
მაგრამ, რაც ტკბილად მიმაჩნდა,  
დღეს ველარ დამილევიან,

და გულდანყვევით შევჰყურებ  
დღეს სხვების ნეტარებასა,  
მკითხველო, ყური დაუგდე  
შენც ამ ჩემ აღსარებასა.

---

## ბულბული და ბალი

ბაღნარსა, აყვავებულსა  
ია-ვარდით და ზამბახით, –  
დაბერებული ბულბული  
ეთხოვებოდა სულ სხვა ხმით.

„მშვიდობით, ჩემო სამოთხევ,  
ფერადოვანო ბალოო!..  
დროა, რომ ან კი მოგმორდე  
და ხელიც შენ ამალოო!

„მოვა, ჩემს ადგილს დაიჭერს  
ჩემი გაზდილი შვილიო;  
მისი ჭიკჭიკი იქნება  
უფრო ძლიერი... ტკბილიო!

„მაგრამ მეც ნამსახური ვარ,  
ნუ დაივიწყებ ამასო  
და შვილებს რომ ყურს უგდებდე,  
გაიხსენებდე მამასო“.

მგოსანმა ყური რომ მოჰკრა  
ბულბულის აღსარებასა,  
დაუტკბა მწარი სიბერე –  
მიეცა ნეტარებასა!

---

## გაკვირვება

ღმერთო, რა მემართება,  
როგორ გამოვიცვალე:  
ძველი ჭკუა აღარ მაქვს...  
გრძნობისგან დავიცალე!

ადრე მე ერთი ქალი  
ათასს თუმნათ მიღირდა;  
ახლა ათასს ქალს თუმნათ  
გავსცემ, თუ გამიჭირდა.

თუ შანს უკეთ მოვიხმარ  
ისე რომ მამალხინოს,  
ვიყიდი: ყველსა, ახალ თევზს,  
მწვანილს და კახურ ღვინოს.

კიტრების ლხინს გავმართავ;  
ბევრ სტუმრებს კი არ შევყრი,  
სამიც კარგათ ვიკმარებთ:  
მე, ბეგლარ და დიმიტრი:

როდშილდი შევიქნებით,  
როცა კარგათ გადავჰკრავთ!  
მაშინ თვით შალომასაც,  
მერწმუნეთ, პანლურსა ვჰკრავთ.

მაშინ ჩვენს მერანებთან  
ბედაურიც ვირია!  
ქალი ყველა ვარდია  
ბულბული [...]

ჩვენ ვართ მაშინ როდშილდი,  
ჩვენვე ვართ პერეირა,  
ჩვენს გარდა ყველამ მაშინ  
მამალ ვირს მიატირა.

---

## გამოთხოვება

ვისაც ვეტრფოდი, ვისაც ვმონებდი,  
საკუთრად ვისთვისც მიძგერდა გული,  
დღეს მას გაფურბი, უსამართლობით  
გულდანყვეტილი და დათუთქული.

სანამ შემეძლო ტანჯვის ატანა,  
არ გავქცევოვარ ჩემს ბედს ეკლიანს,  
თუმცა მალამო წყლულზე არც ერთხელ  
არ მოუცხია სხვის ხელს მადლიანს.

ვუყვარდი სიტყვით და საქმით არა!  
ჩემკენ მონაშვერს, სხვას აძლევდა ხელს;  
ჩემს სადღეგრძელოს რომ სვამდა ღვინოს,  
მე სამადლობელს მასმევადა ნაღველს.

ლომად მსახავდა, ძალლად კი მხდიდა!  
ბულბულს მეძახდა – მსახავდა გველად,  
სხვების ტყუილი მართლად მიაჩნდა,  
ჩემი სიმართლე კი – საეჭველად.

ეს მეც ვიცოდი, მაგრამ სიყვარულს  
ვერრა შეარყევს გაკერპებულსა,  
და სამსხვერპლოზე ვსწვავდი ზვარაკად  
სიკვდილ-სიცოცხლეს, სულსა და გულსა.

მაშ დღეს რაღაა? რისთვის გაფურბი  
შავბედით ვარსკვლავს... ჩემ ბედისწერას?..  
და რად ვშორდები თვალცრემლიანი,  
სამშობლო აკვანს... შინაურ კერას?

მისთვის, რომ მაინც მიყვარს და მიყვარს!  
არ მინდა გაქრეს ეს სიყვარული!..  
მსურს თავყანს ვსცემდე, ვით ცისკრის ვარსკვლავს,  
მისის სხივებით შორს მოხიბლული.

---

## გამოტეხილი პასუხი

თვალისათვის სამოთხე ხარ,  
ჯოჯოხეთი – სულისთვისა;  
ჯიბისათვის – განსაცდელი  
და სადგისი – გულისთქმისა.

ეს კი ვიცი, მაგრამ რა ვქნა,  
რომ ბეცი ვარ... ვერას ვხედავ?!  
ჯოჯოხეთის მეშინია,  
სულით ფრთხალი, ვერას ვბედავ!

ჩემ ჯიბესაც განსაცდელი  
არასგზით არ უხერხდება;  
შიგ მტვრისა და ქარის მეტი  
არაფერი იხედება!..

მაგრამ, ვგონებ, შენ არ გჯერა,  
თავს როგორღაც დამტრიალებ!  
გირჩევ, ტყვილა ნუ მოსცდები,  
ნურც ნვალობ და ნურც მანვალეზ.

სხვა მოძებნე ბუზ-კაცები,  
მათ დაუგე აბლაბუდა!..  
ჩემი საქმე სტვირი არის,  
ქამანჩა და მისი გუდა.

---

## გამოფხიზლება

ზეციური იდეალი  
გადმომქონდა ქვეყნიურში,  
თუმცა დემონი ჩემი მაშინ  
ჩამძახოდა ამას ყურში:

„ნუ, მგოსანო, ნუ შესცდები!..  
ნუ აჰყვები სისხლს და თვალსა!..  
ნუ მიანერ ზეციურ მადლს  
ადამის გვერდს – მინის ქალსა!“

მაშინ ბრმას და გატაცებულს  
ეს სიტყვები არ მეჯერა,  
მაგრამ გულის ფიცარზე კი  
დღეს სიმართლედ დამეწერა.

ცეცხლი სწავს და კვამლი ჰმურავს,  
და ნათელს ჰფენს მხოლოდ ალი!  
ქვეყნად ყველა ტყუილია!..  
ცაში არის იდეალი.

და მიტომაც იდეალობს,  
რომ ხელი არ ეკიდება;  
აქედან ვერც წყალი აქრობს  
და არც ცეცხლი ეკიდება!

---

## გამოცანა

თავშებვეულს გავუფრინდი,  
თავნითელამ დამიჭირა,  
შემკოჭა და სასიკვდილოთ  
დანა ყელში წამიჭირა.

სიკვდილისგან გამომიხსნა,  
მომეშველა უცხო ქერა.  
მიმინდო და მეც მივინდე,  
მომავალი ბედისწერა...

ხორცი იხსნა, სული მოკლა,  
„ვაი“ „ვუით“ გამოცვალა...  
და ვინც ამას გამოიცნობს –  
ერთი გუდა ხიზილალა!..



---

## გამოცანები

1

ყრუ და მუნჯი, უფეხო ვარ,  
სადაც ნახვალთ, წაგყვებით.  
რასაც იტყვით, გიპასუხებთ  
უკანასკნელი ხმებით!

(ბანი, ეხო)

2

თევზი არ ვარ, მაგრამ ვცურავ!  
ფრთები არ მაქვს, მაგრამ ვფრინავ!  
ჩიტი არ ვარ, მაგრამ ვგალობ!  
ძალლი არ ვარ, მაგრამ ვღრინავ!

სად მივდივარ, ვერას გეტყვი!  
სიდან მოველ, არც ის ვიცი.  
და ადვილად საცნობი ვარ...  
აღარ უნდა ამას ფიცი.

(კაცი)

3

უფეხო ვარ, მივცინცილობ,  
უენო ვარ, მივიმღერი.  
ზამთარ-ზამთარ დაწუნებულს,  
ზაფხულში კი არ მყავს მტერი!

(მდინარე)

4

ჩემო ელაო, მელაო,  
პატარა ცუგრუმელაო,  
ოთხჯერ ვსთქვი შენი სახელი  
და მაინც არ მეშველაო!

(ელა)

---

5

გავრბივარ, ისე სწრაფი ვარ,  
რომ ვერ დამწვდება ქარიო, –  
მაგრამ სულ ველარ ვინძრევი,  
თუ დამიკეტეს კარიო.

(თვალეზი)

6

კაცი ვიყავ, გავზდი ქალი,  
უშვილო და შვილმრავალი.  
ჩემი ვალის ვერ შემძლებსა  
კისრად მანვეს სხვისი ვალი.

(ყვერული)

7

ამედეენა, არ მშორდება,  
ყოლიფერში მევე მბაძავს,  
ტყუბისცალი თუმც არ არის,  
მაგრამ მეტისმეტად კი მგავს!

(ლანდი)

---

## გამოცანები

1

ჩამავალ მზესა გადარებ,  
ამომავალსა მთვარესა!..  
გულბნელსა ეთაფლუჭები,  
გულნათელს ასმევ მწარესა.

(ლამაზი ქალი)

2

ცხენზე ცხენი გადაუბამს  
უფაფროდ და უკუდოდა,  
მალე ვნახავთ ფეხშიშველას,  
დადიოდეს უქუდოდა.

(ბარათაშვილი)

3.

საქართველო მოგწყენია,  
გენატრება მანჯურია?  
დროა ძვლები მოასვენო,  
რა დროს შენი ჯმაჯურია?

(ბებერ არისტოკრატკას,  
მანჯურიაში მიმავალს).

---

\* \* \*

პირველი პირადი ზმნაა,  
მეორე მხოლოდ ფერია,  
ორივე ერთად ქალაქი! –  
კალენდარებშიც წერია.

(ვარშავა)

---

\* \* \*

პირველი ყვაველი არის,  
მეორე ცხენის გვარია,  
ერთად კი აღმოსავლეთში  
შესანიშნავი მხარეა.

(იაპონია)

---

\* \* \*

გარეგნობით ისე კარგი  
არ ხარ, როგორც შინაგანათ,  
და ნურავინ გამიწყრება:  
არვინ მიყვარს შენისთანათ.

არა გმართებს საყვედური,  
სხვისი ბედი ვერ სჯობს შენს ბედს,  
და მიზეზსაც შენი ბედის –  
ვადლეგრძელებთ ელისაბედს!

არა ვგონებ, ჩემზე უფრო  
რომ შენ ვინმემ დაგაფასოს.  
შენთან ერთად გაუმარჯოს,  
შენს კარგსა და ჭკვიან ტასოს.

---

## გარენარი

ვნახე ქართველი, ქართლში გაზდილი  
და აქ, ქართლშივე დაბადებული,  
რომ არ იცოდა ქართული ენა  
და სულ სკვითურად უცემდა გული.

ვკითხე: „ვინ მოგცა გრძნობა-გონება?  
და თვალ-ტანადად ვინ დაგაშვენა?  
რა ქვეყნისა ხარ – მითხარი, შვილო,  
და ან რომელი გაქვს დედა ენა?“

მან შემომხედა, ანურა მხრები  
და მიპასუხა მედიდურობით:  
„შენ მაგას მართლა გულწრფელად მკითხავ,  
თუ ისე, მარტო მხოლოდ ხუმრობით?“

ახლა რომ მისდევს მაგისტანანებს,  
ის რალა შვილი და რა კაცია?  
ვერ შეუტყვია მას, რომ მსოფლიოდ  
მხოლოდ მუშაა და არ ნაცია?!

თქვენმა არჩეულ დეპუტატებმაც,  
როდესაც შერგეს „დუმაში“ თავი,  
სააშკაროდ გამოიტანეს  
დღეს არსებული საქვეყნო ავი.

როგორც შეფერისთ მონინავეებს,  
გულში რაც ედვათ, ველარ დაფარეს  
და თვისი რწმენა, მსოფლიო აზრი,  
ამხანაგებსაც გაუზიარეს.

---

უთხრეს ერთ ხალხის წარმომადგენელს:  
„ავტონომიას რად თხოულობო?  
მაგ უნაყოფო ძველ სისულელეს, –  
რომ კიდევ მოგცენ, – ვისთვის სცდილობო?“

სუყოველ ხალხზე გადაჭარბებულს  
ჩვენ, ქართველებსაც, გვიგდეთ ყურიო!  
ხალხს რას მოუტანს ავტონომია,  
როდესაც შია, უნდა პურიო.“

აი, რას სჯიან და ამტკიცებენ  
განათლებული დღეს ქართველები  
და არა ისე, როგორც ფიქრობდენ  
მურვან ყრუელი ჩვენი ძველები!

როგორ ვერ მიხვდით, რო მუშებს გარდა  
ყველა საკითხი ცრუ და ფუჭია?  
და როს გულია? გრძნობა? გონება?  
სალოლიაჲო მხოლოდ კუჭია.

მამ რალათ მინდა ქართული ენა,  
რომ ველარც მარჩენს, ვერც გამადიდებს?  
და ვიგლოვ იმას, ვინც უგნურობით  
ველარ ივინყებს, ...მაინც ხელს ჰკიდებს!“

რალაცა უგნურ მედიდურობით,  
აი, რა მითხრა იმ გარენარმა,  
და მიმატოვა... ის კი სიამით,  
ჩრდილოეთისკენ წაიღო ქარმა.

დიდხანს უცქერდი მე გზადაბნეულს  
და გუნებაში ასე ვამბობდი:  
„ნუთუ აღარა გამეგება რა,  
ისე დავბერდი, ისე დავობლდი?“



---

დრო წინ წავიდა, მე კი ჩამოვრჩი,  
ან ჩემი შრომა აღარ ღირს ფარად,  
რადგან ჩვენ წარსულს ვერ დავივინწყებ  
და იგივე ვარ მარად და მარად.

ეჰ, მადლობა ღმერთს!.. დროა წავიდე,  
მივადგე ჩვენს ძველ წმიდა სამარეს.  
შეუერთდები იქ ჩვენ წინაპრებს  
და ჩვენს ანმყოზე ცრემლებს ვლვრი მწარეს.“

---

\* \* \*

გინდათ, რომ გითხრათ რამე!  
განა მაქვს მაგის ნება,  
მაშინ როცა სიმართლე  
გვიქრება, ვით ოცნება?

ბევრი მითქვამს, ბევრს ვამბობ,  
ბევრსაც ვეპირებოდი:  
ქვეყნის ერთგულს შევსტრფოდი,  
ორგულს ვემტერებოდი.

შემთხვევისთვის მზად ვიყავ  
სამსხვერპლოდ, საზვარაკოდ,  
მაგრამ ცბიერ ქურუმთა  
გავხდი მით საარაკოდ.

„ქვეყანას განა არგებს  
კაცი – თავის მტერიო?  
მაგის სიტყვა და საქმე  
არ არს დასაჯერიო!“

.....

---

## გოდება

გულო, გლახ-გულო, დაგულო!  
რად ერთ ნერტილზე ჩერდები?  
როგორც სხეული, შენც ისე  
არ სჭკნები?.. არა ჰბერდები?..

რატომ არ ჰკარგავ შენც ხორცთან  
გრძნობის ძალსა და ღონესა?  
და რად აცდუნებ მოხუცსა,  
ჭაბუკად თავის მგონესა?

წყეულმც იყოს ან ჩემიც  
უდროვო გრძნობა-გონება!..  
ადრე სხვის დამმონებელსა  
დღეს სხვისი მინდა მონება!

მაგრამ მონათაც, გულგრილსა,  
აღარ ვუნდებვარ!.. აღარა!  
ზიზღს გვრის!.. აშინებს ეს ჩემი  
თვალში საჩხირო ჭაღარა!..

უთანაგრძნობოდ ვიდაგვი,  
ცეცხლის ოხვრითა მკვნესარი!  
ვაი, რა ცეცხლში ჩავარდი!..  
რაღა დროს ჩემი ეს არი?!..

გამწირა!.. იმან გამწირა,  
ვისაც შევსწირე ყოველი!  
სიცოცხლე მიჩანს სიკვდილად,  
სიკვდილს სიცოცხლედ მოველი!

---

ქვეყნის მკურნალნიც შემოკრბენ,  
ველარ მარგებენ რამესა:  
დღეს სისხლის ცრემლით ვაღამებ,  
ოხვრით ვათენებ ღამესა!

ის, ჩემი ტანჯვით დამტკბარი,  
ეძლევა ნეტარებასა!..  
დასცინის გრძნობა-გოგნებას  
ჩემსას და აღსარებასა!..

---

## გოჭები

სალორეში შევიხედე,  
ლორს გოჭები დაეყარა.  
გამოვქანდი სასახლისკენ,  
ავირბინე კიბე ჩქარა.

მეტისმეტი სიხარულით  
ამომჯდარი მქონდა გული,  
გადავეცი უფროსებსაც  
გულითადი სიხარული.

მამაჩემმა გაიცინა:  
„მადლი მახარობელსაო!“  
ერთი გოჭი სასაკუთროდ  
ჩვენ პატარა მთხრობელსაო!“

გამეხარდა, რომ მეც გავხდი  
ხელად გოჭის მეპატრონე  
და ისევე იმ სალორეს  
მივადექი თავმომწონე.

მაგრამ შესვლა ვერ გავბედე,  
თუმც კარი კი იყო ღია,  
და მიტომ ვერ მოვახერხე,  
ჩემი ხვედრი ამერჩია.

დედამ მითხრა: „რა გაჩქარებს?  
რომ ადგება ღორი ზეზე,  
ორ-სამ დღეში გამოიყვანს  
გოჭუნიებს გარეთ, მზეზე.“

---

„მაშინ მიდი, აირჩიე,  
რომელიც კი მოგეწონოს!..  
დაიჯერე დედის სიტყვა  
და ხუმრობა არ გეგონოს!“

ბავშვი ყველას სისწრაფით გრძნობს,  
მაგრამ დიდხანს არ გაჰყვება:  
დღეს ერთია, ხვალ – მეორე...  
ნახავს, ნახულს გადაჰყვება.

და მეც ასე მომივიდა.  
რამდენიმე დღე გავიდა,  
დღეს ეს ვნახე, ხვალ ის ვნახე,  
და გოჭები დამავიწყდა.

ერთხელ, როცა გამოვიდა  
ლორი და თან გოჭებიცა,  
დაიძახა ლორმა „ვეხა“  
და იქავე წამოიქცა.

მიეძაბრენ გოჭუნები,  
საქმე მიდგა მისწრებაზე.  
მაგრამ ერთი, სხვებზე სუსტი,  
კი გააგდო ყველამ განზე.

სხვები მწყობრად, ტკბილად სწოვდენ,  
თვალს ხუჭავდენ ღვიტინითა  
და კმაყოფას აცხადებდენ  
მალ-მალ კუდის ქიციანითა.

შემებრალა ნაბოლარა,  
ავიყვანე ის ჩემ წილად,  
უვლიდი, თავს ვეველებოდი  
მონინებით და თან ფრთხილად.

---

რძეს ვაძლევდი მუდამ უხვად,  
ვაძინებდი სულ ბუმბულში,  
ხელში მყავდა აყვანილი  
და ვიკრავდი გრძნობით გულში.

მაგრამ თურმე ის ალერსი  
არ მოუხდა ჩემ არჩეულს –  
სწუხდა დედის მოშორებას,  
ძლივს ლაფავდა საბრალო სულს.

მაშინ მითხრა დედამ: „შვილო!  
ისევ დედას მიგვარეო,  
შენის ზრუნვით და ალერსით  
ვერდამტკბარი, მწუხარეო“.

წავიყვანე, – სიხარულით  
მიეგებენ დედა-შვილი.  
გოჭი ძუძუს მიეყურჭა,  
სჩანდა, იყო უფრო ტკბილი.

მაშინ მივხვდი, რომ ყოველგვარს  
აქვს თავისი შესაფერი,  
და გარეშე, გინდ სამოყვროც,  
არ ვარგია ყოლიფერი!..

---

## გულის გამაგრება

ჩავიდა მზე მხოლოდ ჩემთვის,  
რომ კვლავ სხვისთვის ამობრწყინდეს, –  
და ველარას ვერ გააწყობ,  
გულო, რაგინდ ბევრიც გწყინდეს!

შეურიგდე უნდა ღამეს!..  
ვერას გარგებს ვერც სიკვდილი!..  
უნდა მთვარემ დაიჭიროს  
მზის ბინა და მის ადგილი.

მართალია, მთვარის შუქი,  
როგორც მზისა, ისე ვერ სჭრის,  
მაგრამ ღამით გამოაჩენს,  
ვისაც სხივებს კი მიაყრის!

და, მამ, შენცა, ჯერ ახალო,  
მაგრამ ნაზო, ტურფავ მთვარე,  
მომაფინე სხივები და  
ძველი ფიქრი გადამყარე!



---

## დაბრუნებულს

საყვარლისგან დაწუნება,  
გულს უფრო გვწყვეტს ღვთის რისხვაზე!..  
აკი გითხარ, ქალბატონო,  
ნუ გამცვლი-თქო ვინმე სხვაზე?!

არ მისმინე და გამწირე,  
სულს დაეცი შხამად წვეთი,  
ტრფიალებით სავსე გულში  
ჩამისახე ჯოჯოხეთი.

დიდხანს ოხვრით და ცრემლის ღვრით  
ვერ ვიქრობდი მე იმ ალსა;  
მოთქმით ვგმობდი და ვსწყევლიდი –  
ჩემს გაჩენას, გზას და კვალსა.

ახლა, როცა ცოცხალ-მკვდრულად  
დრომ განკურნა ჩემი გული,  
მოსულხარ და ხელმეორედ,  
ამიშალო გინდა წყლული?

არა, ტურფავ, არა მჯერა,  
რომ აიღო სხვებზედ ხელი!..  
ვერ მოიშლის გულუხვობას  
ერთხელ ტრფობის გამომცდელი!

---

## დ. ბაგრატიონის ხმალზე წაწერილი

სახარება გვირგვინად და  
ტახტად „ვეფხისტყაოსანი“,  
საზრუნველად ქართველობა  
და მეგობრად ბრძენ-მგოსანი.

ყველა ერთად შეადგენდა  
ბაგრატიონთ ძლიერებას!..  
და ღირსეულ იმათ ნაშთსა  
დღესაც კიდევ ვუძღვნი ქებას!

---

\* \* \*

დედა კარგია, ედემს ნარგია,  
მაგრამ იმდენად ველარ გვარგია.  
რომ გათენდება, შინ აღარ დგება,  
სად დადის ხოლმე, ვერ გაგვიგია.  
ვაი! ვაი! და სხვანი.

---

## ენა

გესლ-ნალვლიანი ენა  
დადის და დატანტალობს.  
ზოგან თილისმოვით სჭრის  
და ზოგან კიდევც ძალობს.

პატიოსნების მტერი  
და სინმინდის მბლაღავი,  
დადის და ვერ ისვენებს  
მარად დაუღალავი.

ვინც გონებით ჩლუნგია  
და ან სულით მდაბალი,  
იმას ემეგობრება,  
მისკენ აქვს გზა და კვალი.

და სხვებს კი გულს უწყლულებს...  
ემმაკისგან აქვს ძალი.  
და მხოლოდ ფურთხი არის  
საამისო წამალი.

---

## ეპიტაფია ავალიშვილს

გიგონებთ ამხანაგები,  
მეგობარს დაუფინყარსა,  
**ა! ვალი შვილის** სოფლისა!..  
ყველას გვადგია ეს კარსა.

ყველა მოვჰკვდებით, მაგრამ ის,  
ვინც ქვეყნად შენებრ იცხოვრებს,  
არ ჩაითვლება მკვდარი მკვდრად:  
თავს არ ავინყებს მეგობრებს!

იყავ შენდობით ამ ქვეყნად,  
ქართველო, უდროვოდ მკვდარო!  
ვინც კი გიცნობდა, იმისთვის  
ამ ქვეყნად დაუფინყარო!

---

## ეპიტაფია

მადლით ციურით  
ამა ქვეყნად  
იყო შემკული!  
კეთილმძრახველი,  
ობოლთ მზრდელი  
მნათობი გული!  
ერთგული ქვეყნის,  
ლმობიერი,  
იმედმომფენი.  
ქრისტეს მმოსავი,  
ოცნება რამ,  
ვარსკვლავებრ მშვენნი!  
იყო და აწ კი  
სადლა არის?  
გაქრა, ვით ალი.  
დაგვაგდო ობლად,  
უნუგეშოდ,  
მისტვის მტირალი.

---

## ეპიტაფია მეგობრებისაგან

შენი ცხოვრების ფიალა  
სოფელმა ადრე დასცალა!..  
შენმა უდროვო სიკვდილმა  
შეგვასვა ნალველ-სამსალა!

სამშობლო იყო მეორე  
შენთვის, ძმობილო, ეს მხარე  
და ჩვენი გულიც მეორე  
იქნება შენთვის სამარე.

---

## ეპიტაფია

სიყვარულითა და სათნოებით  
ამ ქვეყანაში ვიყავი სრული,  
როცა მივმართე წინაპართ გუნდსა  
და სიტკბოებით ამომხდა სული.

ის, რაც არ მქონდა, როგორც სამკვიდრო,  
ონავრობითა მე შენაძენი,  
აქვე დავსტოვე, დავაპატრონე  
მემკვიდრეები: ასულნი, ძენი!

იმხიარულონ, სანამ ცოცხლობენ,  
რადგანც ცხოვრება წარმავალია.  
ერიდონ ყოველ საუკუდმართოს,  
ჯერ ბედი მათთვის მომავალია!

ილოცე ჩემთვის, ლოდის მჭვრეტელო,  
ბევრის არა ვარ შენგან მთხოველი.  
იკმარებს, მხოლოდ ღმერთი ახსენო,  
ვისგანაც შვებას მე იქ მოველი.



---

## ეპიტაფია

სტუმარი ვიყავ სოფლისა,  
შობიდან ოთხისა წლისა,  
ჭილაძეთ შვილათ მიმიღეს,  
გახდენ პატრონად ობლისა.

მაგრამ მოთქმით და გოდებით  
თვით დარჩენ ცრემლთა მოდებით  
და მე კი ანგელოსთ გუნდსა  
მივმართე ღვთისა წოდებით.

.....  
.....

მე ალექსანდრე ჭილაძე,  
ამაოდ . . . მდებარე.

---

## ეპიტაფია

შური, სიხარბე და ბოროტება  
ჩემგან შორს იყო, მიყვარდა ლხენა,  
ქვეყნად ვიხდიდი მე ქვეყნიურ ვალს  
და იმავე დროს მახსოვდა ზენა!..

მკითხველო, ეს დღე არც შენ აგცდება!  
ვინ შერჩენია მინას ნამიერს?  
მე ნუ მომაკლებ, მკვდარსა შენდობას! –  
და შენ თავს ლხინს და „მრავალჟამიერს“.

---

## ეპიტაფია ჭ...სი

სწავლით და ნიჭიერებით  
შემკული გრძნობა-გონება,  
და სიჭაბუკე მოსხივე,  
დიადი გვირგვინ-ქონება,—

ყველა ხელთ მეპყრა, სამსხვერპლოდ  
თავს ვუმზადებდი სამშობლოს,  
და, სავსე სასოებითა,  
არ მოველოდი ამ ბოლოს.

მკითხველო, ანდერძს გიტოვებ,  
ის ჩემი ნატვრა ერთია:  
„ნუ დაივინყებ სამშობლოს!  
ამ ქვეყნად ისიც ღმერთია!“

---

## ექსპრონტი, რომ ჩამაცივდენ, თქვი რამეო

რას ჩამაცივდით? რა გინდათ ჩემგან?  
რა უნდა გითხრათ სასიამოვნო?  
განა ვერ მატყობთ, ცოცხალ-მკვდარი ვარ,  
გულით უნდობი, ჭკუით ურწმუნო?!

ველარ გრძნობს გული, შხამგადასხმული,  
რომ ენას ტკბილი რამ ათქმევინოს!..  
დამებნა კვალი, ველარ სჭვრეტს თვალი  
თამარს, ქეთევანს და წმინდა ნინოს.

ქართველთა კარზე, გულის ფიცარზე  
რჯულ-ეროვნება რომ უწერიათ,  
მათი ადგილი, სამსხვერპლო წვლილი,  
დღეს სკვითის ქალებს დაუჭერიათ.

თამარ სულელობს, ქეთევან ხელობს,  
ნინო რჯულს ჰგმობს და ეროვნებასა  
და მით დაცარულს ჩვენს სამშობლოს კრულს  
რალას შესძენენ, თუ არ ვნებასა?

გახუნებულსა სულსა და გულსა  
ან ვინლა მოსთხოვს ქართველ ქალობას?  
და, მაშ, ხომ მეცა შემრისხავს ზეცა,  
მათთვის ვხარჯავდე ჩემსა გალობას?

არა! მათ სხვებმა, გონებით ბრმებმა,  
უმღერონ ერთად „მზეშინ-ნანინა“,  
და მე ძველ მკვდარებს, გადასულ დედებს,  
მსურს ვუგალობო: „წმინდათა შინა!“

და, მაშ, რალას მთხოვთ? რას ელით ჩემგან?  
რა არის ჩვენში, აბა, საერთო?  
დავჰკარგე თქვენში მე იდეალი,  
და ჭირზე მეტი ჭირი დამერთო!

---

## ექსპრონტი სცენიდან

მახსოვს, პირველად მე რომ წამოვდექე,  
აქ თქვენ წინაშე მოკანანახედ,  
სიცოცხლით სავსე, სიმართლით სრული  
და თავმოყრილი ერთად რომ გნახეთ.

ჭაბუკმა გულმა, აღელვებულმა,  
სულ სხვანაირად დამიწყო ძგერა  
და უხილავმა, უცნობმა ძალმა  
ამაფრთოვანა და ამაჟღერა.

მაშინ ცხოვრების ავიც და კარგიც  
იავარდისფრად მეხატებოდა,  
და ნატყუებულს ამ ოცნებით გულს,  
ძალა მხიბლავი მემატებოდა.

ვამბობდი გულში, რომ სიყვარული  
ძალთაძალია შემოქმედების,  
და ვისაც უყვარს, ნათელს იფენს გარს,  
ნიშნად შვებისა და უკვდავების.

სიზმარებ ჩქარა დრომ გაიარა!  
გაზაფხულის წილ დადგა ზამთარი  
და ჩვეულებრივ ანლა ყოველმხრივ  
ალარ ანათებს ჩემი ლამპარი.

ვდგევარ თქვენს წინა, მესმის ნანინა,  
მე საუკუნო განსვენებისა,  
და, გეთხოვებით რა სასოებით,  
მივალ!.. მშვიდობით!.. ღამე ნებისა!..

---

## ვაი!

საყვარლის ჩამოშორება,  
ვაი, რა ძნელი ყოფილა!..  
ამსოფლად ველარაფერმა  
მე ველარ მაკმაყოფილა,

თევზი ვერ გაძლებს უწყლოთა,  
უჰაეროთაც ცხოველი,  
მგოსანი უსიყვარულოდ, –  
და რაღას უცდი? რას ველი?

მომიახლოვდი, სიკვდილო,  
ის მიჯობს ცოცხალ-მკვდრობასა!  
რაღაა მაშინ სიცოცხლე,  
გრძნობა რომ იწყებს ქრობასა?

---

## ვინ არის?

გარეთ ჭრელი,  
შიგნით მტრელი,  
სიტყვით ქველი,  
საქმით გველი,  
ეშხით მწველი,  
მკრეჭელ-მწველი,  
არ მთესველი,  
მაგრამ მმკელი.  
ეშხით თვალებს  
აბრიალებს,  
ტრფობით მთვრალებს  
არ იბრალებს.  
გაწვალებს,  
დაავალებს  
და მერე სხვას  
ანაცვალებს!

---

## ვუძღვნი ბეჟანს

ადრე რომ მე გავუბოდი,  
დღეს ისინი გამირბიან  
და ამბობენ დაცინებით:  
„რა დროსია, ასე გვიან?“

ცხადია, რომ ხორცთან ერთად,  
არ ბერდება თურმე გული  
და ხანდახან შიგ ჩუჩუნებს,  
ძველებურად სიყვარული.

მაგრამ ქალი აღარ ეძებს,  
ძველად განთქმულს, ყველგან ქებულს  
რადგანც მისი სიყვარული,  
ითხოვს მხოლოდ გაბრიქებულს.

ნეტავი მას, ვისაც გვერდით,  
უნწევს მისი გამოცანა  
და იგონებს სიყმანვილეს  
ჭაპან—წყვეტიტ ხანდახანა!

მე, ყოლიფერს მოკლებულსა,  
სიყმანვილე მავინწყდება  
და, რომ ვხედავ ზოგიერთებს,  
მეხარბება... გული მწყდება!



---

## ზარზე ნანერილი

სმა ციური, ენა ეკკლესიისა,  
ზარი ესე, სამკაული რამ მცირე,  
ნიშნად ძმობის იმერთა და ამერთა,  
ვითა წვლილი, უფალო, შეინირე!

შემწირველი თ. კ. მუხრან-ბატონი.

---

\* \* \*

ზეციურო სტუმარო,  
ქვეყნის გამოცანაო,  
ძილო! მოხუც მამასაც  
მოუვლინე ნანაო!

ქვეყნის ტანჯვა, ფხიზლობა,  
ველარ აიტანაო!  
სიზმრით მაინც დაატკბე!  
ნანა-ნანა-ნანაო!

სხვა ვერ არგებს მკურნალი,  
თუ არ შენისთანაო!  
ანგელოსის ფარი ხარ,  
ნანა-ნანა-ნანაო!

ძილო! შენით სულს იდგამს  
ზეცა და ქვეყანაო!  
მოუსვენე მამასაც,  
ნანა-ნანა-ნანაო!

---

\* \* \*

თვალად, ტანად, გვარტომობით  
ჩინებულო, მშვენიერო!..  
რალა დამრჩა მე, სუსტ მგოსანს,  
რომ შეგამკო და გიმღერო?

მაგრამ ყველა ეს ღირსება,  
რაც რომ ერთად ჩამოვსთვალე,  
ვით სიზმარი წამიერი,  
წარმავალი არის მალე,

თუ სარჩულად არ ექნება  
მისის ქვეყნის სიყვარული.  
და იმიტომ ვისურვებ, რომ  
იმათითაც იყო სრული!

---

## თინას

თუ ხალხში არ შევიდა  
სწავლა და განათლება,  
მისი ბედნიერება  
სხვაფრივ არ შეიძლება.

და შენც იმას, ქალწულო,  
მიუპყარი თვალ-ყური,  
და მითი გაუწიე  
სამშობლოს სამსახური.

---

## თ-დ გ. შარვაშიძეს

შენი ტკბილი საუბარი  
მიყვარს, როგორც „ქებათ-ქება“!  
შენი ნახვა ნერვებაშლილს,  
სამკურნალოდ შეერგება!

ეს შენც იცი!.. მაგრამ, ძმაო,  
ცოტა მოიაფხაზურებ:  
ახალ-ახალს რომ მონახავ,  
ძველებს აღარც კი უყურებ.

ეს არ არის მოსაწონი,  
გეფიცები ზენაარსსა!  
ნათქვამია: „ნუ დააგდებ  
ძველ გზასა და მეგობარსა!“

თათარყანი ჩამოსულა,  
მაგრამ ჩემთვის სად მოიცლის.  
დღე სძინავს და ღამლამობით  
თამაშობს და ყანწებსა სცლის.

ჩემთვის სადღა დაურჩება  
ან სალამო და ან დილა,  
ესეც კია, მეგობრობა  
სვანის არსად გაგონილა!

---

## იდუმალი ქველის მომქმედი

იდუმალ ქველის მომქმედი  
მამაცი, ზრდილი ქართველი,  
ჭირგადახდილი ამქვეყნად,  
ყველასთვის კარგის მსურველი.

.....  
.....  
.....  
.....

---

\* \* \*

ისევ მოვიდა ახალი წელი,  
მაგრამ კარგ რამეს მაინც არ ველი.

რაც ძველი იყო, ისევ ახალი...  
ორივეს ერთად დაუდგეს თვალი!  
ვაი! ვაი და სხვანი...

ჩვენი მწერლები, როგორც რომ მგლები,  
ერთი—მეორეს რომ დარევიან,

წმინდას ამღვრვევენ და უწმინდურს კი  
დიდის სიამით სწმენდენ და ჰგვიან.  
ვაი! ვაი! და სხვანი...

გლებები თავადს, თავადი გლებებს,  
ერთი—მეორეს გადაამტერეს!..

ჰკლავენ ერთმანეთს, აღარ ჰზოგავენ,  
ჩვენი ცხოვრება მათ აამტვერეს!  
ვაი! ვაი! და სხვანი...

გარეშე მტრებიც აღარ გვზოგავენ,  
გადაგვიხლართეს, ქართველებს გზები!

ერთად მოგვადგენ, გაგვანადგურონ—  
მარცხნივ სომხები... მარჯვნივ რუსები!  
ვაი! ვაი! და სხვანი...

---

## კმარა

კმარა! კმარა!  
გავჩუმდები, თვარა  
ბევრი ვნახე ჩემისთანა,  
რომ შორს გაემგზავრა.

რომ რამ წამცდეს მეტი,  
აქ მომხვდება კეტი,  
და სუყველა ასე იტყვის:  
„გიჟი იყო! ცეტი!“

არა! არა!  
გავშორდები ჩქარა,  
თვარა ზოგიერთის ენა  
სტრიალებს, ვით ჯარა!



---

## ლამაზს

იას სინაზე მოჰპარე,  
ვარდს – ფეროვნება, ლამაზო!  
და თან ეკალი მოჰგლიჯე,  
რომ ისრად გულზედ დამასო!

ანათებ შუქურ-ვარსკვლავად,  
ცისკრის ხარ, გენაცვალეზი,  
მხიბლავ ღიმილით შუქმფენი,  
რომ დამიბნელო თვალეზი!

ბულბულის ენით ჭიკჭიკობ  
საამოდ გასაგონადა;  
მე არ გინდებვარ მსმენელად  
და არც შორეულ მონადა!..

მაგრამ, ლამაზო, ერთი დრო  
არ შეგიბრალებს შენც, არა!  
და სხვისგან იმას იმნარებ,  
რაც მე დღეს შენგან მემნარა!

---

## მასვე №-ს

გული, ქვაგული და სალი  
ამენთო, როგორც აბედი!..  
ნეტავ ვინ არის დამკვესი?  
ვინა და ელისაბედი!..

რად მინდა მეტი დიდება?  
რა საჭიროა სხვა ბედი,  
თუ გულში მეჯდეს მე ღმერთად,  
ვინ? ვინ და ელისაბედი!..

და რაღად მინდა სიცოცხლე?  
ან რაღას მარგებს იმედი,  
თუ გულზე აღარ მენეროს  
სახელი: „ელისაბედი“!

---

\* \* \*

მასპინძელმა მოგვინყინა,  
თავისს ქერქში ველარ არის,  
ჩვეულებრივ ძვირფას სტუმრებს  
ვერ შეტრფის და ვერ შეხარის.  
ან კი რა ქნას? შეენდობა:  
სიყვარულში გაბმულია!  
ჩვენ გვიყურებს და თვალში კი  
ებლანდება ბახულია.

---

## მაცდურს

ახლა მეც მივხვდი, ყოფილხარ  
დემონიური რამ ძალა!  
თაფლს მიტომ ასმევ შენს მსხვერპლს, რომ  
წაარწყეინო სამსალა!

ჭკუამახვილი, ცივგული,  
როგორც ყოველი გრძნეული,  
კმაყოფილი ხარ, რომ იწვის  
შენგან მოხიბლულ-სნეული!

მაგრამ დრო მოვა, მაცდურო,  
რომ დაგეკარგვის შენც ძალა  
და სულ შენ დაგიბრუნდება,  
რაც სხვებს შეასვი სამსალა!

მეც მანგრე ვიყავ შენსავით,  
სანამ არ შევხვდი, მსგავსი მსგავსს!  
მაგრამ შენ ღმერთმა გამოროს  
ის ცეცხლი, ახლა რომ მდაგავს!

---

## მდიდარს

შემომქმედს არ მოუცია  
შენთვის ჭკუა და არც გრძნობა,  
რომ შეგეძლოს დახვანჯული  
ასახსნელის გამოცნობა.

თვალ-ტანადად არ ვარგისხარ,  
ჩამოგევახარ მაიმუნსა  
და კუზიან ტანზე იყრი  
წლიდან-წლობით ქეცს და მუნსა.

მაგრამ ეს სულ არაფერი...  
ნუ გაიტეხ ტყვილა გულსა!  
ყოლიფერი შეუძლია  
გააქარწყლოს მაგ შენ ფულსა!

რომელია ჩვენში ქალი,  
რომ მაგისტვის დაგინუნებს?  
ის ხომ მაგ შენს საზიზღარ კუზს  
არ უკბენს და არ უსუნებს?

და ხალხსაც ხომ სხვის თვალსა და  
ყურშიდა აქვს მხოლოდ ჭკუა,  
ზარბაზანი ეგონება,  
მდიდარმა თუ გაა... მოატყუა.

დღეს აღარ ღირს აღარაფრად  
ჭკუა, გრძნობა, სიყვარული!..  
ერთი არის სათაყვანო:  
მხოლოდ ფული... მარტო ფული!..

---

## მელიას ეშმაკობა

ჩვენს ქათმებს, შეჩვენებული,  
შემოეჩვია მელია.  
ალბათ, იმ მსუნაგს ტყეებში  
საკვები შემოეღია.

თუ სადმე ქათამს ნახავდა  
ლამე დარჩენილს გარეთა,  
პირში იგდებდა, გზადაგზა,  
აჭრიახებდა მწარედა.

და თუ მაღალ ხის ტოტებზე  
თვალს მოატანდა შემჯდარსა,  
თვალით ღალავდა კუდური  
და სუნით სცემდა თავზარსა.

ძირს გაუთხრიდა საქათმოს,  
როგორც რომ კარგი თხუნელა,  
ხვრელს აკეთებდა სიფრთხილით,  
წინდახედულად, ნელ-ნელა.

ერთხელ ქათმებმა ჭრიახით  
დაიწყეს ფრთქიალ-ფრთქიალი,  
შიგ საქათმოში შემძვრალსა,  
მტერს რომ მოავლეს მათ თვალი.

ადგენ ქალები, იფიქრეს:  
საქათმოშია მელაო!  
წავიდეთ, ველარ წაგვივა,  
გარს შემოვერტყათ ყველაო!

---

მივიდენ, ნახეს საქათმო,  
კარები დაკეტილია,  
მაგრამ მის ძირში, იქავე,  
სორო კი გაყვანილია.

შევიდენ, ნახეს გრძელკუდა,  
კუთხეში მიკუნჭულიყო!..  
შეძრომით კი შემძვრალიყო  
და ველარ გამოსულიყო.

დაურთეს თავში ხელკეტი;  
ერთმა სთქვა: კმარა, ნინოო!  
მკვდარია, მეტი არ უნდა: –  
ტყავი არ წაახდინოო!

გამოიტანეს ეზოში,  
მინაზე დადვეს, ვით მკვდარი.  
შანი მოუგეს საბრალოს  
და შექნეს სიცილ-ხარხარი!..

მაგრამ უეცრად წამოხტა,  
გაიქცა გამწარებული,  
და საღტად დარჩენ სუყველა,  
პირჩალაგამოვლებული.

---

## მერცხლები

(სხვას გამოეგზავნა წერილი და ზედ სამი მერცხალი იყო)

გულს ნუ გავიტყვებთ! ნყალობით  
ჩვენც გადმოგვხედავს ღვთის თვალი:  
სამების ძალზე შორიდან  
მოგვივა სამი მერცხალი.

ერთი ქართლს, ერთი კახეთში,  
ერთიც გადავა იმერეთს  
და დაგვძახებენ ჭიკჭიკით:  
„ხელი მიეციტ ერთმანეთს!“

„ნუ დაივიწყებთ, ძმები ხართ!  
შეერთდით! შეკავშირდითო!  
კმარა, რაც ცალ-ცალკე ტანჯვით,  
ობლობით ცრემლებს ღვრიდითო!..“

„დრო არის, შრომას შეუდგეთ;  
სტაცეთ იარაღს ხელიო,  
კარს გაზაფხული მოგადგათ,  
აჰყვავდა მთა და ველიო!“



---

## მონადირე

კვეს-აბედი დაგვისველდა,  
ვერ დავანთეთ ცეცხლი ტყეში.  
რაც იქ შიში გამოვსცადე,  
არ მინახავს ის ჩემ დღეში.

დაბლა მინა აღარ სჩანდა,  
მალლა ცაზე – ვარსკვლავები;  
სად ვიყავით, არ ვიცოდით,  
დაგვიდუმდა მხარ-კლავები.

მე, დაქანცულს და დაღალულს,  
ძილი აღარ მომეკარა.  
ჩემმა ამხანაგებმა კი  
ამოუშვეს ხვრინი ჩქარა.

ვიხედები, ვერას ვხედავ!  
აქეთ-იქით ვიყურები,  
მხოლოდ სმენად გადვიქეცი,  
დაცქვეტილი მაქვს ყურები.

ერთიც ვნახოთ, მოდის ჩემსკენ  
რაღაც ორი ნაკვერცხალი.  
მაშინ კი ვსთქვი: გასწყრა ღმერთი,  
ან ქაჯია და ან ალი!

რა ვქნა ახლა? თუ რომ სხვებიც  
გავაღვიძე, არ ივარგებს:  
მხოლოდ სიმხდლეს შემწამებენ...  
რა თქმა უნდა, არვინ მაქვს!..

---

მოვიმარჯვე ჩემი თოფი,  
დავიხუჭე ცალი თვალი.  
გავარდა და მეც ქაქანით  
დავუწყევლე გზა და კვალი.

ერთი მწარედ დაიჩხავლა,  
გადიკარგა ის წყეული.  
წამოცვინდენ სხვებიც ზეზე,  
სულ გონებადაბნეული.

მაგრამ ჩემგან რომ გაიგეს,  
იყო რაღაც უჩინარი,  
ლოცვითა და პირჯვრის წერით  
გადიყარეს შიმის ზარი.

მეორე დღეს, რომ გათენდა,  
მზემ გაფანტა ღამე ბნელი.  
მივედით და რა გამოდგა?  
იქვე ახლოს ეგდო მგელი.

თურმე ბნელში ის მსუნაგი,  
ანათებდა თვალებითა.  
და ტყვია რომ მოხვედროდა,  
მომკვდარიყო წვალეებითა.

---

## მოსწავლე

ანბობენ: გულისყური მაქვს,  
ყველას ვისწავლი მაღეო;  
ჯერ სიყვარულის არ ვიცი,  
მასწავლე, გენაცვალო!

ნაძლევი დავსდვათ, კოცნაში  
გავჯიბრდეთ, გენაცვალო;  
მაგრამ მე ჯერ თვლაც არ ვიცი,  
ისევ შენ დამითვალეო.

დედ—მამას გამოვეპარე,  
შენც გირჩევ დაიმალო!  
ორივე ტყეში შევიდეთ,  
მარტოკა, გენაცვალო!

იქ საიდუმლოდ მასწავლი  
...დამავალო  
ხელს ველარავინ შეგვიშლის,  
იქა სჯობს, გენაცვალო.

რეგვენსა, უმეცრების გზა  
მიჩვენე, გამიკვალო  
და მერე მეც გადაგიხდი,  
სანაცვლოდ, გენაცვალო.

---

## მოღვაწის სიტყვა კერძო კრებაზე

არც მიხნავს, არც მითესია,  
ნამგალი დავატრიალე;  
ოქრო და ვერცხლი მოვიმკე,  
ჯიბეში ჩავიჩხრიალე.

ქვეყანას თვალი ავუბი,  
ოქრო რომ ავაპრიალე,  
ოცი ათასი წითელი  
შავ დროშად ავაფრიალე.

ქალები ავაჭიკჭიკე,  
კაცები ავალრიალე,  
მოყვრებს თვალები ვუქნიე  
და მტრებს კი დავუბრიალე.

ხრიკები და ქსელის გაბმა  
შევსწავლე... კარგად ვიცი!  
მე ვარ რაში, შედარებით  
კალისტრატე ჩემთან – კვიცი.

მოვიბირე უფროსები,  
თვით პრინციც კი, თუმც არ პრინცი,  
გაზეთებიც შევიყიდე,  
ალარ უნდა ამას ფიცი!

იმედი მაქვს, რომ ჩავფარცხო  
ამ შავი ქვის მსესხი კრება.  
ნაშოვარში წილი გიძევს...  
გმართებთ ჩემი დახმარება! –

თუ მაჯობეს, მაშინც თქვენი  
ბევრი ცუდი გამოტყვრება!  
ამას თვითაც უნდა გრძნობდეთ,  
რალად გინდათ დამოძღვრება?! –

---

მე პირადად ვერას მავნებს  
ევროპა და ამერიკა,  
თვარა, აბა, რას დამაკლებს,  
ვილაც ერთი ემერიკა?!

მანანნალა, გატლეკილი,  
ტურა-მელას კუდის რიკა,  
მაშინ როცა ჩემს წინაშე  
ნიკოლაძეც მოიდრიკა.

მე დღეს მხოლოდ თქვენზე ვფიქრობ,  
გეჭირვებათ ხსნა და შველა  
და მიტომაც ყურმოჭრილად  
დაერაზმით უნდა ყველა.

სიტყვას ნურვის ათქმევინებთ,  
უჩხიკინეთ ნელა-ნელა!  
ხან ხანჯლები ატრიალეთ,  
ხან ატეხეთ ერთად ხველა.

ნუ შეკრთებით, რაც უნდა ქმნათ,  
არავინ გჰყავთ დამძრახველი;  
გაზეთებიც არ გაგვწირვენ:  
„ხელმა უნდა ჰბანოს ხელი!“

ყრუებით და თვალდამდგრებით,  
ავსილია ეს სოფელი!..  
გვიმონებენ: „მგელმა კი არ,  
თხამ შესჭამა თვითონ მგელი!“

რა გამოვა, ზოგიერთმა  
რომ კიდეც სთქვას ჩვენზე ძვირი,  
მაშინ, როცა მშიერ კუჭით  
აკრული აქვს ყველას პირი?

---

სიმართლისა და სიმტყუენის,  
ვინლა სჩხრიკოს წმინდა ძირი?  
ვინც იმარჯვებს, ქვეყნის თვალში  
მართალია!.. და გმირთგმირი!

დღეს კუჭი გრძნობს და ჭკუაა  
ტვინის ნაცვლად შუბლის კანი;  
იმას უნდა გამაგრება!..  
ჰა, ცხოვრების „ანა-ბანი!“

და, აბა, ჩვენც, სანამ გვიძევს  
წინ ეს ლელო გასატანი,  
ვეცადოთ, რომ ხელთ ჩავიგდოთ  
„ბურთიცა და მოედანი“!..

---

## მწერალი

წერა მხოლოდ მაშინ უნდა,  
წინ რომ გედგას იდეალი,  
და გულშიაც გიყვავოდეს  
ვარდი, ანუ შხამ-ეკალი.

როცა გულში უნებურად  
გადიშლება ვარდი... ია  
და მიგინვეს საოცნებოდ  
სამოთხისკენ კარი ღია,

მაშინ უნდა ბულბულივით  
ჩაიჭიკჭიკ-ჩაიმღერო  
და მოხიბლულ თანამგრძნობსაც  
გული ტკბილად აუძგერო.

და როცა გულს შეგერჭობა  
მწარე ისრად ეკალ-ნარი,  
შენც გაჟღენთე ნაღველ-შხამით  
სწორმეტყველი შენი ქნარი!

მაშინ როცა საზოგადოდ  
სანუგეშოს არას ელი,  
ყორანივით დაიჩხავლე!  
ასისინდი, როგორც გველი!

ამას ყველას ორჭოფობად  
ჩამოგართმევს ბრმა ქვეყანა,  
და გახდები იმის თვალში  
სულ უბრალო გამოცანა.

---

მაგრამ, ჰეი, შენ რას დასდევ,  
ან მტერსა და ან მოყვარეს?  
არც ერთი და არც მეორე  
არ ეკუთვნის ხომ შენსა წრეს? –

შენ გყავს შენი იდეალი,  
დაუჯერე მხოლოდ იმას!  
ის არის, რომ ამოძრავებს  
საორჭოფოდ შენს გულისთქმას! –

და როდესაც მოგეშოროს,  
შენც ააღე ხელი წერას!  
რაც ყოფილა, ისიც კმარა –  
ნუ ემდური ბედისწერას.



---

\* \* \*

მწერალ ქალსა, აზიანსა,  
ნიჭიერს და აზრიანსა,  
თანაც დიდად ბრაზიანსა:  
თუ არ არგებს, არც რას აწყენს,  
არ მოუტანს მას ზიანსა.

---

## ნატვრა

როდშილდის ქონება მე,  
შექსპირის გონება მე,  
ყველაზედ უფროსობა მე  
შენი კი მონება მე.

შევარდნისა ფრენა მე,  
ბულბულისა ენა მე,  
და შენ გამო, შენგან მე  
ტკბილი ცრემლის დენა მე.

სხვა ვინატრო რალა მე?  
რალა დღე და რა ღამე?  
როცა შენმა სიშორემ  
გული დამიდალა მე!

---

## ნაღველი

ველი, მაგრამ არსად არის! –  
აღარ უნევს ჩემსკენ გული!..  
სხვა უნახავს უკეთესი  
და აქვს მისი სიყვარული.

ვებრალები, მაგრამ რა ქნას?  
თავს ვერ ართმევს სიყვარულსა!..  
მისი არის ხორციელად,  
იმას სწირავს სულს და გულსა!

მე რაღა ვარ? და რას ვგეგვარ?  
მხოლოდ თოვლსა შარშანდელსა,  
როცა უხვად მზის სხივები  
ეფინება მთა და ველსა.

ეჰ! რა მეთქმის? არ მიმართებს  
არავისი საყვედური.  
თვითონ მე ვარ ბედისაგან  
სიყრმიდგანვე უბედური!

ეს სოფელი, სხვისთვის ტკბილი,  
ჩემთვის იყო მუდამ მწარე.  
განა ჩემთვის ანათებდენ  
ვარსკვლავები, მზე და მთვარე?

რად გავბრიყვდი სიბერის დროს?  
გადავჰყევი გულისთქმასა:  
თავს ვაგდებდი ქვეყნის ყბაში!  
ყურს ვუგდებდი ქვეყნის ხმასა!

---

არა, არა!.. ან კი კმარა...  
ეს ტანჯვა და დამდაბლება!  
მით უფრო, რომ განსაცდელი  
ჩემი არვის ენაღვლება.

ან მშვიდობით, მეგობრობავ,  
და მასთანაც სიყვარულო!  
სჯობს სიცოცხლე ნაობლარი,  
ობლობითვე დავასრულო.

---

## ნანყვეტი

თავს ნუ ინუხებ! – ტყვილა ნუ სტირი,  
შენ გენაცვალოს შენი გადია!  
შენი დედ-მამის საგვარეულოს,  
აბა, შენს მეტი რა აბადია?

ქვეყნის გვირგვინი ზეცას ისკვნება,  
თანვე დაჰყვება ყველას ვარსკვლავი  
და ამქვეყნიურ ხილულ საქმეებს  
განაგებს ხელი, ცით... უხილავი.

რომ დაიბადე, მაშინვე დაგყვა  
ოქროს ხუჭუჭი, ორი საქორჩე,  
და იმავ დღიდან ვიცოდით ყველამ,  
რომ შენ ქვრიობა გელოდა ადრე.

მაგრამ საქორჩე მეორე დიდი  
გექადის ხანგრძლივ ბედნიერებას  
და ნუ დააჭკნობ, ვით ვარდს ჭინჭარში,  
უდროვოდ მაგ შენ მშვენიერებას!..

---

## N-ს

არ უყვარვარ! რომ უყვარდე,  
განა ასე გამიმეტებს?  
შევარდენი აღმა ფრენას,  
ვითლა შესძლებს, თუ აკვეც ფრთებს?

და თუ ვძულვარ, რად არ იმჩნევს?  
ან რად მდაგავს ალერსითა?  
ცეცხლის ჯაჭვით შეკოჭვილი,  
ველარ მივალ ველარსითა!

„ორთა შუა“ აღარა ჰგავს,  
არც ქვეყნიურს, არც ზეციურს.  
ანგელოსის ტკბილ ღიმილში  
კოცნას მალამს დემონიურს.

რომ იმ კოცნით ამოხადოს,  
ემმაკივით მის მსხვერპლს სული  
და სამარის ლოდად დასდვას  
ქვეყნიური სიყვარული.

ვიცი!.. მაგრამ მაინც კიდევ  
ვემონები იმ ერთ კოცნას.  
დეე, დამწვას მისმა ცეცხლმა!..  
არ ვსთხოვ ზეცას შველას და ხსნას.

---

## N-ს

ის აღარ ვარ, რაც ვიყავი!..  
მაშ, რაღა ვარ? – გამოცანა!..  
შენს გარეშე არ არსებობს  
ჩემთვის არც ცა, არც ქვეყანა!

შენ ხარ ჩემთვის, მხოლოდ შენ ხარ  
განგებაც და პოეზია!..  
შენი ტკბილი გაღიმება  
სულჩადგმული ჩემთვის მზეა.

აღერსი და ტკბილი სიტყვა  
შენი – არის ჩემი ძალა!  
განწყრომა და გულგრილობა –  
სანამლავი და სამსალა!

იცის ღმერთმა, შენ ხელშია  
მხოლოდ ჩემი არსებობა!  
თუ დამკარგე, შენთან ერთათ  
თვით სიცოცხლეს მომესპობა!

არა, სატრფოვ, ორივესთვის  
სჯობს კავშირი შემაერთი.  
შენ ხარ ჩემი სიყვარული...  
სიყვარული არის ღმერთი!

---

## N-ის გულის პასუხი

გადამემტერა სოფელი, გაუტანელი და ყბედი.

რას მყვედრის? ან რას მექადის? რა მოუცია, რა ბედი?

ვისაც ვუყვარვარ – არ მიყვარს! ვინც მიყვარს – არ მაქვს იმედი;

გული ცეცხლს ელის ისე, ვით ნაპერწკალს ე ლ ი ს ა ბ ე დ ი,

რომ გამემსჭვალოს არსება, უცნაურისა ძალითა,

იფეთქოს ცეცხლმა ძლიერად, ტრფიალებისა ალითა.

სისხლი მიდუღდეს, ხორცი ვსდნე, ვინრუკებოდე ძვალითა  
და დავრჩე კუბოს კარამდე იმ გრძნობით შეუცვალითა.

მაგრამ სად არის დამხსნელი ჩემის სიცოცხლის კრულისა?

გულის, დაგულის საკვერთხად და კვერთხად სიყვარულისა,

თვით უკვდავების წყაროთი მასხურებელი სულისა,

მიმნიჭებელი ქვეყნადვე ნეტარებისა სრულისა!..

ნუთუ არ არის? მაგრამ ეჰ, ვით ვათქმევინო ენასა?

ქვესკნელით ამონატანსა, უკულმართ ბედის ჩენასა

ვინ შესცვლის? ვინ აწყებინებს ოცნებით აღმაფრენასა,

რომ ულოდნ ე ლ ი ს ა ბ ე დ ი თ მიუახლოვდეს ზენასა?



---

## ორი სურათი

ცისკრის ვარსკვლავი, დილის რიჟრაჟი,  
ამომავალი და ჩამავალი  
მზე როცა ვნახე, მე ჩანგით ხელში,  
ყოვლის შემძლებელს მივაპყარ თვალი.

და მადლი უძღვენ აღტაცებულმა,  
რომ ქვეყნიური მშვენიერება  
ყველა მიჩვენა და მაგრძნობინა  
მეც ზეციური რამ ნეტარება.

ვსთქვი გუნებაში: ვნახე ხომ ყველა,  
რაც ქვეყნად კარგი სანახავია?  
მაშ, რალა მინდა? მოვიდეს ბნელი  
და მოიტანოს თან, რაც ავია.

მართლა დაბნელდა და დაბლა ქვეყნად  
ყოველი კუთხით მოედვა ბუნდი,  
მაგრამ იმავ დროს მოწმენდილ ცაზე  
გამოიხატა ვარსკვლავთა გუნდი.

და იმათ რიცხვში მწუხრის ვარსკვლავად  
ასხივცისკარდა ტურფა შუქურა!..  
და ამ ქვეყანას უხვად სხივები,  
ვით აიაზმა, გადმოასხურა.

მისმა პარპალმა და სიდიადემ  
მიიპყრა ჩემი გრძნობა-გონება,  
გადაელობა ჩემ წინანდელ აზრს,  
გააორკეცა ჩემი ოცნება.

---

თურმე, ქვეყანა სასუფეველი  
ყოფილა! ჩვენ კი ვერა ვგრძნობთ ამას!  
ნათელთან ბნელიც აკმაყოფილებს  
ჩვენსა სურვილებს და ჩვენ გულისთქმას.

ახლა გავიგე, რაც არ მესმოდა,  
წარმოვიდგინე მე ძალთაძალი,  
ვით სანეტარო, სამარადისო,  
მიუნთომელი რამ იდეალი.

ყოვლის შემძლები ხარ, შემოქმედო,  
ვერვინ შეუშლის შენ განზრახვას ხელს!  
ბნელსა ჰფენ ნათელს და ნათლისგანვე  
ჩვენ საგულისხმოდ წარმოშობ შენ ბნელს.

---

## პასუხი ახალგაზდას

სად გაზაფხული შენი ფერადი  
და სად გაცრცვნილი ჩემი ზამთარი?!  
სად სევდიანი ბუნდი მწუხრისა  
და სად საცისკრო შუქურ-ლამპარი?!

შენ ყმანვილი ხარ და მე მოხუცი,  
შენ – მომავალი, მე – მიმავალი!  
შენ ახლა იდგამ ცხოვრების უღელს,  
მე კი გადამხდა სესხი და ვალი.

შორი-შორსა ვართ, ვით ცა და მიწა,  
შუაში გვიძევს უფსკრულ-საზღვარი:  
შენ ყვავილი ხარ, სიცოცხლით სავსე,  
და მე კი – ხავსი დამჭკნარ-გამხმარი.

მაგრამ ცისა და მიწის შორისაც  
არის კავშირი რამ უხილავი  
და ძველს ახალთან შეაერთხორცებს  
ელექტრონული ძალი მნიბლავი,

დაუსაბამო და საუკუნო,  
განუყოფელი, ერთადი, რთული,  
შემოქმედების დიადი ძალი, –  
სული უკვდავი და სიყვარული.

ეს იყოს ჩვენიც ამიერიდან  
შუამავალი და მოციქული!..  
ამ ქვეყნად თუ გულს გული არ ერგო,  
სულს შეუერთდეს იმ ქვეყნად სული!..

---

## პასუხი

გინდა დაბერდეს ბულბული,  
მაინც ვერ მოშლის სტვენასა  
და ვარდს თუ ხედავს გაშლილსა  
– ნავარდს და აღმაფრენას!

ვარდად გაშლილხარ, ოცნებავ,  
დავბერებულვარ მგოსანი,  
მაგრამ გამსჭვალავს, ამაზრზენს,  
შენებრივ მანდილოსანი.

ვინ შეგქმნა, სწორუპოვარო,  
მაგრე თვალად და ტანადა,  
აქ – გულით სატარებელად,  
იქ – თანვე წარსატანადა?

შენ შემოგნატრის, მხოლოდ შენ,  
ჩემი მოხუცი ჭაღარა.  
აჟღერდენ გულის სიმები,  
უკრავს დაფი და ნაღარა.

შენ კი სუყველა მოხუცი,  
სულ ერთნაირი გგონია,  
და თუ არა ხარ მნახველი,  
სიტყვით ხომ გაგიგონია,

რომ მთებშიც განსხვავებაა:  
ზოგი მისთანა მთაც არი,  
რომ თავზე ადევს ყინული  
და გულში – ცხელი ნაცარი.

---

მოვხუცდი, მაგრამ გული კი  
მინც მხურვალე... ცხელია,  
და მხოლოდ მაშინ გავქრები,  
თუ ვარდი შამამელია!

რაგინდ დაბერდეს ბუღბუღი,  
მინც ვერ მოშლის სტვენასა,  
და მგოსანიცა მოხუცი –  
ტრფობას და აღმაფრენასა.

---

## პასუხი ლ. თარხნიშვილის ქალს

მომივიდა მე წერილი  
შტემპულ-შევიცარიელი.  
გადვიკითხე, უსულგულო  
სიტყვა იყო ცარიელი.

გამიკვირდა: საიდან სად?!  
სიზმარია თუ არაკი?  
სად შენევა? სად საჩხერე?  
ვინ ლიზა და ვინ აკაკი?!

მაგრამ, ჰეი, პოეტების  
ამგვარია ყველგან ბედი!  
ნამდვილი სხვებს... და იმათ კი  
– ოცნება და ცრუ იმედი.

---

## პასუხი ტ...

მესმის, ვხედავ, ახლა ვიცი...  
არც გიჟი ვარ, არც უგნური!..  
შავ ბედისგან განანირი,  
შობიდან ვარ უბედური!..

შენა მრწამდი, შენ მიყვარდი  
ერთადერთი, ვით ღვთაება;  
შენი შუქით მიბრწყინავდა  
სიცოცხლე და უკვდავება!

ის აღარ ვარ, რაც ვიყავი!..  
დღეს გამიქრა იდიალი:  
აღარც ანმყო, არც წარსული...  
ჩემთვის აღარც მომავალი!

და ცოცხალ-მკვდარს ცხოვრებისთვის  
მეტი რალა დამრჩენია,  
რომ მოვჰკვდე და მით გავიქვრო  
გულში ცეცხლი – გენია!..

სჯობს დავმინდე, რომ შემდგომაც  
გავხდე შენი ფეხთა მტვერი!..  
შენ კი სხვების სანეტაროდ  
ცოცხალ იყავ... ბედნიერი!..

---

## პასუხი

(წინააღმდეგ გუნდს, ქრთამის შემძღვეს)

მგოსანია გაჩენილი ცა და ქვეყნის შემამკობლად;  
არც მიუდგეს, არც მიიმხროს, თვისიანში დარჩეს ობლად.  
კარგი აქოს, ავი დაჰგმოს, დადიოდეს სოფლით-სოფლად,  
თავი შრომას არ დარიდოს, ინურვოდეს ოფლით-ოფლად.

მას მგოსანი არა ჰქვიან, ვინც დაეძებს გამორჩენას,  
საქმით სხვაა, სიტყვით სხვაა, ორლესულად ხმარობს ენას,  
პირმომთნეობს უფროსებთან, ერიდება დიდთა წყენას,  
თვალს არიდებს დაჩაგრულსა, მის ოხვრას და ცრემლის დენას.

მიდგომა და პარტიობა რა პოეტის საქმე არი?  
აღმა ფრენა, დაბლა ხევა. მისი ხმალი არის ქნარი,  
უნდა მტკიცედ ხელში ეპყრას, იყოს ქვეყნის მეგობარი!..  
ენაბულბულ-გულვარდიანს, თვალწინ უდგეს მაცხოვარი.

თუმცა სუსტი, მაგრამ მაინც მგოსანი ვარ, ასე ვგონებ,  
არც არავის ვემონები, არც არავის დავიმონებ.  
მტერსაც ვეტყვი, მოყვარესაც, მათზე რასაც გავიგონებ,  
და ამით თავს არ ვიფასებ და არც ვისმე თავს ვაწონებ.



---

## რედაქტორებს

სხვის თვალში ბენჯს ნუ დაეძებთ,  
თვითონ თქვენ ნუ გაქვსთ დვირეო!  
მარჯვენა ყბაში რომ გლენონ,  
მარცხენაც მიუშვირეო!

და ნუ დაუფენთ მარგალიტს  
საუნმინდუროდ ღორებსო!  
ასე უბრძანებს უფალი  
ჩვენს ბატონ რედაქტორებსო.

მაგრამ ისინი ჯერ კიდევ  
მისდევნენ ისევ ძველ აღთქმას  
და მოსეს მცნებით იჩენენ  
საქვეყნოდ შემცდარ გულისთქმას.

„კბილის ნილ კბილებს ითხოვენ  
და თვალისათვის ისევ თვალს!“  
ამბობენ: „გადახდა უნდა  
ყოველთვის ამგვარ სესხს და ვალს!“

„ცრუ კალმის საპირდაპიროდ  
ხელს ვკიდებთ ჩვენც ცრუ კალამსა  
და თუ სხვვარად მოგვმართეს,  
ჩვენც სხვავარს ვუძღვნით სალამსა!“

ამ სანყლებს დავინყებიათ  
სწავლა და მცნება ქრისტესი!..  
და იმათ საზოგადო მტრებს  
კიდევ უხარისთ ეს წესი!

---

## საბრალო ჩვენი დრო

საბრალოა, ვისაცა აქვს  
ჭკუა, გრძნობა და გონება.  
ჯერ ჩვენში მეტი ბარგია  
ეს სულიერი ქონება!..

გონება გულმა დაიპყრო,  
გულის ბატონი კუჭია.  
რაც კი არ ყალბობს ამ დროში,  
ყველა ურგი და ფუჭია.

ფულით სწონიან კაცობას,  
ფულითვე ჰზომენ გმირებსა;  
ბედაურები გადენეს,  
მოედანი აქვსთ ვირებსა.

ველარსად ვხედავთ საქმესა  
საგმირო-სამამაცოსა  
და ვისაც შეხვდე, ეტყოდე  
„გამარჯობის“ ნილ „აცო“-სა!

---

\* \* \*

სამხიარულო, სალხინო ხმებით  
სამოთხით იყო რუსთველის ქნარი,  
და, ჩემი მხოლოდ სამარის კარზე  
ჟღერს... ის ჟღერაა მოთქმა და ზარი!..

და თუ ხანდახან, ათასში ერთხელ,  
სამხიარულოც წამცდება რამე,  
ეს ჭირისუფლის ღიმილი არის,  
მხოლოდ წამითი... მოკლე სიამე!

მეცა ყოველ წამს თამარი სათნო,  
თვალწინ მეხატვის გაბრწყინებული,  
იმის გამო მაქვს სულისკვეთება,  
და მისთვის მიძგერს სინმინდით გული.

ის არის ჩემი სახე წმინდათა,  
ჩემი სულისდგმა, ჩემი გულისთქმა,  
ჩემი არსების გამასპეტაკი,  
წმინდა მირონი და აიაზმა.

---

## სატრფოს

ამაფრთოვანე უძრავი,  
სული ჩამიდგი ცოცხალ-მკვდარს;  
შენი გულისთვის თავს დავდებ!  
შემოგვევლები ცოცხლად გარს!..

სულით და გულით ნათელო,  
მაღალო, თითქოს ღვთაებავ,  
ხელუხლებ-მიუნდომელო,  
ოცნებავ და უკვდაებავ!

შორით მოვსულვარ ყარიბი,  
რომ დავსტკბე შენის ნახვითა,  
ავენტო შენის შუქით და  
უცნაურ თვალის ფახვითა!

შენ რაღას მეტყვი? მოვკვდე თუ  
ვიცოცხლო შენდა მონადა?  
მიღირს ეგ შენი ღიმილი  
მთელი სიცოცხლის წონადა!

სულით და გულით მაღალო,  
მიუნდომელო ღვთაება!..  
რაღა ვსთქვა, რომ შენს მჭრეტელსა  
გრძნობა-გონება დაება?!

---

## სატრფოს

ბროლის მკერდს რომ დაგაკონე  
გული, როგორც კვესს აბედი,  
მაშინ ვიგრძენ ნეტარება  
და ვაკურთხე ჩემი ბედი.

ცეცხლის კალმით დავიბეჭდე  
გულის ფიცარს მე ის წამი,  
თუმც იმა დროს სასიკვდილო  
გადამასხი ნალველ-შხამი.

მაგრამ მოვჰკვდე, არ ვინაღვლი,  
რადგან მსხვერპლი ვარ მე შენი.  
იმ ერთ წამმა შეინიროს  
ან სიცოცხლე დანაშთენი.

---

## საციმბირო

ტრახ-ტარა-რახ! რახ-ტარა-ტრახ!  
ჩუ! რა ხმა არის ეს ხმა უჟმური?  
წავიდეთ, ვნახოთ, რა ანბავია  
და რას გვეტყვიან, დაუგდოთ ყური.

ყოველის კუთხით ატყდება ხალხი,  
გროვა იზდება, ვით თოვლის გუნდა,  
მაგრამ ამგვარის ლელვის უჩვეულს,  
დღეს რა მოსვლია და აქ რა უნდა?

ეგებ ქადაგობს მათში სახალხოდ  
აღელვებული მამულისშვილი,  
რომ თანამომეებს მით აგრძნობინოს,  
მისი მუდამი გულისტკივილი?

მაგრამ რას ანბობ! – განა მაგ ნეკერს  
მიაშურებენ მისთანა თხები,  
რომლებსაც თავი მოსახრელად აქვსთ  
და ასანვეად მალლა – ფეხები?

მაშ, ქუჩა-ქუჩა ყიზილბაშები  
მაიმუნებს თუ დაატარებენ:  
დაირას ხმაზედ აკუნტრუშებენ  
და მით მოცლილის გულს ახარებენ?

რა ბრძანებაა! – განა ეს ხალხი  
უნახავია მაიმუნების?! –  
მეტი რაღაა ჩვენს სამშობლოში,  
გამრყენელი მათის კეთილ ბუნების?

---

აბა, რაღაცა დიდი მიზეზი  
უნდა იყოს, რომ ეს ანბავია;  
და ნუ ვგვიანობთ, წავიდეთ, ვნახოთ,  
რაც რომ იმ გუნდში სანახავია.

ტარახ-ტარა-რახ! რახ-ტარა-ტრახ!..  
დაატარებენ ტუსალს ბორკილით.  
ის ესალმება თვისსა სამშობლოს,  
უცნაურისა რაღაც ღიმილით.

თვალ-ტანით კარგსა, ფერი მიხდია,  
ზურგზედ ფიცრითა არს ნელა მსვლელი;  
და იმ ფიცარზედ ასე სწერია:  
„ავაზაკია და კაცის მკვლელი“.

– „კაცის მკვლელიო?!“ – ოხ! რა სიტყვაა! –  
წყეული იყოს ის მწარე ბედი,  
რომელმაც მანგრე ჭაბუკობაში,  
ნიშნით დაგასო შავი ბეჭედი!

„ავაზაკიო!“ – ისმის აქა-იქ.  
ხალხი მრისხანებს გულუტკივარი,  
მაგრამ იმათში ვიღაც მოხუცსა  
ვხედავ, ეცემა სიმწრით თავზარი.

გულხელდაკრეფით, სახედაშლილი,  
თეთრის წვერებით და თეთრისა თმით,  
ცრემლების შიგნით გულშივ თხევითა,  
ასე მოსთქვამდა საზარელის ხმით:

. . . . .

---

## სახსოვარი

ვიყავ და აღარა ვარ,  
გავჰქრი სიზმრებ ჩქარა  
და ხორციელად ქვეყნად  
მეტი არა დამრჩა რა.



---

## სახსოვარი

ყვავილისაგან აქ მონყვეტილი  
თვითცა ყვავილი, ვითა ლამპარი,  
განქრა ამ სოფლად სამარადისოდ  
ნორჩი, პატარა ქალი თამარი.

თუმცა ის ზეცას მოსხივცისკარებს  
ანგელოზთ გუნდში აღმაფრენითა,  
მაგრამ მშობლები აქ იგონებენ,  
მანც ოხვრით და ცრემლთა დენითა.

და ან კი რა ჰქმნან? ცივსა გონებას  
როგორ დაუთმოს მხურვალე გულმა?..  
თუ არ ცრემლებით, რით ინუგეშოს  
მშობელმა, ქვეყნად დაობლებულმა...

---

## სიზმარი

(სასიმღერო კუბლეტები)

თუ არ გწყალობს ცხადად ბედი,  
უნდა დანვე და იძინო,  
რომ სიზმარში მაინც ნახო,  
მოსტყუვდე და გაიცინო:  
ხა! ხა! ხა!

ერთხელ ფული შემომაკლდა,  
დავსწევი და დავიძინე,  
ვნახე ძილში, რომ უეცრად  
მილიონი შევიძინე.  
ვაჰ! ვაჰ! ვაჰ!

გამივარდა ხალხში მე ხმა,  
ყოველის მხრით მიძღვნეს ქება!..  
მოდიოდნენ, თავს მიკრავდენ,  
აღარ მქონდა მოსვენება.  
უჰ! უჰ! უჰ!

ზოგმა ჭკუა შემომწამა,  
ზოგიერთმა კარგკაცობა.  
ქალებმაც კი დაინახეს  
მაშინ ჩემი ლამაზობა.  
ფხუ! ფხუ! ფხუ!

ბოლოს, რომ გამომეღვიძა,  
მეტისმეტად დამწყდა გული:  
ყველა გაქრა, ვით ოცნება,  
და არც მქონდა გროში ფული!  
უიმე! უიმე! უიმე!

---

ერთხელ კიდევ ძილში ვნახე  
მე ქართული წარმოდგენა,  
ხალხით ისე გავსილიყო,  
არ მენახა იმოდენა!  
ვიშ! ვიშ! ვიშ!

გამელვინა და რა ვნახე?  
სწორეთ გულთ გამეცინა:  
ოცი კაცი მოსულიყო,  
და იმათაც კი ეძინა...  
ხი! ხი! ხი!

უნდა ისევ დავიძინო,  
რომ არავინ არ დავსძრახო!..  
რასაც ცხადად ვერა ვხედავ,  
ძილში მაინც დავინახო!  
მაშ რა ვქნა?  
მაშ რა ვქნა?

---

## სიმართლე

შიგ პირდაპირ ჯოჯოხეთში  
შევალ, თუ ის მომცემს მე ხელს!  
უმისოდ კი უარსა ვყოფ  
სამოთხეს და სასუფეველს!

ამ სიშორეს მე რა მინდა?  
ვისთანა ვარ? სად მოვსულვარ?  
ქვეყანამაც შემიყვაროს,  
რალად მიღირს, თუ მას ვძულვარ!

ექიმებიც რას მიქარვენ! –  
მომიხდება განა წყალი?  
მე მკურნავდა მხოლოდ მისი  
შემოხედვა... მისი თვალი!..

არა, ისევ უნდა ვნახო,  
იმისკენვე წავალ მალე!..  
იმის ჭირი შემეყაროს  
და იმას კი ვენაცვალე!

---

## სიმღერა

კოშკი რამე ქვის ნათალი  
გადმოჰყურებს მაღლით რიონს,  
შიგ ზის უცხო ტურფა ქალი  
და ის ეტყვის ბესარიონს:

ჩემო ია, ჩემო ვარდო,  
ჩემო გულის ანდამატო!  
ამ ჩვენ ორში ვინ ვჯობივართ:  
მე თუ შენი ცოლი მატო?

– შენც კარგი ხარ, ისიც კარგი,  
მშვენიერი და ლამაზი,  
ორივე ხართ ჩემი ბარგი,  
მარგალიტი რამ ძვირფასი.

თვალწუწუნა და პირბადრი  
შენ ხარ და ისიც შავთვალა!  
შენ მოგჭამოს ყველამ ჭირი!  
და მას ყველა ენაცვალა!

– ერთსაც ჰკითხამ, ნუ მეტყვი ვარს,  
რომ გულს სევდა არ მიმატო:  
ჩვენ ორში შენ უფრო გიყვარს  
მე თუ შენი ცოლი მატო?

შენც მიყვარხარ, ისიც მიყვარს,  
ერთნაირად, თანასწორად,  
თუ ვერ გხედავთ, სიყვარული  
მეჩვენება ერთი ორად!

---

ის მიყვარს, ვარ მე მის შიშში,  
ბანძისაკენ თუ წავედი!  
და თუ აქ ვარ, ქუთაისში  
შენთვის ვინვი, ვით აბედი!

მაშ შენი ვარ დღესაცა, ხვალ,  
სიკვდილამდე შენ მიახლე,  
ბანძისაკენ ნულა ნახვალ,  
ქუთაისში დაესახლე!

მაშინ ნახავ, ჩემო კარგო,  
თუ შენს გულსა რა შევმატო?  
გირჩევ გულით, გადაკარგო  
ჩემი მწველი შენი მატო!

– რა მითხარი ეგ, შენ ცეტო?  
ვწუხვარ, ეგ რომ შემიტყვია!  
ცოლი როგორ გავიმეტო?!  
როგორა ვჰკრა გულში ტყვია?!

არა სჯობს, რომ ჭკუას ვკითხოთ,  
საქმე ვქნათ, რომ საქმეს ჰგავდეს:  
შენ გიგულო საპრაზნიკოთ  
და ის საყოველღლოთ მყავდეს!

არა, არა, გეთაყვანე,  
ხერხიანო ადვოკატო!  
სახარჯოთ მე ამიყვანე! –  
„საპრაზნიკოდ“ ისევ მატო!

---

## სიმღერა

წავიდა დრო ოცნების,  
მას თან გაჰყვა სიამე;  
მწუხარების და ვნების  
ხელთ მიჰყრია სია მე.

გამიდგა სიჭაბუკე,  
გამიმრავლდა ჭალარა  
და სიბერემ ქარბუქი  
ცხელ გულზე მომაცარა.

ცოცხლებში ვარ თუ მკვდრებში,  
ან აღარ გამეგება!  
ძველ მეგობარს მივმართავ,  
შემიბრალოს ეგება?!

მაგრამ მიველ და მითხრა:  
ჩემთან რად მოსულხარო?  
მე ან ვეტრფი გაზაფხულს  
და ზამთარი მძულხარო!..

იმისმა შემოხედვამ  
ტანჯვა გამიორკეცა.  
მისი მწარე სიტყვები  
ცივ ისრად გულში მეცა!

ამ დროს მოჰფრინდა მუზა –  
ძველივე იდეალი,  
მანუგეშა მწუხარე,  
ჩამბერა გულში ძალი.

---

მითხრა: „რად მილალატე,  
მინის შვილზე გამცვალე?  
არ გეგონა, რომ ის შენც  
სხვაზე გაგცვლიდა მალე?“

„ხომ იგრძენ, რომ ქვეყანა  
თაღლითია, რჩეულო!  
ისევ მე დამიბრუნდი,..  
ნუ გინდა ის, უგულო!..“

ეს მითხრა და გაფრინდა  
ის ტურფა იდეალი,  
და მეც, იმის გამგონეს,  
კვლავ ამეხილა თვალი:

დაბრუნდა დრო ოცნების,  
მომემატა სიამე  
და, მოხუცს, გაზაფხულის  
ხელთ მიჭირავს სია მე.



---

\* \* \*

სიცოცხლეში მინდა ვიყო  
კმაყოფილი, ბედნიერი,  
თორემ შემდეგ სიკვდილისა  
ტყუილია ყველაფერი!

ფართიფურთი, გვირგვინები,  
კუბო მორთულ-მოკაზმული  
და საქებრად სიტყვა ტკბილი,  
ვითომ გრძნობით წამოთქმული.

თვალთმაქცობა არის ყველა,  
მიბაძვა და ჩვეულება,  
ჭირისუფლის სანუგეშო,  
გარეშების მოტყუება!

თორემ თვით მკვდარს რალა უნდა?  
ან სულს, ან ხორცს რალა არგებს,  
რალაი რომ მას სიკვდილი  
ამ სოფლიდან ააბარგებს?

უნდა დასდვა საკაცეზე,  
წაატანოს მუშამ ხელი  
და საფლავზე მიიტანოს,  
ველარაფრის დამნახველი!

აი, სწორედ ეს სიკვდილი  
შემიძლია ავიტანო,  
თორემ შემდეგ რალათ მინდა,  
გავხდე ცოცხლის სათაყვანო?!

---

\* \* \*

სპილოსთვის ლომი კატაა,  
თაგვისთვის კატა ლომია,  
საგნები შედარებითა,  
ასანონ-გასაზომია.

---

## სოციალისტს

გადაგიშალე, ძმობილო,  
ერთთავად სული და გული,  
გიჩვენე ავი და კარგი,  
რადგანაც ვიყავ დაგული.

ნინ ბიჯი წაგადგმევიწე,  
გავმარგლე ეკლიანი გზა.  
სადაც მე ოფლი დავღვარე,  
შენთვის გამოდგა ის ხომ გზა?!

ერთი და ისვე ყოფილა  
ჩვენ ორივესთვის მიზანი,  
მაგრამ შენ ჰხედავ თვალითა...  
მე ვსწვდები, როგორც მისანი.

თავალერილი მიდიხარ,  
არ იხედები უკანა!  
ჰგგონია, ყველა შენა ხარ?!  
სამართალია ეს განა?

შენ მხოლოდ მას მკვი, რაც წინეთ  
მე ოხვრით დამითესია!  
ერთიმეორის შეწევა  
თვით ბუნებისვე წესია!

შემცდარი არის, ვინც ფიქრობს,  
ყოლიფერია მარტო ის!  
თუ ყვავილს არ გამოიღებს,  
ნაყოფს ვით მომცემს მამ [რტო] ის.

---

გულწრფელი მუშა არ ეთქმის,  
ვინც მხოლოდ თავმომწონია!  
ერთ იგავ-არაკს მოგიტხრობთ,  
გლახებში გამიგონია:

სახნისმა უთხრა ნამგალსა,  
ვხედავ შენს ბზრიალ-ტრიალსა!  
მაგრამ რომ მინას ვჩუჩენიდი,  
არ უნახევხარ ჩემ თვალსა.

მე ვხნავ, შენა მკი, სხვა ლენავს,  
დაფქევავს და აცხოვს სხვაცაო,  
მხოლოდ წვეთ-წვეთად ივსება  
უფსკრულ-უძირო ზღვაცაო.

---

## უკანასკნელი

წინანდელ ჩემს ნეტარებას  
გადაესხა ნაღველ-ძმარი:  
იდეალი გამიხუნდა,  
გამიქარწყლდა მეგობარი!

სანამ მწამდა მე იმისი  
მეგობრული სიყვარული,  
აღმა ვფრენდი პოეტურად!..  
სხვანაირად სცემდა გული!..

მაგრამ, როცა ვილაც სხვაზე  
გამწირა და გადამსცვალა,  
სულსაც, გულსაც, ორთავ ერთად  
დაეკარგათ ძველი ძალა:

აღარც სადმე იდეალი  
ჩემთვის!.. აღარც მეგობარი!..  
და ამ ქვეყნად ნამეტანი  
დავალ ობლად, ცოცხალმკვდარი.

---

## უკანასკნელი ლექსი

ალარ გსურს ჩემი ანთება,  
მნათე ხარ სხვისი ლამპრისა!..  
დამწუნებელო ბულბულის,  
გიყვარს კაჭკაჭი სხვა მხრისა!..

უშენოდ ველარ ჭიკჭიკობს,  
ენა ჩავარდა ბულბულსა,  
მოუახლოვდა სიკვდილი,  
შხამი აკურა მის გულსა.

მაგრამ ეს შენთვის ერთია:  
ცოცხალი ვიყო, გინდ მკვდარი!..  
ალარ აენტვის ან სხვისგან  
ჩემი დამქრალი ლამპარი!

---

## უკანასკნელი სიმღერა

იყოს წყეული სოფელი  
და მისი სიტკბო-სიამე!  
იმისი სისწორ-სიმრუდის  
ხელში მიჭირავს სია მე.

სხვის ვარდის კონა... ყვავილი  
გულში ფინთიხად შემასო;  
სხვისი შარბათი და თაფლი  
მე ნაღველ-შხამად შემასო.

მედედინაცვლა, მიგერა,  
ობლად მატარა მიწამა:  
გამოსხლეტილი ტოლებში,  
სისხლხორცად აღარ მიწამა.

განქრა ფერადი ოცნება!..  
რასაც ველოდი, სად არი?  
დაბნელდა ჩემთვის სიცოცხლე,  
სხვისთვის სამზეო-სადარი!

და აღარ მინდა სიცოცხლე  
გულგატეხილი წამებით!..  
ნუგეშად ველი სიკვდილსა,  
დროს ვანგარიშობ წამებით.

---

## უცნაური სიყვარული

|

თუ გიყვარდე, ნუ გიყვარვარ!  
ჩამომშორდი, გენაცვალე!..  
მხურვალეობა შენის გრძნობის  
საგულგრილოდ გადასცვალე...

„რომ მიყვარხარ, განა ვერ გრძნობ?  
სიყვარული მეცა მსჭვალავს,  
მაგრამ კდომამოსილება  
და სირცხვილი თავს იმალავს!..

„შენს ალერსში ქკუას ვკარგავ!..  
ვშფოთავ!.. თავი მავინყდება!..  
შენი კოცნა ცეცხლის ისრად  
ტუჩებს მიწვავს და გულს წვდება!

„მაგრამ მაინც, თუ გიყვარდე,  
ნუ გიყვარვარ!.. გამეცვალე!..  
სიკვდილი სჯობს ამ სიყვარულს,  
მომწამლე და მოინამლე!

„გრძნობისა და გონებისა  
მაშინებს მე ეგ კავშირი!..  
არ მსურს აღთქმას ვულაღატო!..  
არ მინდა, რომ გატყდეს პირი!

„მხოლოდ მინდა შენც გიყვარდე  
ისე, როგორც მე მიყვარხარ:  
ცხრა მთას იქით!.. წარმოდგენით,  
როცა შორს ხარ!.. ჩემთან არ ხარ!..



---

„მაშინ მხოლოდ უკვდავია  
სიყვარული!.. გრძნობაც წმინდა, –  
თუ არ ვიცით ერთმანეთის:  
რასა ვგრძნობდით და რა გვინდა!..“

ასე უთხრა... ეს ურჩია  
საყვარელმა შეყვარებულს  
და სამსალა სასიკვდილო  
გადაასხა გულგრილად გულს.

||

როგორც მოძღვრის წინ სააღსარებოდ,  
წარსდგა სატრფოს წინ მაშინ მგოსანი  
და მისის ყოველ სიტყვის სიმართლეს  
მონმობდა მიწა!.. მონმობდენ ცანი!

ჩემო გულისტქმავ! ჩემო სულისდგმავ!  
ორივე ქვეყნად საიდილო!  
მზათა ვარ შენს ჟინს და შემცდარ აზრებს  
თავი შევსწირო და არ ვინაღვლო!

ვინც შენში... მხოლოდ შენს არსებაში  
გამოისახა წმინდა ღვთაება,  
მისთვის ცხოვრება არის სამოთხე  
და თვით სიკვდილიც კი – უკვდავება!

და ნუ გგონივარ ამისთვის გიჟი!..  
ისე, როგორც სხვებს... იწამე გზნობა!..  
თუმც სიგიჟეს ჰგავს, მაგრამ მადლია  
ცით მონაბერი, წმინდა მგოსნობა!

---

უარმყოფელი ქვეყნის კანონის,  
ის მიდის მხოლოდ საკუთარ გზითა  
და ბნელს, მოდებულს უგნურებისგან,  
გულში ინათებს ოცნების მზითა!

და ეს მზე არის მისის ოცნების  
წარმოდგენილი რამ იდიალი!  
იქ იხატება მისი ყოველი  
წარსული, აწმყო და მომავალი.

და ის უქარვებს იობის ტანჯვას!  
აძლევს სამსონის ძლიერებასა,  
რომ ჯოჯოხეთის ტანჯვაშიაც კი  
გრძნობდეს სამოთხის ნეტარებასა.

მეც ამა ქვეყნად სულით ობოლი,  
ჭკუით ურწმუნო და გულით უნდო –  
მას თაყვანს ვსცემდი, როგორც ღვთაებას,  
და სასოება ღრმად გულში მენთო!

გრძნობაც, გონებაც შეუბღალავი  
შემრჩა აქამდე, მან დამიფარა!..  
და ბოლოს, როცა თვალში საჩხირო,  
შემომეპარა თმაში ქალარა,

ჩემს საოცნებოს, შორს სათაყვანოს,  
აქ ხორცშესხმულად მოვჰკარი თვალი,  
ვნახე, რომ ქვეყნად ჩამოსულიყო  
შენასისხლხორცი ის იდიალი!

მეგონა სწორედ გავგიჟდებოდი,  
მოულოდნელად რომ მეცა ელდა, –  
მაგრამ როდესაც შენში სავსებით  
ის გადმოვიდა, განხორციელდა,

---

მაშინ ვიგრძენი, რაც ჯერ არ მეგრძნო  
ჩემ სიცოცხლეში – ციური ძალა! –  
და ვიგრძენ, თურმე სიკვდილის წინეთ  
რომ მოჰყოლოდა სიტკბოს სამსალა!

წარმოდგენილსაც და ხორციელსაც  
ბოლო მოელო ჩემსა ოცნებას!..  
მშვიდობით, ჩემო მაინც ოცნებავ!  
ვემორჩილები შენს სურვილ-ნებას.

---

## ქალაქის თავის არჩევანი

„რა“ და „ინჩე“ წაიჩხუბნენ  
და ერთმანეთს შავს უყრიან.  
„ჩო ტაკოის“ ეცინება,  
რომ ერთმანეთს ძირს უთხრიან.

როგორც ბავშვი, ჯერ რეგვენი,  
ჟინიანი, მხოლოდ ანცი:  
„ვყოფილვარ და კვლავ ვიქნები!“ –  
გაიძახის დღეს „იანცი“.

„რომ იყავი, არ ვარგოდი!..  
ან მეც ვიყო! მეც მიბოძე! –  
თავს უკრავს და დარბაისლად  
მოახსენებს ქართველი „ძე“.

მაგრამ, აბა, ვერ შეთანხმდნენ,  
არ მოხერხდა მათი ზავი  
და ამ აყალ—მაცალის დროს,  
დაეკარგათ ორთავ თავი.

და უთავო ყურებითა,  
გაბერილი დარჩა ტანი,  
როგორც მდგარი ნაკვერცხალზე,  
მადულარი ჯამ—ქოთანი!..

და რას გვარგებს ჩვენ ქოთანი,  
სხვის კერაზე შემომდგარი!  
ლობიო თუ გაგვიკეთა,  
ისიც დიდი რამე არი!

---

## ქართველის საჩივარი

არ გამიდის მე ბატონთან  
ერთგულება, სამსახური!  
ის თაფლსა სჭამს და ჩემთვის კი  
ენანება შავი პური.

მეგობრობა დანაპირი,  
მონაობად შემიცვალა;  
თვითონ შარბათს დაენაფა,  
მომიმზადა მე სამსალა.

დამამხო და დამაძინა,  
მთათხა მთელი საუკუნე;  
დღესდღეობით ვირზე შემსვა,  
გამიფრინა ძველი ჰუნე!

ახლა მივხვდი, მაგრამ რალა,  
რომ აღარ მაქვს მე ძალ-ღონე.  
ასე ძალაუნებურად  
დავმორჩილდი... დავემონე!..

მაგრამ მაინც გულს არ ვიტეხ,  
მაგონდება ამირანი!..  
წყლული ისევ გამთელდება,  
გადიკარგვის ყვაფ-ყორანი.

მოვა დრო, რომ ჩემ ბატონსაც  
ნასდინდება ცხვირში ძმარი,  
და არავინ ეყოლება  
მომხმარე და მეგობარი!

---

## ქრისტე აღზდგა

ია-ვარდი გაბადრულა  
და დილის ნამს თავს უხრიან.  
„ქრისტე აღზდგა“, „ჭეშმარიტად“,  
ერთმანეთსა უძახიან.

შავმა შაშვმა შავს ბურღოში  
ადრიანად ბუდე ჩასდგა,  
იქვე ტოტზედ შემოფრინდა  
„ქრისტე აღზდგა“ დაიძახა.

აღზდგა ქრისტე, ან ჩვენც აღზდგეთ,  
ამთვენის ხნის კმარა ძილი,  
ყველამ გულში გადავწყვიტოთ:  
ან სიცოცხლე, ან სიკვდილი!

ვინც რომ საზოგადო საქმეს  
გულგრილობით მოეკიდოს,  
შვილის სისხლით ეზიაროს  
და კაენის ცოდვა ზიდოს.

---

\* \* \*

ლაბაბუნია, ყველას წუნია,  
ახალქალაქსა მიეჩქარება,  
მიდის და მოდის, არ იცის როდის,  
ცუნცულ-კუნკული არ ეზარება,  
ვაი! ვაი! და სხვანი.

---

## ლენტორ აბაშიძის საფლავზე

(აკროსტიხი)

ლმერთო მაღალო, შენ განუსვენე,  
გრიგოლსა შენსა, ქრისტეს მადევარს.  
ნეტარ ჰყავ იგი უკუნისამდე,  
ტკბილად შეარგე აქ სიმწარით მკვდარს.  
ოხვრით და ცრემლით გამოტირებულს,  
რისხვა ახადე მადლით, უფალო!  
აბრაამისა წიაღსა შინა  
ბინა მიუძღვენ, შენ ძალთაძალო!  
აჰა, მკითხველო, ეს ცრუ სოფელი  
შურის ბუდეა და უგნურების.  
იცოდეთ, ამბობს ამას, ვინც ლოდქვეშ  
ძევს... ამბობს და თვით არ ეყურება.



---

**\* \* \* (ყოლიფერი ტყუილია)**

ყოლიფერი ტყუილია:  
ერთგულემა, შრომა, ღვანლი!  
ცხოვრებაში ვარგა მხოლოთ  
მაგარი ყ., თეთრი ნ...

ბევრი ვნახე სულ უჭკუო  
და გრძნობითაც მთლად გარყვნილი,  
რომ საქვეყნო ფასი ედვა  
და ცხოვრება ჰქონდა ტკბილი.

და აგრეთვე შემხვედრია  
ჭკვანი და გრძნობიერი,  
ცხოვრებაში აგდებული,  
გაკიცხული და მშიერი.

ვერც გრძნობასა და ვერც ჭკუას,  
მისას ველარ გაუჭრია  
მხოლოდ მიტომ, რომ უნდოდა  
ისე ველარ შეურჩია.

ეს ჩემ თავზე გამოვცადე,  
სანამ ვიყავ ღონიერი,  
ჭკუაც მქონდა, გრძნობაც მქონდა,  
ტაშს მიკრავდა ჩვენი ერი.

აღტაცების ნიშნად ერთად  
ქართლ-კახეთი, იმერეთი  
და ახლა კი რომ დავბერდი,  
აღარა სწამთ აღარც ერთი.

---

## შეხვედრა

ვეჰ, გამოცვლილა ჩემ შესახებად:  
იმას ვერ ვხედავ, ადრე რაც იყო!  
მაგრამ რა მეთქმის?.. ჩემი ბრალია! –  
ღირსად გადამხდა ნაცვლად საბრიყო!

დედა და და, თან ქალიშვილიცა,  
ყველა იმასში გამისისხლხორცდა,  
ცა ქუდად არ მჩნდა, მინა – ქალამნად,  
ავმაღლდი სულით, თავი ზეცას ჰწვდა.

ვატყობდი ტრფობით გაგიჟებული,  
რომ ცოტაოდნად მასაც ვუყვარდი  
და მით სამსალა მიმაჩნდა თაფლად,  
წინ მეშლებოდა ეკლის წილ ვარდი!

სიზმარებრ ჩქარა დრომ გაიარა,  
ან სანუგემოს აღარას ველი;  
სიკვდილ-სიცოცხლე და ტანჯვა-ლხენა –  
სულ ერთი არის ჩემთვის ყოველი!

და გადასული ჩემი ცხოვრებაც  
დარჩება მხოლოდ, როგორც არაკი.  
მაშ, დამანერეთ საფლავის ქვაზე:  
„აქ განისვენებს ჩვენი აკაკი“.

---

## ჩემ გამწირავს

რად აღმითქვი სიყვარული,  
თუ რომ ბოლოს ვერ გასტანდი?  
ნუთუ მარტო დროებითად  
სათამაშოდ გულს იფხანდი?

მე კი, ვფიცავ, ძვირად მიზის  
შენი ხვევნა, შენი კოცნა:  
ტრფობის ალი საუკუნოდ  
გულს მომეღვა... შიგ ჩამენნა!..

და მის შემდეგ აღარა ვარ  
არც მკვდარი და არც ცოცხალი!..  
ანმყო-ჩაგრულს... გამწარებულს  
აღარა მრწამს მომავალი!

ყოველივე საამსოფლო,  
სანუგეშო, გულში ჰქრება...  
შენ იყავი ერთადერთი  
და შენვე ხარ ნეტარება!..

მაგრამ მაინც გეთხოვები:  
დაგენაცვლოს ჩემი თავი!..  
და შორიდან შემოგნატრი  
უნუგეშო მომაკვდავი...

---

## ჩემ თავზე

ზამთარი მაშინ კარგია,  
თუ ჯირკი ამკობს კერასა!..  
ცეცხლი ტკბილად ჰკბენს გულ-ბაყვას!..  
გული არ იშლის ძგერასა!..

ზიხარ ბუხრის წინ ფიქრებში,  
გამოხვეული თბილათა,  
გაზაფხულს... ზაფხულს იგონებ  
შემოდგომასთან ტკბილათა.

ანბობ: ყველა დრო კარგია...  
კეთილად მოსახმარია,  
თუ რომ ცხოვრებით შემცდარმა  
კაცმა არ არივ-დარია!

ოთხივ დრო ერთმანეთზედაც  
თანსწორად გადაბმულია.  
სხვადასხვა ბარგით მოდიან  
და წელიწადი სრულია.

ასეა ადამიანიც:  
იმასაცა აქვს ოთხი დრო:  
ყვავილოვანი, სამწიფო,  
დამწიფებული და ყუდრო.

გაზაფხული და ზაფხული,  
თან შემოდგომა ზამთრითო,  
კეთილის მომნიჭებელი  
სხვაგვარად, სხვადასხვა მხრითო!

ჩვენი ზამთარიც კარგია,  
თუ რომ სიბერე თბილია,  
და მოგონება წარსულის  
შეურცხვენელი, ტკბილია.

---

ვზივარ მოხუცი, ბუხრის წინ,  
ფიქრებით გარემოცული,  
ვითვალისწინებ ჩემ წარსულს,  
მიტკბება სული და გული.

მადლობა უფალს! არ მახსოვს,  
ავი რამ ჩამედინოსო  
და უნებურად თუ შევსცდი,  
ვინ არს, რომ აეცდინოსო?

თუ არ მძინარი და მკვდარი,  
უძრავი – უსაქმურია!..  
განა შეცდომით არ დაჰყეფს  
ხანდახან ძალლი... მურია?

მეც ძალლი ვიყავ ქვეყნისთვის,  
მტრებს უგერებდი ერთგულად  
და ქვას მესვროდენ ისინიც,  
მეკიდებოდენ დიდგულად.

წილად მხვდა მარტო ობოლსა,  
ერთგულად დაცვა სახლისა  
და დამივარდა სახელი  
ტყვილად შემპარავ ძალლისა.

მაშინ დიდი და პატარა,  
ყველა მე მერიდებოდა:  
რომ ვგრძნობდი უსამართლობას,  
გულს ცეცხლი მეკიდებოდა!

---

## ჩემი თავგადასავალი

სიბერევე, გამომიჭედე  
ფოლადად ლექსი წყობილი,  
რომ გამოვხატო სავსებით  
ის, ვინც ყოფილა შობილი

ამ ქვეყნად, საუბედუროდ,  
ვისაც თან ახლდა ვაება  
და ვისიც გრძნობა-გონება  
ბოლოს ეკალზე დაება.

სიბერევე, შენ ეგ ჭაღარა  
დაიგვირგვინე თავზედა,  
სწორმხედველობა რომ გქონდეს  
ქვეყნის კარგსა და ავზედა.

ველარ შეგიშლის გული ხელს,  
სისხლი არ ჰბრუნავს ჩქარადა  
და ველარც ფიცხი დაჰყავხარ  
ოცნებას კარის-კარადა.

წავიდა გაზაფხულის დრო,  
დამიდგა ცივი ზამთარი  
და გადასული ყოველი  
შემექმნა როგორც ზღაპარი!

ერთს იმათაგანს გიამბობთ,  
ყური დამიგდეთ ბებერსა,  
ვიცი, რომ მისი მოსმენით  
არც ზნეს დაჰკარგავთ, არც ფერსა;

---

მაგრამ გულში კი, ეგება,  
ჩაგვარდესთ უნებურადა  
და ჭირი აგატანიოსთ  
უფრორე ვაშკაცურადა.

თუ ერთი ვინმე ყოფილა,  
მეცა ვყოფილვარ შობილი,  
მაგრამ კი საჭიროროტოდ  
ამ ქვეყნად გამოხმობილი;

ჩემამდე ყოლა შვილისა  
დედაჩემს უძნელდებოდა,  
თავს მკურნალები ეხვიენ,  
იტანჯებოდა... კედებოდა.

და მე კი ისე ვშობილვარ,  
ფრჩხილიც არ წამოსტკენია.  
გახარებია ეს ყველას,  
მაგრამ თვით დედას სწყენია.

თურმე რაც მეტი ტანჯვაა,  
იქ სიყვარულიც მეტია!..  
მე კი უწყინრად ვშობილვარ  
და გული დამიკეტია.

არ ვყვარებივარ დედასა,  
როგორც სხვა შვილი, ისე მე...  
ბიჭბუჭებში გამაგდეს,  
ის იყო ჩემი სიამე.

---

დილიდან დალამებამდე  
ვამბობდით ზღაპრებს, შაირსა,  
ანდაზებს ახალ-ახალსა  
და სიტყვებს ნაირ-ნაირსა.

დროს ვატარებდით თამაშით,  
სიმღერითა და გალობით.  
ეს იყო შკოლა პირველი,  
გადავრჩი ქირსა წყალობით.

რადგანაც არ ვიზღებოდი  
მე სხვებთან ბატონურადა,  
მიტომაც ჩემზე მდაბალსა  
მე შევეტკობოდი ძმურადა.

ცხრა წლის რომ გავხდი, პირდაპირ  
მიმცეს მე გიმნაზიაში;  
მასწავლებელმა ჩამწერა  
მეც მონაფეთა სიაში.

არავინ მასათუთებდა,  
არვინ მიკრავდა უბეში  
და მეცა წიგნებს მივმართე...  
ის იყო ჩემი ნუგეში!..

იმ წიგნებიდან ვისწავლე  
ბევრი რამ, რაც არ ვიცოდი.  
მებრალებოდენ საწყლები  
და მათის ცოდვით ვინოდი.



---

მაშინ შემძულდა მე ყველა  
დიდკაცად ამაღლებული,  
საერთშორისოდ იმათთან  
არ მიმიწევდა მე გული.

რვა წელიწადი მოვუნდი  
იქ ყოფნას, წერა-კითხვასა.  
კარდაკეტილში ვიჯექი,  
არას ვეძებდი მეტს სხვასა.

რომ გავათავე აქ სწავლა  
და მოვრჩი გიმნაზიასა,  
სულ სხვანაირად შევხედე  
მაშინვე დღესა მზიანსა.

სუყოლიფერი ამ სოფლად  
ვარდისფრად მეჩვენებოდა,  
გადაქცეული ვიყავი  
გრძნობად და გული სდნებოდა.

პოეტად დაბადებული,  
დროს ვატარებდი მღერითა!  
თავს ვატყუებდი თურმე მე  
ლექსების შეთხზვა-წერითა!..

ერთი რამ მკლავდა მხოლოდ მე  
და მისივებდა ის გულსა,  
რომ ჩემს სამშობლოს ვხედავდი,  
სხვებისგან დამონებულსა.

---

მე მიცკევეჩის გმირებში  
მომწონდა ვალენროდიცა,  
ის მამხნევებდა ვაშკაცად,  
გულს ჰშორდებოდა ლოდიცა.

მეც გამიტაცა ოცნებამ,  
რომ შევწეოდი მხარესა  
და ბოლოს, ტკბილის მომლოდნე,  
უშიშრად ვსვამდი მწარესა.

და დავაპირე მხედრობა,  
რომ ხელში მეგდო სარდლობა  
და მოლაღატედ დასახულს  
ბოლოს მიმელო მადლობა.

მაგრამ რომ ჩაველ პეტერბურგს,  
იქ სტუდენტობა დამიხვდა;  
დამიჯდა მათი ნარჩევი...  
წინაგანძრახვა წამიხდა!

მაშინ დავდექი სხვა აზრზე,  
გამომეცვალა მე გული;  
მივხვდი, რომ მხოლოდ მე მგოსნად  
ვიყავი დაბადებული.

და ხელი მივჰყავ მწერლობას,  
ის მიჩნდა ნეტარებადა;  
და მას შევსწირე ყოველი,  
რაც მქონდა და რაც მებადა.

---

წარმოვიდგინე მაშინ მე  
სოფელი სასუფეველადა  
და ანგელოზად კაცები,  
ყველგან სიკეთის მთხეველადა!

საზღვარი აღარ ჰქონია  
ჩემს შვება-ნეტარებასა!  
რას მივხვდებოდი მაშინ მე  
ამ ქვეყნის ცბიერებასა?..

ვენაფებოდი ლექციებს,  
ვეტროფოდი პოეზიასა,  
და ბურუსიან დღეებშიც  
წარმოვიდგენდი მზიანსა...

---

## ჩემი სიმღერა

არ ვიცი, რისთვის ვუყვარდი?  
ან შემძულა რაღადა?  
მაგრამ კი მისი სახელი  
გულზე დამასვა დაღადა.

მხოლოდ წარსულით სულდგმულსა,  
ის მეხატება აჩრდილად,  
გამხუნებია სიცოცხლე,  
არც მწარედ მიჩანს, არც ტკბილად.

და უმისობა ისე მწამს,  
ვით უსულობა ხორცისა.  
არც ცოცხალი ვარ, არც მკვდარი,  
აღარც მინის ვარ, არც ცისა!

და, მაშ, რაღა ვარ? – ობოლი  
და უსახლკარო, ეული,  
დამგმობი მთელი ქვეყნისა,  
კრული და ბრაზმორეული!

რად შემეყვარა ან ადრე?  
ან შემძულა რაღადა?  
და ჩემზე მთელი ქვეყანა  
ახნმო... ალაღადა?..

ნეტავი იმ ტკბილ შარბათში  
რაღად ურევდა სამსალას?  
იმიტომ თურმე, რომ მხოლოდ  
გამოიცდიდა თვის ძალას:

მამაკაცს თავგად ჰსახავდა,  
თავს იხატავდა კატადა!..  
ახლა მეც მივხვდი, მაგრამ, ეჰ,  
მაინც ისა მყავს ხატადა!

---

## ჩემი სიმღერა

ტიალმა წუთისოფელმა  
ნალველი დამალევია,  
არც მომკლა, არც დამარჩინა,  
არც სული დამალევია.

გაჩენის დღესა ვინყველი,  
სიცოცხლის ნამსა ვაჩვენებ;  
მატყუარ სოფელს ვატყუებ:  
რასაც ვგრძნობ, მას არ ვაჩვენებ!

ცრემლი რომ მალრჩობს, ვიცინი...  
ჩემი პირბადე ის არი!..  
სხვას ხელთ რად მივსცე ჯირითად  
მე ჩემი გულის ისარი?!

ჩემი ეკალი სხვებისთვის  
იაა, ზამბახ-ვარდები.  
თავო, ნუ ეძებ თანამგრძნობს, –  
სისულელეში ვარდები!

სჯობს, ისევ მწარე სოფელმა  
ნალველი დამალევოს,  
არც მომკლას, არც დამარჩინოს,  
არც სული დამალევოს!

---

## ცვალებადია

ვის შერჩენია ერთი დრო?  
სოფელი ცვალებადია:  
დღეს რომ ტახტსა სდგამს ოქროსას  
ბედი, ხვალ მახე-ბადეა.

ერთხელ მეც ვიყავ ბედნიერ  
და „თავს ვაჭერდი ზეცასა!“  
„ცას ქუდად აღარ ვაგდებდი,  
ქალამნად – დედამინასა!“

გვარიშვილობით, სიმდიდრით,  
თვალ-ტანადობით შემკულსა,  
ქვეყანა მეთანხმებოდა,  
„ნანას“ უმღერდა ჩემ გულსა!

დღეს სადღა არის ანც ერთი?  
რალა ვარ? რა მაბადია?..  
და თავს ვნუგეშობ, რომ ვხედავ:  
ცხოვრება ცვალებადია!..

არ ვნაღობ არც ერთ დანაკარგს,  
გამოვიმგლოვე ყოველი.  
ის აღარა ვარ, რაც ვიყავ!  
რაც მქონდა – აღარ მოველი.

მხოლოდ გულს კი მწყვეტს ერთი რამ...  
ვერ ურიგდება გონება!..  
ის ერთი ერთად ყოფილა  
თურმე ნამდვილი ქონება.

სამოთხის ნაშთზე ამ ქვეყნად,  
მე ვამბობ სიყვარულზედა,  
როცა ციური ბეჭედი  
კაცს დაესობა გულზედა.

---

## ძალა აღმართს ხნავსო

დათვმა სთქვა: არ მძულს ფუტკარი,  
რომ მისი დღენი დავლიო  
და მიყვარს ნაწარმოები  
იმისი მხოლოდ თაფლიო.

მაგრამ, რომ მივდგე სკის პირად,  
არ მაქვს ამისი ნებაო!  
გამოდის მოსაფერებლად  
და მწარედ იკბინებაო!

მე კი რას შევეპუები  
მის მახვილს... შხამ-ისარსაო!  
დავტორ-დავბელამ საფუტკრეთს  
და გაუდგები შარასო.

ხომ იცის, ძალმომრეობით  
ის თაფლი მე დამრჩებაო?  
არ ურჩევნია გაფრინდეს?  
მით სიკვდილს გადარჩებაო!

და ვასტორგოვმაც ასე სთქვა:  
არ მძულს ქართველი ერიო!  
რაც ტყვილს არა მწამებენ,  
არ ვარ პირადი მტერიო!

მე მომწონს მათი ქვეყანა,  
მაზედ მიჭირავს თვალიო,  
რომ ავასრულო ვით რუსმა  
პატრიოტული ვალიო:

---

ჯერ იმათ ნასახლ-კარევეზე  
მსურს რუსი დავასახლოო  
და მერე, ღმერთმა გამკითხოს,  
თუ იმათ ხელი ვახლოო!

გადიხარხარა მგოსანმა:  
მომწონს მე მათი ძრახვაო,  
მაგრამ მტერსაც კი აშოროს  
ღმერთმა იმათი ნახვაო!...



---

## „ძროხის ტყაოსანიდამი!“

ნახვა მის ყმისა ძროხის ტყაოსანისა

– ნახეს უცხო მოყმე ვინმე,  
სჯდა მტირალი წყლისა პირსა,  
ჭრელი ძროხა გიდლის ღვლეჭით  
ხელში ეპყრა ვითა გმირსა.  
კუდი მალლა აებზიკა,  
თავს იხრიდა დაბლა ძირსა,  
და ნედლითა ბალახითა  
უტენიდა მის მსხვერპლს პირსა.

თვალში ჰკოცნის, ყელს ეხვევა,  
გავაზედა უსვამს ხელსა,  
ნეტარებად მიაჩნია,  
მისთვისა სთმობს ამ სოფელსა.  
კიდეც ცდილობს, ცხრა თვეზედა  
ძროხას გაზრდის მოსაწველსა,  
და ძუძუებს დაუნველის  
გაიკეთებს მისგან ყველსა.

ეუბნება, ჩემო ჭრელავ,  
ადვილო და უფასურო,  
ადრე ვსდევდი სხვაფერ ძროხებს,  
არ ვარ სხვაზე უმსახურო.  
მუდამ თავზე ვეველებოდი,  
გულს ვეკვროდი, ვითა სურო  
და მაგათ ვერ გამიტანეს,  
საქმე მიყვეს დასამდურო.

შენ გენდობი, რადგანაც ხარ  
მათზედ ენადაცულო,  
არვის ეტყვი საიდუმლოს,  
თავში გცემო გინდ ცულო.

---

მეგობარსაც არ შეიყვან,  
არაში გასურს შენ ფულიო,  
და არც გინდა ფარჩა-ფურჩა,  
ბუნებით ხარ შემკულიო.

ესე უთხრა და მიზდია,  
პირველ, კუდში სტაცა ხელი,  
მაგრამ ძროხა შეუშინდა,  
ეგონა, თუ იგი მგელი.  
აკვინტა და შეკუნტრუშდა,  
წიხლები ჰკრა ფერდზედ ცხელი,  
და ხელიდამ წაუვიდა,  
გადირბინა მკვირცხლად ველი.

ფეხი ელძო ჭაბუკს და სთქვა:  
„ჰე, დავრჩი მე ცარიელი,  
ამანაც რომ ასე მიყო,  
სხვა ძროხისგან რაღას ველი,  
არა მიჯობს ამთავითვე,  
ძროხებზედ ავიღო ხელი?  
და არც მათი წიხლი მინდა,  
არც იმათი ჭყლინტი ყველი“.

აღთქმა დასდვა, შეინანა,  
რაც რომ ადრე დაიკვეხნა,  
და გაბრუნდა გულმოსული  
და დაუნყო ქოთნებს ტეხა.  
მისი ძველი ძროხის ტყავი  
ისარზედა წამოეხა,  
დარჩა ასე გატყაული,  
დადის კოჭლი და ცალფეხა.

---

## ჭალარა

ვერ მიპატივა ჭალარამ,  
გრძნობამ გულს ხელი დარია  
და მოხიბლული გონება  
საამოდ ცოცხალ-მკვდარია.

გაჰფანტა ბინდი გულისა,  
მოსხივცისკარობს დარია!..  
საუკვდაებო ეს გრძნობა,  
ტკბილი სამოთხის დარია!..

ბევრჯერ შევმცდარვარ! რწმუნება  
ეგებო ახლაც მცდარია!..  
მაგრამ მოვსტყუვდე, რა მგამა,  
თუკი ჩემს გულში დარია!..

---

## ჭეშმარიტება

ერთხელ მონაფემ გასცა მოძღვარი  
და გასაყიდად შეახო ხელი.  
მოძღვარი იყო თვით მაცხოვარი  
და მონაფე – ისკარიოტელი.

ფარისევლების და მნიგნობრების  
რჩევით ჩაიგდო ბრბომ ქრისტე ხელში,  
და კუდაბზიკურ მედიდურობით,  
ის გაიმართა უგნურად ნელში!

ჰგვემა და ჰნერწყვა თვით უცოდველი,  
ეკლის გვირგვინი დაადგა თავზე.  
„მოგვეც ბარაბა!.. ჯვარს აცვით ქრისტე!“  
ჰყვიროდნენ ერთხმად... გასცვალეს ავზე.

მაგრამ ქრისტე კი, მოძმეთ გულისთვის  
როდესაც ჯვარზე იყო განთხმული,  
მტრებს ავედრებდა მამას ზეციერს  
და სიყვარულით უძგერდა გული:

„ღმერთო მალალო! შენ ნუ მოჰკითხავ  
დამნაშავეთა ამ შეცოდებას!..  
მათ არ უწყიან, თუ რას ჰჩადიან...  
სიკვდილს აძლევენ თვით უკვდავებას!“

შემდეგ იწამა კაცობრიობამ...  
თაყვანიცა სცა, ვით უკვდავებას,  
და საუკუნე სდევს საუკუნეთ,  
რომ აღიარებს, როგორც ღვთაებას.

ეკკლესიაში მის სადიდებლად  
ერთხმად ჰგალობენ წმინდა ტროპარებს,  
მაგრამ მის სიტყვას და მის ნამოძღვრალს  
დღესაც უკეტენ ყოველგან კარებს.

---

## ხალხი ცხვარია

ხალხი ცხვარია საკრეჭი  
და ძაღლი – მამულისშვილი,  
რომელიც მიტომ ჰყეფს და ჰღრენს,  
რომ სტანჯავს გულისტკივილი.

თავისიანებთან არ იცის,  
მან ალერსი და ბოდიში!  
სადა სცალიან! სამშობლოს  
მტრისა აქვს რიდი და შიში.

მაგრამ ის ხალხსა უმეცარს,  
პირადი მტერი ჰგონია  
და ვინც ატყუებს, მხოლოდ ის  
მის თვალში მოსაწონია.

და ან კი რა ქნას, როდესაც  
ავ-კარგი არ ეყურება,  
ერთგულებს სდევენის და ორგულს,  
პირიქით, ემსახურება?

ბოლოს კი, როცა უეცრად,  
ცეცხლში ვარდება და ჭირში,  
წვერ-ულვაშს იგლეჯს და მუშტებს,  
სიმნარით იცემს ცხვირ-პირში.

მაგრამ, რაღა დროს, ვინ შესცვლის  
მათ უგნურების შავბედსა?  
ვინ გაანელებს მეორედ,  
ერთხელ დამწვარსა [აბედსა]?

---

\* \* \*

Эхо! Отвечай-ка,  
Почему, как чайка  
любит воду рак,  
Эхо: дурак!

Сообщи мне, эхо:  
Скоро ли для смеха  
Мне задаст бал бес?  
Эхо: балбес!

Почему минутой  
Я поклонник лютый  
Не столиц а сёл?  
Эхо: осел!

ყრმობისდროინდელი  
შაირები





---

## საბაზზე

შენი გამომცხვარი პური,  
ლავაში და მურასაო,  
ადამიანს არ ეჭმება,  
გადუყარეთ მურასაო.

## შინაყმა თომა სადუნიშვილზე

ყვავო, ყვავო, ყვანჩალო!  
ჩამოგივლია ქალო:  
თუ შეიტყვე, როდის მოვა  
ჩვენი თომა ქაჩალო?

## ქრისტეფორე ბერზე

ქრისტეფორე ბერიაო,  
ცოდვას გაუბერიაო;  
წვერები ჩვენს ვაცს მიუგავს,  
განზე გაუშვერიაო.

## ხელოსან-მემარნეზე

ხელოსანი მარანშია,  
ღვინოს იღებს ხაპითაო,  
ჭურის თავზე იბრუჟება,  
სხვებს კი ასმევს ყლაპითაო.

---

## მოურავზე

ბელელს თავგი შესჩვევია,  
ხრავს სულ, რაც სახრავიაო,  
მაგრამ თითონ დიდი თავგი,  
თითონ მოურავიაო.

## ქათამზე

საბუდარში ჩამჯდარიყო,  
კაკანობდა ქოჩორაო,  
მაგრამ კვერცხი არ დაედვა,  
ტყუილები მოჭორაო.

## ცხენზე

მთაში იყო თეთრი ბაჩა,  
როგორც იყო მგლებს გადარჩა:  
როცა ბარში ჩამოვიდა,  
მეველეებს გაექაჩა.

---

## მოდღვარი და მონაფე

მოდღვარი

მოდი, შვილო, აღმიარე ცოდვა შენი, დაფარული!  
საკანონოს მოგცემ რასმე, განიწმიდე ცოდვით სული!  
შენ იცი, რა ძალას გვაძლევს ჩვენის ხსნისათვის ჯვარცმული,  
ვისაც ცოდვას არ შეუნდობთ, ის იქნება ცაშიც კრული.

მონაფე

შევცდი, მამაო, გარდავხედ მე შენსა დარიგებასა:  
ეშმაკი მექმნა მაცთურად, მან შემამთხვია ვნებასა,  
ცოდა რამე ქურდობა ვქმენ, ჰუვარვყავ მერვე მცნებასა  
და დღეს ვითხოვ ამ ცოდვის მე შენგან მოტევენებასა.

მოდღვარი

ოჰ, ურწმუნო, რომ გითხოვდი, ჩემი რათ არ შეიგონე?  
არ კი გითხარ? რისთვის შეცდი? ეშმაკს ეგრე დაემონე.  
ეხლა გირჩევ ასე ქენი, – აღარ არის მეტი ღონე, –  
ანნი ნულარ დაუჯერებ, აღიდე და ღმერთსა მონე!

მონაფე

ნუ გამიწყრები, სხვას გეტყვი მე კიდევ აღსარებასა:  
მირჩია იმა წყეულმა, ჩამაგდო შეცოდებასა, –  
მოყვასა ცილი შევწამე, გარდავხედ მეცხრე მცნებასა,  
საკანონოს თუ დამდებ, ვეცდები მონანებასა.

მოდღვარი

შვილო ჩემო, მძიმე არის საკანონო მაგ ცოდვისა,  
მაგრამ მე შეგისუბუქებ, თუ იქნება ნება ღვთისა,  
ანნი მაინც აღარ შეცდე, არ ირწმუნო ეშმაკისა,  
იმისი რჩევა არ ვარგა, არც ცუდისა, არც კარგისა.

---

მონაფე

მამაო, ან ველარ მაცთენს მე იგი შერვენებული,  
ალარარას დაუჯერებ მე, თქვენგან დარიგებული,  
თუმცა ერთს საქმეზედ ვიყავ მე მისგან დარიგებული:  
მუდამ მირჩევდა წყეული, რომ თქვენთვის მომეცა ფული.

მოდღარი

შვილო, მე ის კი არ გითხარ, თუ ყველა არ ვარგია,  
ბევრჯერ მაგისთანა რჩევა ეშმაკისაც კარგია.

### <ეკატორინე>

ერთგულება ოჯახისა მრავალს კეთილს გააჩენსა:  
კლდესა შრომით მიწად შეიქმს, უთევზო წყალს თევზს აჩენსა,  
არად შერაცხს შრომას, ტანჯვას, საბოლოოდ მოსალხენსა,  
ტკბილსა შეიქმს მწარისაგან, ბნელსა ადგილს ნათელს ჰფენსა;  
იდუმალ ინყებს კეთილსა, საბოლოო მოსალხენსა.  
რა საჭიროა გეგმები? თვით გააჩენს უნახველად,  
იტვირთავს ძნელსა საქმესა, აღასრულებს უცოდველად.  
ნახეთ, მოდით, უცხო რამე, არ ნახულა რაცა ძველად:  
ედემს ბალი დაამსგავსა, ჩასჩქევს წყალი მოსარწყველად!

ჩყნბ წელსა აპრილის დ-ს დღესა

[1852 წ. 4 აპრილს]

დამატებანი



---

## კინტო

ერთი ვინმე კინტო ვარ,  
საყვარელი მეცა მყავს!  
ის სულ სხვა ვარდი არი,  
სხვის საყვარელს არა ჰგავს!

შავგვრემანი, შავთვალა,  
ეშხის ცეცხლით მწველია!  
ბაიყუში ქმარი სძულს,  
ჩემი საყვარელია!

საცა წავალ-წამოვალ,  
მაგონდება სულ ისა!  
იმას კი ვენაცვალე,  
ჰოი, მისი სულისა!

დაღამდება თუ არა,  
მელის გულის ძგერიტა;  
მე ჩაეუვლი კარ-და-კარ  
თარიტა და მღერიტა.

თუ რომ დრო აქვს შემხმობს,  
ალარ უნდა ვედრება;  
ვფიცავ, ჩემს საყვარელსა  
სხვისი ვერ შეედრება!

ჭირიმე! ჭირიმე! ჭირიმე!  
შავგვრემანის ჭირიმე!  
ჭირიმე! ჭირიმე! ჭირიმე!  
შავ-თვალ-წარბის ჭირიმე!

1879 წ.

---

\* \* \*

თავადსა და მთავრის შვილებს,  
ერთად გვჩაგრავს დღეს მონება,  
რალა გვრჩება ძველ დროსაგან,  
თუ არ ტკბილი მოგონება.

უხვი გული, პურ-მარილი,  
ლხინი, თავის მონონება,  
და თქვენგვარის მეგობრების  
ჩვენსას სტუმრად მობრძანება.

მაგრამ ვაჰ, თუ ძველებურად  
გულმა ველარ მოგვილხინოს,  
რადგანაც დღეს ვერ შევხვდებით  
იმ ძველებურს თამარს, ნინოს.

იმათ ნაცვლად გარუსებულს  
ვნახავთ ქალებს სასაცილოს,  
მაგრამ რა ვქნათ, დავსჯერდებით,  
რომ გადავკრავთ ცოტა ღვინოს.

[1891 წლამდე].



სავარაუდო



---

## სპარსელი ქალის „იავნანა“

(ექდგნება ჩვენს მეზობელს თათრის ქალებს)

დღესა სცვლის ღამე, ღამეს – დღე.  
ბნელეთს მზის სხივი ნათელი,  
ზაფხულს-ზამთარი და ზამთარს –  
გაზაფხულისა დამცველი.  
სიკვდილს – სიცოცხლე, სიცოცხლეს –  
კვალად სიკვდილი გამქვრელი...  
არ იქმნა, ჩემი ვარსკვლავი,  
ველარ გამოჩნდა ცაზედა,  
უბედოს ბედის მწერლისგან  
ცა არა მხურავს თავზედა.  
თითქოს მონად ვარ შობილი,  
მსოფლიოს მთას და ბარზედა!  
ერთად შენ მყევხარ, ნუგეშად,  
ნაჭერო ჩემის გულისა.  
მონა-დედისგან შობილო,  
გზა-ხიდად სიყვარულისა;  
შენც ნუ დამტოვებ და გქონდეს,  
ცნობა რამ სიბრაღულისა!  
ნანინა, ნანა! პატარავ,  
ჯერ ყრუ-მუნჯი ხარ, მძინარე,  
არ იცი ჩვენი დუხჭირი  
ცხოვრება, ავად მძინარე;  
არ იცი, შენსა მშობელსა,  
მამა რარიგ ჰყავს მძინარე!..  
მე გშობე, უნდა გაგზარდო, –  
ყურში განვეთებ ამასა:  
არ იყო მხეცი, ნადირი –  
არ დაემზგავსო მამასა.  
მეც მიცან ადამიანად,  
არ გნუკავ მხოლოდ ჭამასა,  
ცხოვრება წარმავალია,  
მე კი ისევე ისა ვარ,  
პირახვეული, „ჭკვამოკლე“,  
თითქო პირუტყვი, „ძროხა“ ვარ...

---

ყოველგან გამორჩეული,  
აჩრდილის მზგავსად დავდივარ!..  
ნანაო, ნანა, პატარავ,  
ჯერ თუმც მუნჯი ხარ, მღიმარე,  
გამოიზრდები, გაიცან  
ჩვენი ცხოვრების მდინარე.  
იკითხე, როდემდის ვიყვნეთ  
ბნელ-უკუემეთში მძინარე!..  
ერთკერძ ყმა, – იქით ბატონი;  
მჩაგვრელი, – იქით ჩაგრული,  
ენას რო ძალით გვგლეჯავენ,  
თვით ენა – პირით დართული,  
იკითხე: ისე რამა გვქნა  
ცხოვრების შიგან ჩართული!..  
მე ჰარამხანა მარგუნეს,  
მომიკლეს გული ნდომისა,  
მონა ვარ მამიშენისა –  
ჟინი აქვს გამორჩომისა,  
აზრ-გუნებას კი მიყალბებს,  
რცხვენის გვერდს ჩემი დგომისა!  
ჩადრში ვარ გამოხვეული,  
ყველასგან გარიდებული,  
ლოგინის მსხვერპლი... მშრომელი,  
ძროხასთან დაბადებული;  
ღვთისა ქმნილება, სწორისგან  
უმართლოდ დადაბლებული!  
ნანა, ნანინა, პატარავ,  
იცან – რათა ვარ მწუხარე,  
ძუძუს განოვებ, იზარდე, –  
გახდი მშობელის მომხმარე,  
ქალ-ვაჟის გასასწორებლად,  
ხმა შემომძახე მქუხარე!

[1908 წ.]

ვარნიანტები  
შენიშვნები  
კომენტარები



## ტექსტისათვის

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის III ტომი მოიცავს 1901-1914 წლებში დაწერილ, აგრეთვე, უთარილო და ყრმობისდროინდელ ლექსებს.

განყოფილებაში „უთარილონი“ იბეჭდება ლექსები, რომლებსაც არა აქვთ ავტორისეული თარიღი და კვლევა-ძიებით მათი დათარიღება ვერ მოხერხდა. უთარილო ლექსებს მოსდევს განყოფილებები: „ყრმობისდროინდელი ლექსები“ და „დამატებანი“, რომელშიც შევიდა გამოტოვებული „კინტო“ და „... თავადსა და მთავრის შვილებს...“, „სავარაუდო“-ში შეტანილია „სპარსელი ქალის იავ-ნანა“.

ნაწარმოებთა წყაროების დადგენისას ძირითადად ვეყრდნობოდით აკაკი წერეთლის „ჩემი ნაწერების“ I და II (1912-1913 წ.წ.) ტომებს, ლექსების ავტოგრაფებს, მწერლის თხზულებათა სრული კრებულების შვიდტომეულს (მთავარი რედაქტორი პავლე ინგოროყვა, თბ., 1940-1961), აკაკის თხზულებათა თხუთმეტომეულს (გიორგი აბზიანიძის, იოსებ გრიშაშვილის, ლევან ასათიანის რედაქტორობით, თბ., 1950-1963), რომელიც შეესებულია შემდგომში გამოვლენილი ახალი მასალით (როგორც ხელნაწერი, ისე ნაბეჭდი წყაროებით). აგრეთვე, ნოდარ გურგენიძისა და ილია გორგაძის „აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატინეს“ თბ., 1989, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემას „უცნობი აკაკი“ (შემდგენლები: იუზა ევგენიძე, ნანა ფრუიძე, თბ., 2001).

ტომში პირველად იბეჭდება ოცდაათი ლექსი, გაბნეული როგორც პერიოდულ პრესაში, ისე მწერლის არქივებში, რომლებიც დაცულია თბილისსა და ქუთაისში. რამდენიმე მათგანი მიკვლეულ იქნა სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში. ტომი შეივსო აკაკის უცნობი ავტოგრაფებით და მივიწყებული ლექსებით, რომლებიც პრესაში გამოქვეყნების შემდეგ არც ერთ გამოცემაში არ შესულა. ექვსი მათგანი, რომლებიც პირველი პუბლიკაციის შემდეგ აღარ დაბეჭდილა და პოეტის თხზულებათა არც ერთ გამოცემაში არ შესულა, მოგვანოდა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, ან გარდაცვლილმა იროდიონ ერემეიშვილმა. მიკვლეულ იქნა აგრეთვე ერთი ლექსი („სამხიარულო, სალხინო ხმები“), დაბეჭდილი გაზეთ „საქართველოს“ სურათებიან დამატებაში (1916 წ. №18). გარდა ამისა, ჩვენს ტომში წარმოდგენილია 15 ლექსი, რომლებიც შეტანილი იყო პოეტის თხზულებათა შვიდტომეულ-

ში, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, თხუთმეტტომეულსა და სხვა გამოცემებში აღარ დაუბეჭდავთ.

წინამდებარე გამოცემაში არ ვბეჭდავთ ლექსებს, რომლებიც ჩართულია მწერლის სხვადასხვა ჟანრის თხზულებებში და ავტორს ისინი ცალკე არასოდეს გამოუქვეყნებია, რადგანაც მათ დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება არ გააჩნიათ და გასაგებია მხოლოდ შესაბამის კონტექსტში. ყველა ასეთი ლექსი გამოქვეყნდება სათანადო ტომებში.

ორი გამოცანა – („პირველი პირადი ზმნა“) და („პირველი ყვავილი არის“) ტექსტიც, სარჩევშიც და საძიებელშიც გამოცანებთან ერთად მოვათავსეთ.

სამეცნიერო აპარატის ე.წ. პასპორტში მითითებულია ნაწარმოების ავტორისდროინდელი ყველა ხელნაწერი და ნაბეჭდი წყარო, ძირითადი ტექსტიდან განსხვავებული რომელიმე წყაროს სათაური, თარიღი, ხელმოწერა.

ძირითადი ტექსტის დადგენისას, უპირატესობა მივანიჭეთ იმ გამოცემებს, რომლებიც მომზადებულია აკაკის უშუალო მონაწილეობით და ნათლად ჩანს ავტორის ბოლო ნება, ასეთებია: „სიმღერა აკაკისა“ (1903 წ.), „ჩემი ნაწერები“, ტ. I (1912 წ.) და ტ. II (1913 წ.).

ძირითად წყაროდ აღებულია ავტოგრაფი ან ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც გამოხატავს ავტორის ბოლო შემოქმედებით ნებას.

ლექსები განლაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ავტორისეული თარიღი მითითებულია ლექსის ბოლოს. სამწუხაროდ, ლექსების უმეტესობა დაუთარილებელია, ასეთ შემთხვევაში თხზულების თარიღი განისაზღვრება პირველი პუბლიკაციის ან სხვა რეალიების მიხედვით. ამგვარი კვლევა-ძიების გზით დადგენილი თარიღი ტექსტის ბოლოს კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული, სათანადო განმარტება კი, ამა თუ იმ ლექსის დათარიღების შესახებ, წარმოდგენილია ლექსის პასპორტში.

მაგ. ოც ლექსს პავლე ინგოროყვა ათარიღებს 1907-1908 წლებით. მკვლევარი წერს: „ყველა ეს ლექსი მოთავსებულია აკაკის ხელით გადაწერილ რვეულში H-1484“ (ახალი №80 ლ.შ.). ჩანს, იგი გადაწერილია 1907-1908 წ.წ., რის შემდეგაც პოეტს ისინი გადაუტია ჟურნალ „ნაკადულში“ დასაბეჭდად 1908 წლის პირველ ნახევარში. ლექსები ამ რვეულიდან იბეჭდებოდა ჟ. „ნაკადულში“ 1908 წლის ივლისიდან 1909 წლის თებერვლამდე. ამავე რვეულის მიხედვით ქვეყნდებოდა ლექსები ჟ. „განათლებაშიც“ (1910 წლის იანვრიდან – 1911 წლის მაისამდე). ამრიგად, დასახელებული ლექსები, რომლებიც გამოქვეყნდა 1908 წლიდან



1911 წლამდე, დაწერილია დაახლოებით 1907-1908 წლამდე, ანუ, უფრო ზუსტად, არა უგვიანეს 1907-1908 წლებისა (ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 1908 წლის ივლისისა)“. (აკ. წერეთელი, თხზულებანი შვიდ ტომად, 1941, ტ. II, გვ. 758). ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ.

უთაროდო ლექსები დალაგებულია ანბანური თანმიმდევრობით.

თითოეული ლექსის ტექსტი შეჯერებულია ყველა ხელნაწერ და ნაბეჭდ წყაროსთან. გათვალისწინებულია ავტორის ბოლო ნება, უცვლელად დავტოვეთ ცალკეულ სიტყვათა ავტორისეული დაწერილობა და პარალელური ფორმები (იდიალი – იდეალი, ახალგაზრდა – ახალგაზრდა და სხვ.). ჩვენ მიერ შესწორებულია მხოლოდ კორექტურული შეცდომები, პუნქტუაცია და კომპოზიტების მართლწერა.

რამდენიმე ლექსის დასათაურება ავტორს არ ეკუთვნის და ისინი რედაქტორ-გამომცემელთა მიერაა მიცემული, მაგრამ რადგან მკითხველი მათ ამ სათაურით იცნობს, ჩვენ უცვლელად დავტოვეთ და ისრისებრ ფრჩხილებში მოვათავსეთ, რაზეც მითითებულია შენიშვნებში.

აკაკის თხზულებათა წინა გამოცემათა რედაქტორ-გამომცემლების (ალ. აბაშელი, პ. ინგოროყვა, გ. აბზიანიძე) კომენტარებს, როდესაც ვიზიარებთ, სათანადო მითითებით ვიმონუმებთ ჩვენს გამოცემაშიც.

ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარები ემსახურება ტექსტის უკეთ გაგებას.

ტომს ერთვის ავტორის ტექსტსა და სამეცნიერო აპარატში მოხსენიებულ პირთა, გეოგრაფიულ სახელთა, ლექსების ანბანური საძიებელი და სარჩევი.

I-II ტომისგან განსხვავებით, III ტომის ლექსების ანბანურ საძიებელში წარმოდგენილია როგორც ძირითადი ტექსტების, ასევე ვარიანტების სათაურები მუქი შრიფტით. ანალოგიური საძიებლები I და II ტომებში დაბეჭდილი თხზულებებისათვის განთავსდება აკაკი წერეთლის აკადემიური გამოცემის XX ტომში.

სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ტექსტი იბეჭდება ავტორისეული ენობრივი ფორმების სრული დაცვით. თანამედროვე გრამატიკული მართლწერის მიხედვით გასწორდა მხოლოდ პუნქტუაცია და კომპოზიტები (ზოგი გამონაკლისის გარდა). ტექსტებში ყოველგვარი სწორება და ტექსტებს შორის სხვაობანი ნაჩვენებია ვარიანტებში.

ჩანართზე წარმოდგენილი აკაკის სურათის ასლი ინახება სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში. ლექსის ავტოგრაფი – ქუთაისის სახელმწიფო მეზეუმის აკაკი წერეთლის ფონდში № 2173/954.

ლამარა შავგულიძე

## პირობითი ნიშნები:

განყოფილებაში “ვარიანტები, შენიშვნები და კომენტარები” — ლექსების სათაურის შემდეგ დასახელებულია წყაროები, რომელთა მიხედვით მომზადდა ჩვენი გამოცემის ძირითადი ტექსტი.

T ლიტერით აღნიშნულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული აკაკი წერეთლის პირადი არქივი.

K – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული აკაკის ფონდი.

Q – ნ.ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული კირილე ლორთქიფანიძის არქივი.

S – სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი.

Z – საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის საცენზურო კომიტეტის ფონდი.

G – სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მ. აბელიანის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის, ლიტერატურის მუზეუმის გ. სუნდუკიანცის არქივი.

A – ლიტერი ყველგან აღნიშნავს ლექსის ძირითად წყაროს, რომლის მიხედვითაც იგი დაბეჭდილია ჩვენს გამოცემაში.

თსკ – თხზულებათა სრული კრებული.

ვარიანტული ჩვენება რომ უფრო ნათელი იყოს, მიღებული გვაქვს შემდეგი პირობითი ნიშნები:

] ნაცვლად (მაგ. ჟღერა) ჟღარუნი BC, ნიშნავს, რომ ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი “ჟღერა”-ს ნაცვლად BC წყაროებშია “ჟღარუნი”.

+ ტექსტს ემატება: მაგ. ვუქებდი + წარსულს B, ნიშნავს, რომ ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი სიტყვა “ვუქებდი” B-ში იკითხება “ვუქებდი წარსულს”.

– არ არის: მაგ. “გზა” – D, ნიშნავს, რომ “გზა” ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებით, D-ში არ არის.

~ სიტყვები გადასმულია: მაგალითად, “ვყოფილვარ სოფლად” ~ E, ნიშნავს E ვარიანტში იკითხება: “სოფლად ვყოფილვარ”.

[...] — ვერ ამოვიკითხეთ.

ლექსების პასპორტებში გამოტანილია ორი ციფრი (მაგ. 12.7): პირველი ციფრი მიუთითებს ტომის გვერდს, ხოლო მომდევნო – ლექსის სტრიქონს (ზემოდან), სათაურები და სტროფებს შორის გამყოფი ნიშნები სათვალავში არ შედის.

1901

### შედარება (გვ. 7)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი K 77(B)

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „ჯეჯილი“, 1901, №3, გვ. 3-4(A) .

თ ა რ ი ლ ი: [1901].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი A.-B.

7 ჩემს] ჩემ B. 14 ფუტკრადა] ფუტკრათა B.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### მეგობარს (გვ. 8)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1901, №124, 10 ივნისი, გვ. 2.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ვუძღვნი ბ-ნ გ. სუნდუკიანცს.

თ ა რ ი ლ ი: [1901].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

გ. აბზიანიძე შენიშნავს: „გ. სუნდუკიანცის პიესები, რომლებშიც მრავლადაა გაბნეული ქართული ლექსები, ანდაზები და გამოთქმები, ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე. მწერალს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ჩვენი თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებთან (იხ. გ. სუნდუკიანცი, „პიესები“, ი. გრიშაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1950).

გარდა ლექსისა „მეგობარს“, აკაკიმ გ. სუნდუკიანცს მიუძღვნა აგრეთვე ლექსები: „გ. ნ. სუნდუკიანცს“ (1910 წ., იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 169) და „გაბრიელ სუნდუკიანცის დამარხვის დღეს“ (იხ. აქვე 1912 წ. გვ. 187), აკაკის კალამს ეკუთვნის საინტერესო მოგონებაც გ. სუნდუკიანცის შესახებ (იხ. აკაკი „გახსენება“, „თემი“, 1912, №64 )“.

**სუნდუკიანცი გაბრიელ მკრტიჩის ძე (1825-1912)**, სომეხი მწერალი, დრამატურგი, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში. იყო აკაკი წერეთლის ახლო მეგობარი.

### კ. უმანეცის ალბომში (გვ. 10)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 72, ფ. 28v (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1901, № 130, 17 ივნისი, გვ. 2 (A).

ს ა თ ა უ რ ი: კ. უმანეცის ალბომში B.

თ ა რ ი ლ ი: [1901].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი A.-B.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**10. 1** ახალგაზრდა ] ახალგაზდა B. 8 მირჩენია იყოს] მინდა ვიყო  
მელა B. 12 შეუმკიათ] შემკულია B. 13-16 შევეკითხე... დაიხატო – B. 14  
ანდამატო] ჰანდამატო B. 23 განზრახვაა] განძრახვაა B.

**უმანეცი კატო** — გაზეთ „კავკაზის“ თანამშრომლის, ს.ს. უმანეცის  
ქალიშვილი.

### მგოსანი (გვ. 11)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1901, №176, 17 აგვისტო, გვ. 1.

თ ა რ ი ლ ი: [1901].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით

**11. 2** სალარო] სადარო.

### \* \* \*(ერთადერთად, ქვეყნის ღმერთად... ) (გვ. 12)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი T 14525 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1901, №178, 19 აგვისტო, გვ. 2. (A).

ს ა თ ა უ რ ი: ჩემს სათაყვანოს B.

თ ა რ ი ლ ი: [1901].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A. –B.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**12. 1** ერთადერთად] ერთათერთათ B. 6 ჩემის] ჩემი B. 7 ერთადერთო]  
ერთათერთი B. 8 მონებისო] გონებისა B. 11 გამსხვერპლო] მიმსხვერპლო B.  
16 აიაზმად] აიაზმათ B. 18 ვარდისფერად] ვარდისფერათ B. 24 გამნედლებ-  
ელ] გამწმენდელი B.

B-ავტოგრაფი ინახებოდა მ.საფაროვა-აბაშიძის არქივში. აკაკიმ მსახ-  
იობ ქალს თავისი სურათი უძღვნა ამ ლექსით (ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი  
წერეთლისა, 1953, გვ. 471).

### ბულბული (გვ. 13)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1901, № 184, 26 აგვისტო, გვ. 1.

თ ა რ ი ლ ი: [1901].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### ჩანგი (გვ. 14)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 58(B), K 73 (C), K 181 (D), ასლები: K 216 (E). K 218 (F).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1901, №265, 6 დეკემბერი (A).

თ ა რ ი ღ ი: 1901 BF, – ACDE.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A. –BCDEF.

ლექსს ვათარილებთ ავტოგრაფზე დაყრდნობით, ხოლო ტექსტი იბეჭდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**14. 1** ჟღერა] ჟღარუნი F 5 და... ტახტიც] მათი აკვან-ტახტიცა E. 11 მფენნი] მფენი E. 12 მნათობთ] მნათობს E. 14 უადგილოდ] წარამარად CE, წარამარა D.

15 უდროოდ ] უდროვოდ E.

გაზ. „ივერიაში“ ეს ლექსი დაიბეჭდა ორ სხვა ლექსთან ერთად („არტიტის აღსარება“ და „შოეტის პროგრამა“) საერთო სათაურით „სამი აღსარება“.

### პატარა ამბავი (გვ. 15)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლები: T 17732 (B), K 77(C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „ჯეჯილი“, 1902 წ. №1, იანვარი, გვ. 61–63 (A).

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ი. მაჩაბლის სახსოვრად A. –B.

თ ა რ ი ღ ი [1901].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A. – BC.

რადგან ცენზურის ვიზა ჟურნალში დასაბეჭდად გაცემულია 1901 წ. 20 XII, ლექსს ვათარილებთ 1901 წლის 20 დეკემბრამდე.

**15. 1** სახსოვრად] სახსოვრათ C. 4 არსად... ამოდენს] არსაიდან სჩანს ამოდენ B. 17 მოედინა] მოუდინა C.

**16. 3** საპირადოდ] საპირადოთ C. 8 სჭირდა ჭირად] ჭირდა ჭირათ B. 9 ცოლსა და შვილს] ცოლ-შვილს მხოლოდ B. სიტყვა „მხოლოდ“ B წყაროში მერეა მიწერილი. 10 განზრახვით] განძრახვით B. 12 მათი] მათის B. 14 ეს] ის B. 18 უძღვევლად] უძღვევლათ BC.

**17. 3** ცხოვრებას სულ] ცხოვრებასაც B.

**მაჩაბელი ივანე გიორგის ძე (1854-1898)**, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. მძიმედ დასნეულებული მაჩაბელი, 1898 წ. 26 ივნისს, გამთენიისას, შინიდან გავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

## სიბერე (გვ. 18)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1901 № 277, 21 დეკემბერი, გვ. 2.  
თ ა რ ი ლ ი: [1901].  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

## საპნის ბუმტები (გვ. 20)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 182 (B).  
ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1901 № 283, 30 დეკემბერი, გვ. 2. (A).  
ს ა თ ა უ რ ი: ახალი „გოგონა“ (B).  
ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ახალი გოგონა A, – B.  
თ ა რ ი ლ ი: [1901].  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A.–B.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**20.** 2 თარი თურა ლალი] თარილული ლაალი B. 4 ცოდვით] მეტად B. 10 სხვებზედ] სხვებზე B. 11 თავმობდილი] უნიფხო B. B-წყაროში სიტყვა „ულენაქო“-ს ნაცვლად ადრე ყოფილა სიტყვა „უპერანგო“, რაც ავტორს გადაუხაზავს. 12 სისხლჭარბობით] ხურუშხურუშ B. 16 თარი თურა] თარილული B. 17 მთავარსარდლად თავმომნონედ] ყარაჩუღელ მამალ-კინტოდ B. 22 ზრდილობაზედ მწყრალი] ზდილობაზე ჭკუა-მყრალი B. ადრე, B-წყაროში სიტყვა „ზდილობაზე“-ს ნაცვლად ყოფილა სიტყვა „ყველა“, რაც ავტორს გადაუხაზავს. 23 სიტყვა „მუცელმშიერ“-ის ნაცვლად B-წყაროში ადრე ყოფილა „კუჭცარიელ“, რაც ავტორს გადაუხაზავს. 24 „სურვილდაუმცხრალი“ B-წყაროში ადრე ყოფილა „გრძნობადაუმცხრალი“, რაც ავტორს გადაუხაზავს. 26 თარი თურა ] თარი ლული B. 27 უმართავთ] უმართავსთ B. 28 ნასუფრალი სალოკავად ტყავები აქვსთ, სახრავადაც ძვალი, ჩხუბსა სტეხენ, მაგრამ მალე თავს ატყდებათ ხმალი B, ხოლო B-ში „ჩხუბსა... ხმალი“ ავტორს მერე გადაუხაზავს. 29 ხახვის] ხარის B. B-ში „დანივრული ხარის მწვადის“ ნაცვლად ადრე ყოფილა „ბადრიჯანი დანივრული“, რაც ავტორს გადაუხაზავს. 30 ლანძილი] ლანძილა B.

**21.** 1-2 ლანძვისა... ხმალი – B. 1-2 სტრიქონებად B-წყაროში ყოფილა: „ჩხუბსა სტეხენ, მაგრამ მათვე თავს ატყდებათ ხმალი“, რაც ავტორს მერე გადაუხაზავს. 4 თარი თურა] თარილული B. 11 თითონ] თვითონ B. 13 სიტყვა „დლიურ“-ის ნაცვლად B-წყაროში ადრე იყო „ყველგან“, რაც ავტორს გადაუხაზავს. 14 მუცელ ხახა ~ B. 16 თარი თურა] თარილული B. 17 „მათის ცოდვით“ ნაცვლად B-წყაროში ადრე იყო „იმათ ხელში“, რაც ავტორს გადაუხაზავს. 19 აქეთ-იქით] ნამობდილი B.

„ცოდვის ფურცელს“ ავტორი უწოდებს გაზ. „ცნობის ფურცელს“, რომელიც გამოდიოდა თბილისში (1896-1906 წ.წ.). გაზეთი დააარსა ვალერიან გუნიამ. 1901 წლის დამდეგს იგი გადავიდა ალ. ჯაბადარისა და გ. ლასხიშვილის ხელში. ამ დროიდან ის ქართველ ნაციონალისტთა საყვირი გახდა. აკაკიმ სასტიკად გაილაშქრა გაზეთის ახალ მესვეურთა წინააღმდეგ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში გამოქვეყნდა აკაკის კარიკატურა, სადაც იგი გამოყვანილი იყო როგორც დრომოჭმულ ზნე-ჩვეულებათა დამცველი („ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება, 1901 წ. №2, 1557). პოეტმა უპასუხოდ არ დატოვა „ცნობის ფურცელი“ და სატირულ ლექსებში („საფრიალო“, „საპნის ბუშტები“) გაკენწლა გაზეთის რედაქცია.

**„მთავარსარდლად თავმომწონედ იყოჩება  
„ლალი“** – იგულისხმება გიორგი მიხეილის ძე ლასხიშვილი (1866-1931), პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, 1901 წლიდან იყო „ცნობის ფურცლის“ ფაქტობრივი რედაქტორი. „ლალი“ მისი ფსევდონიმა.

### გაოცება (გვ. 22)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 16 ფ. 42r (B), K71, ფ.35v (A), K121, ფ. 7r (C). ასლები: K 122 (D), K 227(E)

ს ა თ ა უ რ ი: ექსპრომტი BC.

თ ა რ ი ლ ი: 1901 B. –ACDE.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

B-წყარო წარმოადგენს უბის წიგნაკს, რომლის ყდაზე აწერია თარიღი „1901“. D-წყარო ხელნაწერი ასლია, გადაწერილი ს. გორგაძის მიერ. ლექსს ვათარილებთ B ავტოგრაფის მიხედვით, ხოლო ძირითად წყაროდ გირჩევთ K71 ლექსთა კრებულში მოთავსებულ ტექსტს. პირველად იგი თხზულებათა კრებულში დაიბეჭდა 1941 წ. (აკაკი წერეთელი, თხზულებანი, 1941, ტ. II, გვ. 618).

### 22. 7 სწორედ] სწორეთ CDE

### ჩემ თანამეკალმეს (გვ. 23)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K8<sup>ა</sup>, ფ. 45(A). ასლი T 1468, გვ. 20-21 (B)

ს ა თ ა უ რ ი: ორი ლიტერატურის განსხვავება B.

თ ა რ ი ლ ი: 1901 B.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1941 წ. (იხ. აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 589). იგი ჩაწერილია 1901 წლით ვათარილებულ უბის წიგნაკში. ამდენად, ჩვენც 1901 წ. ვათარილებთ მას (პ. ინგოროყვას შენიშვნა).

**23.** 1 მეც და შენც ჩვენს სამშობლოს მე და შენ ხომ ორნივე ერთს B; A-ში „ჩვენს სამშობლოს“ ნაცვლად ყოფილა „ჩემო ძმაო“, რაც ავტორს გადაუხაზავს. 2 ერთად მათას BB; A-ში ადრე იყო „მუზებს“. 4 შენ კი და შენ კი B; ყურებით ჩვენმა პოეტმა სიზმრათ იხილა:

თავს ეხვეოდა თურმე მუზები,  
მაგრამ როს თვალი გამოახილა,  
დაურჩა ხელში მხოლოდ ბუზები  
(ივ. კერესელიძე) B.

### ახირებული დასტური (გვ. 24)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 71, ფ. 35 v – 36 r (A); K 121, ფ. 7 r-7 v (B); K 16, ფ. 44 r (C); ფ. 43 v (D).

თ ა რ ი ლ ი: 1901 წ. D, – ABC.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

CD ხელნაწერები ერთი ნომრის ქვეშაა გაერთიანებული, მაგრამ იძლევიან ვარიანტულ სხვაობებს, რისთვისაც ისინი ცალკე ლიტერებით აღინიშნებიან.

D ავტოგრაფს უზის თარიღი: „1901 წ.“ ძირითად წყაროდ ავიღეთ ავტოგრაფი K 71, ხოლო დავათარიღეთ D-ს მიხედვით.

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1935 წ. (იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, №7), (ა. წერეთელი, თხზულებანი 15 ტომად 1957 წ., ტ. III, გვ. 568, გ. აბ-ზიანიძის შენიშვნა).

CD- ავტოგრაფებში პერსონაჟები არ არის დასახელებული. C ავტოგრაფი შეიცავს პირველ 8 სტრიქონს, რაც შემდგომ ავტორს მთლიანად გადაუხაზავს.

**24.** 3 სიტყვა „დამითმია“-ს ნაცვლად C-ში ჯერ იყო: „თქვენი იყოს“, შემდეგ ავტორს იგი შეუცვლია. 5 როდის მოგვცემ ნებას, რომ ჩვენწებას მოგვცემთ დაგეკონოთ C. BD-წყაროებში სიტყვა „მოგვცემ“-ს ნაცვლად ყოფილა „მოგვცემთ“, აგრეთვე C-წყაროში სიტყვა „ნებას“ თავზე ეწერა სიტყვა „როდის“. A 6 ვაკოცოთ მაგ ფართო ხალსო] მაგ შენ ლამაზ ფართო ხალსო C. B-წყაროში „ვაკოცოთ მაგ“ ნაცვლად ადრე ავტორს ეწერა „დაგეკონოთ“, მაგრამ ბოლოს უარუყვია და დაუტოვებია ის, რაც ძირითად წყაროშია. C-ში ყოფილა „დაგეკოცნოთ“, რაც ავტორს გადაუხაზავს და დაუწერია ის, რაც ძირითადშია. 7 როცა თვითონ მოგანოდებთ] როგორ არა, როცა თქვენთვის C. D-წყაროში სიტყვის „მოგანოდებთ“, ნაცვლად ადრე ყოფილა „გამოგ-სნოდებთ“, რაც ავტორს გადაუხაზავს და დაუწერია ის, რაც ძირითად წყაროშია. 8 ჩემის ხელით ფორთოხალსო] ვაყიდვინებ ფორთოხალსო C. 9-12 ვაჟი... მაშინაო-C. 9 კოცნა] კოცნაც D; სიტყვა „მოგვინდეს“ ნაცვლად C-ში იყო „ვისურვოთ“, რაც ავტორს შემდგომ შეუცვლია სიტყვით: „მოგვინდეს“. 10 ბრძანებთ] ბძანებთ BC. 12 ნახვალთ] ნახვალ D.



## ხორცი ქართველებს (გვ. 25)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი T 14525.

თ ა რ ი ლ ი: [1901].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

თხზულებათა კრებულში იბეჭდება პირველად.

ეს უთარილო ასლია, მანქანაზე გადაბეჭდილი. იგი დაცული იყო ივანე და ანასტასია მაჩაბლების არქივში.

**25. 9 „ჩ ვ ე ნ ა ს ი ნ ე ლ ი გ ვ ბ უ რ ა ვ დ ა“...** – ეს ფრაზა გვაფიქრებინებს, რომ აქ იგულისხმება რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიიდან (1801 წ.) ასი წელი. ამიტომ ლექსს პირობითად ვათარილებთ 1901 წლით.

ლექსი, უდავოდ, აკაკი წერეთლისაა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1905 წლით დათარიღებულ ლექსში „ჩემი რწმენა“ განმეორებულია ის სულისკვეთება და ფრაზებიც კი, რომელსაც ამ ლექსში ვკითხულობთ:

„მართალი არის, სისხლი იღვრება,  
მაგრამ მოითხოვს ამას ბუნება.  
წყალი ხორცსა ჰბანს და სისხლი სულსა,  
ამას გვიმონმებს თვით ქრისტეს მცნება“.

1902

## ილია და ელია (გვ. 27)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902., 1 იანვარი, №1.

თ ა რ ი ლ ი: [1902].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**27. 23-24 „ ყ ვ ე ლ გ ა ნ შ ფ ო თ ი ა ს ა ქ ე ე ყ ნ ო დ , მ შ - გ ი დ ო ბ ა – მ ხ ო ლ ო დ ჰ ა გ ა ს ო ... “** – იგულისხმება ჰააგის 1899 წლის სამშვიდობო კონფერენცია, რომელზეც მიიღეს საერთაშორისო კონვენციები ომის კანონთა შესახებ.

ილია – ბიბლიური წინასწარმეტყველი.

## ცოლქმრობა (გვ. 29)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902., №2, 3 იანვარი, გვ. 2 (A); „სიმღერა აკაკისა“, 1903., გვ. 60–61 (B).

თ ა რ ი ლ ი: [1902].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**29.** 5 ნუ] თუ A. 21 შვენებას] ხანდახან B.

### დედა-შვილი (გვ. 30)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902., №44, 22 თებერვალი, გვ. 2.

თ ა რ ი ლ ი: [1902].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**30.** 15 მეტს] მეტ.

### ფუტკარი (გვ. 32)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902., №70, 31 მარტი, გვ. 2 (B). „სიმღერა აკაკისა“, 1903., გვ. 65-67 (A).

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ფუძღვნი ს. ამირეჯიბისას B.

თ ა რ ი ლ ი: [1902].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი B.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**33.** 4 ასი] ორი B.

**ამირეჯიბი სოფიო ვასილის ასული (1847-1906).** - ქართველი პოეტების მთარგმნელი რუსულ ენაზე. გენერალ მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირეჯიბის (1832-1903) მეუღლე (ქალიშვილობის გვარი — არლუთინსკი – დოლგორუკოვი). მისი თარგმანები უმთავრესად იბეჭდებოდა თბილისურ ჟურნალ-გაზეთებში (“Кавказский Вестник”, “Аргонавт”, “Новое обозрение” და სხვ.). 1909 წელს ცალკე კრებულად გამოვიდა მის მიერ თარგმნილი ქართული პოეზიის ნიმუშები.

ს. ამირეჯიბმა თარგმნა აკაკის არა ერთი ლირიკული ლექსი და ორი “პოემა – “გამზრდელი” და “თორნიკე ერისთავი”.

### ხალხური (გვ. 34)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 124 (B), K 153 (C). ასლი K 77(D).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „ჯეჯილი“, 1902., №3, გვ. 32–33 (E); გაზ. „თემი“, 1911., №10,20 მარტი, გვ. 3 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1902].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი AC. – BDE.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**34. 9** გაამზევეთ| გაამზევრეთ B. 11 თვალშეწინიერი| თვალმშეწინიერი E. 13-14 თიბათვე... დააჭერსო – ამ სტრიქონების ნაცვლად B-წყაროში ადრე ყოფილა – „თიბათვე რომ მოუქარგავს, მკათათვე ზედ დაამლერსო“ – რაც ავტორს შემდეგ გადაუხაზავს. D წყაროში სიტყვა „დააჭერსო“ ნაცვლად არის „დააჭედსო“. 15 დასიცხავს| უცხუნებს CE. 16 ყვითლად| მწვანე CD. 17 ენკენისთვე| ეკენისთვე B. 19 დააცივებს| დაპატიჟებს CE. 20 B-წყაროში სიტყვა „კათხას“ ნაცვლად ადრე ყოფილა სიტყვა „ხელში“, რაც შემდეგ ავტორს გადაუხაზავს.

### ჩემს კალამს (გვ. 35)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902., № 24, 21 აპრილი, გვ. 2.

თ ა რ ი ლ ი: [1902].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### აღდგომა სოფელში (გვ. 36)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902., № 91, I მაისი, გვ. 3.

თ ა რ ი ლ ი: [1902].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### თ[ავად]ი ორი დავით როსტომისძე (გვ. 39)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი S 1650/d5793.

თ ა რ ი ლ ი: [1902].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ეპიტაფია წარმოადგენს მწერლის უთარილო ავტოგრაფს ხელმოწერით „აკაკი“.

აღნიშნული ეპიტაფიის რეალიების დადგენაში დაგვეხმარა სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის საექსპოზიციო განყოფილების მთავარი კურატორი ლეილა ზაბახიძე, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებთ. 1942 წელს გამოცემულ ჟურნ. „ლიტერატურის მათიანის“

საშუალებით დავათარილეთ ეპიტაფია და დადგინდა, რომ აკაკის ჰყოლია ბიძაც, თუმცა ამის შესახებ, როგორც ჩანს, ბევრმა არ იცოდა და მამამისს – როსტომს დედისერთად თვლიდნენ.

აი, რას ჰყვება “ლიტერატურის მატრიანეში” სხვიტორელი ბაგრატ ზაბახიძე: “როცა აკაკის ძმა დავითი გარდაიცვალა, აკაკიმ გამგზავნა კვერეთში სასაფლაოს გასათხრელად. ორ მეტრზე რომ მივედი, ვნახე საფლავი და ზედ ქვა წარწერი. საღამოს რომ ჩამოვედი, აკაკის მოვახსენე ეს ამბავი. მეორე დღეს აკაკიც წამოვიდა კვერეთში და თავის ხელით დაანყო ძვლები და სთქვა – ეგ არის დავით როსტომის ძე — როსტომ წერეთლის ძმაო. აკაკის ძმა დავითი ამ დავითს დავადევით...”

ვფიქრობთ, სწორედ მაშინ შეიქმნა ეს ეპიტაფია. რადგან აკაკის ძმა დავითი 1902 წლის მაისში გარდაიცვალა, ეპიტაფიას 1902 წლით ვათარილებთ.

### ქისა (გვ. 40)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902., №200, 20 სექტემბერი, გვ. 2.

ქ ე ე ს ა თ ა უ რ ი: არაკი კრილოვისა.

თ ა რ ი ღ ი: [1902].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

1902 წლის 20 სექტემბერს გაზეთ „ივერიაში“ აკაკი აქვეყნებს ლექსს – „ქისა“, რომელსაც მიწერილი აქვს „არაკი კრილოვისა“. ამ მიწინაწერმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რადგან ი. კრილოვს ასეთი იგავ-არაკი არ ეკუთვნის, ზოგიერთის აზრით, ამ ხერხს ავტორმა მიმართა ცენზურის თვალის ასახვევად.

1941 წ. გამოცემულ აკაკის თხზულებათა შვიდტომეულში პ. ინგოროყვამ აღნიშნული ნაწარმოები ორიგინალურ ლექსებში მოათავსა (ტ. I, გვ. 632). ჩვენ ვეთანხმებით შვიდტომეულის გამომცემელს, რადგან ვფიქრობთ, რომ ლექსი „ქისა“ სწორედ იმ პერიპეტიების გამოძახილია, რომელიც მოჰყვა 1902 წლის 25 აპრილს აკ. წერეთლის გამოსვლას ქუთაისის თავადაზნაურობის კრებაზე, სადაც მან წამოაყენა საკითხი საქალბო სასწავლებლის გახსნის შესახებ, რამაც საზოგადოებაში გარკვეული დაპირისპირება გამოიწვია. სავარაუდოა, რომ საზოგადოების ზოგიერთი წევრის უკმაყოფილების დასაცხრობად აკაკიმ ლექსს აღნიშნული ქვესათაური გაუკეთა.

### სიმღერა (მე შენ მიყვარდი...) (გვ. 42)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: T 11597 (A), T 17689 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902., № 212, 6 ოქტომბერი, გვ. 2 (C).

ს ა თ ა უ რ ი: გულის პასუხი C.

თ ა რ ი ლ ი: [1902].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი C.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**42. 3** შენს] შენ C. 11 A-ში ნაცვლად სიტყვისა „ცრემლად“ ჯერ ყოფილა „წვეთად“, მერე ავტორს შეუცვლია. 18 A-ში „გააქრო“-ს ნაცვლად ჯერ ყოფილა „გამექრო“, რაც ავტორს შეუსწორებია. 19 მე] მეც B. 21-24 მაგრამ... უკვდავება – BC.

### გარენრობა (გვ. 43)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902., № 215, 10 ოქტომბერი.

თ ა რ ი ლ ი: [1902].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### ოცნება (გვ. 46)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი K 71, ფ. 31 v-32 r (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 ., № 230, 29 ოქტომბერი, გვ. 2 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1902].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი A.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**46. 6** „შორით“-ის შემდეგ ავტოგრაფში გადახაზულია „თვალი“. 8 „შემპარვია... შური“-ს ნაცვლად ადრე ყოფილა „მეც უნებურად“, რაც ავტორს გადაუხაზავს.

12 სხვა] თვისს B. 13 გაჰქრა] გაქრა B. 16 ისევ გულს ~ B. 17 ვარდს... ვისმენ] ვარდს ვსვჭვრეტ და ყურს ბულბულს ვუგდებ B. 19 ბონაჩიჩი] ბანაჩიჩი B.

A-წყაროში ლექსის ბოლოს მიწერილია: „ზოგიერთ ქალების მაგიერ“.

**46. 19** „... ბ უ ლ ბ უ ლ ი ა ბ ო ნ ა ჩ ი ჩ ი“ – იგულისხმება ცნობილი იტალიელი მომღერალი (ტენორი). მღეროდა მოსკოვში. აკაკის ვაჟის, ალექსის მოწვევით, 900-იან წლებში ბონაჩიჩი რამდენჯერმე ჩამოვიდა საგასტროლოდ თბილისში. მას აკაკი არაერთხელ ახსენებს თავის პირად წერილებში ტასო მანაბელთან (იხ, ა. წერეთელი, თხზულებანი, თხუთმეტ-ტომეული 1954., ტ. III, გვ. 500, გ. აბზიანიძის შენიშვნა).

## შეყვარებული დემონი და მტირალი ანგელოსი (გვ. 47)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 57, ფ. 24 v-25 r (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902., № 231, 30 ოქტომბერი, გვ. 2 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1902].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი AB.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ავტოგრაფში ლექსი წარმოდგენილია ორი დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით, სათაურებით: „შეყვარებული დემონი“, „მტირალი ანგელოზი“. ვითვალისწინებთ რა ავტორის ბოლო შემოქმედებით ნებას, ჩვენ ლექსებს ვაერთიანებთ ერთი სათაურით, როგორც ეს იყო გაზ. „ივერიის“ 1902 წ., №231-ში.

**47. 1 ანგელოსი] ანგელოზი B.**

7 მიწის შვილს] მიწიშვილს B. 12 სახელით] სახელად B. 23 ანგელოსი] ანგელოსი B. 24 შუქმომფენი ფრთებელვარე] შუქმფენი, ფრთებმოელვარე B.

**48. 10 ედვათ] ედვა B; „წმინდა“-ს ნაცვლად ჯერ ყოფილა „შენი“, რაც ავტორს გადაუხაზავს B. 18 ჰბილწავს] ბილწავს B.**

22 „ზეცის“ ნაცვლად ადრე ყოფილა „რჯულის“, რაც B წყაროში ავტორს გადაუხაზავს.

## ვაჭრული ჭკუა (გვ. 49)

(ხუმრობა)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902., № 184, 29 აგვისტო, გვ. 2. ცალკე გამოცემა, „ვაჭრული ჭკუა“ (ხალხური), ტფ., 1903.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ხუმრობა.

თ ა რ ი ლ ი: [1902].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პრობლიკაციის მიხედვით.

## გამოსათხოვარი (უანგარო მეგობრობა...) (გვ. 57)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 106 (A), K 71 ფ. 29r-29v (B), ასლი K 222 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: აკაკი, „რამოდენიმე დაუბეჭდავი ლექსი“, 1916., გვ. 6. (D).

ს ა თ ა უ რ ი: გამოსათხოვება BCD.

თ ა რ ი ლ ი: 1902 წ. 4 ნოემბერი, ტფილისი. A, -BCD.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი ABCD.

ქვემოთ რუსულად მიწერილია: Адреса полковых, Подсолнечная станция, Николаевская линия [.....]. ის, რაც არ იკითხება, მრავალწერტილითაა აღნიშნული.

**57. 9** მიწის შვილს] მიწიშვილს D.

**1903**

**ნუ მეტრფი (გვ. 58)**

ნ ა ბ ე ქ დ ი: „სიმღერა აკაკისა“, 1903., გვ. 8. რჩეული ლექსები I, II, III – 1908 და 1912.

თ ა რ ი ლ ი: [1903 წ. 22 იანვრამდე].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს

ამ ორი წყაროს შედარება არავითარ სხვაობას არ გვაძლევს.

ცენზურის ნებართვის გათვალისწინებით, ლექსს ვათარილებთ 1903 წ. 22 იანვრამდე.

**ღამის თევა (გვ. 59)**

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: T 17741 (B). K 80 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „ჯეჯილი“, 1903, № 7–8, გვ. 42–43 (A).

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ვუძღვნი პატარა თამარ-თინას ABC.

თ ა რ ი ლ ი: [1903 წ. 1 აგვისტომდე].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი AB. – C.

ცენზურის ნებართვის გათვალისწინებით, ლექსს ვათარილებთ 1903 წ. 1 აგვისტომდე.

**59. 14** ვინა] ვინ ხარ B. 16 საჩვენოდ] საჩვენოთ C. 18 ქვეყნადაც ] ქვეყნათაც B. 22 დედ-მამისავე] დედ-მამისთვის B.

**თამარ (თამუნია) – თინა წერეთელი (1903-1967)**, ბეჟან და ნიცა წერეთლების ქალიშვილი.

**ათინა** – ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, სიბრძნის ქალღმერთი.

**ჩაისა და ღვინის ბაასი (გვ. 60)**

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: K 192, ფ. 6 v (B); K 147 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ „ივერია“, 1903, 4 სექტემბერი, № 188, გვ. 2 (A).

ს ა თ ა უ რ ი: ჩაისა და ღვინის გაბაასება C.

თ ა რ ი ლ ი: [1903], – BC.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი AB. – C.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

B-ში წარმოდგენილია მხოლოდ ბოლო სამი სტროფი (XXX-XXXII).

62. 2 სიცუდეს] სიცუდს A.

63. 11 გამრუდდა] გაბრუნდა AB.

64. 8 ნაცვლად სიტყვებისა „მოყვრად მივიღეთ“, B-ში ადრე იყო „მტრად მივიღია“, რაც ავტორს გადაუხაზავს.

9 ფერი ფერსა] ფერის ფერს A.

61. 9-10 „ ნო ე ს გ ა ნ   გ ა მ ო გ ო ნ ე ბ უ ლ ს   ზ ე დ ა შ ე ს  
მ ე ძ ა ხ ი ა ნ ო . . . “ – იგულისხმება ბიბლიური ნოე, რომელმაც წარღ-  
ნის შემდეგ ხელი მიჰყო მიწის დამუშავებას, დარგო ვაზი და დაიწყო ღვინის  
დანერვა.

### შვილის დამკარგავს ორსულ დედას (გვ. 65)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 72, ფ. 5 v (B). T 17726 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1903 წ., № 198, 17 სექტემბერი, გვ. 2. (A).

ს ა თ ა უ რ ი: შვილების დამკარგავ ორსულ დედას C.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ნიცას A. – BC.

თ ა რ ი ლ ი: [1903].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A. – BC.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

65. 5 აშიდფერებდა] ააშიდფერა C. 7 აკვანსა]აკვანს C.

25 ძლიერო] ძლიელო C. 27 ჰბადებ] ბადავ C. 28 „ბნელზე“ ჯერ ყო-  
ფილა „ბნელზედ“, მაგრამ ავტორს ასო „დ“ იქვე გადაუხაზავს.

ლექსის ადრესატია აკაკის ახლო ნათესავის – **ბეჟან წერეთლის მეუღლე ნიცა ბაგრატიონ-წერეთელი (1858-1937)**, აკაკი წერეთლის ნათლიდედა, ან-  
ასტასია მაჩაბლის უფროსი და, რომელსაც 1903 წლის წინა ხანებში (1896  
და 1898) გარდაცვლილი ჰყავდა ორი შვილი: გოგონა ლიტა (ივლიტა) და  
ვაჟიშვილი საშა (ალექსანდრე). აგრეთვე, იხ. აკაკის ლექსი მიძღვნილი ნიცა  
ბაგრატიონისადმი და ეპიტაფია – მისი ვაჟის, საშა წერეთლისადმი. (აკაკი  
წერეთელი, თხზულებათა ოცტომეული, თბ., 2011., ტ. II, გვ., 374-375).

### ამაოება (გვ. 66)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1903 ., № 201, 20 სექტემბერი, გვ. 2.

თ ა რ ი ლ ი: [1903].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.



ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**66. 21 „ვ ს თ ქ ვ ა თ, ს ა მ ს ო ნ ძ ლ ი ე რ ი ვ ა რ თ...“** – იგულისხმება ებრაელთა მითოლოგიური გმირი სამსონი, რომელიც სიძლიერისა და დაუმონებლობის სიმბოლოა. იგი მონობაში სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებს.

**67. 1 „...ს ო ლ ო მ ო ნ ბ რ ძ ე ნ ი ვ ა რ თ...“** – იგულისხმება ისრაელის მეფე (ძვ. წ. 965–928 წ. წ.), განთქმული თავისი სიბრძნით.

**5-6 „დ ლ ე ს რ ო მ მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ი თ ი ო ს ე ბ ს ვ ე - დ ა რ ე ბ ი თ ...“** – იგულისხმება ბიბლიური იოსები, განთქმული თავისი სილამაზით.

### **გამოთხოვება (ის გიყვარდეს, ვინც რომ გიყვარს...) (გვ. 68)**

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 73, ფ. 10 v-11r (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1903 წ., № 250, 23 ნოემბერი, გვ. 2 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1903].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**68. 13 გამტყუნებ] ამტკიცებ A.**

### **ვირი და სოფლელი (გვ. 69)**

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „ვეფხილი“, 1903 წ., № 10, გვ. 3–5.

თ ა რ ი ლ ი: [1903].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### **\*\*\* ( დევთა შორის ჯუჯა დადის...) (გვ. 71)**

ნ ა ბ ე ქ დ ი: „ჭოლოკი“, სამტერმოყვარო კრებული, თ. მაგმაძის შედგენილი და გამოცემული, 1903 წ., გვ. 3.

ს ა თ ა უ რ ი: აკაკის ექსპრომტები (ჯერ არსად დაბეჭდილა).

თ ა რ ი ლ ი: [1903].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**\*\*\* (ერთს გაზეთში კაჩა...) (გვ. 72)**

ნ ა ბ ე ქ დ ი: „ჭოლოკი“, სამტერმოყვარო კრებული, თ. მაგმაძის მიერ შედგენილი და გამოცემული, 1903 წ., გვ. 3.

ს ა თ ა უ რ ი: აკაკის ექსპრომტები (ჯერ არსად დაბეჭდილა).

თ ა რ ი ღ ი: [1903].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**პასუხად ბეჟანს (გვ. 73)**

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: T 17713, ფ. 1r–2v (A). T 17112, ფ. 2v–4r (B).

თ ა რ ი ღ ი: [1903]. – B.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A.-B.

დაიბეჭდა კრებულში „უცნობი აკაკი“ (თბილისი, 2001 წ., გვ. 59)

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

„ლექსის დათარილება შესაძლებელი ხდება ამ ფაქტის (ე. ი. ბავშვის დაბადების) დროის მიხედვით“, – წერს მკვლევარი ნ. ფრუიძე (იხ. „უცნობი აკაკი“, 2001 წ. გვ. 200).

**73.** 1 სიტყვებს] სიტყვას B. 14 ერიპა] ჰერიპა B. 13 ჩუმათ] გარეთ B.

**74.** 9 „თავს იწონებ“, ადრე ყოფილა „თავი მოგწონს“, მაგრამ ავტორს გადაუხაზავს და დაუტოვებია ის, რაც ძირითადშია. 11 და გარეთაც მოიკითხე] განა სხვაგან კი ცოტა გვყავს B. B წყაროში სიტყვა „სხვაგან“ გადახაზულია და წერია „გარეთ“. 13 გიცნობ, პლუტო ~ B. 22 სიტყვა „მუდამ“-ს ნაცვლად ადრე ეწერა „ყველას“, რაც ავტორს გადაუხაზავს.

**74.** 10 „თ ა ვ ს ი წ ო ნ ე ბ , ს ი ბ ე რ ი ს დ რ ო ს რ ო მ გ ა გ ი ჩ ნ დ ა ს ა ხ ლ შ ი თ ი ნ ა ?“ – იგულისხმება ბეჟან და ნიცა წერეთლების ქალიშვილი თამარ-თინა წერეთელი, დაიბადა 1903 წელს. აკაკიმ საგანგებო ლექსი უძღვნა პატარას (იხ. ჩვენი თხზულებათა სრ. კრებული ტ.3, გვ. 59).

**1904**

**<წარწერა წიგნზე> (გვ. 75)**

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 125, ფ. 24 r (A); K 86, ფ. 13 v (B). K 140 (C).

თ ა რ ი ღ ი: 1904 24 იანვარი AC.-B.

ს ა თ ა უ რ ი: ჩემს ძვირფასს და სულიერ მეგობარს ელისაბედ თარხნიშვილის ქალს სახსოვრად A; სატრფოს B.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი A. –B

A-ში ლექსი ცალკე ფურცელზეა მოთავსებული, დანომრილია. ჩანს, ნიგნაკიდან არის ამოხეული. მას თავზე აკაკის ხელით აწერია: „ჩემს ძვირფასს, წრფელ მეგობარს, ელისაბედ თარხნიშვილის ქალს სახსოვრად. 24 იანვარი 1904 წ.“ მერე წარმოდგენილია ლექსის ტექსტი, რომელსაც უზის თარიღი – 24 იანვარი 1904 წ. და ხელმოწერა „აკაკი“. ეს პროზაული მიძღვნა ლექსითურთ აკაკის ნაუწერია თავისი ნიგნის „ჩემი თავგადასავალის“ ძვირფას ხავერდგადაკრულ ეგზემპლარზე.

A ხელნაწერი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისთვის გადაუცია ელისაბედ თარხნიშვილს 1928 წ. 25 აგვისტოს. B ხელნაწერი წარმოდგენს ავტოგრაფულ ლექსთა კრებულს. ნაწარმოები მოთავსებულია სათაურით „სატრფოს“. ესაა ოთხსტროფიანი ლექსი. შემდგომში ავტორს იგი შუაში გაუყვია: პირველი ორი სტროფი მიუძღვნია ელისაბედ თარხნიშვილისადმი, ხოლო დანარჩენი ორი – ტასო მაჩაბლისადმი. ისიც „ჩემი თავგადასავალის“ ერთ-ერთ ცალზეა წარწერილი (პ. ინგოროყვას შენიშვნა).

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1940 წ. გამოცემულ აკ. წერეთლის შვიდტომეულის II ტომში (გვ. 666).

შვიდტომეულში და თხუთმეტტომეულში (ტ. III, 1954, გვ. 93). ლექსი გამოცემელთა მიერაა დასათაურებული. ჩვენ ვტოვებთ მათ მიერ მიცემულ დასათაურებას და ვათავსებთ მას ისრისებრ ფრჩხილებში.

**თარხნიშვილი ელისაბედ (ლიზა) ალექსანდრეს ასული (1866-1937), აკაკის ახლო მეგობარი ქალი, ტასო მაჩაბლის დეიდაშვილი.**

### <ტასო მაჩაბლისას> (გვ. 76)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები K 86, ფ. 13 r (B); K 125 ფ. 24 r (A).

ს ა თ ა უ რ ი: – A; სატრფოს B.

თ ა რ ი ღ ი: 1904 წ. იანვრის 25—ს A. – B.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

**76. 1 მთელი რადგან B. 2 ტანჯვაა და| ტანჯვა იყო B. 7 ტანჯვას| ყველას B.**

ლექსი წარწერილია აკაკის ნიგნზე „ჩემი თავგადასავალი“, რომელიც პოეტს მიუძღვნია ტასო მაჩაბლისთვის წარწერით: „სახსოვრად ქალბატონ ტასო მაჩაბლისას, ავტორისაგან, 1904 წ., იანვრის 25-ს.“

B ხელნაწერში ლექსები „ტასო მაჩაბლისას“ და „წარწერა ნიგნზე“, როგორც აღვნიშნეთ, ერთადაა წარმოდგენილი სათაურით „სატრფოს.“

ორივე ლექსის „წარწერა ნიგნზე“ და „ტასო მაჩაბლისას“ სათაურები ქვესათაურებთან (ელისაბედ თარხნიშვილის ქალს და წარწერა ნიგნზე) ერ-

თად მიცემულია წინა გამომცემელთა მიერ. რადგან მკითხველი საზოგადოება ორივე ნაწარმოებს ამ სათაურებით იცნობს, ჩვენ ისინი უცვლელად დავტოვეთ და ისრისებრ ფრჩხილებში ჩავსვით, მოვხსენით მხოლოდ ქვესათაურები, რომლებიც ავტორს არ ჰქონდა.

ლექსი პირველად გამოაქვეყნა პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ 1940 წ. (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №66).

**მაჩაბელი ანასტასია ალექსანდრეს ასული (1869-1917)**, ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითიშვილის ქალიშვილი, ივანე მაჩაბლის მეუღლე, საზოგადო მოღვაწე.

### ალბომში (გვ. 77)

ხ ე ლ ნ ა ე რ ი: ავტოგრაფები: K 71 (B), K 129 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, № 7, 1904, 10 იანვარი, გვ. 2 (A).

ს ა თ ა უ რ ი: რუსის ქალის ალბომში B.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: მ.თ. დ-ს A. –BC.

თ ა რ ი ლ ი: [1904].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი ABC.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

77. 2 მინის შვილსა] მინიშვილსა A. 10 ძალი] ძალა B. 19 ჩვენთან ერთად გაგრძნობინოსთ] და ჩემსავით გაგრძნობინოს B. 20 ჩვენი] ჩემი B.

### <პეტრე უმიკაშვილის საფლავზე> (გვ. 78)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1904 წ., № 125, 30 მაისი, გვ. 2.

თ ა რ ი ლ ი: [1904].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ეს ლექსი აკაკის წარმოუთქვამს პეტრე უმიკაშვილის დაკრძალვის დღეს. გაზეთ „ივერიაში“ იგი შემდეგი წარწერით დაიბეჭდა: „ლექსი, თქმული აკაკის მიერ მიცვალებულის საფლავზე. პ. უმიკაშვილი“. აკ. წერეთლის თხოვნებთან შედგომულში (1940) და თხოვნებთან თხოთმეტომეულში (1954) ლექსის სათაურია: „პეტრე უმიკაშვილის საფლავზე“.

ჩვენ ვეთანხმებით აკაკის გამომცემლებს პ. ინგოროყვასა და გ. აბზიან-იძეს და ლექსს ვუტოვებთ მათ მიერ მიცემულ სათაურს.

**უმიკაშვილი პეტრე** იოსების ძე (1838-1904), საზოგადო მოღვაწე, ფოლკლორისტი. მას ეკუთვნის პუბლიცისტური ნარკვევები, თარგმანები, პიესები, რომლებიც ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე. მისი წერილები

პირველად გამოქვეყნდა გაზ. „დროებისა“ და ჟურნალ „კვალის“ ფურცლებზე, „მ. პეტრიძისა“ და „ანჩისხატის უბნელი“-ს ფსევდონიმებით. 1874-80 წლებში რედაქტორობდა „სასოფლო გაზეთს“.

მისი ინიციატივით დაიწყო XIX ს. 60-70 წლებში ქართული იაფფასიანი წიგნაკების გამოცემა. იგი ერთ-ერთი პირველი რედაქტორ-გამომცემელთაგანი იყო. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის სულხან-საბა ორბელიანის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის და სხვათა თხზულებების გამოცემაში.

### ქუთაისი (გვ. 79)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: T 17678 (B), K 86 (C), K 34 (D).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1904 წ., № 105, მაისი, გვ. 2 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1904], 1904 D.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი A. – BCD.

ლექსს ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**79. 7-8** „არც... სადარია“ C – წყაროში ყოფილა: „მისი დარიც და ავდარიც ბედია და ლატარია“, მერე ავტორს იგი გადაუხაზავს და დაუნერია ის, რაც გვაქვს ძირითად წყაროში.

### მოხუცის აღსარება (გვ. 80)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 86, გვ. 24–25 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1904, № 107, 6 მაისი, გვ. 2 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1904].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი A. – B.

ლექსს ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**80. 9** წმიდა] წმინდა B. 24 „ქართველობას“ ნაცვლად B-ში ადრე ყოფილა „მის სამშობლოს“, რაც ავტორს გადაუხაზავს და შეუცვლია სიტყვით „ქართველობას“.

**81. 5** უხეირო... ურჩევს] ურჩევს თავადს უვარგისს B. „ურჩევს“ მაგივრად ჯერ ყოფილა „ეტყვის“, რაც ავტორს გადაუხაზავს და შეუცვლია სიტყვით: „ურჩევს“ B.

9 ეტყვის... უვარგისსა] გლექსსაც ეტყვის უხეიროს B. B-ში „ეტყვის“ ნაცვლად ჯერ ყოფილა „ურჩევს“, რომელიც შემდგომ ავტორს შეუცვლია სიტყვით „ეტყვის“.

11 „მავნე“-ს ნაცვლად B-ში იყო „უვარგ“, რომელიც ავტორს გადაუხაზავს და შეუცვლია სიტყვით „მავნე“. 18 სიტყვა „თანსწორობა“ B-ში ყოფილა „ერთობით და“, რომელიც ავტორს გადაუხაზავს და შეუცვლია სიტყ-

ვით „თანსწორობა“. 19 B-ში სიტყვა „მტერს“ ნაცვლად, ყოფილა „მტრებს“, რაც შემდგომში ავტორს შეუცვლია სიტყვით „მტრებს“.

22 სიტყვა „იმისთანა“-ს ნაცვლად B-ში ადრე ყოფილა „იმისთანაო“, რაც შემდგომ ავტორს შეუცვლია სიტყვით „იმისთანა“. მას შემდეგ B-ში ადრე იყო „მას“, რაც შემდგომ ავტორმა შეცვალა სიტყვით „მას“; სიტყვა „მზე-შინა“-ს ნაცვლად B-ში ადრე იყო „ნანიან“, რაც შემდგომ ავტორს შეუცვლია სიტყვით „მზე-შინა“.

### ჩინეთი და იაპონია (გვ. 82)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 480, № 1964.  
თ ა რ ი ღ ი: 1904 წ. 9 ივლისამდე.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსი ანყობილი ყოფილა დასაბეჭდად გაზეთ „ივერიაში“ (1904 წ. 9 ივნისის ნომრისათვის), მაგრამ ცენზურას იგი აუკრძალავს. შენახულია საკორექტურო ფურცელი, ჩართული საცენზურო კომიტეტის საქმეებში (ფონდი 480, №1964). საცენზურო კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ლექსი აიკრძალა „ввиду тенденциозных намеков на текущие события“. იგი რუსეთ-იაპონიის ომის 1904–1905 წ.წ. დროსაა დაწერილი. ცენზურას არ გამოპარვია, რომ „ჩინეთის“ სახით გამოყვანილია ცარისტული რუსეთი. (პ. ინგოროყვას შენიშვნა).

ლექსი პირველად დაიბეჭდა აკ. წერეთლის თხზულებათა შვიდტომიულის II ტ. 1941 წელს (გვ. 536). ლექსს ვათარილებთ 1904 წლის 9 ივნისამდე.

### გვაზაური (გვ. 83)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1904, № 144, 22 ივნისი, გვ. 2.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**83. 1-2** „...ის დ რ ო პ ო ე ტ ე ბ ი ს, საოცნებო, ა რ კ ა დ უ ლ ი...“ – არკადია, ოლქი პ ე ლ ო პ ო ნ ე ს ი ს ცენტრალურ ნაწილში (საბერძნეთი). ანტიკურ ლიტერატურაში და უფრო გვიანაც (უმთავრესად XVI-XVIII სს. პასტორალებში) მას წარმოსახავდნენ სამოთხედ.

28 „...გ ი ნ დ ა ს ნ ე რ ო გ ვ ა ზ ა ვ უ რ ა დ“ – იგულისხმება გვაზავა გიორგი ბეჟანისძე (1869–1941), პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. ლექსებსა და პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებდა 1893 წლიდან. ცხოვრობდა და გარდაიცვალა ემიგრაციაში, საფრანგეთში.

აქ აკაკის მხედველობაში აქვს გიორგი გვაზავას ლექსი \*\*\* (რა გამოვიდა, რომ მიხურს გული). იგი შეტანილია გიორგი გვაზავას ლექსთა კრებულში „ლანდი“ (1904). მასში გართიმულია სიტყვები: გული, ფული, სიყვარული.

## უიდილო (გვ. 84)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 86, გვ. 17–18 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1904, № 148, 26 ივნისი, გვ. 2 (A).

ს ა თ ა უ რ ი: უიდილო AB.

თ ა რ ი ლ ი: [1904] AB.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A. –B.

ლექსს ვათარილებთ B ავტოგრაფის მიხედვით.

**84. 5** ძნელი ყოფილა] ოჰ, რა ძნელია B. 9 შენ] ის B, მაგრამ „ის“-იც გადაუხაზავს, შეუცვლია სხვა სიტყვით, რომელიც არ იკითხება. 10 მასაც] რასაც B. 14 ოცნებით მებატებოდი] ოცნებად მებატებოდა B. 15 აღმაფრენის... გუნებით] აღმაფრენილ გრძნობა-გონებას B. 16 სამსონის... მემატებოდი] ორკეცი ძალა ემატებოდა B. 17 შენი] მისი B. 21 შევყურებდი] შევჰყურებდი B.

**85. 1** მებად] მეხი B. 5 ან რაღაა] რაღა არის B; უიდილოდ] ჩემთვის სიცოცხლე B. 6 ჩემი სიცოცხლე] ამიერიდან B, რაც ავტორს გადაუხაზავს. 8 ცხოვრების... გაება] ცხოვრების ქსელში უღმრთოდ გაება B. ადრე ამ სტრიქონის მაგივრად B – წყაროში ყოფილა: „აღერსით ტრფობის ქსელში გაება“.

ავტოგრაფი ძლიერ ნასწორებია. ავტორს, პირველი სტროფის გამოკლებით (რომელიც გვერდზეა მიწერილი), იგი მთლიანად გადაუხაზავს, თუმცა მინც ჩანს პოეტის მიერ ლექსზე ჩატარებული მუშაობა. ლექსისთვის მას სათაურად ჯერ მიუცია „დიდ ოთხშაბათს“, რაც შემდგომ გადაუხაზავს და დაუწერია „უიდილო“.

## სიმღერა (ვარსკვლავად, გზის მაჩვენებლად . . .) (გვ. 86)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი K 128, გვ. 27 (B), ავტოგრაფი K 56 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1904., № 167, 20 ივლისი, გვ. 2 (A).

ს ა თ ა უ რ ი: ალბომში BC.

თ ა რ ი ლ ი: – AB, 1904 C.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A. – BC.

ლექსს ვათარილებთ C ავტოგრაფის მიხედვით.

**86. 9** სიტყვა „საყვირი“-ს ნაცვლად ავტოგრაფში ადრე ყოფილა „ტკბილი ხმა“, რაც ავტორს გადაუხაზავს და შეუცვლია სიტყვით „საყვირი“.

## რჩევა (საიდუმლო ტრფიალება...) (გვ. 87)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 56 (B), K 149 (C). ასლი K 128 (D).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1904., № 169, 22 ივლისი, გვ. 2 (A).

ს ა თ ა უ რ ი: – BD.  
თ ა რ ი ლ ი: - ABD. 1904 C.  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით

**87.** 3 ნაცვლად სიტყვებისა „ბოროტ სულს“ ავტოგრაფში ადრე ყოფილა „და ეშმაკს“, რომელიც შემდეგ ავტორს გადაუხაზავს B. 5 სატრფოვო სატრფო BCD. 6 გულისთქმასა] გულისთქმასო BC. 8 გაუგონე] ყური უგდე BD; ხმასა] ხმასო BD. 17 წმიდა] წმინდა B. 23 საქმეების] საქმეებისას A. მიიშუქებს] მიაშუქებს BCD. 24 დაუდგამს] დაუდგავს BCD.

### უცნაური შემთხვევა (გვ. 88)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 72 (B), T 17669 ფ. 2 r (C).  
ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1904, № 205, 4 სექტემბერი, გვ. 2 (A).  
ს ა თ ა უ რ ი: უცნაური შემთხვევა ნამდვილი B.  
ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: 9 თიბათვეს A. –B.  
თ ა რ ი ლ ი: [1904].  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი AB. –C.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**88.** 2 აჭრელებული] აქვე მახლობლად B, რაც ავტორს გადაუხაზავს და დაუნერია სიტყვა „აჭრელებული“. 7 ვნერდი] ვსნერდი BC. 12 უკვდავება] უკვდავა B. 16 და] სხვა C. 17 იმათ... ოცნება] მხოლოდ ოცნება იმათ სანაცვლოდ C. 18 იდეალს] იდიალს C.

**89.** 4 ჭიკჭიკი] ჭიკჭიკით C. 7 თითქო განზრახვა] თითქოს განძრახვა BC. 10 ჰხედავ] მხედავ B, ხედავ C. 16 ვპოვებთ] ვპოვებ B. 20 სიტკბო] სიტკბოც C.

**90.** 2 შემომქმედსა] შემოქმედსა C. 3 ვწყველი] ვსწყველი BC.  
8 არც ქვეყნისგან რასმე] ქვეყნისგანაც არას C.

### პატარა ცემი (გვ. 91)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1904., № 209, 10 სექტემბერი, გვ. 2.  
თ ა რ ი ლ ი: [1904].  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### ეკატერინე სარაჯიშვილისას (გვ. 93)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: T 17736 (B), T 17747 (C), ასლი, მანქანაზე გადაბეჭდილი T 14525 (D).



ნ ა ბ ე ქ დ ი : გაზ. „თემი“, 1911., № 41, 17 ოქტომბერი, გვ. 2 (A).

ს ა თ ა უ რ ი : – B. ეკ. სარაჯიშვილს სურათზე დაწერილი C, ეკატერინე სარაჯიშვილს D.

თ ა რ ი ლ ი : – A; 1904., 1 იანვარს B; 1904 წ., 1 იანვარს C; 1904 წ. 1 იანვარს, ტფილისი D.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა : აკაკი B; – ACD.

გაზ. „თემში“ დაბეჭდილ ლექსს გაკეთებული აქვს სქოლიო, სადაც ვკითხულობთ რედაქტორის – გრიგოლ დიასამიძის შენიშვნას: „ეს პატარა ლექსი ბ. აკაკიმ წააწერა თავის დიდ სურათს, რომელიც მიაერთა 1904 წ. 1 იანვარს განსვენებულ დავით სარაჯიშვილის მეუღლეს ქ. ეკატერინეს მადლობის ნიშნად, იმ მხურვალე თანაგრძნობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ჩვენი საამაყო მგოსნისადმი, როდესაც იგი შეიქმნა მეტად მძიმე ავადმყოფი 1903 წელს“. ლექსს ამ ცნობის მიხედვით ვათარილებთ.

**92. 9-10** „... ბუნებავ, ძლევამოსილო, თვით ჯანისი შენ ხარ მკურნალი...“ – იგულისხმება ჯანაოზი, რაც არაბულად ნიშნავს სახელგანთქმულ მკურნალს.

**93. 1** „ვერ გხედავდი“ B-ში პოეტს ჯერ დაუწერია „ვერა გხედავდი“, მერე პირველ სიტყვაში გადაუხაზავს ასო „ა“, ხოლო მეორე სიტყვაში ასოები „დი“.

„რომ დავბრმავდი, ახლა გხედავ“ – ამ წინადადების ნაცვლად A-ში იყო „ახლა გხედავ, რომ დავბრმავდი“, რაც ავტორს გადაუხაზავს და შეუსწორებია ისე, როგორც ამჟამად არის ძირითად ტექსტში.

**93. 1-2 CD**-წყაროებში სიტყვები „გხედავდი“ , „გხედავ“ წარმოდგენილია შემდეგნაირად: „ვხედავდი“, „ვხედავ“.

DC – წყაროებში სიტყვები „გხედავდი“, „გხედავ“ დაწერილია შემდეგნაირად: „ქხედავდი“, „ქხედავ“.

**სარაჯიშვილი ეკატერინე გიორგის ასული (1861-1916)**, ცნობილი მეცნატისა და საზოგადო მოღვაწის, დ.ზ. სარაჯიშვილის მეუღლე.

### ხუმრობა (გვ. 94)

ნ ა ბ ე ქ დ ი : გაზ. „ივერია“, 1904 წ., № 215, 18 სექტემბერი, გვ. 2.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი : ალბომში.

თ ა რ ი ლ ი : [1904].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა : აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### რაცხა ჩვენებური ლხინი (გვ. 95)

ნ ა ბ ე ქ დ ი : გაზ. „ივერია“, 1904., № 227, 3 ოქტომბერი, გვ. 2.

თ ა რ ი ლ ი : [1904].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა : აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ლექსში ჩასწორდა მხოლოდ კორექტურული შეცდომები.

**95.** 16 ლხინი ] ლხინის;

**96.** 18 ტიკის ] ტივის; 28 ღენერალ ] ღენარალ;

**97.** 23 აქეთაც ] აქეთიც.

### ერისთავის ასულს საპასუხოდ (გვ. 100)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 126 (B). K 161 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1904 ., № 249, 31 ოქტომბერი, გვ. 2 (A).

ჟურნ. „მწყემსი“, 1904., № 21, გვ. 6 (D).

ს ა თ ა უ რ ი: ერისთავის ასულის საპასუხოდ BD.

თ ა რ ი ლ ი: [1904] C; – ABD.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი ABCD.

ლექსს ვათარილებთ C ავტოგრაფის მიხედვით, ხოლო ძირითად ტექსტად ვირჩევთ გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდილ ვარიანტს.

**100.** 5 მაღლობზედ] მაღლობზე B. 9 „მდინარე“-ს ნაცვლად ჯერ ყოფილა „მინდორი“, რაც ავტორს გადაუხაზავს და დაუნერია „მდინარე“ B. 13 სუყველა] ყველა C. 15 აღმობრწყინდება] ამოჰბრწყინდება B, ამობრწყინდება C.

**101.** 2 ბრწყინავდა] ბრწყინავდენ B. 3 ჰფიქრობდა] ფიქრობდა B. 11 ქმრებს... უწევდენ] ქრმებს... უწევდენ BC. 16 სიტყვა „დღევანდელ“-ის ნაცვლად B წყაროში ადრე ყოფილა: „დღევანდელი“, რაც ავტორს შემდგომში შეუცვლია სიტყვით „დღევანდელ“. 18 განზრახვებს] განძრახვებს B. 22 დაფიქრებული] დაფიქრებულ C.

27 იქ] აქ B. 28 მწამს მშვენება და იდიალი], მრწამს შვენება და იდი-ალი B, მწამს მშვენება და მომავალი C.

### უკანასკნელი (გვ. 102)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ივერია“, 1904., № 284, 12 დეკემბერი, გვ. 2 (B). გაზ.

„ცნობის ფურცელი“, 1904., № 2697, 12 დეკემბერი, გვ. 2 (A).

თ ა რ ი ლ ი: 1904 წ. 7 დეკემბერს ტფილისი A. – B.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი AB.

**102.** 5-6 „ეს დეპეშები, ე ს ნ ე რ ი ლ ე ბ ი , გ უ ნ დ ი მ ნ ა ხ - ვ ე ლ თ ა ა ლ ე ლ ვ ე ბ უ ლ ი ...“ – აქ იგულისხმება აკაკის მიძიმე ავადმყოფობა 1904 წლის ოქტომბერში. ავადმყოფი პოეტი იწვა ქუთაისში თავისი მეგობრის, ექიმ სამსონ თოფურიას საავადმყოფოში. იაკობ გოგებაშვილის

წინადადებით, შეიქმნა აკაკის სასარგებლოდ „ნაციონალური საჩუქრის“ ფონდი, რომელშიც სათანადო თანხა შეჰქონდათ. საყვარელი პოეტის ავადმყოფობას შეუწუხებია შორეულ აღმოსავლეთში მყოფი ქართველები და ჩინელი ხალხის წარმომადგენლებიც კი. პოეტმა ამის გამო სპეციალური წერილიც გამოაქვეყნა 1905 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№22) (ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. III, გვ. 128. 1954., გ. აზიანიძის შენიშვნა).

### ბეტას ხსოვნას (გვ. 103)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები K 73, ფ. 16r–16v (B). K 76 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: „მოლალური“, საყმაწვილო ნახატებიანი კრებული, 1904., № 1, გვ. 35 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1904].

ს ა თ ა უ რ ი: ეპიტაფია ბეტა ჭიჭინაძეს B.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A. – BC.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**103.** 1 ანგელოზი ანგელოსი B. 2 კამეტა კომეტა B. 5 უკვე უკუ BC. 5 სიტყვა „ცადვე“ B-ში ადრე ყოფილა: „ცამდე“, მერე ავტორს იგი გადაუხაზავს და დაუნერია „ცადვე“. 7 ანგელოზთა ანგელოსთა BC. 9 წმიდა წმინდა B. 12 მის მას B.

### ელას დედოფალა (გვ. 104)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: T 17671 (B). K 80 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „მერცხალი“, 1904 წ., № 2, გვ. 3–4 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1904].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი AB. – C.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**104.** 7 „ნამდვილ“-ის ნაცვლად B წყაროში ადრე ყოფილა „ნამდვილი“, რაც ავტორს შემდეგ შეუცვლია სიტყვით „ნამდვილ“. 10 სიტყვა „თვითონც“-ს ნაცვლად B წყაროში ადრე ყოფილა „თვითონაც“, რაც ავტორს შემდეგ შეუცვლია ფორმით „თვითონც“. 17 სიტყვა „ადიდებს“-ის ნაცვლად B წყაროში ადრე ყოფილა „იგონებს“, რაც შემდეგ ავტორს შეუცვლია სიტყვით „ადიდებს“. 21 „ხანდახან“-ის ნაცვლად B წყაროში ადრე ყოფილა „ოდესმე“, რაც ავტორს შემდეგ შეუცვლია სიტყვით „ხანდახან“. 28 თითონაც თვითონაც BC.

B ხელნაწერში ლექსი დაწერილია რვეულის ფურცელზე. მეორე გვერდზე ბავშვის ხელით რუსულად წერია: это от Акаки.

**104. 1** „ამ ჩვენ პატარა ელასა...“ – აქ იგულისხმება ელენე (ელა) ივანეს ასული მაჩაბელი (1894-1982), ივ. მაჩაბლის ქალიშვილი.

13-15 „...თამარ მეფეს იგონებს... ქეთევანის წამებას, ხან ნინოს... ვახტანგ გორგასლანს, აღმაშენებელს დავითსა, გიორგის, ბაგრატს, ერეკლეს...“

**თამარ მეფე** (დაახლ. 1160-1213), საქართველოს მეფე 1184 წლიდან.

**ქეთევანი** — ქეთევან წამებული, წმინდანად შერაცხული, კახეთის დედოფალი, თეიმურაზ I-ის დედა. მაჰმადიანობის მიღებაზე უარის თქმის გამო, შაჰ აბასის ბრძანებით, აწამეს 1624 წ. 12 სექტემბერს.

**ნინო**, წმინდა ნინო, ქრისტიანობის მქადაგებელი და გამაგრცელებელი საქართველოში (IV ს. 30-იანი წლები).

**ვახტანგ გორგასლანი** (გორგასალი), ვახტანგ I (457-502), ქართლის მეფე. მოკლეს 502 წ.

ყურადღებას იპყრობს სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნის წინააღმდეგ აკაკის ბრძოლის ერთი ეპიზოდი. 80-იან წლებში ზუგდიდში მასწავლებლობდა ცარიზმის აგენტი თადა აშორდია, რომელსაც 1887 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისთვის გამოუგზავნია დამაბეზლებელი წერილი, ამ ბარათში აღნიშნულია: აკაკი წერეთელი მთელს სამეგრელოში დადის და ხალხს აჯანყებს მთავრობის წინააღმდეგ, ქადაგებს აქაურ სკოლებში ქართული ენის აუცილებლობას. იმის გამო, რომ მე, თადა აშორდია, წინააღმდეგობას ვუწევ მას, აკაკი წერეთელი მოკვლით დამემუქრაო. (თსკ 15 ტომად, 1954, ტ. III, გვ. 539).

### ვაშა! დეპუტატს! (გვ. 281)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 46 (B), K 170 (C); K 206 (D), S სხვიტორის უნომრო ხელნაწერი (E).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „იმერეთი“, 1912., №26, 26 ოქტომბერი, გვ. 2 (A).  
თ ა რ ი ლ ი: [1909] BD.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი ABD.



ლექსი თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

ძირითად წყაროდ ვირჩევთ 1912 წლის გაზეთ „იმერეთში“ დაბეჭდილ ტექსტს, ხოლო ვათარილებთ BD ავტოგრაფების მიხედვით.

სოციალ-დემოკრატების ერთმა ჯგუფმა ავტორის დაუკითხავად გამოაქვეყნა აკაკის ლექსი „ვაშა დეპუტატს!“ მანამდე არ. ჯორჯაძე წერდა: „ხელში გვიჭირავს „ოტისკი“ ერთი ლექსისა, რომელსაც აკაკის სახელი აწერია და რომელსაც ჰქვიან „ვაშა დეპუტატს“. თუ საჭიროება მოითხოვს, გამოვაქვეყნებთ კიდევაც ამ საყურადღებო დოკუმენტს“.

აი, რას წერს თვით აკაკი: „როცა გაზეთებიდან ამოვიკითხე, რომ ლიდერი სოციალ-დემოკრატებისა გეგეჭკორი შეეხალა და შეეკამათა პოლონელების „კოლოსს“, მე გულისწყრომამ ამიტანა და დავსწერე მაშინ ლექსი გეგეჭკორზე. რომ გავათავე და გადავიკითხე, შევჩერდი, ვსთქვი: მართლად ყოფილა ნათქვამი, რომ „ნამით სიცოფე ბრაზი არის“-მეთქი და ჩემი ახალი ლექსი მიუმატე სხვა ჩემ ნაწერებს, რომელთაც, სანამ ცოცხალი ვარ, არ ეღირსებათ გამოზაზრება, მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა!..

მაშინ მე გეგეჭკორს არ ვიცნობდი. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გავიცან. და, როცა თავის გულში ნადები გამიზიარა, დავრწმუნდი, რომ ის იყო მეტად გულწრფელი კაცი, უტყუარი, გამბედავი, უსაყვედურო და ამაებთან ყველასთან კიდევ ნიჭიერი ახალგაზრდა. მე, რასაკვირველია, ჰაზრი შემეცვალა მასზე და მოვინდომე ჩემი ლექსის დახვევა, მაგრამ ველარსად ვნახე. აქეთ ვეცი, იქით ვეცი და, ცამ ჩაყლაპა თუ მინამ, ვერა გავიგე რა!.. ახლა ეს ლექსი აღმოჩენილია მისთანა პირების ხელში, რომელთაც ჩემი სურვილის წინააღმდეგ, თვითმნებლობით ის გამოუმეღავენებიათ!.. ამისთანა საქციელი არ არის საკადრისი. სხვის გულში ხელის ფათურზე იმათაც კი აიღეს ხელი, ვინც ვალდებული იყვენ, რომ ჩაედინათ ხოლმე ეს სამარცხვინო საქმე. მე კი მხოლოდღა დამრჩენია, რომ გულწრფელად აღვიარო: ეგ ლექსი უმაღლესი იმით, ვისაც საზოგადო მოღვაწედ მოაქვსთ თავი სხვადასხვა თვალთმაქცობით, ვიდრე გეგეჭკორს“ („თემი“, 1912 წ., №29, 26 ნოემბერი, გვ. 2).

ამ ლექსთან დაკავშირებულ პერიპეტებზე იხ. აგრეთვე ირ. ერემეიშვილის წერილი „აკაკის ერთი უცნობი სატირული ლექსის გამო“ (გაზ. „ახალი ცხოვრება“, საჩხერე, 1980., 13 დეკემბერი, გვ. 3).

**281.** 18 ან უფლებას] უფლებებს CD.

**282.** 5 მემარჯვენებს] მემარჯვენებს C. 10 გაკმინდოს] გაჰკმინდოს C გაკმიდოს E. 11 მოვმწყსოთ] მოვწყსოთ C. 16 გაკიოდა] გაჰკიოდა CE.

**გეგეჭკორი ევგენი პეტრეს ძე (1881-1954)**, ქართული სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი. 1907-1912 წლებში III სახელმწიფო სათათბიროს წევრი ქუთაისის გუბერნიიდან. 1917 წლის ნოემბრიდან ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე. შემდეგ მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი. 1921 წ. მარტში წავიდა ემიგრაციაში საფრანგეთში.

**მარკოვი** ნიკოლოზ ევგენის ძე (1866-?), შავრაზმელი, “რუსი ხალხის კავშირისა” და “მიხეილ მთავარანგელოსის კავშირის” ერთ-ერთი ლიდერთაგანი, აგრეთვე უკიდურესი მემარჯვენეების ლიდერი III და IV სახელმწიფო სათათბიროში.

**პურიშკევიჩი** იხ. კომ. გვ. 595.

### **მოლაღურის ბუდე (გვ. 283)**

**ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი:** ავტოგრაფი K 80, ფ. 12 v – 13 r (B).

**ნ ა ბ ე ქ დ ი:** ჟურნ. „ნაკადული“ (მცირენლვანათავის), 1909., № 17, გვ. 3 (A).

**ს ა თ ა უ რ ი:** მოლაღურის ბუდე B.

**თ ა რ ი ლ ი:** [1909].

**ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა:** აკაკი A; – B.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**283.** 2 სიტყვა „სამი“ B-ში ადრე იყო „სამის“, შემდგომ ავტორს „ს“ ბოლოში ჩამოუცილებია. 3 მოლაღურმა] მოლაღურმა B. 4 საცეცხლურად] საცეცხურად AB. 13 მიმინო] მემენო B. 16 გზას] გზა B. 17 აღარაფრის] აღარავის B. 18 სხვაც] სხვა B.

### **ცის მახლობლად (გვ. 284)**

**ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი:** ავტოგრაფები: K 72, ფ. 15 v (A); T 17752 (B); T 14525 (C).

**თ ა რ ი ლ ი:** [1909-1910].

**ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა:** აკაკი B; – A.

პ. ინგოროყვას აზრით, ლექსი დაწერილია პარიზში 1909-1910 წ.წ. (აკ. ნერეთელი, თხზულებათა შვიდტომეული, ტ. II, 1941 წ.).

პოეტი პარიზში მეორედ 1909 წ. ივლისიდან 1910 წ. იანვრის შუა რიცხვებამდე დარჩა.

**284.** 2 ეიფელდის მწვერვალზედა] ეიფელდის წვერვალზედა B. 7 იქაც] აქაც A. 10 მიჰფრინავდა] მოჰფრინავდა BC.

### **ქართველი ძეგლის წინ (გვ. 285)**

**ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი:** ავტოგრაფი, Z ფონდი 481, აღ. 2. საქმე 365 (A).

**ნ ა ბ ე ქ დ ი:** ჟურნ. „თავისუფლება“, 1917 ., №1, გვ. 2 (B).

**თ ა რ ი ლ ი:** [1909-1910].

**ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა:** ქართველი A, აკაკი B.

ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა.

იმის გამო, რომ საცენზურო ცალში ლექსი ხელმოწერილია ფსევდონიმით „ქართველი“, ლექსის ავტორობის საკითხმა დიდი დავა გამოიწვია სამეცნიერო ლიტერატურაში: ზოგი ფიქრობდა, რომ ეს იყო გრიგოლ ორბელიანი, პ. ინგოროყვამ კი წამოაყენა მოსაზრება, რომ ეს აკაკი წერეთელია, მაგრამ რაკი ამის დამადასტურებელი საბუთი არ ჰქონდა, ლექსი არ შეიტანა თავისი რედაქტორობით გამოცემულ აკაკის თხზულებათა შვიდტომეულში)

აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულზე მუშაობის დროს გ. აბზიანიძემ მიაგნო ზემოაღნიშნულ ლექსს აკაკი წერეთლის ხელმოწერით ჟურნ. „თავისუფლებაში“. როგორც ჟურნალის რედაქტორის, რ. ხომლელის შენიშვნიდან ჩანს, აკაკის ეს ლექსი უფრო ადრე უნდა გამოქვეყნებულიყო ჟურნ. „ცხოვრებაში“, მაგრამ იგი ცენზურას აუკრძალავს.

ლექსი ეძღვნება მიხეილ ვორონცოვს. მკვლევარმა ჯ. გაბოძემ იგი დაათარიღა XX ს-ის 10-იანი წლებით. „(აკაკის უცნობი ლექსების დათარიღებისათვის (ვორონცოვი და მისი დრო)“ ჟ. „ნახნაგი“ №2. თბ., 2010).

**285.** 2 შევსჩივლო | შევჩივლო B. 4 სძოვს | ძოვს B. 7 შუამდგომლად | შუამდგომლათ B. 8 ჰყავს | ყავს B. 9 სწამებენ | წამობენ B, შეურაცხყოფენ | შეურაცყოფენ B. 12 თანამერჯულის | თანამერჯულნი B, ერთგულებას | ერთგულობას B. 14 აქვსთ | აქვთ B. 17 ჰფიქრობენ | ფიქრობენ B, სუყველა | სულყველა B. 19 საძებრად | საძებრათ B. 24 საქრისტიანო | A-ში ადრე იყო „სარწმუნოება“, შემდეგ ავტორს იგი გადაუხაზავს და დაუნერია ისე, როგორც ძირითად ტექსტშია, საქრისტიანოს B.

**286.** 7 უარჰყავთ | უარყავთ B. 12 თვითვე | A-ში ადრე იყო „თვითონვე“, შემდეგ გადახაზულია და წერია ისე, როგორც ძირითად ტექსტშია, „თვითონ“ B. 14 შეურაცხყოფენ | შეურაცყოფენ B. 18 რომ | რო B, ჰგმობდენ | გმობდენ B, ჩვენი | ჩვენში B. 21 შესძლო | შეძლო B. 23 საქრისტიანო | საქრისტიანო B. 25 რომ | რო B. 28 გასწყდა | გაწყდა B.

**287.** 1 მიტომ | მიტო B. 3 უსამართლოდ | უსამართლოთ B.

ვორონცოვი მ.ს., იხ. კომ. გვ. 565

1910

კნ. ელისაბედ ორბელიანისას (გვ. 288)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლები: K 149, ფ. 4 r (A), K 208 (B), T 2125/4 (C).

ს ა თ ა უ რ ი: – C.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ალბომში A. – C.

თ ა რ ი ღ ი: 1910 წ. 17 მაისი. AB; – C.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A; – BC.

პირველად დაიბეჭდა 1915 წ. (იხ. გაზ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915., №17, გვ. 3).

288. 3 მომლიმარო] მომლემარეო A. 12 მეგობარი] მოგობარი A.

### მამა და შვილები (გვ. 289)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 72, ფ. 21 v – 22 r (B), K 54 ფ. 19r (C); ასლი Q 2173/951, ფ. 1 (D).

ნ ა ბ ე ქ დ ი: აღმანახი „მომამბე“, 1910., გვ. 3 (A).

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: მოძრაობის დროს B.

თ ა რ ი ლ ი: [1910].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

289. 4 წელში] წელშიდ D. 8 ჩემზედ] ჩემზე C. 9 შვილები] და ახლა B. 15 შევჰყურებ] შეჰყურებ A. 17 ნუ... გოდორსა] ნულა სწნავთ გოდორს BCD. 20 ჭიანურით] ჭიანური B. 21 თქვენც გრძნობთ] თქვენ ჰგრძნობთ B. 22 ჰუნესა] უნესა B.

290. 3 ჩამოვართვათ] ჩამოვართმევთ B. 5 შულღია] ბრძოლაა BD. 7 ჯერ] რომ C; კარზედ] კარზე B. 9 ვიზამთ საქმესა] ვიზამ ჩემ საქმეს C. 10 გარეშეთ] იმ მტრების C. 11 ძველსაც და ახალსაც] ძველსა და ახალსა C.

### თანამედროვე ქალი (გვ. 291)

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910., № 19, 16 მაისი, გვ. 2. თ ა რ ი ლ ი: [1910].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

291. 9-10 „... ი ქ ჯ ი რ ი თ ი ა ც ხ ე ნ ე ბ ი ს, ა ქ კ რ ე ბ ა ლ ა უ ნ - ტ ე ნ ი ს ა“ – იგულისხმება ლაუნ-ტენისი, ჩოგბურთის სახელწოდება, მიღებული საერთაშორისო სპორტულ ტერმინოლოგიაში.

### ქართველ ქალს (გვ. 293)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 83, ფ. 51 r – 53 r (B); K 22, ფ. 19 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „ერი“, 1910., № 16, გვ. 3 (A).

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ვუძღვნი ელენე მაჩაბელს A.

თ ა რ ი ლ ი: [1910].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**293.** 1 მშვენებამ] შვენებამ BC. 4 ნიშანი] ნიშანიც C. 11 ამ] იმ C.

**294.** 12 სიტყვა „მიენდევე“ C წყაროში ჯერ ყოფილა „მიჰყევი“, მერე ავტორს იგი გადაუხაზავს და დაუნერია: „მიენდევე ჭკუა-გრძნობასა და ემატება:

გამოაფხიზლე საგმიროდ  
შვილები შენის ქვეყნისა,  
რომ ჰექტორივით ისინიც  
მსხვერპლი შეიქნენ დახსნისა C.

C წყაროში „გამოაფხიზლე“-ს ნაცვლად ადრე ყოფილა: „და გაიტაცე“, რაც ავტორს გადაუხაზავს. ამ სტროფის ბოლო სტრიქონის ნაცვლად „მსხვერპლი შეიქნენ დახსნისა“ – ადრე ყოფილა: „დამხსნელი იყონ ქვეყნისა“ – რაც მწერალს გადაუხაზავს. 24 „საქვეყნო“-ს ნაცვლად ადრე იყო „მომავალს“, რაც ავტორს გადაუხაზავს და დაუნერია ის, რაც ძირითად ტექსტშია. C წყაროში IX სტროფის შემდეგ მიდის XII სტროფი, ხოლო XIII სტროფს მისდევს X-XI სტროფები.

**ელენე მაჩაბელი**, იხ. კომ. გვ. 548.

**ელენე** — ჰომეროსის პოემის მთავარი გმირი; განთქმული არაჩვეულებრივი სილამაზით. ტროას მეფის ვაჟის, პარისის მიერ ელენეს მოტაცება იქცა ტროას ომის საბაბი.

**ტროა** (ტროადი, იგივე ილიონი) — ნახევრად ლეგენდარული ქალაქი-სიმაგრე მცირე აზიის დასავლეთით. ტროას ომი, რომელიც 10 წელიწადს გრძელდებოდა, დასრულდა მისი სრული განადგურებით.

**ჰუმროს** (ჰომეროსი) — ძვ. ბერძენი პოეტი, „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორი.

**აქილეს** (აქილევსი) — ჰომეროსის პოემის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ტროას მეფის უფროსი ვაჟი.

**აიაქს** — ჰომეროსის „ილიადას“ გმირი, უსწრაფესი და უმამაცესი, მშვენიერი ელენეს ხელის მაძიებელი.

**პარისი** — ტროას მეფის, პრიამეს ვაჟი, რომელმაც მოიტაცა სპარტის მეფის, მენელაოსის ცოლი, მშვენიერი ელენე, რამაც გამოიწვია ტროას ომი და მისი დაცემა.

**აგამემნონი** – ჰომეროსის „ილიადის“ ერთ-ერთი გმირი.

**ულისა** (ულიქსი) – ოდისეესის ლათინური სახელი.

## ზარი (გვ. 296)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 83, ფ. 39 v (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910., № 28, გვ. 2 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1910].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A.

ლექსს ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**296.** 1 დამეჭვნო] დამიჭვნა B.

## სიყვარული (გვ. 297)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 144, ფ. 2 (C), K 72, ფ. 5 (D), T 17677, ფ. 1 r (E), T 11863 (ფოტო) (F), T 17698, ფ. 1 r (G); ასლი T 17757 (H).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910., № 31, 8 აგვისტო, გვ. 2 (B), გაზ. „თემი“, 1911., № 13, 4 აპრილი, გვ. 3 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1910].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი BCFH. — ADEG.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით

**297.** 2 აგვიწერენ[ გვიხატავდენ EG, გვიხატავდნენ H. 3 მის] მისს BC. 4 გვიხატავენ[ აგვიწერენ EFG. 10 გულსა] სულსა EG. 11 და ნათლადც[ მაგრამ ხშირად B. 15 რომ დაინვის] და იმასვე CEFGH.

**298.** 3 შესტრფის] შეჰსტრფის FGH. 4 გული +

აი ახლაც შენ შესახებ...  
რალათ უნდა დაგიფარო?  
და რაც გულით ნადები მაქვს  
ყველა უნდა აღვიარო:

მას უყვარხარ გულის ფხანვით,  
უკიდია ცეცხლის ალი  
და მაშინვე მას წყინდები  
რომ გაძლება ჭვრეტით თვალი!

შენ ხმას არ სცემ, მე გიყვარვარ,  
უგულოდ კი... თავით მხოლოდ !..  
და პირველი ჩვენი შეყრაც  
ჰსპობს სიყვარულს საბოლოოდ EF.

EF-წყაროებში სიტყვები „მას წყინდები“ GH-წყაროებში შეცვლილია სიტყვით „მოსწყინდები“. EF-წყაროების „საბოლოოდ“ H-წყაროში შეცვლილია სიტყვით „საბოლოოდ“.

5 მეც ამგვარად შენ] მე კი მხოლოდ EFGH. 7 და მიტომაც] ყველა შენთვის BDEFGH. 8 მალლა] მალლით EFGH. 9-10 მაგრამ... გულსა] მაგრამ ვაი!.. ვინ უჯერის ან თავსა და ან ამ გულსა EFGH. 12 მეც] ამ GH.

## ორი ძალღი (გვ. 299)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 72, ფ. 5 v – 6 r (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „განათლება“, 1910 ., № 8, გვ. 366–367 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1910].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**299.** 2 ულვაშგაპინკინებული ულვაშგანკიპინებული B, 19 თქვენთვის] შენთვის B. 22 ამისთანა] ამითანა B. 23 მტრისაგან] მტრებისგან B.

**301.** 16 გამოზრდილი] გამოზდილი B.

### გული (გულის მსგავსი პანანინა...) (გვ. 302)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 80, ფ. 59 v – 61 v (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „განათლება“, 1910., № 9, გვ. 417 (A).

თ ა რ ი ლ ი: [1910].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A. - B.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**302.** 15 იმდენს მივცემ] იმდენ მივსცემ B.

### გ. ნ. სუნდუკიანცს (გვ. 304)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 83, ფ. 39 r (B), G130 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „ფასკუნჯი“, 1910., № 1, გვ. 63 (A).

ს ა თ ა უ რ ი: გ. ნ. სუნდუკიანცს BC.

თ ა რ ი ლ ი: [1910].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A. - B.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

G ლიტერით აღნიშნულია ხელნაწერი №130, დაცული სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მ. აბელიანის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის, ლიტერატურული მუზეუმის გ. სუნდუკიანცის არქივში.

გ. აბზიანიძე შენიშნავს, რომ „ეს ლექსი აქამდე ყველა გამოცემაში იბეჭდებოდა შემდეგი სათაურით: „გ.ს. სუნდუკიანცს“, რაც ავტორის კალმისმიერი შეცდომის შედეგი უნდა იყოს. გაბრიელ სუნდუკიანცის მამის სახელი არის მკრტირ (მიკირტუმი), მაგრამ საუბარში მას ხშირად უწოდებდნენ ნიკიტას (მკრტირის რუსული ფორმა), ხოლო მისი ვაჟი ცნობილი იყო გაბრიელ ნიკიტას ძედ. ამიტომ ლექსს სათაურად მივეცით გ. ნ. სუნდუკიანცს“ (აკაკი წერეთელი, თსკ, ტ. III, 1954.).

**304.** 6 სიტყვა „ბუნება“ ავტორს გადაუხაზავს და მის თავზე დაუწერია „თხზულება“ B. 10 ნაწერებში] თხზულებებში B. 13 ჩვენ ქვეყნის შვილთა] ქართველი ხალხის BC. C-წყაროში სიტყვა „ქართველის“ ნაცვლად ადრე ყოფილა სიტყვა „ამდენი“, რაც ავტორს გადაუხაზავს და მის ნაცვლად დაუწერია სიტყვა „ურიცხვ“, ხოლო B-წყაროში არის „ამ ურიცხვ“. 15 გცემ] ვცემ

C. შემდეგ ავტორს C-წყაროში სიტყვა „ვცემ“ გადაუხაზავს და ისევ „ვცემ“ დაუნერია. 16 ვით... ძმას როგორც უმცროსი თავის უფროს ძმას BC. C-წყაროში ამ ბოლო წინადადებას + ვით მოყვასი მეგობარი მის საყვარელ... სიტყვა „მოყვასი“ შემდგომ გადახაზულია.

წინა გამომცემლები მიუთითებენ, რომ აქ „გადახაზულია სიტყვა „მოყვასი“ და, როგორც ჩანს, ლექსის ბოლო სტრიქონის მთლიანად გადახაზვა ავტორს დავიწყებია“. უნდა აღინიშნოს, რომ მათ (წინა გამომცემლებს) ხელთ ჰქონდათ მხოლოდ ორი ავტოგრაფი და არ ჰქონდათ ნაბეჭდი წყარო, რაც ნათელს ჰყენს პოეტის მუშაობას ლექსზე.

**გ.ნ. სუნდუკიანი**, იხ. კომ. გვ. 523.

### გლოზა (გვ. 305)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 80 (B), K 86 (C), ასლი K 76 (D).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „განათლება“, 1910., № 1, გვ. 12 (A); „შინაური საქმეები“, 1910, № 4, გვ. 6 (C).

ს ა თ ა უ რ ი: – C.

თ ა რ ი ლ ი: [1910].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი BC, - AD.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

B ხელნაწერზე ავტორის ხელით მინერილია: „განათლებაში“. ჩანს, პოეტი ამზადებდა ლექსს დასაბეჭდად ჟურნალ „განათლებაში“.

**305. 9** რჯულს] სჯულს BC. 11 ჩვენ] ჩვენს C; შტოებზე] შტოებზედ CD. 12 „ქართველი“] ქართული CD.

**თამარი** (თამარ მეფე), (დაახლ. 1160-1213).

**წინო მოციქული** — ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი საქართველოში (IV ს. 30-იანი წლები).

### გადარჯულებული (გვ. 306)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 80 (A).

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „განათლება“, 1910., №3, გვ. 130 (B).

თ ა რ ი ლ ი: [1910].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი B. — A.

ლექსი თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით. ხელნაწერზე ავტორის ხელით მინერილია: „განათლებაში“.



306. 17 უთხრა] ვუთხრა B. 18 შემქნელ] შემქმნელ B.

### ახალგაზრდებს (გვ. 307)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 144, ფ. 13 r (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: „ორი ქართველი და სხვა ლექსები აკაკის“, 1911, გვ. 22-24 (C). გაზ. „თემი“, 1911., 27 თებერვალი, №7, გვ. 3 (A).

ს ა თ ა უ რ ი: ახალგაზრდობას BC. B-ში პირველად იყო სათაური „ნადული“, მერე ავტორს დაუსათაურებია ისე, როგორც BC-შია.

თ ა რ ი ღ ი: [1910].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი B.

ლექსს ვათარილებთ C—წყაროს მიხედვით.

სხვათა შორის, აკაკის კიდევ ჰქონია ლექსი ახალგაზრდობაზე, რომელიც დაკარგულა. აი, რა ცნობას გვანჯდის ამის შესახებ „ლიტერატურულ გაზეთში“ (1935 წ. №7.) პოეტი იოსებ გრიშაშვილი: „1911-1912 წლებში „ნაკადულის“ რედაქციაში კორექტორის თანამდებობას ასრულებდა ჩემი ნაცნობი მსახიობი ქალი... აკაკის ეს ლექსი „ნაკადულის“ რედაქციაში ვნახე კორექტურულ ფურცელში. დაბეჭდილი არ მინახავს. ვინ იცის, იქნებ ცენზორმა აკრძალა?! შინაარსი ასეთი იყო: აკაკი ახალგაზრდებს ურჩევდა სწავლაში ბეჯითობას, აუგად მოიხსენიებდა ლაზლანდარობას, ერთმანეთის გაუტანლობას, ძალთა დაქსაქსულობას, უქმად დროს გატარებას და სხვა... ძველი თაობა მიდის, თქვენ მომავალნი ხართ, უნდა შემჭიდროვდეთ, რომ შემოსეულ მტერს გაუმკლავდეთ! ხომ გინახავთ ძაღლების ხროვა, ერთმანეთს უღრენენ, ეჩხუბებიან, მაგრამ გამოჩნდება თუ არა მგელი ან მათი ხროვა, დაავინწყდებათ პირადი უსიამოვნებანი და ყველანი ერთბაშად მტერს მიესვეიანო. ამ ლექსის ბოლო ასე თავდება:

„... როცა მოგვადგეს ჩვენ მტერი  
და კვლავ დაგვიწყოს ავობა,  
ღმერთო, ძაღლებად აქციე  
ეს ჩვენი ახალგაზრდობა!“

მთლიანად ამ ლექსის და ი. გრიშაშვილის მოგონებაში მოტანილი სტროფის ერთგვარი გამოძახილია უსათაურო ლექსი \*\*\* (კუხ! კუხ! შორს არ ნახვიდეთ!), (იხ., აქვე, გვ. 342)

307. 4 თვალდახელშუა] თვალს და ხელს შუა BC.

308. 7 ახლა] ეხლა B. 9 გაწვრთნილი] გაწრთვნილი B. 25 პირმოთენეობა] პირმოთენეობა B. 26 თავისი] და თვისსი B; ფრთხილება] მხილება B, მერე ისევ შეუსწორებია და დაუნერია „თხთხილება“ (კალმის ლაფსუსია).

## ლოლო ნიკოლაძისას (გვ. 309)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 83, ფ. 40 v.

თ ა რ ი ლ ი: [1910].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

დანერილია პარიზში, 1910 წელს. იხ. აკაკი წერეთელი, თსკ, ტ. III, 1954, გვ. 544 (გ. აბზიანიძის შენიშვნა).

ლოლო ნიკოლაძე – ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი (1881-1918) პირველი ცოლის ხელში. ცხოვრობდა უმთავრესად საზღვარგარეთ. ოქტომბრის რევ-ოლუციის შემდეგ დასახლდა ლენინგრადში.

## პასუხი მაცდურს (გვ. 310)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 73, ფ. 13 v.

თ ა რ ი ლ ი: [1911 წლამდე].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ადრე ლექსის სათაური ყოფილა: „ექსპრონტი დ. ზ. სარაჯიშვილს, პასუხი მაცდურს“. მერე ავტორს დაუტოვებია მხოლოდ „პასუხი მაცდურს“. გ. აბზიანიძე აღნიშნავს, რომ დ. ზ. სარაჯიშვილი გარდაიცვალა 1911 წელს. ლექსი ვერ იქნება დანერილი ამ წელზე გვიან (აკ. წერეთელი, თსკ, ტ. III, 1954 წ. გვ. 563).

1911

## ლამაზ ქალის ალბომში (გვ. 311)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 147, ფ. 20 r (B), K 158 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თემი“, 1911., № 9, 13 მარტი, გვ. 3 (A).

ს ა თ ა უ რ ი: ლიზეტას B.

თ ა რ ი ლ ი: [1911].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი AB. - C.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით

გ. აბზიანიძის აზრით, ამ ლექსის პირველი ორი ტაეპი თან ხვდება ლექსს „კნ. ელისაბედ ორბელიანისას“ (იხ. აქვე, გვ. 288). ეს გარემოება და აგრეთვე ამ ორი ლექსის რიგი რეალიების თანხვედრა, საფუძველს გვაძლევს დავსვათ საკითხი: ლექსის „ლამაზ ქალის ალბომში“ ადრესატიც ელისაბედ (ლიზა) ორბელიანი ხომ არ არის? მხედველობაში მისაღებია ერთი გარემოებაც. ამ ლექსის ერთადერთი ავტოგრაფი წარწერილია პოეტის პორტრეტზე სათაურით: „ლიზეტას“. გავიხსენოთ ელისაბედ ორბელიანისადმი მიძღვნილი აკაკის

პირველი ლექსის (გვ. 277) სიტყვები: „ფრანციზულად გიყვარს წერა, რუსულს თარგმნი, ქართულს ვერა“. ელისაბედ (ლიზა) ორბელიანს ფრანგული განათლება ჰქონდა მიღებული. ლიზას ფრანგული შესატყვისია: ლიზეტა.

**ელისაბედ ორბელიანი** იხ. კომ. გვ. 599

**311.** 1 მიხვრა-მოხვრით] მიხრა-მოხრით BC; 3 შეგიგნია] შეგიგვნია BC.  
7 სიტკობებას] სიტკოებას B.

### **რჩევა (სიყმანვილემ რომ იცოდეს...) (გვ. 312)**

**ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი:** ავტოგრაფი K 149, ფ. 9 r (B).  
**ნ ა ბ ე ქ დ ი:** გაზ. „თემი“, 1911, № 8, 28 თებერვალი, გვ. 2 (A).  
**თ ა რ ი ლ ი:** [1911].  
**ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა:** აკაკი AB.

ლექსს ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**312.** 18 „თქვენ ნუ დაჰკარგავთ“ B წყაროში ამის ნაცვლად ადრე იყო „ნუ დაჰკარგავთ თქვენ“, რაც ავტორს გადაუხაზავს. 19 საიქაოს] საიქავოს B. 23 სუყველაფერს] სუყველიფერს B.

### **ბულბულის აღსარება (გვ. 313)**

**ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი:** ავტოგრაფები: K 83, ფ. 53 v – 54 r (B), K 153, ფ. 10 r (C).  
**ნ ა ბ ე ქ დ ი:** გაზ. „თემი“, 1911 ., № 15, 24 აპრილი, გვ. 2 (A).  
**ს ა თ ა უ რ ი:** ბულბულმა სთქვა B; ბულბულის აღსარება C.  
**თ ა რ ი ლ ი:** [1911].  
**ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა:** აკაკი AC.

ლექსს ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**313.** 8 მაღლით] მაღლათ A. 12 მოაქვს] მიაქვს B. 21 „იმ დროს“ ნაცვლად B ხელნაწერში ადრე ყოფილა „მაშინ“, რაც ავტორს შემდგომ გადაუხაზავს და შეუსწორებია. 25 „და შემდეგ კი“] მხოლოდ ტბაში B; C-წყაროში ადრე ამის ნაცვლად ყოფილა – „მაშინ იმ დროს“, რაც ავტორს შემდგომ გადაუხაზავს და შეუსწორებია.

### **ტ...ს (გვ. 314)**

**ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი:** ავტოგრაფები: K 83, ფ. 54 v (B), K 205, ფ. 8 r (C).  
**ნ ა ბ ე ქ დ ი:** გაზ. „თემი“, 1911., № 22, 9 მაისი, გვ. 2 (D); „ჩემი ნაწერები“, I, 1912, გვ. 3. (A).

ს ა თ ა უ რ ი: ჩემს იდეალს CD.

თ ა რ ი ლ ი: [1911].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი CD.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**314.** 1 მყოფსა შენს] მყოფს შენ B. 3 გადასული] გადასრული B. 5 გამოგისახე] გამოვისახე D. 6 უკვდავება] უკდაება B. 8 დაება] დამება CD. 12 ჩამაგდებს] ჩააგდებს ACD. 13 ჩამომწყდა] ჩამოსწყდა CD.

### ჩემი გრძნობა (გვ. 315)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თემი“, 1911., № 22, 6 ივნისი, გვ. 2.

თ ა რ ი ლ ი: [1911].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**315.** 22 მიდიან] მიჰდიან.

### ძმობა, ერთობა და სიყვარული (მთელ ქვეყანაზე...) (გვ. 316)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 107, ფ. 10 v (B); K 144, ფ. 5 r (C); K 154, ფ. 7 r (D).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თემი“, 1911 ., № 42, 24 ოქტომბერი, გვ. 3 (A).

ს ა თ ა უ რ ი: წყევლა B.

თ ა რ ი ლ ი: [1911].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი ABD.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**316.** 3 ვისაც არ სწამდეს] ვინც არ იწამოს B. 5 საერთშორისო] საკაცთ-შორისო B. 8 სიზმარ-ოცნება] ზღაპარ-ოცნება B. 9 ესა] სეა A; განძრახვით] გონებით B. 11 მას შეერგება ციურ მანანად] მას ეპკურება ვით აიაზმა B. 13 გაიძახის] ხმარობს მხოლოდ B. 14 დამარხული] განძრახული B. 19 ვინც მხოლოდ სიტყვით გაიძახოდეს] ვისაც არა სწამს და გაიძახის B.

ამ ლექსის სათაურებს AD წყაროებში ავტორის ხელით გაკეთებული აქვს სქოლიოს ნიშანი, სადაც ვკითხულობთ: „ეს ლექსი თვით ავტორმა წაიკითხა ამას წინად, ქუთაისში გამართულ სალიტერატურო საღამოზე“.

### წერილი პატარა მეგობრებს (გვ. 317)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 31, ფ. 29 r (B), K 147, ფ. 6 r – 7 r (C). ასლი K 216, ფ. 12 r (D).

ნ ა ბ ე ქ დ ი : გაზ. „თემი“, 1911., № 44, 13 ნომბერი, გვ. 2 (A).

თ ა რ ი ლ ი : [1911].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა : აკაკი ABC; – D.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**317. 13** „ქვეშ-ქვეშა“ — C-წყაროში სანამ ეს სიტყვა საბოლოოდ დარჩებოდა, ჯერ ყოფილა სიტყვა „შინაურ“, რაც ავტორს გადაუხაზავს და დაუნერია სიტყვა „გარემე“, რაც აგრეთვე გადაუხაზავს. **18 B** წყაროში ჯერ ყოფილა სიტყვა „გზა“, რაც ავტორს გადაუხაზავს და დაუნერია „დრო“. **20 C** წყაროში სიტყვა „იხარებს“ ადრე ყოფილა „დაგრჩებათ“, რაც ავტორს გადაუხაზავს; **20** მომავალი+თქვენი წინაპრებიცა

თავსა სდებენ ზვარაკათ,  
გიყვარდესთ საქართველო,  
როგორც ლეილი შვილები,  
გებრალეობდესთ ყველა,

ქვრივები და ობლები! C. მაგრამ ეს ექვსივე სტრიქონი ავტორს გადაუხაზავს. **23** საეროვნო] ეროვნულის B.

**318. 2** ტკბილია] ტკბილად C. **7** „და რად უნდა“- ამ სიტყვების ნაცვლად C-ში ადრე იყო „როგორ უნდა“, რაც ავტორს გადაუხაზავს, დაუნერია „და რად უნდა“. **11-12** „და... აღვიაროთ“ – C-წყაროში ამის ნაცვლად ადრე ყოფილა: „სამშობლოც ხომ ერთია და ღმერთად აღვიაროთ“, რაც ავტორს გადაუხაზავს და დაუნერია ის, რაც ძირითადშია. **15-16** რომ... მონება] სჯობს ხორციელ სიმდიდრეს, სულის წმინდა ქონება CD; სიტყვა „წმინდა“-ს ნაცვლად B-წყაროში ადრე იყო „მცირე“, ხოლო D-წყაროში წარმოდგენილია „წმიდა“ ფორმით. **18** სხვისიც... შეგძულდებათ – ამ სტრიქონის ნაცვლად C-წყაროში იყო: „გიყვარდეს შენი დედა“, რაც ავტორს გადაუხაზავს და დაუნერია ის, რაც გვაქვს ძირითად წყაროში. **25-28** ჭირში... არაკად] იგერებდნენ მომსვლელ მტრებს,

თავსა სდებდენ ზვარაკად  
და საქმენი საგმირო  
ჩვენ გადმოგვცეს არაკად C.

**319. 3** და... იპოვით] და სიამე მაშინ კმარა C. C- ში ადრე ყოფილა: და სიამე ეს კმარა. **15** ყოველი ... მოისმენს] ის მოისმენს ყველგან C. **18** ამ... ნატვრასა] ამ დიდ ნეტარებასა C; C-ში ადრე ყოფილა: „ამ ერთადერთ ნატვრასა“. **21** „რადგან ვიცი რომ ნატვრა“ - C-წყაროში ამ სტრიქონის ნაცვლად ადრე იყო: „ვიცი ეს ეროვნული“, რაც ავტორს გადაუხაზავს და დაუნერია ის, რაც ძირითად წყაროშია. **23** რუსთველის+ ნამ C, მაგრამ ეს მიმატებული სიტყვაც გადაუხაზავს. **27** ხელახლად] ხელახლა C. ხელახლა+ გაცრც C, მაგრამ შემდეგ ავტორს ეს გადაუხაზავს.

**320.** 3 იქ ... გავჩნდები] აქ... გავჩნდები C.

ამ ლექსის D —წყაროს მხოლოდ პირველი ცხრა სტროფი შეადგენს. ლექსი დაწერილია თელავში, აკაკის სტუმრობის დროს და მიძღვნილია თელაველი საზოგადო მოღვაწის, ნიკიფორე მამინაიშვილისა და კახიძეების ბავშვებისადმი. „ნასვლის წინ აკაკიმ აასრულა თავის დაპირება და ჩემსა და კახიძის ბავშვებს უძღვნა მშვენიერი ლექსი: „წერილი პატარა მეგობრებს“. (პოლინა მამინაიშვილი — „ჩემი ძველი დღიურიდან“, „ლიტერატურის მატრიანე“, 1942 წ., №3-4, გვ. 173).

**დათუნია, კაკუნა** — თელაველი საზოგადო მოღვაწის, ნიკიფორე მამინაიშვილის შვილები.

**მაია, ელენე** ვასილის ასული კახიძეები, რაფიელ ერისთავის შვილიშვილები.

### მომაკვდავის ფიქრები (გვ. 321)

ნ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: K 71, ფ. 27v (B); K 3, ფ.4r (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თემი“, 1913., № 113, 4 მარტი, გვ. 2 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1911] C.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

**321.** 10 მსხვერპლსა] C-წყაროში ადრე იყო სიტყვა „მსხვერპლად“, რაც ავტორს გადაუხაზავს და „მსხვერპლსა“ დაუნერია. 12 ვერსიად ჩემს] ვპყრიდე თვით BC. 14 ყოველთვის] B-წყაროში ჯერ ყოფილა სიტყვა „ხანგრძლივ“, რაც შემდგომ ავტორს შეუცვლია სიტყვით „ყოველთვის“. 17 საიქოს] საიქოს B. 20 შემძლე] შემგნე B. 24 მრწამს] მსწამს C.

C-ავტოგრაფში სხვისი ხელით მიწერილია: „დაწერილია 1911 წელს, ს. ბახტაძისას რომ იდგა აკაკი“.

### ჩემი სურვილი (გვ. 322)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „კოლხიდა“, 1911., № 145, 26 სექტემბერი, გვ. 2.

თ ა რ ი ღ ი: [1911].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### ოცნება (კახეთი შემოვიარე...) (გვ. 324)

ნ ა ბ ე ქ დ ი: აკაკი, „ოცნება“, რაჟდენ დათუმიძის გამოცემა. 1911. (A); „ჩემი ნაწერები“, მეორე წიგნი, 1913 წ., გვ. 236-242 (B).

ლექსს ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ზემოსხენებული ცალკე გამოცემა დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მას აკაკის ხელით გაკეთებული აქვს წარწერა: „ჩემს საყვარელ თანამეკალმეს და მეგობარს ვანო ელიაშვილს სახსოვრად. აკაკი.“ წარწერის ზემოთ მარცხენა კუთხეში მინერილია თარიღი: „15/1V 12“.

როგორც ჩანს, პოეტს 1912 წ. აპრილში გადაუთვალეერებია მეგობრისთვის საჩუქრად გამზადებული წიგნი და შეუტანია მასში მხოლოდ ერთი შესწორება: IV სტროფის ბოლო სტრიქონში სიტყვა „დახარებს“ შეუცვლია სიტყვით: „დანათებს“. ამკარაა, რომ ამ სტროფში სიტყვა „დახარებს“ კორექტურული შეცდომაა, მაგრამ ის გაუსწორებელი დარჩენილა 1913 წელს გამოცემულ აკაკის რჩეული ნაწერების II წიგნშიც „ჩემი ნაწერები“.

უნდა ვიფიქროთ, რომ გამოცემელმა (ი. მანსვეტაშვილმა) 1911 წელს ქუთაისელი მრეწველისა და ქველმოქმედის რაჟდენ დათეშიძის მიერ გამოცემული ლექსი პირდაპირ გადაიტანა 1913 წლის გამოცემაში და ალბათ არც იცოდა ავტორისეული ჩასწორების არსებობა. ჩვენ ვითვალისწინებთ ამას და, აკაკის მიერ 1912 წელს ჩასწორებული სიტყვა შეგვაქვს წინამდებარე გამოცემაში. 1913 წლის გამოცემაში დამატებით კიდევ ერთი კორექტურული შეცდომაა დაშვებული: ლექსის ბოლო, 33-ე სტროფში, 1—2 და 3—4 სტრიქონები გადასმულია, რაც ალბათ ასოთამწყობის შეცდომაა.

მკვეთრი პოლიტიკური ჟღერადობის გამო, ლექსი 1913 წ. შემდეგ არც ერთ გამოცემაში არ შეუტანიათ. მხოლოდ მეოცე საუკუნის მიწურულს, 1990 წელს, გამომცემლობა „საქართველომ“ განახორციელა დათეშიძისეული ნაბეჭდის ფაქსიმილური გამოცემა.

ამ პატარა წიგნაკს ერთვის ჯუმბერ ქორჩილაფას ბოლოთქმა.

### კუდური დედინაცვალი (გვ. 329)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „კოლხიდა“, 1911., № 210, 14 დეკემბერი, გვ. 2.

თ ა რ ი ლ ი: [1911].

ბ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### ახალმოდური ლექსი (გვ. 331)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თემი“, 1911., № 49, 12 დეკემბერი, გვ. 3.

თ ა რ ი ლ ი: [1911].

ბ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით. გაზეთში გამოქვეყნების შემდეგ, დაიბეჭდა კრებულში „უცნობი აკაკი“ (თბ., 2001., გვ. 29).

**\* \* \* (აღსდგე, გმირთგმირო...) (გვ. 332)**

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 83 (A), K 79 (B); ასლი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Q 404-167 (C).

ს ა თ ა უ რ ი: – ABC.

თ ა რ ი ლ ი: [1912 წლამდე].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი C; – AB.

პირველად დაიბეჭდა 1941 (აკ. წერეთელი, თხზულებანი შვიდ ტომად, ტ. II, გვ. 14).

ეს უსათაურო და უთარილო ლექსი ორჯერ დაიბეჭდა თხზულებათა თხუთმეტტომეულში: 1. 1954, ტ. III, გვ. 374 – განყოფილებაში „უთარილო-ნი“. 2. 1956, ტ. V, გვ. 351 – განყოფილებაში „ნაწყვეტები და ვარიანტები“.

კვლევით დადგინდა, რომ იგი დამოუკიდებელი ლექსია და არა რაიმე ნაწარმოების ნაწყვეტი ან ვარიანტი (იხ. ჯ. გაბოძე „ისტორიული ანაქრონიზმი და თვითგამეორება (აკაკის ზოგიერთი ლექსის ადგილის განსაზღვრისათვის“, „სჯანი“, 2010, №11, გვ. 158–166).

„აღსდგე, გმირთგმირო...“ უკავშირდება ა. წერეთლისთვის საინტერესო თემას – მეფე ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობას, რითაც პოეტი ჯერ კიდევ 1886 წლიდან დაინტერესდა: ლექსები – „გორგასლანის სიმღერა“ (1886), „ვახტანგ გორგასლანს“ (1899), „აღსდგე, გმირთგმირო...“ და პოემა „გორგასლანი“ (1912). ლექსი „აღსდგე, გმირთგმირო...“, მართალია, პოემა „გორგასლანის“ VII თავს ჰგავს, მაგრამ იდეურად მისგან სრულიად განსხვავებულია.

რადგან პოემა 1912 წლით თარიღდება, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ლექსი 1912 წლამდეა დაწერილი.

**332.** 7 გულს... სულს] სულს ხმარობ, ველარც გულს C. 8 ლეში გამხ-  
დარხარ] გამხდარხარ მხოლოდ C. 10 მას ვანაცვალებ] შენ ვანაცვალებ C.  
11 სანამდი] სანამდის BC. 13 გამოიღვიძებს ისევე] მოვა დრო, გამოიღვიძებს  
C. 14 ფხიზლად] ფხიზლადა B, იფხიზლებს C. 15 ჩემ] ჩემს B; ჩამოვჰკრავე]  
ჩამოვკრავე C. 17 აღდგე] აღსდგე BC. 19 შეისისხლხორცეთ... გაკლდესთ]  
შეისისხლხორცე, რაც გაკლდეს C. 2 მომავალიო +

აღსდგე, გმირთგმირო,  
ნუ გძინავს,  
გამოახილე თვალიო  
და შენვე გამოასწორე  
ნამხდარი გზა და კვალიო C.

1912

**\* \* \* (სტუმართმოყვარეობა რაჭველთა...) (გვ. 333)**

ნ ა ბ ე ქ დ ი: „სახალხო გაზეთი“, 1912, № 695, 11 სექტემბერი, გვ. 3.



თ ა რ ი ლ ი: 29 ივლისი [1912].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

ლექსი ჩართულია ლადო ბზვანელის წერილში „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. ლექსის დაწერის მხოლოდ თვე და რიცხვია აღნიშნული ავტორის მიერ, ხოლო წელი საყოველთაოდ ცნობილია აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის მიხედვით. ესაა 1912 წელი.

### **მილოცვა (გვ. 334)**

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „ნაკადული“ (მოზრდილთათვის), 1912., № 1, გვ. 3–4.

თ ა რ ი ლ ი: [1912].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### **გაბრიელ სუნდუკიანცის დამარხვის დღეს (გვ. 336)**

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თემი“, 1912., № 64, 26 მარტი, გვ. 2.

თ ა რ ი ლ ი: [1912].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

გ. სუნდუკიანცზე იხ. კომ. გვ. 523.

### **ბაქო (გვ. 337)**

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თემი“ (სურათებიანი დამატება), 1912., № 2, 9 აპრილი, გვ. 2.

თ ა რ ი ლ ი: [1912].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**თაგიევი, ნაგიევი** — აზერბაიჯანელი ნავთის მრეწველები.

### **აღბომში (თვალად, ტანად, სულით, გულით...)(გვ. 340)**

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი K 195, ფ. 18 r (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: „ჩემი ნაწერები“, პირველი წიგნი, 1912., გვ. 2 (A).

ს ა თ ა უ რ ი: – B.

თ ა რ ი ლ ი: [1912].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### **მარჯორი უორდროპის სახსოვრად (გვ. 341)**

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 157, ფ. 18 r (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: „ჩემი ნაწერები“, პირველი წიგნი, 1912 ., გვ. 1 (A).

ს ა თ ა უ რ ი: მარჯორი-ვარდროპის სახსოვარი B.

თ ა რ ი ლ ი: [1912].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი B.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილმა ქართული მწერლობის ნი-  
მუშებმა დიდი მონონება დაიმსახურეს მაშინდელ ევროპულ პრესაში.

მ. უორდროპი საქართველოს ესტუმრა ორჯერ (1894–1895, 1896),  
უმუშალოდ გაეცნო ქართველი ხალხის ცხოვრებას, დაუახლოვდა ინტელი-  
გენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, ახლო მეგობრობა აკავშირებდა ი.  
ჭავჭავაძესთან (იხ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ., №633-635. ვენერა ურუშაძე  
– „ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“ და მარჯორი უორდროპი“, „მნათობი“, 1945  
წ., №10).

მ. უორდროპის გარდაცვალების შემდეგ ოქსფორდში, ბოდლის ბიბ-  
ლიოთეკაში, მარჯორის ძმამ ჯონ ოლივერ უორდროპმა (1864–1948)  
მ. უორდროპის სახელობის ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების  
ფონდი დააარსა.

**341.** 11 ვინც] რომ B. 15 უდროოდ] უდროოდ B.

**უორდროპი მარჯორი სკოტ** (1869-1909), ინგლისელი მწერალი ქალი,  
რომელმაც ახალგაზრდობიდანვე შეისწავლა ქართული ენა და ინგლისურად  
თარგმნა “ვეფხისტყაოსანი” (პროზაული თარგმანი, გამოიცა 1912 წ. ლონ-  
დონში), “ქართული ზღაპრები” (1894, ლონდონი), ილია ჭავჭავაძის “განდე-  
გილი” (1895, ლონდონი), “წმინდა ნინოს ცხოვრება” (1900, ლონდონი) და სხვ.

### **\* \* \* (კუხ! კუხ! კუხ!...) (გვ. 342)**

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 156, ფ. 20 r.

თ ა რ ი ლ ი: [1912].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1940 წელს, ა. წერეთლის თხზულებათა  
სრულ კრებულში (ტ. I, გვ. 844). მისი დათარიღების თაობაზე ამავე გამო-  
ცემის II ტომში (1941 წ., გვ. 780) ნათქვამია:

„შავი ამ ლექსისა დაწერილია იმავე ფურცელზე, რომელზედაც მოთავსებულია ლექსის „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“ შენიშვნა, რაკი ეს შენიშვნა დაიწერა „ჩემი ნაწერების“ I ტომისთვის, რომელიც 1912 წელს გამოქვეყნდა, ამის მიხედვით ირკვევა ამ ლექსის დაწერის თარიღიც“. (პ. ინგოროყვას შენიშვნა).

### მშვიდობით (გვ. 343)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 72, ფ. 18 r – 18 v (A);  
K 72 ფ. 3 v – 4 r (B), K 88 (C); ასლი T 12171, ფ. 1 r – 2 v (D).

ს ა თ ა უ რ ი: იუბილიარის გამოთხოვება B.

თ ა რ ი ღ ი: [1912].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

როგორც პ. ინგოროყვა შენიშნავს, ლექსი, როგორც ჩანს, ეკუთვნის იმ დროს, როდესაც აკაკიმ წამოაყენა თავისი კანდიდატურა სახელმწიფო სათათბიროში (აკაკი წერეთელი, თხზულებანი, 1941, ტ. II, 1941). პირველად დაიბეჭდა გაზ. „თემში“ სათაურით „აკაკის ლექსი“ (იხ. „თემი“, 1915., №218, 11 მაისი, გვ. 2).

1912 წ. სექტემბერში აკაკი კენჭს იყრიდა საჩხერეში რწმუნებულებაზე წვრილ მემამულეთა არჩევნებში. რწმუნებულებს უფლება ჰქონდათ აერჩიათ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები. აკაკი არჩევნებში დამარცხდა. ალბათ, მაშინ დაიწერა ეს ლექსი.

**343.** 1 შრომავე და ღვანლო მეთაურებო B. 3-4 იუბილის ... წუნისა] ენით ზეცამდი ამყვანო, საქმით კი მდებო წუნისა B. 5 ინტელიგენტო მეთაურებო B. 9 მე] იქ BD. 11 სახელმძღვანელოც] ხელმძღვანელადაც C. 12 ყოველგან] ყოველთვის BD. 23 მე...მიჯობს] ეგებ ის სჯობდეს ჩემთვისაც BD. 24 ვიობლო] ვივობლო D. 27-28 იუბილის... წუნისა] ენით ზეცამდი ამყვანო, საქმით დამდებო წუნისა B.

### 1913

### საკვირველებას (გვ. 344)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თემი“, 1913., № 110, 11 თებერვალი, გვ. 3.

თ ა რ ი ღ ი: 1913 წელსა, იანვრის 12—ს.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი.

### თანამედროვე (გვ. 345)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 72, ფ. 17 r (B); ასლი K 164, ფ. 10 r (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თემი“, 1913., № 109, 4 თებერვალი, გვ. 2 (A).

ს ა თ ა უ რ ი: თანამედროვე გმირი B.

თ ა რ ი ლ ი: [1913].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**345.** 1 ავადმყოფს] ავანცყოფს C. 5 თვალტანადად] თვალად, ტანად ] C. 6 სჯულის] რჯულის C. 11 ხაშმით] შხამით B. 13 დაჰგმობენ] დაგგმობენ B. წყაროში „დაგგმობენ“ მერე შეცვლილა სიტყვით: „დაჰგმობენ“. 19 გაგისინჯვენ] გაგიშინჯვენ C. 20 შავს] შავ C. 24 „და ბარ-ნიჩბით“ ნაცვლად C- წყაროში ადრე ყოფილა: „ბარ-ნიჩაბით“.

### ვაჟა-ფშაველას (გვ. 346)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 158, ფ. 17 r (A); (ავტოგრაფის ფოტოპირი) T 20526 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თემი“, 1913., № 111, 7 თებერვალი, გვ. 2. (C).

თ ა რ ი ლ ი: [1913].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი ABC.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ჯერ კიდევ 1899 წელს, ერთ სახელმძღვანელოზე დაწერილ რეცენზიაში, აკაკი წერეთელი უსაყვედურებდა ვაჟა-ფშაველას და მის ძმებს (ბაჩანას და თედოს) დიალექტიზმების სიჭარბეს მათ მხატვრულ შემოქმედებაში. ამის გამო იგი წერდა: „... მე ის კი არ მინდა ვთქვა, რომ რაზიკაშვილებს ნიჭი აკლდეს!.. პირიქით, უხვად არიან მალლით მიმადლებული... მაგრამ საწყენი ის არის, რომ განგებ ამახინჯებენ თვითონვე მათ ნაწარმოებს...“ (აკაკის თვითური კრებული, 1899., №2).

ზემოაღნიშნულ სტატიაში გატარებული აზრი უდევს საფუძვლად მისი დაწერიდან 14 წლის შემდეგ გამოქვეყნებულ აკაკის ცნობილ პოეტურ სტრიქონებს: „ენას გინუნებ, ფშაველო!“ (აკ. წერეთელი, თსკ, 1954., ტ. III, გ. აბზიანიძის შენიშვნა).

ვაჟა-ფშაველა მალე, 1913 წ. იენისში, ლექსით „დაგვიანებული პასუხი აკაკის“ გამოეხმაურა პოეტს.

**346.** 10 მისს] მის C. 11 მივხთი] მივხვდი C. 13 ფშაველის სული] ფშაველის სოფელი C.

ვაჟა-ფშაველა (1861-1915).

### ბავშვებისადმი (გვ. 347)

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „ჯეჯილი“, 1913., № 3, გვ. 131–132 (B); გაზ. „თემი“, 1913., № 113, 4 მარტი, გვ. 2 (A).

ს ა თ ა უ რ ი: ცმანვილებს B.  
თ ა რ ი ლ ი: [1913]  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი B.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**347.** 1 პატარა რომ | მე რომ პატარა B. 3 არც მეტი, არც ნაკლები ~ B. 4 აგრე მხოლოდ | მაგრე ოდენ B. 5 დიდი ... მეგონა | დიდათ მეჩვენებოდენ B. 6 ჩემზე უფროსი | მე უფროსები B. 8 რამ | რომ B. 11 მივხვდი | ვნახე B. 14 ქვეყნისთვის არ ვარგია | ქვეყანას არ არგია B. 17 და ქვეყნად სათაყვანოდ | და სათაყვანო ქვეყანათ B. 20 კუჭია-მუჭიას | მუჭია-კუჭიას B. 21 მიემგზავსოთ | დაემსგავსოთ B. 22 უმნიშვნელო | სულ უბრალო B. 23 გიყვარდესთ სამშობლოსთან ~ B.

### ფული (გვ. 348)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 161 (C); ასლი K 163 (D).  
ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თემი“, 1913., № 115, 18 მარტი, გვ. 3 (A); „ჩემი ნანერები“, მეორე წიგნი, 1913 წ., გვ. 50–52 (B).  
თ ა რ ი ლ ი: [1913].  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი AC.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**348.** 7 უშენოდ | უშენოთ B. 13 ძალაც | ძალიც ACD; 14 ცხოვრებად | ცხოვრებით B. C-ხელნაწერში IV-VI სტროფები დაზიანებულია. 18 წმინდა | წმიდა C; გასახრწნელადა | გასამხრწნელადა A. 21 სანამდი | სანამდის A. 23 რალად | რალათ B.

**349.** 5 C-წყაროში სიტყვა „პატიოსანი“-ს ნაცვლად ადრე ყოფილა „პატიოსნება“, რაც ავტორს გადაუხზავს და დაუტოვებია პირვანდელი ფორმა.

### ქრისტე აღდგა (ხელში მიჭირავს ტალ-კვესი...) (გვ. 350)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 151, ფ. 11 v (B); K 73, ფ. 8 r (C).  
ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თემი“, 1913 წ., № 119, აპრილი, გვ. 2 (A).  
თ ა რ ი ლ ი: [1913].  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი AB.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**350.** 23 ვინც | ვინცა BC. 24 სცხოვრებს | ცხოვრებს B.

## მუშა-გლების იობა ისაკაძის ხსოვნას (გვ. 352)

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „თემი“, 1913., № 127, 10 ივნისი, გვ. 3 (B); „მუშა-გლების იობა ისაკაძის ხსოვნას“ გაზ. თემის“ გამოცემა (ცალკე წიგნად), 1913., (A).

თ ა რ ი ლ ი: [1913].

ს ა თ ა უ რ ი: – B.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

გაზეთ „თემში“ დაბეჭდილ ლექსს წინ უძღვის შემდეგი შინაარსის ცნობა: „აკაკის მიერ დაწერილი იობა ისაკაძის ეპიტაფია. ჩვენმა რედაქციამ ამ დღეებში მიიღო ბ. აკაკისაგან წერილი, რომლითაც დიდებული მგოსანი გვატყობინებს, რომ მას სურს დაუფინყარ იობა ისაკაძის საფლავს ქვა დაადგას და ზედ ეს ლექსი დააწეროს“.

იობა ისაკაძე ის ადამიანია, რომლის თაოსნობით თბილისში, რესტორან „ედემის“ ბაღში, რაჭველმა მუშებმა და ინტელიგენციამ დიდი ბანკეტი გაუმართეს აკაკის.

ამ ნადიმზე სიტყვით გამოსულმა მუშა იობა ისაკაძემ პოეტს გადასცა სახსოვარი – ოქროს კალამი წარწერით: „დიდებულ მგოსანს აკაკის. მის მოსიყვარულე ტფილისში მცხოვრებ რაჭველებსაგან“. აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობაც მან დააფინანსა.

ამ მოგზაურობის დროს აკაკის თან ახლდა ახალგაზრდა კინოოპერატორი ვასილ ამაშუკელი, რომელმაც გადაიღო მოგზაურობის მთავარი მომენტები. დოკუმენტური ფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ პირველად აჩვენეს ქუთაისში 1912 წ. 20 სექტემბერს.

**ისაკაძე იობა** (იობ) სოფრომის ძე (1872-1913), ხელოსანი, მეპურე. აკაკისთან დაახლოებული პირი.

## კახელებს (გვ. 353)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი K 162, ფ. 13 v (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი: გაზ. „ხმა კახეთისა“, 1913 ., № 74, 1 აგვისტო (A).

ს ა თ ა უ რ ი: კახეთში B.

თ ა რ ი ლ ი: [1913].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

B წყაროში სათაური „კახეთში“ წაწერილია ნითელი ფანქრით, სხვა ხელით.

**353.** 1 ორჯელ] ორჯერ B. 2 ორჯელვე] მე მგზავრად B. 8 ურჭობდნენ] ურჭობდენ B.

**354.** 3 ქართული] საქართლო B. 5 შევეკრთი] შევეკრთი B. 6 „ნუთუ..... მეტიო“ – ამ ფრაზის ნაცვლად B – წყაროში ადრე იყო: „ნუთუ არ დარჩა არავინ სახელგანთქმული“, რაც ავტორს გადაუხაზავს და დაუნერია ის, რაც ძირითადშია. 11 სულ სხვებსა] უცხოელს B. 12 თავისი] თვისი B, რაც ავტორს გადაუხაზავს და დაუნერია ის რაც ძირითადშია; 16 სიტყვა „ნები-თა“ B-წყაროში არის „ხელითა“. 19 და... იძლევა] „ეს ხმაა დამატებობელი“ B, მაგრამ მერე ეს გადაუხაზავს და დაუნერია ის, რაც ძირითად ტექსტშია; ნუგეშს] ნუგეშსაც B.

**354.** 17-20 ...მომესმა ნუგეში... მომავლის უკეთესისა... ამ... ნუგეშს იძლევა გაზეთი “ხმა კახეთისა” — იგულისხმება ქართული ყოველდღიური სამეურნეო და ლიტერატურული სახალხო გაზეთი “ხმა კახეთისა”. გამო-დიოდა სიღნაღში 1912-17 წლებში.

### მოხუცის სიყვარული (გვ. 355)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 198 (B); T 17675 (C); ასლი K 214 (D).

ნ ა ბ ე ქ დ ი: „სახალხო გაზეთი“, 1913., № 972, 20 აგვისტო, გვ. 3 (A).

ს ა თ ა უ რ ი: სიყვარული BD.

თ ა რ ი ღ ი: 1913., 15 ივლისი A; 1913., 15 ივნ. C; – BD.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი AC.

ერთ-ერთ ხელნაწერში (T-17675) ლექსს დასამული აქვს თარიღი: 1913 წ. 15 ივნისი. იგი ამავე წლის 20 აგვისტოს გამოქვეყნდა „სახალხო გაზე-თის“ №972-ში თარიღით, 1913 წ. 15 ივლისი, მაგრამ რადგან ხელნაწერში მითითებულია 1913 წ. 15 ივნისი, ამიტომ ლექსს ამის მიხედვით ვათარი-ლებთ.

**355.** 4 აღმამფრენელ] აღმამფრენელ D. 9 როცა... დამაშვრალს] B-წყ-აროში ყოფილა „როცა ტანჯულს და დამაშვრალს“, რაც ავტორს გადაუხა-ზავს და დაუნერია ის, რაც ძირითად ტექსტშია. 10 დამებმება] დამებმევა C. 12 წარმოდგენა] წამოდგენა B. 13 გულში ჩაკირული] B-წყაროში ადრე ყოფილა „გულზე მოდებული“, რაც ავტორს გადაუხაზავს და დაუნერია ის, რაც ძირითადშია; გულში ჩანაკირი C.

### ქრისტე აღდგა („ქრისტე აღდგა!“ გვეუბნები...) (გვ. 356)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 73, ფ. 11 v.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: პასუხად „სიტყვას“

თ ა რ ი ღ ი: [1913].

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსი „ქრისტე აღდგა“ 1940 წ. გამოცემულ აკაკის თხზულებათა შვიდტომეულის I ტ., გვ. 27, დაიბეჭდა ქვესათაურით – „პასუხად“, ხოლო 1954 წლის გამოცემაში (თსკ. 1954, ტ. III, გვ. 139) ქვესათაური საერთოდ მოხსნილია.

ეს ლექსი ცნობილია ერთადერთი ავტოგრაფით (K 73), სადაც მას ქვესათაურად აწერია: „პასუხად „სიტყვას“, ე.ი. ლექსი მიძღვნილია გაზ. „სიტყვისადმი“.

პ. ინგოროყვამ აკაკი წერეთლის თხზულებათა შვიდტომეულის II ტომში უთარილოთა შორის შეიტანა ლექსი „ქრისტე აღდგა“.

1954 წ. გამოცემულ აკაკი წერეთლის თხზულებათა III ტომის გამომცემლებმა „ქრისტე აღდგა“ დასაბუთების გარეშე დაათარილეს 1904 წლით.

ქვესათაურის საფუძველზე, ლექსს ვათარილებთ 1913 წლით ყოველდღიური, სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მიმართულების პოლიტიკური და ლიტერატურული გაზ. „სიტყვა“ გამოვიდა ქუთაისში 1913 წელს. გაზეთის გამოცემა შეწყდა 29 ოქტომბერს, სულ გამოიცა 17 ნომერი.

**356.** 17-18 „... ვისაც გოლგოთაზე... სისხლი დაუღვრია...“ – იგულისხმება ამაღლებული ნაწილი იერუსალიმში, სადაც აწამეს ქრისტე

### **ჩემს პატარა მეგობარს, თინა ჯაფარიძის ქალს (გვ. 357)**

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: K 160, ფ. 4 რ (A); T 17708, ფ. 1 რ (B).

ს ა თ ა უ რ ი: – B.

თ ა რ ი ლ ი: [1913].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

13 მონობაც] მონობა B. 15 და... მცნება] რომ არ დაჰკარგოს მან ღვთის ხატება B.

თინათინ ჯაფარიძის გადმოცემით, ლექსი აკაკიმ მას მიუძღვნა 1913 წელს (აკ. წერეთელი, თსკ, 1954., ტ. III, გვ. 360 გ. აბზიანიძის შენიშვნა).

**ჯაფარიძე-აფხაიძისა** თინათინ კონსტანტინეს ასული (1905-?), პიანისტი. მთარგმნელის, კონსტანტინე ჯაფარიძის ქალიშვილი.

## **1914**

### **\* \* \* (ობობამ ქსელი გააბა...)(გვ. 358)**

ნ ა ბ ე ქ დ ი: ჟურნ. „ნაკადული“ (მოზრდილთათვის), 1914., № 1, იანვარი, გვ. 3.

თ ა რ ი ლ ი: [1914].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.



## უთარღონი

### ალბომში გ[იორგის] მაგიერ (გვ. 361)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 71, ფ. 16 რ. (A); K 86, ფ. 30 v (B).  
ქ ე ე ს ა თ ა უ რ ი: გიორგის მაგიერ B.

პირველად დაიბეჭდა: აკაკი წერეთელი, თბზულებანი შვიდ ტომად, 1941, ტ. II, გვ. 581.

### ალბომში (მსურდა შენი აღმა ფრენით...) (გვ. 362)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 83, ფ. 64 რ.

### ალბომში (ნინოს, თამარს თუ ქეთევანს...) (გვ. 363)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 86, ფ. 34r – 35v (A); K 111 (B); K 237, ფ. 19 v (C).  
ს ა თ ა უ რ ი: ტ. ბაგრატიონის ალბომში B; – C.

პირველად დაიბეჭდა 1941 წ. (აკაკი წერეთელი, თბზულებათა, სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. II, გვ. 74).

**363.** 1 თუ] და B. 2 შეგამსგავსო] მივამზგავსო C; ადრე A–წყაროში იყო „შევადარო“. 4 დედოფალო] დედოფალი B. 7 სამთავე] სამივ C, სამის] სამივ C. 8 სამებრ... ტასო] ყველას ტოლო, ყველას სწორო C. 9 სიტყვა „ხარ“ C–წყაროში გადახაზულია, ხოლო შემდეგი სიტყვა არ იკითხება. 12 მან მითხრა] მანცა სთქვა C. 13 მირისხდები... ტასო — C–წყაროში არ იკითხება. 16 ნასცდება... ტასო] წამომცდება მაინც C.

ნ ი ნ ო, თ ა მ ა რ ი, ქ ე თ ე ვ ა ნ ი, იხ. კომ. გვ. 548

ტ ა ს ო – აქ იგულისხმება ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბელი, იხ. კომ. გვ. 540.

### ალბომში (რომ გამწირე...) (გვ. 364)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი T 17692, ფ. 1 რ.

პირველად დაიბეჭდა 1941. (აკაკი წერეთელი, თბზულებანი შვიდ ტომად, ტ. II, გვ. 73).

**364.** 3 „არც“ – ამ სიტყვის მაგივრად ადრე იყო სიტყვა „მე“; წარსული] წასული. 4 „არც“ – ამ სიტყვის მაგივრად ადრე იყო სიტყვა „და“.

### ალბომში (როცა შევჰყურებთ...) (გვ. 365)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 71, ფ. 20 r – 21 v.

პირველად დაიბეჭდა 1941 (აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 115).

**365. 5** „ქვეყნად“ – ადრე ამ სიტყვის ნაცვლად იყო სიტყვა „სოფლად“, რაც ავტორს გადაუხაზავს. 8 და... ძლიერია – ამ წინადადების ნაცვლად ადრე იყო: „ტრფობით ვაძგერებთ ჩვენ გულსა“, რაც ავტორს გადაუხაზავს.

### ალბომში (რუსის ქალს) (გვ. 366)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი: K 86, ფ. 33 v – 34 r. (A) K71 (B)

ს ა თ ა უ რ ი: რუსის ქალის ალბომში B.

პირველად დაიბეჭდა 1928: აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები, ტ. IV, გვ. 274.

### არშვიის ეპიტაფია (გვ. 367)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: K 71, ფ. 19v-20 r(A); K 86, ფ. 27 r (B).

ს ა თ ა უ რ ი: ჩემ საფლავის ქვაზე B.

პირველად დაიბეჭდა: აკაკი წერეთელი, თხზულებანი შვიდ ტომად, 1941, ტ. II, გვ. 103.

A-ში ლექსს თავდაპირველად სათაურად ჰქონდა: „ჩემი ეპიტაფია“: შემდეგ ავტორს სიტყვა „ჩემი“ გადაუხაზავს და დაუნერია „არშვიის“.

**367. 1** მინის შეილმა| მინიშვილმა B. 2 განვიძრახე| განვიზრახე B. 4 სიცოცხლითვე| სიცოცხლიდევ B. 7 ჰხიბლამს| ჰხიბლავს B.

10 ნუ, ნუ| ნულა B. 12 დაიწყევლო| შენც დასწყევლო B.

### აღსარება (როგორც ბავშვი...) (გვ. 368)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: T 17669, ფ. 1 v – 2 r (A); T 17712, ფ. 2 v – 3 r (B).

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი A, – B.

პირველად დაიბეჭდა 1941 წ. (აკაკი წერეთელი, თხზულებანი შვიდ ტომად, ტ. II, გვ. 65).

**368. 1 ბურთსა] ბურთვსა B.**

6 AB წყაროებში ადრე ეწერა: „რაღაც“, რომელიც ავტორს შეუცვლია სიტყვით „მაღალ“. 15 იმ ქვეყნადაც] AB წყაროებში ადრე ეწერა: „საიქიოს“, რომელიც ავტორს გადაუხსნავს და დაუნერია ის, რაც ძირითად ტექსტშია. 16 ჰქრება] ქრება B.

**ბაბილინას (გვ. 369)**

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 73, 17 v – 18 r.

**ბ ე რ ი ძ ე** – იგულისხმება ბეჟან ბერიძე, აკაკისთან დაახლოებული საჩხერელი აზნაური.

**ბერიკაცის სიმღერა (გვ. 370)**

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K83, ფ. 35r — 36v.

პირველად დაიბეჭდა: აკაკი წერეთელი, თხზულებანი შვიდ ტომად, 1941, ტ. II, გვ. 41, ხოლო სრული სახით, აკ. წერეთელი, თსკ თხუთმეტ ტომად, 1954, ტ. III, გვ. 377.

**ბულბული და ბალი (გვ. 371)**

